

საენათმეცნიერეთ  
ბიბლია



Linguistic  
Papers

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
m. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო  
ძ ი ე ბ ა ნ ი

XLIV

Linguistic  
P a p e r s

(ედღვნება ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას  
Dedicated to the Memory of **Besarion Jorbenadze**)

თბილისი 2023 Tbilisi

**„საენათმეცნიერო ძიებანის“**

XLIV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

**„Linguistic Papers“** volume 42 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ნ. დარასელია** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **N. Daraselia** (editor of the English part), **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ენო ალზიძე

## სომატური იდიომების კლასიფიკაციისათვის

სომატური იდიომები თანამედროვე ინგლისურისა და ქართული ენის ლექსიკური მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში დასტურდება სომატიზმების კვლევასთან დაკავშირებულ ნაშრომთა გარკვეული რაოდენობა, სომატურ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული მთელი რიგი ასპექტები კვლავ საჭიროებს შესწავლას. წინამდებარე სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს განიხილოს: (ა) ინგლისური და ქართული სომატური იდიომები სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული სომატიზმთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით; (ბ) ახსნას სომატიზმთა ბუნება კოგნიტიური ლინგვისტიკის პერსპექტივიდან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (გიბსი 1995; 1997; ლეიკოვი და ჯონსონი 1999); ლექსიკოლოგია (ლიპკა 1992); სოციოლინგვისტიკა (კასასი და კამპოი 1995). ემპირიული მასალის მოძიებისას გამოყენებულ იქნა როგორც ინგლისური და ქართული ავტორიტეტული ლექსიკონები, ასევე ინგლისური და ქართული ენის კორპუსები.

კოგნიტიური ლინგვისტიკის, კერძოდ, განსხეულების ჰიპოთეზის თანახმად, ადამიანის სხეული მჭიდროდ არის დაკავშირებული გონებასთან და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შემეცნებისა და კონცეპტუალური სისტემის ჩამოყალიბების პროცესზე. ადამიანი გარე სამყაროსა და მის გარშემო არსებულ რეალობას შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს საშუალებით აღიქვამს. ინდივიდის ქმედებები სწორედ სხვადასხვა ფიზიკური ორგანოთი ხორციელდება, მათი საშუალებით ახდენს ის სამყაროზე დაკვირვებას და იღებს ინფორმაციას მისგან. ადამიანის სხეულის ნაწილები არა მხოლოდ გარე სამყაროს აღქმასა და დაკვირვებაში გვეხმარება, არამედ თვითონაც წარმოადგენს დაკვირვების წყაროს ადამიანების მხრიდან. ამის დას-

ტურია სწორედ სომატური იდიომების არსებობა, რომელთა მთავარ შემადგენელ ელემენტს ადამიანის სხეულის ესა თუ ის ნაწილი წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სომატურ იდიომებს აქვთ ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, ბიოლოგიური, რამდენადაც ისინი ახდენენ ფიზიოლოგიური პროცესების ვერბალიზაციას, და, მეორე მხრივ, მათ აქვთ გარკვეული სოციალური დატვირთვა.

თვალსაზრისი, რომ შემეცნება ყალიბდება ჩვენი სხეულისა და იმ გამოცდილების მეშვეობით, რომელსაც ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთქმედების შედეგად ვიღებთ, ჩამოყალიბდა 1975 წელს. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში წამოყენებულმა ჰიპოთეზამ, რომლის მიხედვითაც სამყაროს ენობრივ სურათში ადამიანის შინაგანი სამყაროს მოდელირება ხდება ადამიანის ფიზიკური სხეულის, მისი მახასიათებლების, მისი ფიზიკური გამოცდილების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაზარდა სომატური იდიომებისადმი ინტერესი მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ერთი შეხედვით, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მოქმედების პირდაპირი გზით ჩამოყალიბებული ცნებები, როგორცაა სირბილი, ეყრდნობა სირბილის ფიზიკურ გამოცდილებას. რაც უფრო გასაკვირია და დასაფიქრებელი, არის ის რომ ე.წ. აბსტრაქტული ცნებებიც არის სხეულით განპირობებული (ლეიკოფი, ჯოსონი: 1999).

რაც შეეხება თვითონ ტერმინს სომატიზმი, მედიცინაში სხეულის ნაწილებს მოიხსენიებენ როგორც "somatika" , რომელიც ბერძნული სიტყვიდან "soma" მომდინარეობს, რაც სხეულს ნიშნავს, შესაბამისად სომატიზმები ლინგვისტიკაში დამკვიდრებულია, როგორც იდიომთა ჯგუფი, რომლის მთავარ კომპონენტსაც ადამიანის სხეულის ნაწილი წარმოადგენს ( ჰაკიმოვა:2011).

სომატიზმების კლასიფიკაციისას ძირითადად გამოყოფენ ექვს ძირითად ჯგუფს (ჰაკიმოვა 2011):

1) სომონიმური ლექსიკა (ბერძ. soma-სხეული და onym-სახელი), რომელიც აღნიშნავს ადამიანის სხეულის ნაწილებს (ხელი, თავი, ფეხი, კისერი და ა. შ.);

2) ოსტეონიმური ლექსიკა (ბერძ. osteon – ძვალი), რომელიც ახდენს ადამიანის ორგანიზმის ძვლოვანი სისტემის სახელდებას (ძვალი, ჩონჩხი და ა. შ.);

3) აგიონიმური ლექსიკა (ბერძ. angeion – ძარღვი), რომელიც გადმოსცემს ადამიანის სისხლის მიმოქცევის სისტემას;

4) სპლანხნონიმური ლექსიკა (ბერძ. splanchna – შინაგანი, შიდა), რომელიც აღნიშნავს ადამიანის შინაგან ორგანოებს (ფილტვები, გული, ნერვები, ტვინი და ა. შ.);

5) სენსონიმური ლექსიკა (ბერძ. sensus. – გრძნობა), რომელიც აღნიშნავს ადამიანის სხეულის შეგრძნების ორგანოებს(თვალი, ენა, ყურები და ა. შ.);

6) ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სხვა ზოგადი სიტყვები მაგ. ხორცი.

ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, განვიხილავ სხვადასხვა ჯგუფის სომატური იდიომების მაგალითებს კონცეპტუალური მეტაფორის თეორიასთან მიმართებით, რომლის თანახმადაც ფიზიკური სფეროს კონცეპტუალიზაცია აბსტრაქტულის მეშვეობით ხორციელდება.

### **სომონური ლექსიკა**

სომონიმური ლექსიკიდან განვიხილოთ თავის ელემენტის მქონე სომატური იდიომები. ადამიანებისათვის თავი ასოცირდება სხეულის ნაწილთან, რომელიც აკონტროლებს გონებას, ფიქრს, აზროვნებას, შესაბამისად თავთან დაკავშირებული სომატური იდიომების ძირითადი მნიშვნელობა, როგორც ინგლისურ ენაში, ასევე ქართულშიც უკავშირდება გონიერულობას, სიფრთხილეს, წინდახედულებას, გამჭრიახი გონებისა და ჭკუის არსებობას ან მის არქონას.

### ***თავი, როგორც გონებრივი შესაძლებლობა***

თავის ელემენტის მქონე სომატურ იდიომებში ვაკვირდებით, რომ თავი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ასრულებს კონტინენტის ფუნქციას, რომლიც იმ შემთხვევაში თუ სავსეა, დადებით, სიცარიელის შემთხვევაში კი უარყოფით მნიშვნელობას ავითარებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში. შესაბამისად, ამიტომაც იკვეთება მსგავსი სომატური იდიომების არსებობა:

To have a good head for something	ნიჭის/კარგი უნარის ქონა (ქართულში არ დასტურდება)
To have a good head on one's shoulders	თავი კარაგად უმუშავებს
Two heads are better than one	ორი თავი ერთ თავზე უფრო კარგად მუშობს (ქართულში არ დასტურდება)
Have your head screwed on	თავი აზია
To be/stand head and shoulders above somebody/something	ერთი/მთელი თავით მაღლა დგახარ (უკეთესი უნარები გაქვს).
Out of your head/mind	ჭკუიდან გადასული, სულელი, უცნაური
Soft in the head	სულელი, ჭკუასუსტი, ჭკუათხელი
Not right in the head	რადაც თავში რიგზე ვერ აქვს (სულელია)
To be weak/ touched / in the head	ცოტა აკლია, თავში უქრის (სულელია)
Go off one's head	თავი დაუკარგავს, ნამდვილად გაგიჟებულა

როგორც ვხედავთ, ზოგ შემთხვევაში, ქართულში ინგლისურ თავთან დაკავშირებული სომატური ელემენტი გადმოდის როგორც ჭკუა.

**თავი როგორც დაფიქრება/გაანალიზება**

Go over someone's head/ be over someone's head	რთულად გასაგები (ქართულში არ დასტურდება)
Scratch your head	თავის მოფხანა (დაფიქრება)

**თავი როგორც ემოციების მაკონტროლებელი**

თავი, რომელიც ძირითადად გონებასა და დაფიქრებასთან ასოცირდება და ამით უპირისპირდება ემოციურობას, ქმნის ისეთ

სომატურ იდიომებს, რომლებიც ემოციების მაკონტროლებლად გვევლინებიან.

To lose one's head	თავგზის ახნევა / დაბნევა / კონტროლის დაკარგვა
To keep one's head	თავის დაჭერა
To keep a cool head	თავის მოთოკვა
Bite someone's head off/snap someone's head off	უხეშად, უკმეხად ლაპარაკი (ქართულში არ დასტურდება)
Be/fall head over heels in love	ყურებამდე შეყვარებული.
To hang/to have/one's head down	თავის ჩაქინდვრა (სირცხვილის, უხერხულობის, მწუხარების გამო)
To talk somebody's head off/	თავის წაჭმა / ტვინის წადება (გაბრაზება)

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენისაგან განსხვავებით, შემდეგი იდიომა – to lose one's head – დაკავშირებულია არა მხოლოდ დაბნევასთან და კონტროლის დაკარგვასთან, არამედ სიყვარულთანაც. ასევე სომატური იდიომის – Be/fall head over heels in love შემთხვევაში, ინგლისური სომატური ელემენტი ქართულში იცვლება ყურებით.

### **თავი, როგორც ქედმაღლობა**

თავის პოზიცია და მოძრაობა ასევე დაკავშირებულია შესაბამისი მნიშვნელობების ჩამოყალიბებასთან.

Go to one's head	თავში აუვარდა
Hold your head high/hold up your head	თავი მაღლა უჭირავს (ამაყია)

### **თავი, როგორც სიცოცხლე**

თავის დაკარგვა პირდაპირ უკავშირდება სიცოცხლის დაკარგვას. ამ შემთხვევაში თავის მნიშვნელობა ყალიბდება მეტონიმურად როგორც ადამიანის სხეულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი



ნაწილი, რომლის გარეშეც მთლიანი სხეული ფუქციონირებას, ხოლო ადამიანი კი სიცოცხლეს შეწყვეტს.

Put your head above the parapet/ keep your head below the parapet	სასწორზე ჩემს თავს ვდებ,
Put/stick your head in a noose	ყულფში თავის საკუთარი ნე- ბით გაყოფა
Heads will roll for (for something)	ვიღაც დაისჯება (თავი გაგორ- დება)

### **სენსონიმური ლექსიკა**

თვალი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს, რომელიც ადამიანის სახეზე ცენტრალურ ადგილას მდებარეობს. სხვა სენსონიმურ ორგანოებთან ერთად, ის დიდ როლს თამაშობს გარე სამყაროს აღქმაში და სწორედ მისი საშუალებით იღებს ადამიანი ინფორმაციის უდიდეს ნაწილს.

სახეზე თვალის მდებარეობასა და შესაბამისი მნიშვნელობის ჩამოყალიბებას შორის კავშირი ნათლად ჩანს შემდეგ სომატური იდომებში:

#### **თვალი, როგორც დაკვირვება/ყურადღება**

თვალის მთავრი ფუნქცია პირდაპირ აისახება სომატური იდომების ჩამოყალიბებაზე:

With their eyes glued	თვალეზით შეჭმა
Get your eye in	უფრო მეტად დახელოვნება, (კარგად დაკვირვების შემდეგ); (ქართულში არ დასტურდება)
To give an eye to somebody	ყურადღებით მოკიდება (ქარ- თულში არ დასტურდება)
Sharp eye	მახვილი თვალი აქვს
To burst upon the eye	თვალში მოხვდა

#### **თვალი, როგორც კონტროლის საშუალება**

To be all eyes	გაფაციცებით თვალყურის დევ- ნება
----------------	------------------------------------

Keep one's weather eyes open	თვალყურის დევნება
Keep an eye on	თვალყურის დევნება
Have eyes in the back of your head	კეფაზეც თვალი აქვს

**თვალი, როგორც სიმართლის დანახვის საშუალება**

თვალის პირდაპირი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია ხედვასთან, თვალების გახელასთან მეტაფორულად დაკავშირებულია სიმართლის დანახვასთან.

See something with one's own eyes	რაიმეს საკუთარი თვალით ნახვა
Keep one's eyes open for someone or something	თვალების ფართოდ გახელა
Turn a blind eye to something	თვალის დახუჭვა(არ შემჩნევა)
To open somebody's eyes to something	თვალის ახელა
keep one's eyes peeled for someone or something	ასი თვალის გამომბმა

**თვალი, როგორც ემოცია**

არამხოლოდ თვალის ფუნქცია, არამედ მისი მოძრაობაც ავითარებს მეტაფორულ მნიშვნელობებს სხვადასხვა სომატურ იდიომში.

To give somebody the fish eye	ვინმესთვის ალმაცერად შეხედვა (ქართულში არ დასტურდება)
Feast your eyes (on somebody/ something)	თვალს წყალს დააღვივინებს
Make eyes at someone	თვალეებს უნაბავს (ვინმესთვის მაცდურად, გამომწვევად შეხედვა)
Have your eye on something	თვალი დავადგი(მოწონება)
Only have eyes for somebody	ჩემი თვალეები მხოლოდ მას ხედავს (მხოლოდ ის მომწონს)

## ოსტონიმური ლექსიკა

ძვალი ადამიანის ძირითად საყრდენ სისტემას წარმოადგენს. საინტერესოა, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ვარიანტებშიც ძვალი და ხორცი ხშირად გამოიყენება კომბინაციაში იდიომატური მნიშვნელობის ჩამოსაყალიბებლად.

### **ძვალი, როგორც კონსტრუქცია**

ძვალს, რომელსაც საყრდენი ფუნქცია აქვს ადამიანის ორგანიზმში, სომატური იდიომების გარკვეულ ჯგუფში კონცეპტუალიზაციას სწორედ ამ ფუნქციის საშუალებით ახდენს.

put flesh on (the bones of) something	ხორცის შესხმა
to the bone	სულ მთლიანად (ძვალსა და რბილში გაატანა)
cut, pare, etc. something to the bone	მინიმუმამდე შემცირება (ქართულში არ დასტურდება)
close to the bone	სიმართლე (ხშირად შეურაცხყოფელი); (ქართულში არ დასტურდება)
the bare bones (of something)	ძირითადი ფაქტები / საწყისი (ქართულში არ დასტურდება)

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში, ქართულისაგან განსახვავებით, ისეთ იდიმატურ გამოთქმაში როგორცაა put flesh on (the bones of) something დომინირებს ძვალიც, მაშინ როდესაც ქართულში გვხვდება შემდეგი ვარიანტი: ხორცის შესხმა.

### **ძვალი, როგორც დაცვის საგანი**

სხვადასხვა ორგანოს პირდაპირი ფუნქციის გარდა, ვაკვირდებით შემთხვევებს როდესაც ესა თუ ის მნიშვნელობა ყალიბდება ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციაზე დაკვირვებით.

throw somebody a bone	მისცე ვინმეს პატარა ნაწილი, რაც მათ სურთ (ძვლის გადაგდება)
-----------------------	--

a bone of contention	განხეთქილების ვაშლი/დავის საგანი (ქართულში არ დასტურდება)
----------------------	--

ძვლის ამ მნიშვნელობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა იქონია სწორედ ძაღლების ქიშპობამ, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთს არ დაუთმონ ძვალი. შესაბამისად, ყოველდღიურ ცხოვრებაში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფითი სიტუაცია აყალიბებს ახალ მნიშვნელობას.

### **აგიონიმური ლექსიკა**

როგორც უკვე აღინიშნა, აგიონიმური ლექსიკა ძირითადად დაკავშირებულია სისხლთან და სისხლის მიმოქცევის სისტემასთან.

#### ***სისხლი, როგორც ნათესაური კავშირი***

your (own) flesh and blood	სისხლი და ხორცი/ნათესავი;
blood is thicker than water	მაინც შენი სისხლი და ხორცია;
be/run in your blood	სისხლში აქვს/მოსდგამს;
the call of the blood	სისხლის ყვილი

იმისდა მიუხედავად, რომ ნათესაური კავშირის გადმოსაცემად ინგლისური და ქართული სომატური იდიომები კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით ავლენენ მსგავსებას, რიგ შემთხვევებში, ქართულ ვარიანტებში დომინირებს ხორცის ელემენტიც. ასევე საინტერესოა აღვნიშნოთ ის განსხვავება, რაც ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებობს ნათესაური კავშირის თვალსაზრისით. კერძოდ, ქართულ ენაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, ნათესაური კავშირების აღსაწერად სისხლის გარდა გამოიყენება ღვიძლი მაგ. ღვიძლი და, ღვიძლი შვილი, ღვიძლი ნათესავი და ა.შ.

#### ***სისხლი, როგორც ემოცია/დამოკიდებულება***

სისხლის ცნება ხშირად ასევე გამოიყენება სხვადასხვა ემოციის გადმოსაცემად, რაშიც ხშირად დომინირებს მისი სხვადასხვა ფიზიკური მახასიათებელი: ფერი, ტემპერატურა, სისხლის მიმოქცევა და ა. შ.

freeze your blood/ make your blood freeze	ძარღვებში სისხლი გამეყინა/შემეშინდა;
somebody's blood is up	სისხლი მოაწვა/ გაზრაზდა;
make somebody's blood boil	სისხლი ამიდულდა /გააცეცხლა;
make somebody's blood run cold	ძარღვებში სისხლი გამეყინა/ვიღაც შეაშინო
in cold blood	ცივსისხლიანად
like getting blood out of/from a stone	ქვის გული აქვს/ მისგან ლმობიერებას ნუ ელი;
spit venom/blood	შხამს/სისხლს ასხამდა მისი სიტყვები (ქართულში არ დასტურდება)

შემდეგ სომატურ იდიომში – like getting blood out of/from a stone – მთავარი სომატური ელემენტი არის სისხლი, როდესაც ქართულ ვარიანტში სისხლი იცვლება გულით.

### **სისხლი, როგორც კონფლიქტი/დაპირისპირება**

spill (somebody's) blood	სისხლისღვრა
have somebody's blood on your hands	ხელები სისხლში მაქვს გასვრილი
be after/out for somebody's blood	სისხლის წყურვილი (სწყურია)
bad blood (between A and B)	ადამიანებს შორის მტრობის/ შუღლის ჩამოგდება (ქართულში არ დასტურდება)
To make bloodbath	სასტიკი სისხლის ღვრა (მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა)

### **სპლანხნონიმური ლექსიკა**

გული, სხვა შინაგან ორგანოებთან შედარებით, ცენტრალური ადგილს იკავებს და ძირითადად ემოციურობას უკავშირდება.

**გული, როგორც ემოციურობა**

გულის ისეთი ფიზიკური მახასიათებლები, როგორიცაა აჩქარება, გულის ძგერა თუ სხვა მრავალი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდიომატური მნიშვნელობების ჩამოყალიბებაში.

it does somebody's heart good (to do something)	ვისიმე გახარება/გამხნეება (ქართულში არ დასტურდება)
lose your heart (to somebody / something)	ჩემი გული მას ეკუთვნის
set your heart on something   have your heart set on something	ძლიერი სურვილი, რაიმეს გულდასმით კეთება (ქართულში არ დასტურდება)
sick at heart	გულდამძიმებული/გულდამწვარი/გულდადარდიანებული
my heart bleeds (for somebody)	გულზე ცეცხლი ეკიდება/გული სტკივა
somebody's heart sinks	გული გადამიტრიალდა/ჩამვარდა
somebody's heart is in their mouth	ძლიერ შეშინება/დაფრთხობა
break somebody's heart	გული გაუტეხა;
somebody's heart leaps	ვისიმე გულის აძგერება

**გული, როგორც ადამიანის დამახასიათებელი**

have a heart of gold	ოქროს გული აქვს
have a heart of stone	ქვის გული აქვს
wear your heart on your sleeve	გულგახსნილი ადამიანი/გულღია
young at heart	გული არ ბერდება
take something to heart	გულთან ახლოს მიტანა
win somebody's heart	გულის მოგება
sob your heart out	გულამოსკვნილი ტირილი;

**გული, როგორც მნიშვნელოვანი რამ**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გული ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს. გულის ეს მახასიათებელი კარგად აისახა შემდეგი სომატური იდიომების ჩამოყალიბებაში:

be etched on your heart / memory / mind	გულშია ამოკვეთილი/ამოშან- თული;
close/dear/near to somebody's heart	გულთან ახლოსაა/ძვირფასია;
have/hold a place in somebody's heart	გულში ძვირფას ადგილს იკა- ვებს/ძვირფასი
tear/rip the heart out of something	გულის ამოგლეჯა

### **ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სხვა ზოგადი სიტყვები**

ამ ჯგუფში წარმოდგენილი სომატური იდიომები შედარებით მცირე ჯგუფს წარმოადგენენ, რადგანაც ძირითად ორგანოებთან შედარებით ფუქციურად ნაკლები მნიშვნელობით ხასიათდებიან. განვიხილოთ ერთ-ერთი სომატური ელემენტი – ხორცი.

#### **ხორცი როგორც ემოცია**

To make somebody's flesh creep	ვინმესთვის შიშის მოგვრა (ჟრუ- ანტელმა დამიარა) ძვალ-რბილ- ში დამიარა
To go after the flesh	ვნებებს აყოლა (ხორციელი სია- მოვნება)

ინგლისურ სომატურ იდიომში – To make somebody's flesh creep – ვხვდებით მხოლოდ ერთ სომატურ ელემენტს, როდესაც ქართულ ენაში გვაქვს ორი სომატური ელემენტი – ძვალ-რბილი.

#### **ხორცი როგორც რაიმეს ატანა/გაძლევა**

The spirit is willing but the flesh is weak	სული მხნეა მაგრამ ხორცი უძ- ლურია (ქართულში არ დასტურ- დება)
It is more than flesh ca stand	ამის ატანა ადამიანისათვის შე- უძლებელია (ქართულში არ დას- ტურდება)

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, დასტურდება ხორცის ელემენტის მქონე გაცილებით დიდი

რაოდენობის სომატური იდიომების არსებობა, რომლებიც ინგლისურ ენაში არ გვხვდება. მაგ. ხორცს უდნობს (მეტის-მეტად აწუხებს), გულს უკლავს, კბილით ხორცს იგლეჯს (გამწარებულია), ხორცში ჩაჯდება (გასუქდება), სულით ხორცამდე შევიძარი, ხორცად კარგად არის (შესახედად, გარეგნულად კარგად გამოიყურება). ასევე ინგლისური ენისაგან განსხვავებით, ქართულ სომატურ იდიომებში ხორცთან ერთად ხშირად დომინირებს სხვა ელემენტებიც როგორცაა – სული, ძვალი და ა.შ.

ამგვარად, ინგლისური და ქართული სომატური იდიომების ანალიზი განხორციელდა სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული სომატიზმთა კლასიფიკაციის გამოყენებით. ინგლისური და ქართული საკვლევი მასალის შეპირისპირებითა ანალიზმა კი გამოავლინა, რომ სომატური იდიომების მნიშვნელობების ჩამოყალიბების ახსნაში კონცეპტუალური მეტაფორის თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ენა, რომელიც ადამიანისათვის წარმოადგენს საშუალებას საკუთარი შეხედულებების, ფიქრისა და აზროვნების ნაყოფის გადმოსაცემად, აუცილებლად ირეკლავს სხეულის მიერ დაგროვილ ფიზიკურ გამოცდილებას. როგორც კოგნიტიური ლინგვისტიკა ამტკიცებს, ადამიანის ფიქრი და მნიშვნელობების ჩამოყალიბება არის ძირითადად მეტაფორული, ხოლო მეტაფორები კი საფუძველს სწორედ ადამიანის სხეულებრივი გამოცდილებიდან იღებს და ისინი ადამიანის სოციალური, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ინგლისური და ქართული სომატური იდიომების შეპირისპირებითი ანალიზის პროცესში კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის გამოყენებით გამოიყო სხვადასხვა ჯგუფი, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ კონცეპტუალიზაციის პროცესში მნიშველოვან როლს თამაშობს სომატური ელემენტების სხვადასხვა ფიზიკური მახასიათებელი, როგორცაა მაგ. მათი განლაგება, ფერი, მოძრაობა თუ სოციალიზაციის პროცესში შემენილი სხვადასხვა ფუნქცია და შესაბამისი გამოყენება.

კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით, გამოიყო როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული სომატური იდიომები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ლინგვო-კულტურული განსხვავებებისა, ინგლისური და ქართული სომატური იდიომები ამჟღავნებენ



მნიშვნელოვან მსგავსებას, რაც ადამიანის ორგანოების საერთო მახასიათებლებითა და ფუნქციებით უნდა იყოს განპირობებული, თუმცა ხშირ შემთხვევაში, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ვარიანტებში გვხვდება ერთი ორგანოს მეორით ჩანაცვლება.

## ლიტერატურა

**ალმოჰიზეა 2016** – Almohizea M.I., 2016, The placement of idioms in traditional and non-traditional approaches, International Journal of language and linguistics.

**ბარკემა 1996** – Barkema H., 1996, Idiomaticity and Terminology: A multi-dimensional descriptive model., Studia linguistica,

**გიბსი 1997** – Gibbs R.W., Bogdanovich J.M., Sykes J.R., Barr D.J., 1997, Metaphor in idiom comprehension; Journal of Memory and language.

**გიბსი 1995** – Gibbs R.W., 1995, Idiomaticity and human cognition., in Everaet M., Linden E., Schenk A. Shreuder R.,

**გიბსი 1980** – Gibbs R.W., Spilling the beans on understanding and memory for idioms in conversation, Memory and cognition, 1980, 149-156.

**გიბსი 1993** – Gibbs R.W., Why idioms are not dead metaphors, In Cacciari C.; P. Tabossi (eds.); 1993; 57-79.

**იაზი 2013** – Yağiz O., 2013, Language, culture, idioms and their relationship with the foreign language, Journal of Language teaching and research.

**კასასი 1995** – Casas R.M.; Campoy J.M., 1995, A sociolinguistic approach to the study of idioms: some anthropological sketches; Cuadernos de Filología Inglesa.

**კოსტა 2012** – Costa A., 2012, Contrastive analysis of somatisms in English and Italian, Euralex.

**კაჩიარი 1991** – Cacciari C., Glucksberg S., 1991, Understanding idiomatic expressions: the contribution of word meanings, In understanding word and sentence, Simpson G.B. (ed.).

**კაჩიარი 1993** – Cacciari c., 1993, The place of idioms in a literal and metaphorical world, In Cacciari c; P.Tabossi (eds.) .

**კაჩიარი 1988** – Cacciari c., 1988, Journal of Memory and Language, Academic Press,

**ლეიკოფი, ჯონსონი 1990** – Lakoff, G. & M. Johnson; 1999. Philosophy in the flesh.

**ლიპკა 1992** – Lipka L., 1992. An outline of English Lexicology; Lexical structure, word semantics and word-formation. Max NiemeYer Verlag Tübingen, Germany,

**ომაზიკი 2005** – Omazic M., 2008, Processing of Idioms and idiom modification : A view from cognitive linguistics in Phraseology: An interdisciplinary perspective Granger S., Meunier F.(eds.) John Benjamins Publishing company Amsterdam,

**სვინი 1979** – Swinney D.A., 1979, The access and processing of idiomatic expressions, Journal of verbal learning and verbal behavior,

**ჰაკიმოვა 2011** – Hakimova B., Using somatisms in phraseologic units of Modern English and Uzbek; 2011, 18-19.

### ლექსიკონები

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი – [www.dict.ge](http://www.dict.ge)

იდიომების ლექსიკონი – [www.Phrases.org.uk](http://www.Phrases.org.uk)

ინგლისური ენის კორპუსი – [www.sketchengine.eu](http://www.sketchengine.eu)

სახოკია, 1979. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა მერანი; თბილისი;

ქართული ენის ეროვნული კორპუსი – [www.gnc.gov.ge](http://www.gnc.gov.ge)

Cambridge dictionary – [www.dictionaty.cambridge.org](http://www.dictionaty.cambridge.org)

Collins Cobuild dictionary of idioms,Harper Collins publishers, Great Britain, 2002.

Longman dictionary of English Idioms, 1979, London group limited, London,

Cowie A.P., Mackin., McCaig I.R.,1984 Oxford dictionary of Current idiomatic English volume1,2; Oxford University press;

Cowie A.P., Mackin., McCaig I.R., 1993. Oxford dictionary of English idioms., Oxford University press., Volume 2., Hong Kong.,  
Oxford dictionary - [www.oxfordlearnersdictionaries.com](http://www.oxfordlearnersdictionaries.com)

**NINO ALKHIDZE**

## **Towards the Classification of Somatic Idioms**

### Summary

This paper examines the nature of English and Georgian somatic idioms from a cognitive linguistics perspective. The empirical data have been collected from English and Georgian dictionaries as well as the corpora of the two languages. The accumulated somatic idioms were grouped on the basis of the following principle- idioms involving the lexical items for (a) human body parts; b) parts of the skeletal system; c) blood circulatory system; d) internal body organs; e) sense organs; f) some other aspects of a human body.

In total 90 somatic idioms have been examined. 71 English and Georgian somatic idioms have revealed similarities in terms of conceptualization. 19 English somatic idioms have no equivalents in Georgian. The paper argues that the mentioned similarities in metaphorization are due to universal bodily experience reflected in the somatisms under discussion.

სიბილა გელაძე

ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შემდგენილი  
ფრაზეოლოგიური გამოთქმების თარგმნისათვის  
ფრანგულიდან ქართულად

ფრაზეოლოგია არის ლინგვისტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვათა კომბინაციებს, ნაწილობრივ ან სრულიად მყარ შესიტყვებებს, რომელთაც ფრაზეოლოგიზმები ეწოდებათ. ეს დარგი შედარებით ახალია, დაახლოებით 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, როგორც მიიჩნევა შარლ ბალი – ფრაზეოლოგიის ფუძემდებელი, განპირობებულია ფსიქოლოგიური ფაქტორებით. (Bally, 1951, 65) ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს აქვს არგუმენტაციის ძალა, ისევე როგორც მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, მეტონიმას და ა.შ, რომ არაფერი ითქვას მათ აფექტურ შინაარსზე. აქედან გამომდინარე, მთარგმნელმა გვერდი არ უნდა აუაროს ფრაზეოლოგიზმებს და მათ ნაცვლად პერიფრაზები არ უნდა შემოგვთავაზოს სამიზნე ენაზე ტექსტის თარგმნისას.

ჩვენი მთარგმნელობითი გამოცდილებიდან გვახსოვს, რომ წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ტექსტის თარგმნისას სხვადასხვა სირთულე შეიძლება წარმოიშვას. ნებისმიერი შეცდომა მოდის ტექსტის არასწორი გაგებისაგან, რაც ხშირად გამოწვეულია იზოტოპიისგან, სიტყვა ნუკლეუსის პოლისემიისგან ან ბუნდოვანი კონტექსტიდან, რასაც ახსნა ჭირდება... მთარგმნელი ვალდებულია დააზუსტოს სათარგმნი სიტყვა – ნუკლეუსები, ამისათვის საჭიროა მან ზედმიწევნით კარგად იცოდეს წყარო ენა და სამიზნე ენა იმ კულტურათა გთვალისწინებით, რასაც ეს ენები წარმოადგენენ. რადგან თარგმნა ნიშნავს კონცეპტის ერთი კულტურიდან მეორე კულტურაზე გადატანას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს მთარგმნელი ფრაზეოლოგიური გამოთქმისათვის შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულის პოვნას სამიზნე ენაში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვერ მოინახება წყა-

რო ენაში არსებული ფრაზეოლოგიური გამოთქმის ეკვივალენტი სა-  
მიზნე ენაში, უნდა გამოყენებული იქნას პერიფრაზი.

მათ შორის არსებული ზღვარი მოძრავია. ხშირად მყარი, ანუ  
იდიომატური გამოთქმები წარმოიშვება სიტყვათა თავისუფალი  
ჯგუფების ლექსიკალიზაციის შედეგად. მაგ. გამოთქმა locution *laver  
la tête à quelqu'un*- ეს გამოთქმა შეიძლება განვიხილოთ როგორც სი-  
ტყვათა თავისუფალი ჯგუფი და მისი მნიშვნელობა იქნება მეორე  
მხრივ, იგივე სიტყვები მყარ შესიტყვებად გადაქცეული შეიცვლის  
მნიშვნელობას და იქნება ანუ ვინმეს ცუდი საქციელის გამართლე-  
ბა.

ამ მიდგომით გონება და სხეული ინტერაქციაში იმყოფებიან,  
ანუ არ არსებობს სხეულისგან განცალკევებული გონება. სხეულის  
როლი მნიშვნელოვანია, ჩვენ სამყაროს ვუყურებთ სხეულის მედია-  
ციით და რეალობის ინტერპრეტაციები ხდება სხეულის გავლით  
(Evans et Green 2006 :45).

ამგვარად, სრულიად გასაგებია ჩვენი ინტერესი ისეთი ფრა-  
ზეოლოგიური გამოთქმების მიმართ, რომლებიც შედგენილია ადა-  
მიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით. ამ მხრივ, მნიშვნე-  
ლოვანი იქნება თუ ლინგვისტები და მთარგმნელები შეისწავლიან  
წყარო ენაზე არსებულ ამ სიტყვებით შედგენილ ფრაზეოლოგიურ  
გამოთქმებს და მათ ეკვივალენტებს სამიზნე ენაში (ჩვენ შემთხვევა-  
ში წყარო ენაა ფრანგული, ხოლო სამიზნე ენა – ქართული).

ჰიპოთეზა, რასაც ეყრდნობა ჩვენი შრომა, შემდეგია: ადამიან-  
ის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შედგენილი ფრანგული  
ფრაზეოლოგიური გამოთქმები შეიძლება ითარგმნოს იმავე სიტყვე-  
ბით შედგენილი ფრაზეოლოგიური გამოთქმებით ქართულ ენაზე,  
რადგან სხეულის ნაწილები არიან ფიზიო-კონცეპტუალური უნი-  
ვერსალები, რაც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ ორ კულ-  
ტურასა და ორ საზოგადოებას შორის არსებული კონცეპტუალიზა-  
ციის მსგავსება.თუ შევადარებთ სხეულთან დაკავშირებული სი-  
ტყვების ლექსიკალიზაციას ფრანგულსა და ქართულში, ვნახავთ,  
რომ კულტურულ სხვაობათა მიუხედავად ზოგიერთი ფრაზეოლო-  
გიური გამოთქმა აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს ამ ორ ენაში,  
ანუ არსებობს სრული ლექსიკურ-სემანტიკური დამთხვევა: avoir la  
tête sur les épaules თავის მხრებზე ქონა; Perdre la tête თავის დაკარგვა,

être tombé sur la tête თავის მირტყმა; Sans queue ni tête უთავბოლო; Être à la tête de სათავეში ყოფნა; Monter à la tête თავში ავარდნა; Avoir la tête ailleurs ფიქრებით სხვაგან ყოფნა; se casser la tête თავის მტვრევა .

უნდა ითქვას, რომ ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვები ავლენენ სემანტიკურ, სინტაქსურ და მორფოლოგიურ თავისებურებებს, რაც ენის სიტემით არის განპირობებული.

ჩვენი მიზანია, შევესწავლოთ ფრაზეოლოგიური გამოთქმები ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა: თავი, თვალი, ცხვირი, ყური, პირი, გული და ა.შ. რომანულ ენებში (ფრანგული, იტალიური, ესპანური) და ქართულში. კვლევისთვის ვიყენებთ დესკრიფციულ და შედარებით მეთოდებს.

შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ფრანგულ ენაზე არსებული ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც შეიცავენ ადამიანის სხეულთან დაკავშირებულ სიტყვებს, შესაძლებელია ითარგმნოს ანალოგიური გამოთქმებით, არა მხოლოდ სხვა რომანულ ენებზე, არამედ ქართულადაც. ჩვენ დავადგინეთ, რომ ზოგიერთ ფრანგულ გამოთქმას აქვს ზუსტი ქართულენოვანი ანალოგი. ესენია ფრაზეოლოგიზმები სიტყვით-გული: À **cœur ouvert** გულლიად; de bon **cœur**, de tout **cœur**; Aller droit au **cœur** ; Avoir le **cœur** gros დამძიმებული გულის ქონა; Avoir mal au **cœur**; Avoir un **cœur** d'or ოქროს გულის ქონა; Avoir un **cœur** de pierre ქვის გულის ქონა; Cela me crève le **cœur** ეს მე გულს მიხეთქავს; Chauffer le cœur გულის გათბობა; Avoir du cœur გულიანობა; Rire de bon **cœur** გულიანი სიცილი; Un coup au **cœur** გულში დარტყმის მიღება; Un crève-**cœur** გულისგამხეთქი.

ფრანგული გამოთქმა **coup de coeur**, შევარდნა-ესპანურადაც მსგავსია **amor a primera vista**, ლექსიკურად ქართულადაც იგივეა;

იგივე ითქმის გამოთქმების – «cœur pur წმინდა გული» et «cœur ouvert გულლია» ოთხივე ენისთვის;

**Cœur ouvert on nous a reçu à cœur ouvert (), corazón abierto-fuimos recibidos con el corazón abierto(), cuore aperto siamo stati ricevuti a cuore aperto (.)**

Avoir le cœur gros; Avere il cuore pesante; Avere il cuore gonfio; Tener un corazón pesado; დამძიმებული გული; Avoir un cœur de pierre Avere il cuore di pietra; Tener un corazón de piedra; ქვის გულის

ქონა; Avoir un poids sur le cœur; Avere un peso sul cuore; Tener un peso en el corazón

გულზე ლოდად მაწევს; Avoir le cœur tendre; avere un cuore tenero; tener un corazón tierno იყო გულჩვილი.

ქართული ლექსიკური ერთეული «un cœur tendre» ჩვილი გული, კომბინირებს ზმნებთან ქონა, ყოლა, როგორც ფრანგულში, ესპანურსა და იტალიურში. როგორც ვხედავთ, ამ გამოთქმების მთავარი გამაერთიანებელი არის სიტყვა-ნუკლეუსი – გული.

ჩვენი კვლევა ეძღვნება სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შედგენილ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს. მთარგმნელობითი საქმიანობიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ ფრანგული ფრაზეოლოგიური გამოთქმების ანალოგიური გამოთქმების დადგენას ქართულ ენაში, რაც სასარგებლო იქნება და გააადვილებს მთარგმნელის შრომას. ამისათვის ჩვენ მივმართეთ ფრანგული ფრაზეოლოგიური გამოთქმების შესატყვისებს ესპანურ და იტალიურ ენებზე, რათა გავგეცა პასუხი კითხვაზე, არიან თუ არა ეს გამოთქმები მსგავსნი არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ სინტაქსურადაც, რადგან საქმე ეხება მონათესავე ენებს. ამას გარდა, გვინტერესებდა გავვეგო, იქნებოდა თუ არა დამთხვევა რომანულ ენებში არსებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსა და მათ ქართულენოვან შესატყვისებს შორის ლექსიკის დონეზე. არის თუ არა ეს დამთხვევა კონცეპტის დონეზე თუ ლექსიკის დონეზე? ასეთი დამთხვევები, რომლებიც მართლა არსებობს, ერთი შეხედვით გასაკვირია. მაგრამ, თუ სინტაქსური თვალსაზრისით შევხედავთ ამ გამოთქმებს, ვნახავთ, რომ ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმების სიტყვა-ნუკლეუსები, ანუ მთავარი ლექსემები სხვანაირად კომბინირებენ სხვა სიტყვებთან განსხვავებით რომანულ ენებში არსებული გამოთქმებისგან. ამავე დროს, ქართული ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში ლექსემა სხვა სიტყვებთანაა კომბინაციაში განსხვავებით რომანულ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმებისა. მაგ. **coup de coeur** ითარგმნება, როგორც გულის შევარდნა (სახელი+ზმნა), ფრანგულად კი ორი არსებითი სახელით და წინდებულობითაა წარმოდგენილი. ზოგჯერ ფრაზეოლოგიური გამოთქმა ფრანგულ ენაში ქართულად წარმოდგენილია ერთი კომპოზიტი სიტყვით, რომელში ყველა ლექსიკური ნიუანსია შენარჩუნებული.

მაგ.: avoir un coeur ouvert გულლია; ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმის ყველა კომპონენტი შენარჩუნებულია ქართულად. მაგ.: avoir le coeur gros – დამძიმებული გულის ქონა; il me réchauffe le coeur ის მე გულს მიტობს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შედგენილი ფრანგული ფრაზეოლოგიური გამოთქმები ქართულ ენაზე გადმოდის ან ზუსტი ეკვივალენტებით ან ნაწილობრივად მსგავსი ეკვივალენტებით. არასოდეს ხდება მათი გადმოტანა სრულიად სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულებით. ეს ფენომენი ალბათ იმიტომ აიხსნება, რომ ადამიანის სხეულის შემადგენელი ელემენტები ფიზიო-კონცეპტუალურ უნივერსალებს წარმოადგენენ და მათი აღმნიშვნელი სიტყვებით შედგენილი ფრაზეოლოგიური გამოთქმებიც შესაძლოა უნივერსალური იყოს. განსხვავება ასეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს შორის შეიძლება იყოს მხოლოდ გრამატიკული.

grosso modo, ადამიანის სხეულის ელემენტების შესატყვისი სიტყვებით შედგენილი ფრაზეოლოგიური გამოთქმების ეკვივალენტების პოვნა ქართულ ენაზე არ არის რთული, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ტიპის სიტყვებით შედგენილ ფრაზეოლოგიზმებზე. მაგ. finir en queue de poisson (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს თევზის კუდისებურად დამთავრება), კოვზის ნაცარში ჩავარდნა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩენა. ხახამშრალი დარჩენა. ménager la chèvre et le chou (სიტყვა-სიტყვით თხის გაფრთხილებაც და კომბოსტოსიც) არც მწვადი დაწვა არც შამფური ; faire feu de tout bois (ყველანაირი შემთხვევით ცეცხლის დანთება) ნემსის ყუნწში გაძვრომა; **S'embarquer sans biscuit** ( ) ალაღბედაც სიარული, კეთება ; **«Au royaume des aveugles, les borgnes sont rois»** უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ. Dans un royaume sans chiens ce sont les chats qui aboient!!!

მამასადაძე, ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შედგენილ გამოთქმებს აქვთ უნივერსალური ხასიათი, ისინი ანალოგიურადაა წარმოდგენილი, როგორც ფრანგულ და სხვა რომანულ ენებში, ასევე ქართულადაც. აქედან გამომდინარე, უნივერსალური ხასიათი აქვთ არა მხოლოდ ისეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც სათავეს იღებენ ანტიკური ეპოქიდან, ისეთები,



როგორებიცაა, მაგ. le cheval de Troie ტროას ცხენი, le talon d'Achille აქილევსის ქუსლი და ა.შ.

## ლიტერატურა

**Anscombe** – J.C. Théorie de l'argumentation, topoi et structuration discursive, Langages 80 ; pp.9-34

**Bally Ch** – Traité de stylistique française, Vol. I, Paris, Librairie Klincksieck, 1951 (1re ed. 1909). URL: <https://www.scribd.com/document/256047155/CharlesBally-Traite-de-stylistique-francaise-vol-1>

**Dominguez – F. N.** Analyse du discours, phraséologie et traduction, Université d'Alicante in Emilia Alonso et al (eds.), La lingüística francesa: gramática, historia, epistemología, Tomo II, Sevilla, 1996

**Dictionnaire des expressions idiomatiques géorgiennes – ხატოვანი სიტყვა-თქმანი - MyGeoLingua** (Expressions idiomatiques géorgiennes) sites.google.com/site/mygeolingua/khatovani... My geolingua en ligne <https://sites.google.com/site/mygeolingua/> (consulté le 19 décembre 2017).

**Evans, V. Green, M.** – Cognitive Linguistics: An Introduction 2006 p.46

**González Rey Isabel**, – La phraséologie du français, Toulouse, Presses Universitaires du Midi, 2015, (1re éd. 2002).

**Gross G. 1996** – Les expressions figées en français, Paris, Ophrys

**Mejri S. 2000** – «Traduction, poésie, figement et jeux de mots », in Meta, Montréal, Presses universitaires de Montréal, 45/3, pp. 412-423  
**Mi Hyun Kim** Étude contrastive de la phraséologie des noms d'éléments du corps en coréen et en français Linguistique. Université de Lorraine, 2017.

**Vagner C** – «Expressions figées et traduction : langue, culture, traduction automatique, apprentissage, lexique», dans Le figement linguistique : la parole entravée, Anscombe J.-C. & Mejri S. (Ed.), Paris, Honoré Champion, 2011, pp. 391-413

**Sułkowska, Monika. 2013** – De la phraséologie à la phraséo-didactique. Études théoriques et pratique. Katowice: Wydawnictwo UŚ. Wéry, Laurence. 2000. Approche des expressions idiomatiques en FLE. Le Langage et l'Homme, XXXV, 4. 215–232.

**Varlamovas Andrejus** – La phraséologie en français et en lituanien, p.3 Vilnius, 2010

**Xataria Claudia Maria** – La traduction phraséologique, in *Meta Journal des traducteurs Translators' Journal*, volume 47 ; numéro 3, septembre 2002, p.441.

SYBILE GELADZE

**On the Translation of Human-Body-Related Phraseological  
Expressions from French into Georgian**

Summary

This paper aims to reveal Georgian equivalents for French phraseological expressions involving human body parts. The research has proved that the phraseological expressions containing the words like 'head' or 'heart' are universal and similar to the phraseological expressions dating back to the period of antiquity. It has also been stated that the French and Georgian phraseological expressions under discussion differ only in terms of grammatical peculiarities.

## ზიორბი ბობოლაშვილი

მწერლის ენის უმსწავლის საკითხები  
ბასარიონ ჯორბენაძისეული ბააზრება

მწერლის ენის შესწავლა ქართულ ენათმეცნიერებაში იმთავითვე პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული; ქართული ენათმეცნიერების მესაძირკვლენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მას. „რუსთაველის ენა“ საუნივერსიტეტო საგნადაც იყო შემოღებული. ვარლამ თოფურიამ ამგვარი კვლევის პრინციპებიც კი ჩამოაყალიბა; მან ამ მიმართულებით კვლევა-ძიების მიზანი ასე განსაზღვრა:

„1. დადგინდეს არსებითი სხვაობა მწიგნობრულ-ლიტერატურულსა და სასაუბრო-ლიტერატურულ ენებს შორის;

2. გამოვლინდეს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურის ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა;

3. გამოიყოს სხვადასხვა ჟანრის ნიშანდობლივი მოვლენები და,

4. რაც მთავარია, წარმოჩენილ იქნეს ამა თუ იმ მწერლის ენის გრამატიკულ-სტილისტური და ლექსიკური თავისებურებები, რომლებითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისაგან“.

ამ რთული ამოცანის შესასრულებლად ვ. თოფურიამ კვლევა-ძიებისათვის სავალდებულო მეთოდიკაც განსაზღვრა:

„1. უწინარეს ყოვლისა, ავტოგრაფებისა და პირველგამოცემათა შეჯერებით ტექსტის დადგენა, რათა საანალიზო მასალა ყოველმხრივ სანდო და დასკვნებიც დამაჯერებელი იყოს;

2. გამოვლინება და საფუძვლიანად გაცნობა მწერლის შეხედულებებისა ლიტერატურულ ენაზე, რომლებიც მან გამოიმუშავა და სახელმძღვანელოდ გაიხადა, რომ გაირკვეს, თუ რამდენად შეძლო ავტორმა პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი თვალსაზრისი საკუთარ შემოქმედებაში და

3. რაც არსებითია, ჩვენება იმისა, თუ რა შემატა მან ახალი ლიტერატურულ ენას გრამატიკული, ფუნქციურ-სტილისტიკური და ლექსიკური ხასიათისა და რამდენად გაამდიდრა ენა წინამორბედ და თანამედროვე მწერლებთან შედარებით.

ყველაფერი ეს ნაწარმოების მაღალ იდეურობასთან, სიუჟეტის ცხოველმყოფელობასა და მხატვრული ენის საშუალებებთან ერთად ქმნის საფუძველს მწერლის ინდივიდუალობის გამოსაკვეთად და მისთვის ადგილის მისაჩენად ლიტერატურული ენის განვითარებაში“.

ხაზგასმა „ლიტერატურული ენის გრამატიკულ, ფუნქციურ-სტილისტიკურ და ლექსიკურ“ ფაქტორებზე მიანიშნებს იმას, რომ კვლევა-ძიება ენათმეცნიერულ მიზნებს ისახავს...არაერთი გამოკვლევა, სადისერტაციო ნაშრომი შეიქმნა ამგვარი ხასიათისა.რა დასამალია და, ხშირ შემთხვევაში იკარგებოდა მწერლის ინდივიდუალური თავისებურება და კვლევის შედეგებიც გარკვეულწილად ერთმანეთს ემსგავსებოდა... მაგალითად:

გამოკვლევაში ს. მგალობლიშვილის ენის შესახებ ვკითხულობთ: „ს. მგალობლიშვილის მოთხრობების პერსონაჟთა მეტყველებაში მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რომლებიც გავრცელებულია ქართულში. ეს მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა, სუბსტიტუცია.განვიხილოთ ცალცალკე“...(იკვ, IX-X, 155). მერე იწყება მაგალითების მოყვანა – სრული ასიმილაცია, ნაწილობრივი ასიმილაცია, პროგრესული ასიმილაცია, რეგრესული ასიმილაცია... მერე დისიმილაცია და სხვა პროცესები...

**შენიშნავთ:** ნაშრომებსა და ავტორებს არ ვასახელებთ; ამჯერად ჩვენი მიზნებისათვის ეს არ მიგვაჩნია საჭიროდ...

ასე შემუშავდა შაბლონი და შეიქმნა ნაშრომები ი. ჭავჭავაძის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, ბესიკის, ე. გაბაშვილისა და სხვათა ენის შესახებ... წერენ:

„ვასილ ბარნოვის ენაში შეიმჩნევა ისეთივე ფონეტიკური პროცესები, როგორც დამახასიათებელია დიალექტებისათვის. ივარაუდება, რომ ისინი შემოსულია კილოებიდან“... და სათანადო მაგალითები...

„დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ ენაში მრავლად ვხვდებით აღმოსავლეთის დიალექტებისათვის, კერძოდ ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში... და კონკრეტული მაგალითები...

„რ. ერისთავის თხზულებათა ენაში გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური დიალექტიზმები“ და მაგალითები...

ასევე განიხილებან ლომოურის, ე. გაბაშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ სხვათა ენა...

განსაკუთრებით ხშირად დავით კლდიაშვილს ეგნატე ნინოშვილთან აწყვილებენ: „ე. ნინოშვილი გურულ დიალექტურ ფორმებს იყენებს ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში, ე. ი. იმგვარად და იმ მოცულობით, როგორც ეს ადრე ჰქონდა გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს, ხოლო ლიტერატურაში დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ და განაგრძეს ე. ნინოშვილის თანამედროვეებმა – ა. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვებმა“.

„იმგვარად“ და „იმ მოცულობით“ ცოტა უცნაური შეფასებაა... საერთოდ, თუ ამგვარ მსჯელობებს გადავხედავთ, ამ თვალსაზრისით შეიძლება რაიმე განსხვავებაზე ვისაუბროთ? თუ იმას არ ჩავთვლით განსხვავებად, რომ ერთი ერთ კონკრეტულ დიალექტს მიმართავს და სხვა – სხვას. ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ვ. ბარნოვი, დ. ჭონქაძე, ს. მგალობლიშვილი და სხვები – ერთი და იმავე კრიტერიუმებითა და ერთნაირად ფასდებიან...

დასაერთოდ, თუ რა სახის დიალექტიზმს გამოიყენებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს თუ სხვას), ამას აქვს კი მნიშვნელობა მწერლის ენის ანალიზისას?

ფაქტია: მწერლის ენის (მხატვრული ნაწარმოების) ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით განხილვისათვის ყველა ამ ფონეტიკურ მოვლენას ერთი ფასი აქვს – დიალექტიზმია...

ვიმეორებთ: ამგვარი ანალიზით ყველა ერთმანეთს ემსგავსება... არადა, არავის უთქვამს, არ არისო მართალი ვაჟა-ფშაველა:

„მწერალს, უპირველეს ყოვლის, **საკუთარი „ენა“** უნდა ჰქონდეს, ვინაიდან **ენა სახეა მწერლისა**, მისი **ფიზიონომიაა** და, უკეთე-

სად რომ ვთქვათ – **მწერლის სულია**; ენაში იმალება **მწერლის ინდივიდუალობა**, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ - ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის“ (IX, 294).

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ არ იყო გამოკვეთილი მწერლის ენის ლინგვისტური ანალიზის კონკრეტული მიზანი...

საერთოდ, რა მიზანს შეიძლება ისახავდეს კონკრეტული მხატვრული ტექსტის შესწავლა?

ასეთი მიზანი ძირითადად შეიძლება სამგვარი იყოს:

1. ტექსტის ანალიზი ენის ისტორიის შესასწავლად;
2. ტექსტის ანალიზი ენის სტრუქტურის გასარკვევად და
3. რომ ენა შესწავლილი იქნეს, როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის სისტემა...

აქვე შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ მხატვრულ ტექსტში დიალექტიზმების ანალიზის მიზანი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, დიალექტის ლინგვისტური სახის კვლევა და, მეორე მხრივ, დიალექტიზმების მხატვრული ფუნქციის გარკვევა...

ტრადიციულ კვლევებში მწერლის ენის ანალიზისას ეს მიზნები ზოგჯერ არ არის გამოკვეთილი და ზოგჯერაც აღრეულია... მაგალითისათვის: გურული დიალექტის თავისებურებათა შესასწავლად ფასდაუდებელია ე. ნინოშვილის პროზა; მაგრამ მწერლის ენობრივი სტილის ანალიზისათვის ყველა სახის დიალექტიზმს ერთი ფასი აქვს (ჭარბად, უსისტემოდაა გამოყენებული...); ასე არაა დ. კლდიაშვილთან თუ ვაჟა-ფშაველასთან...

საჭირო იყო სხვაგვარი მიდგომა, მხატვრული ნაწარმოების ლინგვისტური ანალიზის პრინციპების ახლებური გააზრება, შეცვლა...

მაგრამ უპირველესად შეფასება იყო საჭირო იმისა, რაც უნდა შეცვლილიყო...

### **და ეს იტვირთა ბესარიონ ჯორბენაძემ:**

„მხატვრული ნაწარმოების ენა არ შეიძლება გატოლებულ იქნეს ამა თუ იმ ეროვნულ სალიტერატურო ენასთან.

ეს ნიშნავს, რომ მწერლის ენა არ შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ ორთოგრაფიული თუ სხვა ნორმების თვალსაზრისით.

მწერლის მიზანია ხორცი შეასხას მხატვრულ სახეს, გაასაგნობრიოს გარკვეული აზრი, შექმნას შესაბამისი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიყენოს ენის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამიტომ არასწორია ის პოზიცია, რომელიც ნორმატული სტანდარტიზებული ენის თვალსაზრისით ცდილობს მწერლის ენის შეფასებას“ (ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბილისი, 1987, გვ. 28; შემდგომ – ბალავარი და გვერდი).

ტრადიციული შეფასდა და დაიწყო ახლის ძიება.

\* \* \*

„ენა მწერლის ბალავარიაო“, თქვა მიხეილ ჯავახიშვილმა... ეს აიღო მთავარ დევიზად ბესარიონ ჯორბენაძემ და ამ სათაურის წიგნში („ბალავარი მწერლობისა“) მოუყარა თავის ძირითად ნაშრომებს ამ სფეროში. მოგვიანებით, 1999 წელს, ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ გამოსცა მისი „პოეზიის ენა“; დაერთიც საგაზეთო წერილი „მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1992, N 40; წერილის ვრცელი საჭურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა 2002 წელს ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“, № 3-4, სათაურით „სიტყვის მადლი“). სულ ესაა, სადაც თავი მოიყარა ბ. ჯორბენაძის შეხედულებებმა მწერლის ენისა და სტილის შესახებ. შევეცდებით გამოვკვეთოთ ძირითადი ბესარიონ ჯორბენაძის თვალსაზრისში.

\* \* \*

ბ. ჯორბენაძემ შემოგვთავაზა ორიგინალური მიდგომა მხატვრული ნაწარმოების ლინგვისტური ანალიზისა. მან, ერთი მხრივ, ჩამოაყალიბა მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის პრინციპები და, მეორე მხრივ, ამ პრინციპებით ჩატარებული კვლევა-ძიების მეოხებით შექმნა არაერთი მაღალხარისხოვანი ნაშრომი.

\* \* \*

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად ვაჩვენოთ მეცნიერის მიდგომა პრობლემისადმი; წარმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, როგორია მისი პრინციპული მიდგომა მწერლის ენის პრობლემების კვლევისა და, მეორე მხრივ, რა შედეგები მოგვცა ამ სფეროში კონკრეტულ მწერალთა შემოქმედების ანალიზმა.

\* \* \*

ზემოდასახელებულ ნაშრომებში ბ. ჯორბენაძე მიზნად ისახავს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების „სტილისტური ანალიზის საფუძველზე გაარკვიოს მხატვრული ენის თავისებურება“... თუმცა იქვე დასძენს: „მხატვრული ტექსტის ნიშან-თვისებათა საბოლოო გარკვევა რთული საკითხია და, ბუნებრივია, ამის პრეტენზია ახლა არ შეიძლება გვქონდეს. განმარტება წინასწარულ, ასე ვთქვათ, სამუშაო ხასიათს ატარებს“. რას გულისხმობს განმარტება „წინასწარული, ასე ვთქვათ, სამუშაო ხასიათის“ კვლევა და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას?

წიგნის „ბალავარი მწერლობისა“ წინასიტყვაში ბ. ჯორბენაძე დასაწყისიდანვე (თითქოს გვაფრთხილებს) გვიზიარებს იმ აზრს, რომ მხოლოდ „მეცნიერების სამი დარგის – ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და ენათმეცნიერების – ერთობლივი ძალით გახდება შესაძლებელი მხატვრული თხზულების წარმატებით შესწავლა“ (ბალავარი, 3). დიახ, ეს ასე უნდა იყოსო... რეალურად? – ორი მათგანის როლი უფრო გამოკვეთილი ეჩვენება მეცნიერს: „მხატვრული ტექსტის ანალიზი ძირითადად მეცნიერების ორი დარგის – ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის – ობიექტს წარმოადგენს“... იქვე დასძენს, რომ ამ ორ მეცნიერებას თავ-თავისი ინტერესი აქვს მხატვრული ტექსტის მიმართ:

„ლიტერატურათმცოდნეობა ადგენს მხატვრულ სახეთა სისტემის რაობას, ენათმეცნიერება სწავლობს ამ სისტემათა გამოხატვის ენობრივ მექანიზმს“ (ბალავარი, 24)... ფაქტობრივ, ერთი მხრივ, ეს არის შენიშვნა აქამდე წარმოებული კვლევების მიმართ და, მეორე მხრივ, მოწოდება მომავალი მკვლევრებისადმი, რადგანაც ამ მსჯელობით მეცნიერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თავ-თავისი ინტერესების მქონე ორი მეცნიერება ამ ინტერესთა შესაბამისად დამოუკიდებლად იკვლევდა მხატვრულ ტექსტს; ამიტომ ანალიზი იყო ცალმხრივი – ერთიმეორის ინტერესი არ იყო გათვალისწინებული; შესაბამისად, ანალიზი არასრულყოფილია. ამას შენიშნავდა და აკრიტიკებდა თავის დროზე კ. გამსახურდია: „მე არ მახსოვს, ოდესმე წამეკითხოს გარჩევა რომელიმე მწერლისა, სადაც ჯეროვნად განხილული ყოფილიყო ენის თვალსაზრისითაც“; ამას ლიტერატურათმცოდ-



ნეობით ნაშრომზე ამბობდა... პირიქით იტყოდა, ამ მიზანდასახულებით ენათმეცნიერული ნაშრომი რომ წაეკეთხა... სწორედ ამ ტიპისანი იყო ის ნაშრომები, თავში რომ ამონარიდები მოვიყვანე...

მთელი ამ მსჯელობის მთავარი შეგონება ისაა, რომ მკვლევრები ერთი მეორის ინტერესს უნდა უწევდნენ ანგარიშს, ითვალისწინებდნენ ერთმანეთის კვლევის შედეგებს...

და მესამე, რასაც მხატვრული ტექსტის ანალიზისას უნდა მიეცეს ყურადღება, არის ესთეტიკა; ანუ, როგორც ზემოთ ითქვა, „მეცნიერების სამი დარგის – ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და ენათმეცნიერების – ერთობლივი ძალით გახდება შესაძლებელი მხატვრული თხზულების წარმატებით შესწავლა“ (ბალავარი, 3). იქვე მეცნიერი განმარტავს, თუ რომელი მათგანი რა კუთხით, რა თვალსაზრისით უნდა ახდენდეს შეფასებას ნაწარმოებისა:

„ესთეტიკა ზოგად კანონზომიერებათა დონეზე ახდენს ამ რიგის პრობლემათა გაშუქებას.

ლიტერატურის თეორია არკვევს მხატვრული ტექსტის შინაგან (იმანენტურ) სპეციფიკას, მხატვრულ სახეთა სისტემის თავისებურებებს.

ენათმეცნიერება (უკეთ ენათმეცნიერული სტილისტიკა) იკვლევს იმ ენობრივ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ხდება მხატვრულ სახეთა ხორცშესხმა“ (იქვე, 4).

ბ. ჯორბენაძე ამ სამეულიდან საგანგებოდ გახაზავს ენის უპირატესობას:

„ენა ბურჯია ერისა.

ენაში უკუფენილია ერის სულისკვეთება, მისი ისტორია და აწმყო.

ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს მხატვრული ნაწარმოების ენაც“ (იქვე).

საინტერესო გადახვევა: როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა აკაკი წერეთელიც, როცა „მარგალიტების მთესველს“ – ვაჟა ფშაველას „ენას უწუნებდა“ და ასე ფიქრობდა ვაჟაც; დავით კლდიაშვილისათვის უთქვამს:

„– ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს ჩემი თავი, თო-

რემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ არაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე!“

\* \* \*

როცა მკვლევარი საუბრობს, ერთი მხრივ, „მხატვრული ტექსტის შინაგანი (იმანენტური) სპეციფიკის გარკვევაზე“ და, მეორე მხრივ, „მხატვრულ სახეთა ხორცშესხმაზე“, გარეგნულ გამოხატვაზე, არ შეიძლება ისევ არ გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველას აზრი:

ენა მწერლის ნიჭის გარეგანი გამოხატულებაა, „გარეგანი ნიშანია მწერლის ნიჭისა“; ხოლო „შინაგანი ღირსება ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად და რა ღირებულები-საა ეს მოვლენანი“... ასე რომ, დიდოსტატური შერწყმა ამ შინაგანი და გარეგანი ნიჭიერებისა ქმნის ლიტერატურულ ქმნილებას (გ. გოგოლაშვილი, ერი დედაა ენისა, თბ. 2020, 63).

სწორედ ესაა არსებითი მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს: არ მოხდეს ცალმხრივი ანალიზი, ერთი კუთხიდან არ შეეხედოთ საგანს... ამაზე დაგვაფიქრებს ვაჟა-ფშაველა, ამას დარდობს კ. გამსახურდია...

ასე ფიქრობს და ახდენს ანალიზს მხატვრული ტექსტისას ბ. ჯორბენაძე...

\* \* \*

თუმცა მანამდე საკითხს ასე დასვამს:

„მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის დროს უწინარეს შემდეგ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი:

რისი ანალიზი უნდა ჩავატაროთ? ანუ: რა უნდა მივიჩნიოთ მხატვრულ ტექსტად? ესე იგი: უნდა გაირკვეს კვლევის ობიექტი, მისი არსებითი ნიშან-თვისებანი.

როგორ უნდა შევისწავლო ეს ობიექტი? ანუ: დასადგენია კვლევის პრინციპები (ბალავარი, 20).“

ეს კითხვები პასუხგასაცემია; თავად მკვლევარი სიფრთხილით ეკიდება ამ კითხვებს; ამ თემაზე საუბარს „წინასწარულად, სამუშაო ხასიათისად“ მიიჩნევს და ცდილობს აჩვენოს სხვაობა მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს შორის:

„ნებისმიერი ტექსტის მიზანია გადმოსცეს გარკვეული ინფორმაცია.

არამხატვრული ტექსტისათვის მასში ჩადებული ინფორმაცია ძირითადია და განმსაზღვრელი.

მხატვრული ტექსტისთვის კი ნებისმიერი ინფორმაცია არსებითად მხოლოდ საშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად (რაც თავისთავად, ვარაუდობს კონკრეტულის წარმოდგენას განზოგადებული სახით)“ (იქვე).

საკმაოდ ვრცელი მსჯელობისა და საინტერსო მაგალითების ანალიზის შემდეგ მეცნიერი გაგვანდობს: ეს მსჯელობა არ გამორიცხავს, რომ ზუსტი ინფორმაციის გადმოცემის შესაძლებლობა მხატვრულ ტექსტსაც შესწევს; მაგრამ არსებითი ისაა, რომ ეს არ უნდა მივიჩნიოთ მხატვრული ტექსტის ძირითად ნიშან-თვისებად: „ფაქტი, რომელიც მხატვრულ ღირებულებას იძენს, აღარაა მხოლოდ ფაქტი, იგი ვეღარ თავსდება „ჩვეულებრივი ლოგიკის ფარგლებში: პოეტური ლოგიკის“ კუთვნილება ხდება“ (ბალავარი, 23).

\* \* \*

ბ. ჯორბენაძის აზრით:

„მწერლის გამარჯვებაც და მარცხიც იმით განიზომება, თუ როგორ ფლობს იგი სიტყვას, როგორ ამოიცინობს და წარმოაჩინს სიტყვაში დანაშრევს სხვათაგან მიუგნებელ საზრისს. ერთიცაა: ცხოვრების უღმობელი სტანდარტიზაციის ტენდენციამ ცოცხალი სიტყვა სამეტყველო ტრაფარეტების ჩარჩოებში მოაქცია. არაფერია ალბათ ამაზე უფრო მეტად სულიერი უმწეობის მაუწყებელი: ჩვენეული, განუმეორებელი გრძნობის და აზრის გამოთქმა გვსურს და ჟანგმოდებული სიტყვებით რახარუხსდა ვახერხებთ. და აი, აქ უნდა იჩინოს თავი მწერლობის მადლმა, რომ მკვდარი სიტყვა გაგვიცოცხლოს, გამომშრალი სული გაგვინედლოს და ცინცხალ აზრს ტრაფარეტის ხუნდები აჰყაროს...“ (სიტყვის მადლი, 11).

რაც შეეხება „სიტყვის გრძნობას“, ეს არ „ისწავლება“, იგი შემოქმედს მან უნდა უბოძოს, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“, მაგრამ სად მოიძიოს ის სიტყვა, რომელში უნდა „ამოიცინოს და წარმოაჩინოს სხვათაგან მიუგნებელი დანაშრევი საზრისი“? – ყველგან:

„არადა ბაჯადლო ოქროდ არის დაუნჯებული საქართველოს კუთხე-კუნჭულებში ნედლი, მუხლადი, მზით ნაფიცხი ქართული

სიტყვა, ჯერაც გაუხუნარი და ჭკნობას გადარჩენილი. ვრცელი, მოსაწყენად მშრალი აღწერების ნაცვლად სხარტი ხატოვანება, ათასგზის ნაცოხნი სიტყვამრავლობის ნაცვლად აზრობრივად ტევადი და გარეგნულად ლაღი გამოხატვა სათქმელისა – აი, რა უნდა დაიხსენოს მწერლობამ ცოცხალი მეტყველებიდან“ (იქვე)...

ეს მეცნიერის პოზიციას, მწერლის ნიჭიერების გამოვლენის ერთი გზა ასე ესახება მას... თუ ვინმე მეტყვის, ეს ზოგადი მსჯელობააო, ვუპასუხებ: დიახ, ზოგადი საუბარია, შესავალია იმ კონკრეტული განხილვისა, „სიტყვის მადლი“ რომ ჰქვია და იმჟამად ახალგაზრდა მწერლის, თამაზ ხმალადის, მოთხრობებს რომ განიხილავს... ესაა სწორედ კარგი მაგალითი იმისა, საილუსტრაციო მასალა როგორ ათვალსაჩინოებს თეორიულ მსჯელობას; და აჩვენებს, თუ „როგორ დაიმადლიანებს მწერალი სიტყვის სტიქიას“...

მკვლევარი არაერთგზის მიანიშნებს იმას, რომ „მწერალი პირველადმომჩენია იმისა, რაც სხვებს შეუნჩნეველი დაურჩა; სხვაგვარად განმცდელია იმისა, რაც სხვებისთვის ტრივიალურ ერთფეროვნებად ქცეულა. და აი, სწორედ ამ ახალ ხედვას ესაჭიროება შესაბამისი გამოხატულება, რადგან ჭემმარიტი სიახლე ვერაფრით ჩაეტევა გამოსახვის უკვე არსებულ და გამოყენებულ კალაპოტში (თუ ძველს მოერგება, სიახლევ მოჩვენებითი ყოფილა). სირთულე აქ ისაა, რომ ეგ აზრობრივი სიახლე იმ ენობრივი მარაგით უნდა გამოისახოს, რომლის თვისებრივ შეცვლას ვერავინ შეძლებს (რადგან ვერავინ წაუვა ენის ობიექტურ კანონზომიერებებს).“ (სიტყვის მადლი,12)); სხვაგან სხვა ფორმითა და სხვა კუთხით დასვამს ამ საკითხს მწერლის მიერ ხმარებული „უჩვეულო“, „თავისებური“, „ნორმიდან გადახრილი“ ფორმების შესახებ, „პოეტურ თავისუფლებად“ რომ აღიქმება: **„მწერალი პირველადმომჩენია ამ შესაძლებლობისა და არა გამომგონებელი, მწერალი იძლევა იმპულსს ენის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად“** (ბალავარი, 26)...

ამ ფრიად საინტერესო და ვრცელ მსჯელობას საგულისხმო შეგონებით დაასრულებს:

„შემოქმედს მხოლოდ ერთი უფლება ეძლევა: ისეთ კონტექსტში მოაქციოს სიტყვა, რომ მასში უკვე ჩადებული, მაგრამ მანამდე გამოუმჟღავნებელი შესაძლებლობა გამოავლინოს და ამით ახალი აზრით დატვირთოს ნათქვამი“ (იქვე). თუ რას გულისხმობს მკვლე-

ვარი სიტყვისადმი ასეთ დამოკიდებულებაში, კარგად წარმოაჩენს ამ წერილში („სიტყვის მადლი“), თამაზ ხმალაძის მოთხრობებზე რომ მსჯელობს, ერთი მხრივ, და კლასიკოსის, გიორგი ლეონიძის, ენაზე რომ საუბრობს – „მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა“; ნარკვევის სათაური ლეონიძისეულია: „მუხლადი, ბედაური, მამლარი სიტყვა“ ჰყვარებია პოეტს. თუ რას ნიშნავს „მზით ნაფიცხი“, თუ „მუხლადი, ბედაური, მამლარი სიტყვა“– ამის ჩვენებას კარგად ახერხებს ენათმეცნიერი და იმასაც გვასწავლის, რას მივაპყროთ ყურადღება ენობრივ-სტილისტური ანალიზისას...

\* \* \*

პრინციპულია და საგულისხმო მწერლის დამოკიდებულება ენის ისტორიასა და დიალექტოლოგიასთან:

მხატვრული ტექსტის ანალიზისას დაისმის საკითხი ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის ურთიერთმიმართებისა; „საქმე ის არის, რომ ადრე ნორმად მიღებული, ახლა კი ხმარებიდან გამოსული სიტყვები და გრამატიკული ფორმები (ასე ვთქვათ, ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები) გარკვეულ შემთხვევაში მხატვრულ ღირებულებას იძენენ. იგივე ითქმის დიალექტიზმებზეც“ (ბალავარი, 30)

საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მსჯელობის შემდეგ მეცნიერი აკეთებს დასკვნას: მწერლის შესწავლისას გასარკვევია ორი მომენტი, რომლებზე პასუხის გაცემაც უნდა გახდეს მიზანი მწერლის ენის ანალიზისა:

„რას აძლევს მწერალი ენას, ანუ: როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას;

რას აძლევს ენა მწერალს“ (ბალავარი. 25).

შვენიშნავთ: სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილმა შემოგვალღებინა უნივერსიტეტში კურსი „ენა და მწერალი“ და ეს კითხვები წარვუძღვანეთ წიგნების სერიას „ენა და მწერალი“...

\* \* \*

თითქოსდა ანბანური ჭეშმარიტებაა: მხატვრული ტექსტი სტრუქტურული მთლიანობაა და იგი ამ მთლიანობიდან ამოსვლით უნდა იქნეს შესწავლილი“ (ბ.მ. 29). არადა ტრადიციულ ენათმეცნიე-

რებაში არ გაგვიჭირდება დაძებნა ისეთი კრიტიკული წერილებისა, რომლებიც ამ შენიშვნას იმსახურებენ... ბ. ჯორბენაძე განმარტავს: „მხატვრული ტექსტის შესწავლა არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ ნორმიდან დაცილებული შემთხვევების აღწერაზე. ენობრივი ანალიზი არ გულისხმობს მხოლოდ „უჩვეულო ფორმათა აღწერას“ (ბალავარი, 29).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უჩვეულო ფორმათა აღწერის“ მიზანი უნდა იყოს არა „შეჩვენება“ ავტორისა, არამედ გარკვევა იმისა, თუ რა არის მხატვრულ ტექსტში გამოყენებული მხატვრული დანიშნულებით და როგორია მისი მიმართება იმასთან, რაც აღიქმება მხატვრული ფუნქციის მატარებელ ფორმად, ანუ გასარკვევი ყოფილა მიმართება ავტორისეულ და მკითხველისეულ სტილისტიკებს შორის“ (ბალავარი, 31).

ამ თვალსაზრისს, ამ მიდგომას მეცნიერი მეტი თვალსაჩინოებისათვის სხვა კუთხითაც დაგვანახებს: „ამ მნიშვნელოვან საკითხს რომ ენათმეცნიერული განსაზღვრა მიეცეს, საჭირო ხდება გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულ ენობრივ სიტუაციასთან შეფარდებით რა შედეგად ავტორს გამოყენებინა მხატვრული ფორმის დანიშნულებით და რა ენობრივი ფაქტი აღიქმება მკითხველის მიერ ამგვარი დანიშნულების მქონედ“ (ბალავარი, 31).

\* \* \*

მწერლის ენობრივ-სტილისტური ანალიზის დროს საინტერესოა ბ. ჯორბენაძისეული გააზრება ენაში მოქმედ კანონზომიერებთა შესახებ. მისი აზრით:

„ენაში მოქმედებს ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც პიროვნების განწყობასა და ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.“

იმავედროულად ხდება ენობრივ მოვლენათა სუბიექტური აღქმა, რაც ძლიერ გავლენას ახდენს ენის ობიექტურ მონაცემებზე, რომ თვით ენის სტრუქტურაში იწვევს ცვლილებებს“ (ბალავარი, 252)... და მკვლევარი ცდილობს, თვალსაჩინო გახადოს ეს თვალსაზრისი:

„თავდაპირველად სუბიექტური ფაქტორი ფაქულტატიური ხასიათის ცვლილებებს იწვევს, რაც შემდგომ შესაძლოა ენაში დამკვიდრდეს როგორც ძირითადი მონაცემი.“

თუ, ერთი მხრივ, შესაძლებელია, ეს პროცესი გაუცნობიერებელ პროცესად იქნეს ენაში წარმოდგენილი, მეორე მხრივ, შესაძლოა სრულიად გაცნობიერებულ პროცესად აღვიქვათ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მწერალთა შეხედულებანი: „მწერლები, ჩვეულებრივ, ემოციურობის პოზიციიდან აფასებენ ენობრივ მოვლენებს და ამიტომაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, საკმაოდ ხელშესახებად წარმოაჩენენ ხოლმე სუბიექტური შეფასების საფუძველსა და მიზეზებს“ (ბალავარი, 252). წიგნში „ბალავარი მწერლობისა“ ამგვარი შეფასების არაერთი კონკრეტული მაგალითია მოყვანილი...

თავად ეს ფაქტი მწერლის ენის ანალიზისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს...

\* \* \*

ახლა სხვა კუთხით დანახული მხატვრული ტექსტი – პოეტური ტექსტი.

ბ. ჯორბენაძემ დაწერა წიგნი გალაკტიონის შესახებ და მას „პოეზიის ენა“ უწოდა (თბილისი, 1999). მთავარი კითხვა, საკითხი, რასაც მეცნიერი სვამს ამ წიგნში, ესაა: რა არის პოეტური ტექსტის სპეციფიკურობა; რა ანიჭებს პოეტურ ტექსტს ლირიკულობას; რა არის ის, რაც გამოარჩევს გალაკტიონს სხვათაგან.

თემატური გადახვევა: ანა კალანდაძის ჩანაწერებიდან – ქ-ნი ანა კოლხურ კომკეს სტუმრობდა. „გვერდითი ოთახიდან იადონის გალობა მოისმა. საუბარი შეწყვიტა (კონსტანტინე გამსახურდიამ – გ. გ.). ხომ გესმითო, მკითხა და მოულოდნელად წამოიწყო: „ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა, ია განგებამ დახატა, თუ ფიროსმანის ყალამმა?“... როგორ დაწერე ეს შესანიშნავი სტრიქონებიო, – მკითხა „დიდოსტატის“ ავტორმა.“ თავისთავად კითხვის ამგვარად დასმა კლასიკოსისაგან აღიარებაა იმისა, რო ეს „პროცესი“ განუმარტავია; კითხვაზე პასუხი არ არსებობს...

მაგრამ მაინც არის შესაძლებელი ზოგადი აქცენტების გაკეთება. უპირველესად გარკვევა იმისა, რა არის სპეციფიკა ლირიკული ნაწარმოებისა. ბ. ჯორბენაძე: „გალაკტიონთან ლირიკა არსებითად გაიაზრებო, როგორც ადამიანის გონისა და სულის მიღწევათა სინთეზი. ლირიკა არსით ფილოსოფიაა, ფორმით – მუსიკა...“

„ის შინაარსით

ისევეა, რაც  
ფილოსოფია,  
ხმათა შერჩევით  
კი მუსიკის  
ჰანგთან მყოფია“.

ასე პოეტმა თქვა. მეცნიერის აზრით, „აი სწორედ ამას უნდა შეესხას ხორცი, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი კმნილება, ანუ: უნდა აღმოჩენილ იქნას უზენაეს ხლვათა ადეკვატური სიტყვიერი სამოსელი:

„მარად დიადი  
უნდა ჰქონდეს  
სიტყვის მიზანი.“

სიტყვიერი სამოსია მთავარი; „სწორედ სიტყვით ისხამს ხორცს ის პოეტური სამყარო, რომლის თანაზიარი ხდება მკითხველი, სიტყვას შესწევს უნარი, გამოიწვიოს როგორც სულის მდღეღვარება, ასევე ნანატრი სიმშვიდე – ადამიანური გზნების ეს ორი გამოვლინება“. ესაა გალაკტონის თვალსაზრისის ჯორბენადისეული გააზრება. განმარტავს გალაკტიონი: პოეტმა უნდა გახსნას გარეგნულად ის მოძრაობა, „რასაც იძლევა სიტყვათა რიტმი და ჰარმონია“...

აქ ისევ მეცნიერის განმარტება ხდება საჭირო: „ეს ჰარმონია მხოლოდ ენის ღრმად შინაგანი ბუნების ამოცნობით მიიღწევა. რა თქმა უნდა, პოეტისათვის ენის გამომსახველობით საშუალებათა გაცნობიერება უპირატესად ინტუიციის საშუალებით ხდება. არსებითად, ესაა ენის ალღო, რომელიც საფუძვლად უდევს ჭეშმარიტ სიტყვათშემოქმედებას. **პოეტი თავისი დედაენის საფუძველზე კმნის ახალ ენობრივ სამყაროს, რითაც ხდება მისეული მსოფლადქმის ხორცშესხმა“ (პოეზიის ენა, 8)...**

ამას პოეტი ამბობს: **„დამარცხებულა, ვისაც ენის გზა შეუცვლია!“**

ასე მეცნიერი განმარტავს: „ჭეშმარიტი პოეზია იქმნება სიტყვასთან ჭიდილში, პოეტს უნარი უნდა შესწევდეს ამოაშუქოს ენაში დაუნჯებული საზრისი და ამით ახალი ძალა და სინედლე მიანიჭოს მას“ (იქვე)...

თუ რას ნიშნავს ეს და როგორ შეძლო გალაკტიონმა ამის მიღწევა, ამის ჩვენებას ემსახურება მთელი წიგნი („პოეზიის ენა“). ეს



არის ფაქტობრივად თეორიული ნაშრომი პოეტური ენის შესახებ პრაქტიკულად გალაკტიონის მასალაზე დაფუძნებული.

\* \* \*

როცა საუბრობენ მწერლის ენაზე, ჩვეულებრივ მსჯელობენ „ენობრივ-სტილისტური“ ანალიზის შესახებ... ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა „სტილისტური ანალიზის“ გაგებაა, სტილის განსაზღვრაა...

რა არის სტილი? მოგვიანებით (ვგულისხმობ ბ. ჯორბენაძესთან შედარებით, ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს მკვეთრად ინდივიდუალური სტილის მქონე მწერალი ოთარ ჩხეიძე. მან ლაკონური ფორმულა შემოგვთავაზა: „მწერალი სტილია, სტილი არსებობს!“.. – **„სტილი თვისებაა ადამიანური, სტილი რო ადამიანური მთლიანობაა და სამწერლო სტილიც, თუ ადამიანი მწერლობას მოეკიდება, უფრო აქედან მომდინარეობს“**

პრობლემის გააზრება, არსი გასაგებია; მეტი დაკონკრეტება, კათვალსაჩინოება ძნელია (თუ შეუძლებელი არა)...

ამგვარ გააზრებას გულისხმობს ბ. ჯორბენაძე, როცა სვამს ამ კითხვას და პასუხის გაცემას:

„რა არის სტილი?“

აზროვნების თავისებურება თუ აზროვნების გამოხატვის თავისებურება?

როგორც ჩანს, სტილი მაინც ინდივიდუალური მსოფლხედვაა, გამოხატული შესაბამისი ენობრივი (მუსიკალური, ფერწერული) ფორმით“ (ბალავარი, 31). მეტ დაკონკრეტებას მეცნიერი არ (თუ ვერ?) ახდენს... ამჯობინებს, კონკრეტულ მწერალთა შემოქმედების ანალიზის საფუძველზე აჩვენოს თეორიული ნაფიქრის პრაქტიკული განხორციელება...

და ასე შეიქმნა ენობრივ-სტილისტური ხასიათის ნარკვევები დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილისა და გიორგი ლეონიძის („ბალავარი მწერლობისა“), გალაკტიონ ტაბიძის („პოეზიის ენა“) და თამაზ ხმაღაძის („მზით ნაფიციხი ქართული სიტყვა)... სულ ეს იყო, რაც მოასწრო თავის ხანმოკლე მაგრამ ნაყოფიერ ცხოვრებაში

\* \* \*

მწელის ენის ანალიზის დროს შესაძლოა გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს თავად ამ მწრლის ენობრივ შეხედულებებს (ამის მაგალითად ორ წიგნს დავასახელებ: მ. ჯავახიშვილი, ჩანაწერები, თბ. 2005; ო. ჩხეიძე, ჩანაწერები, თბ. 2010). ყოველ შემთხვევაში მწერლისეული შეფასება ამათუ იმ ენობრივი მოვლენისა გასათვალისწინებელია შეფასების დროს. მაგალითად, **ჰ-** და **ს-** ზმნური პრეფიქსების დადგენილი წესიდან გადახვევას საყვედურობენ ხშირად შემოქმედს; არადა ზოგ მწერალს თავისი ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს ამ გრამატიკულ ელემენტთა მიმართ (იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას...)... ამიტომაც ანალიზი მწერლის ენობრივი შეხედულებებისა, თუკი ასეთი არსებობს, წინ უნდა უძღოდეს მისი შემოქმედების კონკრეტულ ენობრივ ანალიზს... თავად მეცნიერის კონკრეტული ნარკვევები არის ამის კარგი ნიმუში. ჩვენ ამჯერად ამ ნარკვევებზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, რადგანაც ეს თავის დროზე საკმაოდ გამოწვლილვით შეასრულა პროფესორმა ელენე კოშორიძემ (ე. კოშორიძე, ბესარიონ ჯორბენაძე და მწერლის ენის საკითხები:წიგნში „ბესარიონ ჯორბენაძე – პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე“, თბილისი, 2003, გვ.136-204).

GIORGI GOGOLASHVILI

### **Besarion Jorbenadze on Issues of the Writer's Language Research**

#### **Summary**

From the very beginning the investigation of a writer's language was considered a priority for the Georgian school of linguistics. The founders of the Georgian school of linguistics paid special attention to this issue. Varlam Topuria was the first to work out some principles and methodology to deal with the problem in question. However, the research

he carried out was purely of a linguistic nature and specific goals for the analysis of a writer's language were not clearly formulated.

A new approach to the analysis of a literary text was needed and Besarion Jorbenadze undertook this task. In his opinion, two closely linked issues a scholar faces when dealing with the problem in question were: how does a writer enrich the language he uses in their works? How does the language effect the writer?

Jorbenadze argues that aesthetics, literary criticism and linguistics should collaborate in order to present an in-depth analysis of a literary text. He discusses problems of stylistics and defines style as an individual world outlook embodied in an appropriate verbal form. He does not go into further details, preferring to demonstrate the ways in which his theory can be implemented in practice by analyzing literary texts.

In this way, during his short but prolific scholarly career, he studied linguistic and stylistic peculiarities of the works by such prominent Georgian authors as David Guramishvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Alexander Kazbegi, Konstantine Gamsakhurdia, Ioseb Grishashvili, Giorgi Leonidze, Galaktion Tabidze.

ნინო ღაკასელია

**მორალურობა-ამორალურობა და სისუფთავის  
მეტაფორები**

(ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე)

ბოლოდროინდელმა კვლევებმა კოგნიტიურ ლინგვისტიკაში ცხადყო, რომ მორალურობა-ამორალურობის კონცეპტუალიზაცია ძირითადად ადამიანის სხეულისებრ გამოცდილებას ეფუძნება და წარმოდგენილია კონტრასტული კატეგორიების (ნათელი-ბნელი, ძლიერი-სუსტი, ჯანმრთელი-ავადმყოფი, სუფთა-ჭუჭყიანი/ბინძური, წმინდა-ბილწი, მაღალი-დაბალი, თეთრი-შავი) სახით (იუ 2016:195). წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე შეისწავლოს ბინარული კატეგორიების სუფთა-ჭუჭყიანი/ბინძური, წმინდა-ბილწი მიმართება მორალურობა-ამორალურობის ცნებებთან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (ბარსელონა 2008; გიბსი 2006; კოვეკსესი 2010; ჯონსონი 1987; ფილმორი 1977), ლექსიკური სემანტიკა(სინკლერი 1991), კვლევები კულტუროლოგიასა (ტრიანდისი 2001; სუმბაძე 1999) და ფსიქოლოგიაში (შნალი 2011; შნალი 2012; შნალი, კენონი 2012). ემპირიული მასალა მოძიებულ იქნა ინგლისური და ქართული ენების ავტორიტეტული ლექსიკონებიდან, ორი ენის ეროვნული კორპუსებიდან და ასევე, ავტორის მიერ ზეპირმეტყველებითი და წერილობითი დისკურსის ნიმუშების მასალაზე შედგენილი კორპუსიდან.

ფილოსოფიური ტრადიციის თანახმად, მორალისადმი მიდგომა, მორალური შეფასების გამოხატვა რაციონალიზმს ეფუძნება. აღნიშნული ხედვის მიხედვით, ადამიანები ითვალისწინებენ ობიექტურ ფაქტებს და ლოგიკური დასკვნების საფუძველზე ახდენენ ცალკეული ქცევის მორალურ შეფასებას. ჰიუმი იყო ერთ-ერთი პირველი ფილოსოფოსი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მორალური გადაწყვეტილება გრძნობებთან არის მიმართებაში (შნალი, კენონი 2012).

ჰაიდტის თვალსაზრისით, მორალური შეფასება წარმოადგენს მექანიკურ, ინტუიციურ რეაქციას მორალურ სტიმულზე და სცილდება ცნობიერის ფარგლებს. ემოციები და ინტუიცია მართავენ ინდივიდის მორალურ შეფასებებს ვინაიდან ე.წ. მორალური ემოცია სოციალური ხასიათისაა და ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე (ჰაიდტი 2001).

ფსიქოლოგიური კვლევების თანახმად, ზიზღი არის ერთ-ერთი ემოცია, რომელიც კავშირშია მორალურ შეფასებასთან. აღნიშნული ემოცია წარმოადგენს ადამიანის თავდაცვით რეაქციას შეინარჩუნოს სხეულის სისუფთავე და სიწმინდე, დაიცვას იგი დაბინძურებისაგან. ბოლოდროინდელმა კვლევებმა ექსპერიმენტალურ სოციალურ ფსიქოლოგიაში დაადასტურა ფსიქოლოგიური ასოციაციის არსებობა ფიზიკურ სისუფთავესა და მორალურ სიწმინდეს შორის (შნალი 2011). ანუ ადამიანის ბაზისური მოთხოვნილება შეინარჩუნოს ფიზიკური სისუფთავე მეტაფორიზებულია (ხატოვანი სქემა – არაფიზიკური არის ფიზიკური) და სხავდასხვა ენაში წარმოდგენილია კონცეპტუალური მეტაფორების სახით, რომლებიც მორალურ-ამორალურ ქცევასთან არის კავშირში. ზიზღი, როგორც რთული ემოცია, მიუხედავად მისი ფიზიკური, სხეულისებრი წარმომავლობისა, სულიერ და მორალურ იმპლიკაციებს გულისხმობს. ანუ, ცუდი, უარყოფითი პიროვნება ან ქცევა ისეთივე ზიზღის მომგვრელია, როგორც ცუდი საკვები. აღნიშნულის დამადასტურებელია ამორალური პიროვნების ან ქცევის მიმართ წარმოთქმული შემფასებლური გამონათქვამი: რა საზიზღარია! How disgusting (s/he is)! ფიზიკური და სულიერი/მორალური სისუფთავის კავშირის საილუსტრაციოდ ხშირად ასახელებენ ე.წ. „მაკბეტის ეფექტს“ (შნალი 2012:7): როგორც ცნობილია, მკვლელობის ჩადენის შემდეგ, დამძიმებული სინდისის შესამსუბუქებლად ლედი მაკბეტი ხელის დაბანით ცდილობს ჩამოირეცხოს ჩადენილი დანაშაულის კვალი – სისხლი. საყურადღებოა, რომ აღნიშნული რეაქცია ექსპერიმენტალურად გამოავლინეს ფსიქოლოგებმა (შნალი, კენონი 2012). თქმულთან მიმართებაში ასევე უნდა მოვიხსენიოთ სომატური გამონათქვამი – *ხელების დაბანა (პილატესებრ დამიბანია ხელები)*, რომელიც გულისხმობს რაიმე „საქმეში ყოველივესა ბრალის მოხსნას თავიდან“ (სახოკია 1979: 908). სახოკიას თანახმად, ძველად ინდივიდები თავიანთი

უდანაშაულობის დასამტკიცებლად წყლით, განსაკუთრებით, ზღვის წყლით, იბანდნენ ხელებს. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მტკნარ წყალში მარილს ყრიდნენ. მისივე ცნობით, კათოლიკურ ეკლესიებში დღესაც მარილიან წყალს ხმარობენ.

ზიზღთან მჭიდრო კავშირშია ანტონიმური წყვილები *clean-dirty / filthy, pure-polluted / სუფთა-ჭუჭყიანი / გასვრილი / ბინძური, წმინდა-ბილწი*. კვლევამ ცხადყო, რომ ჩამოთვლილი ზედსართავების განმეორებადმა გამოყენებამ შესიტყვეებებში გარკვეულ არსებით სახელებთან წარმოქმნა აღნიშნული ზედსართავების ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც მათ პროტოტიპულ მნიშვნელობებთან არ არიან პირდაპირ კავშირში. ყოველივე ეს ეხმიანება სინკლერის თეორიას კოლოკაციებზე, რომლის თანახმადაც, ცალკეული შესიტყვეების მნიშვნელობა არ დაიყვანება მისი შემადგენელი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობებზე (სინკლერი 1991: 110). ფრეიმული სემანტიკის თვალსაზრისით (ფილმორი 1977), ცალკეული ლექსიკური ერთეულის მეტაფორიზაცია მისი სემანტიკური ჩარჩოს/ფრეიმის სივრცეში ხდება და, შესაბამისად, მოტივირებულია.

განვიხილოთ ზემოჩამოთვლილი თითოეული წყვილი ცალ-ცალკე:

ინგლისური და ქართული ლექსიკური ერთეულების *clean / სუფთა* (რომელთა პირველადი, პროტოტიპული მნიშვნელობაა *free from dirt, marks or stains* (Cambridge International Dictionary of English 1996) / *ჭუჭყისა გან, უწმინდურობისაგან თავისუფალი* (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ena.ge) მეტაფორული გავრცობის შედეგად შემდეგი მნიშვნელობები შეიძინეს:

ინგლისური ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ლექსიკურ ერთეულს *clean* მეტაფორული გავრცობის შედეგად შემდეგი მნიშვნელობები ჩამოუყალიბდა: *honest (პატიოსანი), with no criminal record (კანონმორჩილი), decent (წესიერი), innocent, guiltless (უდანაშაულო) polite (თავაზიანი)*. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ლექსიკურ ერთეულში განსაკუთრებით არის გამოკვეთილი სემა *კანონმორჩილი, სამართლებრივად უდანაშაულო*, რაც შეიძლება აიხსნას ანგლო-საქსური კულტურის სპეციფიკით – კანონის უზენაესობაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით. ზემოჩამოთვლილი მეტაფორული მნიშვნელობები გამოვლინდა შემდეგ შესიტყვეებებში:

(ა) *to lead a clean life* – აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკურად ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, არამედ სამართლებრივადაც. იგივე ითქმის ზედსართავზე *clean-living*.

(ბ) *to have a clean record* – კარგი რეპუტაციის მქონე, არაკორუმპირებული. ქართულში რეპუტაციასთან მიმართებაში გამოიყენება *სუფთას* სინონიმი, ლექსიკური ერთეული *უმწიკვლო-უმწიკვლო რეპუტაცია*. ორივე ენაში ვხვდებით გამონათქვამს *უმწიკვლო მუშაობა, an immaculate record of service*.

(გ) *to be clean* – ნარკოტიკების ან იარაღის არმქონე, კანონის თვალსაზრისით უდანაშაულო.

(დ) *clean fight/campaign* – წესების დაცვით ბრძოლა, კამპანიის წარმოება.

(ე) *clean language, a clean joke/fun, to keep a clean tongue* – თავაზიანი მეტყველება, ბილწსიტყვაობას, უხამსობას მოკლებული ხუმრობა.

(ვ) *to have clean hands/to be clean-handed* – ორივე ენაში დასტურდება სომატური იდიომი *სუფთა ხელების ქონა*, რომელიც ეფუძნება ექსპერიმენტალურად დადასტურებულ ადამიანის სხეულისებრ გამოცდილებას, რეაქციას ჩადენილი დანაშაულის შემდეგ ხელები დაიბანოს. მოცემული მეტაფორა „მაკბეტის ეფექტის“ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

(ზ) *to have clean/clear conscience* – ორივე ენაში დასტურდება იდიომი *სუფთა სინდისის ქონა*. სინდისის, როგორც მორალურ-ეთიკური ცნების დასახასიათებლად ვხვდებით ხატოვან სქემას *არა-ფიზიკური არის ფიზიკური*. ასევე ორივე ენაში ვხვდებით ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით *სინდისის დასუფთავებას* გულისხმობს: *to clean/clear one's conscience/ვისთვისმე ნამუსის მოწმენდა*. თუმცა აქ აღსანიშნავია კულტურის სპეციფიკით განპირობებული განსხვავება; ინგლისური კულტურის ინდივიდუალისტური ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდი ზრუნავს საკუთარი სინდისის/ნამუსის „გაწმენდაზე“, ქართული კულტურის ჰორიზონტალურად კოლექტივისტური სპეციფიკით (სუმბაძე 1999) შეიძლება აიხსნას ის, რომ ინდივიდი ზრუნავს თავისი ჯგუფის წევრის სინდისის/ნამუსის „სიწმინდეზე“.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულში *სუფთა-ს* მეტაფორული გავრცობის შედეგად მიღებული მნიშვნელობანია – *უბიწო, უმწიკვლო, უმანკო, წრფელი, პატიოსანი, თავაზიანი, არააგრესიული*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *სუფთას* სინონიმური ლექსიკური ერთეულების *უბიწო, უმწიკვლო* ძირების პროტოტიპული მნიშვნელობები ფიზიკურ დაბინძურებასთანაა კავშირში (*ბიწი-დიაქრონულად* მისი პირველად მნიშვნელობა იყო *ლაქა, ზადი, ნაკლი*, აბულამე 1973; *მწიკვლი-ჭუჭყი, უსუფთაობა*, ქეგლ, ena.ge). ნახსენები მნიშვნელობების მატარებელი *სუფთა* ახასიათებს:

(ა) **პიროვნებას**, როგორც *წრფელს, პატიოსანს*. აღნიშნულ შემთხვევაში ფიზიკური სისუფთავე მეტაფორიზებულია, როგორც ზნეობრივი. აღსანიშნავია, რომ ინგლისურში ცნება *a clean person* ასოცირდება ბიბლიურ ტექსტთან და გულისხმობს რიტუალურ / ცერემონიალურ სისუფთავეს; ბიბლიური ტექსტებიდანაც (ზოგადად, რელიგიური ხასიათის ტექსტებიდან) ჩანს, რომ ფიზიკური სისუფთავე მჭიდრო კავშირშია მორალურ სიწმინდესთან.

(ბ) **ადამიანის ქცევას**, როგორც *დახვეწილს, თავაზიანს, არააგრესიულს*. მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მეტაფორიზაციას განიცდის *სუფთა-ს* ერთ-ერთი სემა *მკაფიო, გამოკვეთილი*, რის შედეგადაც ვიღებთ მნიშვნელობას *დახვეწილს, მანერების მქონეს, თავაზიანს* და, შესაბამისად, *არააგრესიულს*. საყურადღებოა, რომ ინგლისურში ქცევასთან მიმართებაში გამოიყენება ლექსიკური ერთეული *immaculate* (*უმწიკვლო*): *immaculate conduct, behaviour*. აღსანიშნავია, რომ ამ ლათინური წარმოშობის ლექსიკური ერთეულის ძირის *macula* მნიშვნელობა არის *ლაქა, ნაკლი* (Cassell Concise English Dictionary 1992).

(გ) **მზერას**, როგორც *წრფელს, უმანკოს*. აღნიშნულ შემთხვევაში მეტაფორიზირებულია *სუფთა-ს* სემა *შეუმღვრეველი* ადამიანის მზერაში ასახული სულიერი მაჩვენებლის დასახასიათებლად.

(დ) **გულს**, როგორც *წრფელს*. შესიტყვებაში *სუფთა გული* ორივე ლექსიკური ერთეული მეტაფორას წარმოადგენს: *გული* – მეტონიმის (ხატოვანი სქემა *ნაწილი მთელის სანაცვლოდ, გული პიროვნების სანაცვლოდ*) მეტაფორიზაციის შედეგია. *სუფთა-ს* შემთხვევაში კი კვლავ ფიზიკური სისუფთავე ზნეობრივი სისუფთავის დასახასიათებელ მეტაფორული გავცობის ნიმუშს წარმოადგენს.



ინგლისურში *გულთან* მიმართებაში ვხვდებით შესიტყვებებს ლექსიკური ერთეულების *immaculate, pure* გამოყენებით: *an immaculate heart, pure in heart*. თუმცა ბიბლიის ინგლისურენოვან თარგმანში დასტურდება შესიტყვება *a clean heart*: Create in me a clean heart, O God (Psalm 51:10, New Testament and Psalms 1990).

(ე) **გრძნობას**, როგორც *წრფელს, უმანკოს*. ქართულში ასევე დასტურდება შესიტყვებები *უბიწო/უმწიკვლო გრძნობა, სიყვარული*.

ინგლისური ლექსიკური ერთეულის *clean* ანტონიმი *dirty* (ჭუჭყიანი) მეტაფორული მნიშვნელობები, რომლებიც მორალურ შეფასებასთან არიან დაკავშირებული, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველში დომინირებს სექსთან დაკავშირებული სემა, მეორეში კი სემები უსინდისო, არაპატიოსანი, უპატიოსნო, არასამართლიანი, ზიზღნარევი.

(ა) *dirty thought/mind* – *ამორალური, ძირითადად სექსთან დაკავშირებული აზრების ქონა*. ქართულში გადმოდის როგორც *ბინძური*.

(ბ) *dirty language/words/joke* – *უხამსი, ბილწი მეტყველება, ლექსიკა, ხუმრობა*. აქაც აქცენტია სექსზე კეთდება. შესაბამისად, *a dirty magazine* – *პორნოგრაფიული ჟურნალი*.

(გ) *a dirty old man* – *არაჯანსაღი სექსუალური ზრახვების მქონე, შუა ხნის მამაკაცი, პედოფილი*.

(დ) *a dirty look* – *ზიზღნარევი მზერა*.

(ე) *a dirty trick* – *უსინდისო ხრიკი*.

(ვ) *a dirty player, fighter* – *უპატიოსნო მოთამაშე, მებრძოლი*.

(ზ) *a dirty lie/liar* – *უსინდისო ტყუილი, მატყუარა*.

(თ) *dirty money* – *უპატიოსნო გზით მოპოვებული ფული*.

უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკურად უფრო აღმატებითი მნიშვნელობა აქვს ლექსიკურ ერთეულს *filthy*, რომელმაც მეტაფორიზაციის შედეგად შეიძინა შემდეგი მნიშვნელობები: *უხეში, ამორალური, უსიამოვნო, ბინძური, უხამსი*. მისი კოლოკაციებში დისტრიბუცია *dirty*-ს დისტრიბუციას ემთხვევა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, *filthy* ე.წ. უკიდურესი სემანტიკის მქონე ზედსართავია შდრ.: *filthy language, joke, film, book* (*უწმასური, უხამსი ენა, ხუმრობა, ფილმი, წიგნი*); *a filthy habit* (*მავნე ჩვევა*); *a filthy mind* (*ბინძური*

აზრების მქონე); *a filthy look* (ზიზღნარევი მზერა); *filthy money* (ბინძური ფული).

საყურადღებოა, რომ ქართულში *სუფთა-ს* სინონიმს *ჭუჭყ-ს* არ განუვითარდა მეტაფორული მნიშვნელობები. გამონაკლისია ფულის ზიზღის შემცველი მეტაფორული სახელდება *ხელის ჭუჭყი*.

ქართულში მეტაფორული მნიშვნელობებით გამოირჩევა *სუფთა-ს* ორი ანტონიმი -*გასვრილი* და *ბინძური*.

სახოკიას თანახმად, *გასვრა-ს* მეტაფორული მნიშვნელობებია *შერცხვენა*, *სახელის გატეხა*, *გაუპატიურება*, *სააუგო საქმის ჩადენა* (1979: 80). ლექსიკონებიდან და კორპუსიდან მოპოვებულ მასალაში ვხვდებით მხოლოდ აღნიშნული ლექსიკური ერთეულის *ხელთან* დაკავშირებულ კოლოკაციას: *ხელის გასვრა*, რაც გულისხმობს *ცუდი საქმის ჩადენას*, *რაიმე არასაკადრისის*, *შეუფერებლის გაკეთებას* (ქეგლ ena.ge). ასევე, საყურადღებოა შესიტყვება *სისხლში ხელების გასვრა*, რაც ვინმეს მკვლელობას გულისხმობს. ავტორის მიერ შედგენილ კორპუსში დასტურდება გამონათქვამი *ვინმეს გასვრა/ვინმეს სახელის გასვრა – პიროვნების სახელის გატეხვის მცდელობა*. ასევე, ჩემი დაკვირვებით, ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად ვხვდებით ზედსართავების *გასვრილი/გაუსვრელი* მეტაფორულ გამოყენებას პიროვნების მორალური სახის შესაფასებლად.

*ბინძური* ფართოდ გამოიყენება მეტაფორულად ამორალური ქცევის შეფასებისას. მას ვხვდებით კოლოკაციებში შემდეგი მნიშვნელობებით *ბილწი*, *საზიზღარი* (ადამიანის მიმართებით ნათქვამი), *უმსგავსო*, *შეურაცხმყოფელი* (მეტყველების, ქცევის მიმართ ნათქვამი). მეტონიმიისა და მეტაფორიზაციის შედეგად აღნიშნული ზედსართავი დამოუკიდებლად, არსებითი სახელის მნიშვნელობითაც გამოიყენება.

საყურადღებოა, რომ თუ კონტრასტული წყვილი *სუფთა-გასვრილი, ბინძური*, *clean-dirty* წრფივ, ჰორიზონტალურ სოციალურ ურთიერთობებთან არის ასოცირებული (ამის მაგალითია ზემომოყვანილი *ვისთვისმე სინდისის მოწმენდა*), წყვილი *წმინდა-ბილწი*, *pure-polluted* ვერტიკალურ სოციალურ მიმართებას გულისხმობს. წმინდა არის მაღლა, ღმერთთან ახლოს, მაშინ როდესაც *ბილწი*, *polluted* არის დაბლა, დემონთან, ეშმაკთან ასოცირებული.

ლექსიკური ერთეულების *pure/წმინდა* პირველადი მნიშვნელობებია – *not mixed with anything else; clean and free from harmful substances* (Cambridge International Dictionary of English 1996) / *შეურეკელი, ხალასი, ანკარა, სუფთა* (ქეგლ ena.ge). აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულებმა მეტაფორიზაციის შედეგად შეიძინეს მორალურ შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელობები. ინგლისური ლექსიკური ერთეულის შემთხვევაში ეს არის მორალური თვალსაზრისით მისაღები ცხოვრების წესი (*to lead a pure life*), ფიქრები (*to think pure thoughts*), უბიწოება (*to be pure before marriage*), ზოგადად, გამოიკვეთა შემდეგი მეტაფორული მნიშვნელობები: *უბიწო, უმანკო, უმწიკვლო, სპეტაკი*.

ქართული ლექსიკური ერთეულის შემთხვევაში გარდა მნიშვნელობებისა *უბიწო, უმანკო, სპეტაკი*, ეს არის მნიშვნელობები, რომლებიც რელიგიური შეხედულებით, ღმერთთან, სარწმუნოებასთან არის დაკავშირებული და ღვთაებრივი ძალის მქონეა: *წმინდა წიგნი/ზიარება/ ნაწილები* და ა.შ. ანუ *წმინდა*-ს სემანტიკა უფრო ფართოა და გარდა ლექსიკური ერთეულის *pure*, მას შეესატყვისება ინგლისურში *holy, saintly, saint, sacred*.

ინტერესს იწვევს ლექსიკური ერთეული *polluted* (ზმნიდან *to pollute*), რომლის პირველადი მნიშვნელობაა დაბინძურება, განსაკუთრებით, გარემოსი. მეტაფორიზაციის შედეგად კი მან შეიძინა მორალთან დაკავშირებული მნიშვნელობანი: *წაბილწული, შებღალული, შელახული*:

Malakhi 1:7 –Ye offer me **polluted bread** upon my altar; and ye say, Wherein have we **polluted** thee? In that ye say, The table of the Lord is contemptible (The Bible, King James Version [www.kingjamesbibleonline.org](http://www.kingjamesbibleonline.org))

მალაქია წინასწარმეტყველი 1:7 – მოგაქვთ ჩემს სამსხვერპლოზე **წაბილწული პური** და ამბობთ: რითი **წაგბილწეთო?** იმით, რომ ამბობთ, საუფლო ტაბლა შესაზიზღიაო (ბიბლია 1989).

Ezekiel 20:22 – Nevertheless I withdraw mine hand, and wrought for my **name's** sake, that it should be **polluted** in the sight of the heathen, in whose sight I brought them forth (The Bible, King James Version [www.kingjamesbibleonline.org](http://www.kingjamesbibleonline.org)).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი 20:22

მაგრამ უკან შევაბრუნე ხელი და ვმოქმედებდი ჩემი **სახელის** გულისათვის, რომ არ **შელახულიყო** იმ ხალხის თვალში, რომლის თვალწინ გამოვიყვანე ისინი (ბიბლია 1989)

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ინგლისურ და ქართულ ენებში სისუფთავე-სიბინძურესთან დაკავშირებულმა ლექსიკურმა ერთეულებმა მეტაფორული გავრცობის გზით შეიძინეს მორალური შეფასების გამომხატველი მნიშვნელობები. აღნიშნული მეტაფორიზაცია ეფუძნება უნივერსალურ სხეულისებრ გამოცდილებას, რომელიც ავლენს ფსიქოლოგების მიერ ექსპერიმენტალურად დადასტურებულ კავშირს (ქვეცნობიერის დონეზე) ფიზიკურ და მორალურ სისუფთავეს შორის. ეფუძნება რა ხატოვან სქემას *არაფიზიკური არის ფიზიკური*, ორივე ენაში აღნიშნული მეტაფორიზაციის ტენდენციები მსგავსია. შეიმჩნევა ზოგადი მსგავსება ლექსიკური ერთეულების გადატანითი მნიშვნელობების დისტრიბუციაშიც. თუმცა შესამჩნევია კულტურის სპეციფიკით განპირობებული განსხვავებანი. კერძოდ, განსხვავებით ინგლისურისგან, რომელიც ინდივიდუალისტური კულტურის ნიმუშს წარმოადგენს და ინდივიდი კონცენტრირებულია საკუთარ მორალურ სისუფთავეზე, ქართულში, როგორც კოლექტივისტური (ჰორიზონტალური ტიპის) კულტურის ნიმუშში, ინდივიდი ზრუნავს ჯგუფის წევრის მორალურ სახეზე.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ორივე ენასა და კულტურაში სისუფთავესთან დაკავშირებული კონტრასტული კატეგორიები კავშირშია სოციალური ურთიერთობის გამომხატველ სივრცობრივ მეტაფორებთან: *clean-dirty/სუფთა-ბინძური* დაკავშირებული ჰორიზონტალურ, ჯგუფის წევრებს შორის არსებულ ურთიერთობებთან, მაშინ როდესაც *pure-polluted/წმინდა-ბილწი/წაბილწული* დაკავშირებული ვერტიკალურობასთან, სადაც *pure/წმინდა* არის ღმერთთან ახლოს, *polluted/ბილწი, წაბილწული* კი დემონთან, ეშმაკთან ასოცირდება.

## ლიტერატურა

**ახალი აღთქმა 1977** – New Testament and Psalms. New American Standard Bible. The Lockman Foundation.

**ზარსელონა ა. 2008** – Metonymy is not Just a Lexical Phenomenon. On the Operation of Metonymy in Grammar and Discourse. In *Selected Papers from the 2008 Stockholm Metaphor Festival*. N.L. Johannesson & D.C.Minugh, (eds.). Stockholm: Stockholm University.

- ბიბლია** –1989, თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
- ბიბლია** – King James Bible. [www.kingjamesbibleonline.org](http://www.kingjamesbibleonline.org) (01.07.2023).
- გიბსი 2006** – Gibbs, R.W.Jr. Embodiment and Cognitive Science. New York: Cambridge University Press.
- იუ 2016** – Yu,N. Spatial Metaphors for Morality: A Perspective from Chinese. In *Metaphor and Symbol*, 31:2,108-125.
- კოვეცსი 2010** – Kövecses, Z. Metaphor and Culture. In *Acta Universitatis Sapientiae, Philologica*. 2,2., 197-220.
- სინკლერი 1991** – Sinclair,J. Corpus, concordances, collocation. Oxford:Oxford University Press.
- სუმბაძე 1999** – Sumbadze, N. The Social Web. Friendship of Adult Men and Women. Leiden University:DSWO Press.
- ტრიანდისი 2001** – Triandis, H.C. Individualism-Collectivism and Personality. In *Journal of Personality*, 69:6, December 2001, 907-924.
- ფილმორი 1977** – Fillmore,C. Schemes-and-frames semantics. In Zampolli (ed.), *Linguistic structure processing*. (pp.55-81). Amsterdam: North Holland.
- შნალი 2011** – Schnall, S. Clean, Proper and Tidy are more than the Absence of Dirty, Disgusting and Wrong. In *Emotion Review*, Vol. 3, No 3, (July 2011), 264-266.
- შნალი 2012** – Schnall, S. Are there Basic Metaphors? In *Metaphorical Thought in Social Life*. M. Landau, M.D. Robinson & B.P.Meier (eds.). Washington, DC: American Psychological Association.
- შნალი, კენონი 2012** – Schnall, S. & P.R. Canon. The clean conscience at work: emotions, intuitions and morality. In *Journal of Management, Spirituality and Religion*. Vol.9,No.4,December 2012, 195-215.
- ჯონსონი 1987** – Johnson, M. The Body in the Mind; The Bodily Basis of Meaning, Imagination and Reason. Chicago:The University of Chicago Press.
- ჰაიდტი 2001** – Haidt, J. The emotional dog and its rational tail: a social intuitionist approach to moral judgment. In *Psychological Review*, 108,814-834.

## ლექსიკონები და კორპუსები

აბულაძე, ი. 1973. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი. dictionary.ge

სახოკია, თ. 1979. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: მერანი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ena.ge

ქართული ენის ეროვნული კორპუსი. [www.clarino.uib.no.>gnc>corpus-list](http://www.clarino.uib.no.>gnc>corpus-list)

A Comprehensive Georgian-English Dictionary. 2006. PC version presented by [www.dachi.com.ge](http://www.dachi.com.ge)

BNC, British National Corpus, [www.english-corpora.org>bnc](http://www.english-corpora.org>bnc)

Cambridge International Dictionary of English. 1996. Cambridge: Cambridge University Press.

Cassell Concise English Dictionary. 1992. Cassell.

Longman Dictionary of English Language and Culture. 2006. Longman.

NINO DARASELIA

### **Im/morality and the Metaphors of Cleanliness (on material from English and Georgian)**

#### Summary

This paper presents a cognitive semantic analysis of metaphoric extensions of the English and Georgian lexicalizations for the contrastive categories *clean-dirty*, *pure-polluted*. Cognitive linguistics (namely, conceptual metaphor theory and embodiment hypothesis) lexical semantics, cultural as well as psychological studies form the theoretical framework of the study. The empirical data have been obtained from English and Georgian authoritative dictionaries and corpora. Besides, a

collection of examples have been drawn from samples of spoken and written discourse.

According to recent psychological studies, it has been experimentally proved that there is a close link between physical and moral cleanliness/purity. As a result, admittedly, in all languages and cultures a fundamental human desire to be physically clean is conceptualized and extended to social and moral domains. The study has shown that in the languages/cultures under discussion the lexicalizations for the contrastive categories *clean-dirty*, *pure-polluted* have developed figurative meanings along similar routes. These similar tendencies in metaphorization can be explained by the universal nature of our bodily experience and activity. However, there are certain culture-specific differences in the distribution of the figurative expressions in question. Unlike the individualistic nature of English culture where an individual is mainly concerned with the moral purity of the self, in the horizontally collectivistic Georgian culture individuals focus on the moral cleanliness of their group members.

The analysis of the data has also revealed that the contrastive categories of cleanliness are linked with the spatial metaphors reflecting social relations. The metaphoric extensions for *clean-dirty* can be connected with linear, horizontal relations between group members (this is differently manifested in the two languages and cultures), whereas the category of *pure-polluted* is linked with the dimension of verticality, where up is pure and close to God and Godliness, and down is associated with the Devil

ირინე ღვამბრაძე

## გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური თავისებურებები

(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური მახასიათებლების კვლევა ინგლისურ და ქართულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. მოცემული მასალა მოპოვებულია ინტერნეტ-წყაროებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სამეტყველო აქტების თეორია და გრასის კოოპერაციის პრინციპი. გარე მოვაჭრეთა დისკურსის თავისებურებები განხილულია სოციოლინგვისტიკისა და პრაგმატიკის კუთხით.

დასაწყისში გავიხსენებ ერთ ცნობლ ფაქტს: **ანკარაში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ათათურქი სტამბოლში ჩასულა და ტაქსიმზე, სასტუმრო „პარკოტელში“ გაჩერებულა... ერთ დღეს ფანჯარაში გაუხედავს და უგრძვნია, რომ სტამბოლს მისთვის დამახასიათებელი ხმაური და მხიარულება აკლდა. თავისი ადიუტანტისთვის უკითხავს, რაშია საქმეო და ადიუტანტს ასე უპასუხია:**

„თქვენო აღმატებულებავ, რადგან ევროპაში არ არის, თქვენ რომ არ გაზრახებულებავით, ქუჩის ვაჭრობა აკრძალეთ“.

აი, ამაზე კი მართლა აღშფოთებულა ათათურქი და უბრძანებია:

**„ქუჩის გამყიდველები ქუჩის ბუღბუღები არიან, რომლებიც სტამბოლს მხიარულებასა და ხიბლს ანიჭებენ. იცოდეთ, არ გაზედოთ და მათი საქმიანობა არ აკრძალოთ!“**

მას შემდეგ სტამბოლში თავისუფლად შეიძლება ქუჩაში ვაჭრობა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> [https://www.vangogen.com.ge/2018/02/blog-post\\_41.html](https://www.vangogen.com.ge/2018/02/blog-post_41.html) (ნახვა 14 მაისი 2023)



ქუჩის გამყიდველების ისტორია ანტიკური ხანიდან იწყება. კლერ ჰოლერანის თანახმად, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა ქუჩის მოვაჭრეთა არაერთი კატეგორია: „ამბულატორი“ (ქუჩაში მოხეტიალე გამყიდველი), „ცირკუტორი“ (წრეზე მოსიარულე გამყიდველი), ინსტიტორი (საკუთარი ბიზნესის მქონე გამყიდველი) და სხვა. ასეთი მოვაჭრეები ძველ რომში იაფად ყიდდნენ სურსათს. მათი თავშეყრის ადგილები იყო ეკლესიების, ფორუმების, აბანოების და თეატრების ახლოს. ისინი გამოირჩეოდნენ სპეციალური შემახილებით, რითაც ხშირად აწუხებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ითვლებოდნენ დაბალ სოციალურ კლასად და ხშირად მოიხსენიებოდნენ კნინობითი ფორმით.

ინგლისურ ყოფაში ქუჩის მოვაჭრეები სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: hawker, peddler, huckster და სხვა. hawker არის ადვილად ტრანსპორტირებადი საქონლის გამყიდველი, როგორცაა ხელნაკეთი ნივთები და სურსათი. ასეთი მოვაჭრეები გამოირჩევიან ხმამაღალი შემახილებით ან სიმღერით, რითაც მყიდველების ყურადღებას იპყრობენ. მოსიარულე hawker-ისგან განსხვავებით, peddler ერთ ადგილას დგას, huckster კი კარდაკარ დადის. ალბათ ყველას გვახსოვს ცნობილი კადრები ფილმიდან „ოლივერი“, სადაც შესანიშნავად არის ნაჩვენები მე-19 საუკუნის ინგლისის გარე მოვაჭრეთა შემახილები, სპეციფიკური ინტონაციითა და მელოდით.

ქუჩის მოვაჭრეთა ერთი განსაკუთრებული კლასი არის გაზეთების გამყიდველები. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლონდონისა და ნიუ-იორკის ქუჩებში მრავლად ნახავდით მცირეწლოვან ბიჭებს, რომლებიც გაზეთებით ვაჭრობდნენ და რომელთა მეტსახელი იყო „Newsboys“ ან „Newsies“. ცნობილია, რომ ნიუ-იორკის ქუჩებში 10 000-მდე ასეთი ბიჭი იდგა. თითქმის ყველა კუთხეში ისმოდა მათი შემახილი „Extra! Extra!“, რომელსაც მოსდევდა გაზეთში დაბეჭდილი სენსაციური ამბების ჩამონათვალი.

ძველი თბილისის ოდითგანვე ცნობილი იყო ქუჩის გამყიდველებით, რომლებიც ხმამაღლა გაიძახოდნენ თავიანთი საქონლის სახელს, ყიდდნენ მაწონს, ნახშირს, ნავთს, მეთულუხჩეები ყიდდნენ წყალს და ა.შ. ცხადია, მათი შემახილები განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებდა ქალაქს.

დღევანდელ ქართულ რეალობაშიც უამრავი გარე მოვაჭრეა, რომლებიც დადიან ეზოებში, მეტროში, ბაზრობის მიმდებარე ტერი-

ტორიაზე და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ქუჩის მოვაჭრეები გამოირჩევიან ეთნიკური სიჭრელითაც. გარდა ქართველებისა, ამ კლასის წარმომადგენლები ძირითადად არიან აზერბაიჯანელები და ბოშები.

გარდა საქონლის გაყიდვისა, ქუჩის შემახილებით ხშირად სთავაზობენ გარკვეულ მომსახურებას: *точнн ножи! Knives, scissors and razors to grind, ფანჯრების ჩასმა, ვჭრით რადიატორებს! Old chairs to mend!* და სხვა.

ამ მცირე შესავლის შემდეგ, მსურს გადავიდე გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური თავისებურებების განხილვაზე.

სიუზეტ ელგინი აღნიშნავს, რომ ენა არის ერთადერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საქონლის გაყიდვის პროცესში (ელგინი 1990, 2). ეს, ცხადია, ეხება გარე მოვაჭრეთა დისკურსსაც. რასნის თანახმად, გამყიდველები 5 ტიპის სამეტყველო აქტებს ახორციელებენ. ესენია: (1) რეპრეზენტატივები (2) დირექტივები (3) ექსპრესივები (4) კომისივები (5) დეკლარატივები. ამათგან, ყველაზე გავრცელებულია რეპრეზენტატივები (რასნი, 2020, 3).

ჯ. სერლის კლასიფიკაციის მიხედვით (სერლი 1969, 47-48), რეპრეზენტატივები მოიცავს ისეთ სამეტყველო ქმედებებს, როგორცაა ფაქტის აღნიშვნა, შეთავაზება, ტრახახი და სხვა. გარე მოვაჭრეთა დისკურსში ასეთი სამეტყველო აქტების მაგალითებია: „ლიმონი 5 ცალი ლარად“, „საუკეთესო ვაშლი“ *New mackerel* და სხვა.

ასევე გავრცელებული სამეტყველო აქტებია დირექტივები, რომელთა ილოკუციური მიზანია მსმენელს შეასრულებინოს რაიმე ქმედება (ჩვენს, შემთხვევაში, საქონლის შექმნა). დირექტივების მაგალითებია: „ზანანები გავიყლოთ“, *Buy My Larders*, „პირბადეები შევიძინოთ“ *Herrings, Come Out!* და სხვა.

ექსპრესივები (ემოციის გამომხატველი სამეტყველო აქტები) ჩვენს შემთხვევაში მოიცავს გასაყიდი საქონლის ქებას: „ნამდვილი რაჭული ნიგოზი“, *Buy my fat Chickens; Fresh gathered peas*; ასევე მყიდველის ქებას: „ლამაზო გოგო, კაი ქინძი არ გინდა?“. ექსპრესივები ასევე მოიცავს მაღლობის გადახდას შექმნილი საქონლისთვის, მყიდველის დალოცვას: „გაიხარე“; „მოულოდნელი სიხარული მოგცეს ღმერთმა“, „მშვიდობაში“, „გემრიელად მიირთვით“ და ა.შ.

კომისიები მოიცავს მოსაუბრის მხრიდან გარკვეული ვალდებულების აღებას. ჩვენს შემთხვევაში, ეს არის ფასდაკლების შეთავაზება (*მოდო, იაფად მოგცემ*), ასევე გარანტიის მიცემა გასაყიდი საქონლის ვარგისიანობასა და ხარისხთან დაკავშირებით (*აი, რომ გასინჯავ და ნახავ, რა კარგია, კიდევ მოხვალ ჩემთან*).

დეკლარაციები მოიცავს ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას, ახსნა-განმარტებას. საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, ასეთი სამეტყველო აქტები ხორციელდება, როდესაც გამყიდველი მყიდველს უხსნის როგორია ან როგორ მუშაობს მის მიერ გასაყიდი საქონელი, შესაძლოა, პროდუქტის შემთხვევაში ეს ასევე მოიცავდეს შენახვის პირობებს ან საკვების დამზადების რეცეპტებსაც. მაგალითად, როდესაც აზერბაიჯანელ მემწვანილეს სურს დიდი რაოდენობით მწვანილი მოგვყიდოს და ვეუბნებით, რომ ამდენს ვერ შევინახავთ, ის მწვანილის შენახვის ინსტრუქციებს გვაძლევს (გავახვიოთ გაზეთში და დავდოთ გრილ ადგილას, ოღონდ მაცივარში – რა).

გარდა ზემოქამოთვლილი სამეტყველო აქტებისა, განვიხილავ ასევე გარე მოვაჭრეთა დისკურსის რამდენიმე მნიშვნელოვან ლინგვისტურ მახასიათებელს:

### **გამეორება**

ქუჩის მოვაჭრეები ხშირად რამდენჯერმე, სპეციფიკური ინტონაციით, უფრო ხშირად, პირველი ან ბოლო ხმოვნის დაგრძელებით, იმეორებენ გასაყიდი საქონლის დასახელებას. ცხადია, ასეთი გამეორების მიზანია გაყიდვის ფაქტის ხაზგასმა და მყიდველის ყურადღების მიპყრობა. ასეთი გამეორება განსაკუთრებულ ხიბლს და მელოდიურობას სძენს გარე მოვაჭრეთა შემახილებს.

განვიხილავ რამდენიმე მაგალითს:

*Brushes, brushes!*

*Hot spice gingerbread smoaking hot!*

*Strawberries, scarlet strawberries!'*

*მალინა, მალინა!*

*ცოცხი, ცოცხი!*

---

<sup>1</sup> ინგლისური მაგალითები აღებულია სტატიიდან: The Lost Cries of London. Guardian. 24 ნოემბერი 2015. <https://www.theguardian.com/cities/2015/nov/24/lost-cries-of-london-liberty-vagabonds-street-theatre> (ნახვა 25 მაისი, 2023)

*მაწონი, მაწონი!*

*მრგვალი პური მაქვს ცხელ-ცხელი!*

უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩის შემახილებში გამეორებას მიმართავენ არა მარტო გაყიდვის, არამედ საქონლის შესყიდვის მიზნითაც: მაგ. *ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს! ჯართს ვიბარებ, ჯართს!* და ა.შ.

### **კითხვითი ფორმა**

ხშირად მოვაჭრეები დირექტიული სამეტყველო აქტების ნაცვლად იყენებენ კითხვით ფორმას, რომელიც ნაკლებად კატეგორიულია და, შესაბამისად, უფრო თავაზიანიც: მაგ.

*Who will buy good milk?*

*Do you want any matches?*

*მწვანილი არ გინდა, გოგო?*

### **მრავლობითი რიცხვი**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოვაჭრეები (განსაკუთრებით, ქართულ რეალობაში) ხშირად გამვლელებს მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმით მიმართავენ. მაგ.

*ბანანები გავიყილოთ, შევიძინოთ პალტოს საწმენდი და სხვა.*

ლ.გოქსაძე და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, რომ მეორე პირის ნაცვლად პირველი პირის მრავლობითი რიცხვით მიმართვა ასეთ შემთხვევებში „ურთიერთგაგების და სიახლოვის ატმოსფეროს ქმნის“ (გოქსაძე et al: 2019:27)

### **ბარბარიზმები**

სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ძალზე ხშირია გასაყიდი საქონლის ბარბარიზმებით მოხსენიება. ეს ეხება არა მარტო იმ მოვაჭრეებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული (მაგ. აზერბაიჯანელები, ბოშები და სხვა), არამედ ქართველი ეროვნების გამყიდველებსაც, რომელთაგანაც ხშირად მსმენია: „*კოდნოსები იმპორტნი*“ „*მალინა, მალინა*“, „*კარტოშკა*“ „*ბამბის მაროჟნი*“ „*ნასკები*“ და სხვა.

## შორისდებულები

შორისდებული შემახილის ბუნებრივი ატრიბუტია, განსაკუთრებით, როდესაც მოსაუბრის მიზანია მსმენელის ყურადღების მიქცევა. გარე მოვაჭრეები ხშირად იყენებენ შორისდებულებს, მაგ. ცნობილი ინგლისური სიმღერა ირლანდიელი თევზით მოვაჭრის შესახებ, რომელსაც რეფრენად გასდევს შორისდებული *“Cockles and mussels, alive, alive - O!”*

ასევე ხშირია შორისდებული ho!. მაგ.

*Dumplings, ho!*

საქართველოს მოვაჭრეები მყიდველის ყურადღების მიპყრობის მიზნით ხშირად იყენებენ შორისდებულს „აბა“. მაგ.

*აბა, კაი ვაშლი.*

*აბა, მოდით, კაი კარტოფილი!*

*აბა, ცხელ-ცხელი ფენოვანები!*

## ჰიპონიმები და ჰიპერონიმები

ხშირად მოვაჭრეები შემახილს იწყებენ ჰიპერონიმით და შემდგომ „აწვრილმანებენ“ გასაყიდი საქონლის ჩამონათვალს ჰიპონიმებით. მაგ.

*ბაზარი მოვიდა, ბაზარი: კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო, ვაშლი!*

ოგივე სტრატეგიას იყენებენ ასევე შემსყიდველები: *ჯართს ვიბარებ, ჯართს! რადიატორებს ვიბარებ! კონდიციონერებს ვიბარებ, გაზქურებს ვიბარებ, სარეცხის მანქანებს ვიბარებ!*

## იუმორი და გართმვა

ცნობილია, რომ ერთ-ერთი გავრცელებული და წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიაა იუმორი. იუმორისტული შემახილების მეშვეობით გარე მოვაჭრე ადვილად ახერხებს მყიდველის ყურადღების მიქცევას და მასზე ზემოქმედებას. მაგ. დანებით მოვაჭრის შემახილი:

*აბა კარგი დანები, მჭრელი დანები, სიდედრის ენისთვის!*

ინგლისურ ყოფაში ქუჩის გაყიდვების გავრცელებული სტრატეგიაა გართმული შემახილები, მაგ.

*Round and sound, five pence a pound* (ალუბლის გამყიდველის შემახილი).

*Old chairs to mend! Old chairs to mend! If I had the money that I could spend, I never would cry Old chairs to mend!*

ამგვარად გართმული შემახილი უფრო ადვილად დასამახსოვრებელია და მეტად იქცევს გამვლელთა ყურადღებას.

### **ფასის ხაზგასმა**

ცხადია, გაყიდვების საუკეთესო სტრატეგიაა მყიდველისთვის ხელსაყრელი ფასის შეთავაზება. ამ მხრივ, არც ქუჩის გაყიდვებია გამონაკლისი. შესაბამისად, როდესაც გარე მოვაჭრე იაფად სთავაზობს გასაყიდ საქონელს, მას მყიდველის მოზიდვის მეტი შანსი აქვს. გარე მოვაჭრეთა შემახილებში ფასის ხაზგასმა შემდეგნაირად ხდება:

*Two bunches a penny primroses;*

*One a penny, two a penny, hot buns!*

*Laces all a halfpenny a piece*

*კარტოფილი ლარად!*

*კოლგოტკები იაფად!*

### **წარმოშობის ხაზგასმა**

ხშირად გარე მოვაჭრეები თავიანთ შემახილებში ხაზს უსვამენ საქონლის წარმოშობას, რადგან გარკვეულ რეგიონებში განსაკუთრებით კარგი ხარისხის საკვები პროდუქტები მოიპოვება. მაგ.

*Sweet China oranges;*

*Seville Oranges and Lemons ;*

*Spanish Chestnuts ;*

*Ripe Turkish Figs;*

*კარტოფილი ახალციხის!*

*გურჯაანის მარწყვი!*

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ასეთ შემახილებში ირღვევა გრანისისეული კოოპერაციის პრინციპის „ხარისხის მაქსიმა“ – *ილაპარაკე სიმართლე* (გრანისი, 1975:47) და ოსტინისეული სამეტყველო აქტების „იღბლიანობის პირობათაგან ერთ-ერთი, კერძოდ „გულწრფელობის ფაქტორი“ (ოსტინი, 1962: 15). ქართულ რეალობაში გარე მოვაჭრეები

ხშირად გაიძახიან: „ხეთის მანდარინი!“, „აბაშის ღერღილი!“, „რაჭული ნიგოზი!“, „ზესტაფონის ყველი!“ და სხვ. ეს ფაქტი რომც არ შეესაბამებოდეს სიმართლეს, ამა თუ იმ პროდუქტით ცნობილი რეგიონის დაასახელება მაინც იპყრობს მყიდველთა ყურადღებას.

## დასკვნა

როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისურ და ქართულ გარე მოვაჭრეთა შემახილებში მრავალი მსგავსი დისკურსული მახასიათებელია. თუმცა, ცხადია, ამ საანალიზო ენებს შორის გამოვლინდა გარკვეული განსხვავებებიც, რადგან ქუჩის მოვაჭრეთა შემახილებზე კულტურული, ეკონომიკური და ყოფითი განსხვავებები აისახება. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელ ქუჩის მოვაჭრეთა შემახილების ნიმუშები ძირითადად მე-19 საუკუნის მაგალითებია, ხოლო ქართველ გარე მოვაჭრეთა დისკურსის ნიმუშები აღებულია თანამედროვე ყოფიდან. ეს არჩევანი, ბუნებრივია, შესაბამისი ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაა განპირობებული. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი განსხვავებებისა, ორივე საანალიზო ენასთან მიმართებით გამოიკვეთა ქუჩის მოვაჭრეთა დისკურსის შემდეგი საერთო ლინგვისტური მახასიათებლები: პროდუქტის სახელის გამეორება, სპეციფიკური ინტონაცია, ხმოვნების დაგრძელება/გამღერება, კითხვითი ფორმების გამოყენება, პროდუქტის წარმოშობისა და ხარისხის ხაზგასმა, აქცენტის გაკეთება ხელმისაწვდომ ფასზე და მყიდველის ყურადღების მიქცევა შორისდებულების მეშვეობით.

## ლიტერატურა

**ოსტინი (1962)** – Austin, J. (1962). *How to Do Things with Words: The William James Lectures delivered at Harvard University in 1955, 1962* (eds. J. O. Urmson and Marina Sbisa), Oxford: Clarendon Press. ISBN 0-674-41152-8

**ელგინი (1990)** – Elgin, S, (1990). *The Gentle Art of Verbal Self-Defense*. Prentice Hall, Business and Professional Division <https://www.sellingpower.com/2010/02/02/3487/turn-the-power-of-linguistics-into-sales-magic> (ნახვა: 14 მაისი, 2023).

**გოქსაძე et al (2019)** – Goksadze L., Mamatsashvili N., Gigineishvili M. (2019). *An Advanced Course in Current English Grammar. Volume I, Revised by Nana Mamatsashvili*. Tbilisi.

**გრაციო (1975)** – Grice H.P (1975) . *Logic and Conversation*. pp. 41–58 in *Syntax and Semantics 3: Speech Acts*, edited by P. Cole and J. J. Morgan. New York, NY: Academic Press.

**ჰოლერანი (2012)** – Holleran C. (2012). *Shopping in Ancient Rome*. Oxford University Press.

**რუსნი (2020)** – Rusni (2020). *The Speech Acts of Sellers and Buyers in The Gelumbang Village Market, Gelumbang District, MuaraEnim Regency*. *Jurnal Pendidikan Bahasa dan Sastra Indonesia*, Volume 1 Number 7 April 2020. Page 1-5 p-ISSN: 2477-5924 e-ISSN: 2477-4878. Retrieved from <file:///C:/Users/Ira/Desktop/admin.+pdf.+RUSNI.pdf> (17.05.2023).

**სერლი (1969)** – Searle, J. R. (1969). *Speech acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.

<https://ufcw324.org/extra-extra-read-all-about-the-real-newsies-/#:~:text=During%20the%20mid%2D19th%20to,corner%2C%20yelling%2C%20%E2%80%9CEXtra!> (ნახვა 25 მისი, 2023)

IRINE DEMETRADZE

## **The Linguistic Peculiarities of the Discourse of Street Vendors**

(On the Material of English and Georgian Languages)

### Summary

The aim of the paper is to analyze the linguistic peculiarities of the discourse of street vendors based on the English and Georgian empirical material. The data have been obtained from internet-sources and live speech. The theoretical framework of the paper is speech acts theory and Grice's cooperation principle. The discourse of street vendors is analyzed



from the sociolinguistic and pragmatic viewpoints. The research has proved that the cries of street vendors in Georgia and English-speaking countries reveal numerous similarities. Naturally, there are certain differences caused by cultural, social and economic peculiarities. Besides, the English-language street cries analyzed in the paper are mostly examples of the 19<sup>th</sup> century, whereas the examples of discourse of the Georgian criers are obtained from modern reality. Naturally, this choice is based on corresponding extralinguistic factors. Despite the above-mentioned differences, with regard to the two languages under analysis, research has revealed numerous common linguistic features: repetition of the product's name, specific intonation patterns, lengthening/chanting of the initial or final vowels, the use of interrogative forms, emphasis on the quality, origin and low price of the product and attracting of the buyers' attention by means of specific interjections.

ზაალ კიკვიძე

**ბესარიონ ჯორბენაძე და თეორიული  
ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები\***

ენის, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთობა-ურთიერთქმედების საკითხებზე მუშაობისას თვალნათლივ გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: თუ სოციოლოგებისა და კულტუროლოგებისათვის გაცილებით ადვილია თავიანთი საგნისა და საკვლევი ობიექტების ადეკვატური განსაზღვრა, ენათმეცნიერებაში ამ მხრივ უფრო რთულადაა საქმე, რადგანაც, როგორც ცნობილია, არსებობს ენის ნაირგვარი გაგება და განმარტება, რომლებიც, არათუ ეწინააღმდეგებიან, ხშირად კიდევაც გამორიცხავენ ერთმანეთს (აღნიშნული მრავალფეროვნება კი თითქმის იმის პირდაპირპროპორციულია, რამდენიც საენათმეცნიერო სკოლა და მიმდინარეობა არსებულა). თავისთავად ცხადია, რომ ენის რაობის განსაზღვრა ენათმეცნიერების საკონსტიტუციო საკითხია და მისი დაზუსტების არაერთი თავისებური მცდელობის მოწმენი გავმხდარვართ შესაბამისი დარგების, ქვედარგებისა თუ მიმდინარეობების წარმომადგენლების ნააზრევის გაცნობისას. რადგანაც ენის რაობისადმი თავისებური მიდგომა ჩვეულებრივ ამოსავალ დებულებად აღიქმება, განსხვავებები და წინააღმდეგობები განვითარებას ჰპოვებს ნებისმიერი ენობრივი პრობლემის განხილვაშიც, რაც ერთგვარი „პარალელური“ რეალობის შექმნის საფრთხეებს შეიცავს. არსებულ ნაირგვარ მიდგომებზე მსჯელობისას ენათმეცნიერებაში კანონზომიერად გამოიყოფა ორი დიდი სფერო: კერძო და ზოგადი. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ამ სფეროებს შორის დიდი უფსკრულია ანაც ჩინური კედელია აღმართული და, შესაბამისად, მათ ნაკლებად თუ აქვთ რაიმე

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

საერთო. ამ სფეროებს შორის განსხვავებები, ცხადია, არსებობს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი ავსებენ და სრულყოფენ ერთმანეთს. ენათმეცნიერებაში ეს კანონზომიერი და ნაყოფიერი პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს; ერთი მხრივ, ზოგადი ენათმეცნიერება საზრდოობს კონკრეტულ ენათა ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შესრულებული გამოკვლევების შედეგებით, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგად ენათმეცნიერებაში თეორიული მოდელები, თეორიები და მიდგომები აქტიურად და ეფექტურად მოიხმარება კერძო საენათმეცნიერო გამოკვლევებში. სიმართლე რომ ვთქვათ, ძნელად თუა წარმოსადგენი როგორც თეორიულ ვაკუუმში შესრულებული კერძო საენათმეცნიერო ნაშრომი, ისე კონკრეტული, რეალურად არსებული ენების მონაცემთა ანალიზის საფუძველს მოკლებული ზოგადენათმეცნიერული ნააზრევები. მაშასადამე, ეს ორი სფერო ლოგიკურ სიმბიოზს ქმნის, რაც, რასაკვირველია, ორმხრივად სასარგებლოა. აღსანიშნავია, რომ ეს სიმბიოზი თვალსაჩინოა ბესარიონ ჯორბენაძის საენათმეცნიერო ნაშრომების მკითხველისათვის. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ, თუ რა მოცულობით და როგორ არის წარმოდგენილი ღვაწლმოსილი მკვლევრის ნაწერებში როგორც ენის რაობის, ასევე თეორიული ენათმეცნიერების სხვა საფუძველთდამდები საკითხები, და როგორ არის გამოყენებული ცალკეულ ენათა კვლევისას უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული თეორიული მიდგომები. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის თეორიული მოსაზრებები, რომლებიც არაერთ ნაშრომშია მოცემული, ერთ, მთლიან, მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებულ მოძღვრებას ქმნის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველად უნდა განვიხილოთ ბესარიონ ჯორბენაძის თვალსაზრისი ენის რაობის შესახებ. რა არის ენა? მართლაც, ეს ენათმეცნიერების ცენტრალური, საკონსტიტუციო საკითხია. ნებისმიერი ავტორი, რომელიც ენის შესახებ წერს, ცდილობს თავისებურად გასცეს პასუხი ამ შეკითხვას. ამ მხრივ, „ცდა მრავალი იყო, ფასეული შედეგი – გაცილებით უფრო ნაკლები, საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ დღესაც არ მოგვეპოვება ენის რაობის იმანენტური განმარტება, არ მოგვეპოვება, რადგან ყველა არსებული განმარტება არსებითად არის ენის შეფასება მეცნიე-

რების სხვა დარგების (და არა ენათმეცნიერების) პოზიციებიდან“ (ჯორბენამე 1980, 19).

მართლაც, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ზოგიერთ ყველაზე გავრცელებულ განმარტებით ფორმულირებას, მაშინვე აშკარა გახდება, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ენის შინაგან არსში ჩაწვდომის ცდას. სანიმუშოდ ავიღოთ ორი საკმაოდ გავრცელებული განმარტება: ა) „ენა არის ურთიერთობის (კომუნიკაციის) საშუალება“ და ბ) „ენა არის აზროვნების იარაღი, საშუალება“ ან „ენა არის აზროვნების ფორმა.“ ორსავე შემთხვევაში ამოსავალია ენის დანიშნულებითი (მოხმარებითი) ასპექტები; პირველში ხაზგასმულია ენის უმნიშვნელოვანესი, საზოგადოებრივი ფუნქცია, მისი არსებობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ხოლო მეორეში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციაზეა საუბარი: ენა როგორც ცნობიერების პროდუქტი და იმავდროულად ცნობიერების გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ღირსსაცნობია, რომ ამგვარ განმარტებებს იზიარებენ არა მხოლოდ ენათმეცნიერები, არამედ ფსიქოლოგებიცა და ფილოსოფოსებიც. მიუხედავად ორივე აღნიშნული ასპექტის გამორჩეული მნიშვნელობისა, მათზე ორიენტირებული ეს განმარტებები არანაირადაა მოწოდებული იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს ენის იმანენტურ რაობას. აი, კიდევ ერთი გავრცელებული დეფინიცია: გ) „ენა არის ფსიქიკური სტატუსის უშუალო გამოხატუველი.“ ამგვარი ფორმულირების მომხრეთათვის ამოსავალ დებულებას ის წარმოადგენს, რომ ფსიქოლოგიის მონაცემები უნდა გამოვიყენოთ ენობრივი მოვლენების არსის რკვევისას. პირველი ორი განმარტება ნამდვილად გულისხმობდა ენათმეცნიერთა კომპეტენციაში შემავალ ზოგიერთ ასპექტს, ამ უკანასკნელს კი ფაქტობრივად გავყავართ დარგის ფარგლებს მიღმა. დაბოლოს, დ) „ენა არის ნიშანთა სისტემა.“ მიუხედავად იმისა, რომ ამ განმარტებამ არსებითად გასულ საუკუნეში მოიპოვა მოქალაქეობის უფლება და ერთ-ერთი წამყვანი დებულებაც გახდა, ბესარიონ ჯორბენამე გვიჩვენებს, რომ მე-19 ან მე-20 საუკუნეში მოღვაწე ლინგვისტები სულაც არ ყოფილან პიონერები ამ საქმეში; ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, დახასიათება სინამდვილეში არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებაში იღებს სათავეს. უფრო მეტიც, ენათმეცნიერების ისტორიის ბრწყინვალე ცოდნაზე დაყრდნობით, ავტორი საშუალებას გვაძლევს ცხა-

დად დავინახოთ, რომ თვით სემიოტიკოსებს შორისაც არ გვქონია ერთსულოვნება ენობრივი ნიშნის რაობის საკითხშიც კი. ზოგიერთი მათგანისათვის ეს სამეტყველო ბგერებია, ზოგისათვის სიტყვები, სხვები აცხადებენ, რომ ნიშანი არის ცნებისა და აკუსტიკური სახეების კომბინაცია, რომ ნიშანი ჩვეულებრივ გამოიყენება აზრის შეტყობინების ხილული პროცესის აღსანიშნავად, ან კიდევ ნიშანი არის მოცემული ენობრივი მნიშვნელობის მაჩვენებელი, გამომხატველი. როგორც ვხედავთ, „მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში დაწყებულმა კამათმა ენობრივი ნიშნის ბუნების შესახებ ჩვენს დრომდე მოაღწია და მოპაექვე მხარეები რადიკალიზმსაც კი არ მორიდებიან საკუთარი თვალსაზრისების დასასაბუთებლად, დაპირისპირებულ პოზიციათა წარმომადგენლები საოცარ ერთსულოვნებას ამჟღავნებენ იმ დებულებასთან დამოკიდებულებაში, რომლის მიხედვითაც ენა არის ნიშანთა სისტემა, სამწუხაროდ, აღნიშნული დებულება ხშირად, სხვათა შორის, სახელმძღვანელოებშიც კი, აქსიომატურად იყო წარმოდგენილი. ნიშანთა სისტემიდან ამოსვლით განსაზღვრავდნენ ეთნოგრაფიას, მოდას, მხატვრულ ლიტერატურას, კინოს, საერთოდ, კულტურასა და ხელოვნებას. ამავე სიბრტყეზე განიხილებოდა ენაც“ (კიკვიძე 2010, 49). არსებობს ლაკონური, ცალსახა და მრავლისმთქმელი პასუხი, რომელიც, ჩვენი აზრით, ხსნის დამატებითი კითხვების საჭიროებას:

„არის თუ არა ენა ნიშანთა სისტემა  
ლოგიკისათვის – კი,

**ენათმეცნიერებისათვის – არა!“** (ჯორბენაძე 1997, 20).

ფაქტია, რომ „ენა იყენებს ნიშანთა სისტემას, მაგრამ უბრალო (ანუ: ნებისმიერ არამოტივირებულ) ნიშანთა სისტემამდე დაყვანილი ენა კარგავს თავის არსებით თვისებებს – ხატოვანებასა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და ცნებითობას (არაცნებითი ენაში მხოლოდ საკუთარი სახელებია)“ (ჯორბენაძე 1980, 25). საკითხის ისტორიის გამოწვლილვითი ანალიზის კვალად ავტორი გვიჩვენებს, რომ ენათმეცნიერებს სულ სხვადასხვაგვარად ესმით ტერმინი ‘ნიშანი’. როგორც ცნობილია, ენობრივი ნიშანი ძირითადად ენის ფარგლებს მიღმა არსებულ მოვლენებთან და ფაქტებთან ასოცირდებოდა. სინამდვილეში კი, რადგანაც იგი არ შეიძლება უშუალოდ მიემართებოდეს საგანს ან მოვლენას (ე.ი. ენის მიღმა არსებულ რეალიებს), ნი-

შანი უნდა მიუთითებდეს ენობრივ მოვლენაზე. სწორედ ამ გარემოების გამოა, რომ მეცნიერი გვთავაზობს ენობრივი ნიშნისა და ენობრივი ფორმის ცნებათა მკაცრ გამიჯვნას: ფორმა ასახავს (გამოხატავს), ხოლო ნიშანი აღნიშნავს; და, რადგანაც ენა ასახავს არა ყოფიერების, არამედ ცნობიერების ფაქტს, ასახავს ცნებებად გარდაქცეულ საგნებსა და მოვლენებს და ისიც მაშინ, როდესაც ეს ცნებები ენაში ენობრივ ფუნქციებად გარდაიქმნება, ბესარიონ ჯორბენაძე გვთავაზობს ენის საკუთრივ ენათმეცნიერულ განმარტებას: „ენა არის თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმათა სისტემა, რომლითაც გამოიხატება (წარმოისახება) ენობრივ ფუნქციებად ტრანსფორმირებული სინამდვილე ცნობიერებისა“ (ჯორბენაძე 1980, 45). გამოჩეულად ფასეულია ის გარემოება, რომ ეს განმარტება ობიექტურად მიუთითებს ენის შინაგან ბუნებაზე და არც მის გარეგან ასპექტს ტოვებს უყურადღებოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კანონზომიერი ინტერესი იმის მიმართ, თუ რა განსაზღვრავს ენობრივი სისტემის არსს, მის სახეს, მის თავისთავადობას: პოტენცია თუ რეალიზაცია? რა თქმა უნდა, ეს საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებებთან. ფერდინანდ დე სოსიური მათს შორის კომპრომისს თითქმის გამორიცხავდა, რადგანაც ეს გამიჯვნა მის თეორიულ სისტემაში ცალსახად უკავშირდებოდა ენისა და მეტყველების დიქტომიას, რომელთა მიჯნაზე მან ერთგვარი ჩინური კედელი აღმართა (სოსიური 2002, 20-26). ბესარიონ ჯორბენაძე კი გვიჩვენებს, რომ ამგვარი „კედლის“ საჭიროება მნელად თუ არსებობს,<sup>1</sup> რადგანაც „სინქრონიული და დიაქრონიული დონეები განარჩევენ რეალიზაციის სხვადასხვა საფეხურს, ... სინქრონია და დიაქრონია რეალიზაციის სფეროს განეკუთვნება და არ შეეხება ენის პო-

---

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე შეგნებულად უვლის გვერდს სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროზე შემოთავაზებულ ცნებებს „აქრონია“ და „პანქრონია.“ ამის მიზეზი ისაა, რომ „აქრონია“ ნიშნავს „დროის გარეშე,“ რაც მნელად წარმოსადგენია ადამიანის ბუნებრივ სამეტყველო ენაში; რაც შეეხება „პანქრონიას,“ იგი „არსებითად განსხვავდება მუდმივის ჩვენეული გაგებისაგან: პანქრონია ის მუდმივია, რომელიც ყველა ენაში იჩენს თავს, არსებითად ეს არის ენის ფუნქციონირების ლოგიკისტური საყრდენის ძიება. „კონსტანტა“ („მუდმივი“) კი, ჩვენი წარმოდგენით, არის ის მუდმივი, რომელიც საკუთრივ მოცემულ ენაში იჩენს თავს და რაც მას სხვა ენებისაგან განასხვავებს“ (ჯორბენაძე 1980, 70).

ტენციას, ენის მუდმივ, „დროის გარეშე“ არსებულ მონაცემს“ (ჯორბენაძე 1980, 46). რახან თითოეული ინდივიდი თავის ხელთ არსებული ენობრივი მემკვიდრეობის (ენობრივი ინვენტარისა და ყალიბების) გამოყენებით ქმნის აზრის ახალ გამოხატულებას, ენობრივი ქმედება ჭეშმარიტად შემოქმედებით პროცესად უნდა მოვიაზროთ; და მაინც, აღნიშნული ინვენტარი მას ხომ მზა სახით ეძლევა, ე.ი. იღებს გარკვეული შემოქმედების პროცესის პროდუქტს: „ენა ერთდროულად წინარე შემოქმედებითი პროცესის შედეგიც ყოფილა და შემოქმედებითი ქმნადობაც; სხვაგვარად: ენა ისეთი შედეგია, რომელიც თავის თავში იმთავითვე შეიცავს შემოქმედების პოტენციას ... ენა, როგორც შემოქმედება, გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერებების არსებობას“ (ჯორბენაძე 1980, 57-58). ჩვენი აზრით, სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ფაკულტატიურობის საკითხი ენაში.

1985 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები“ ბესარიონ ჯორბენაძე განიხილავს გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებს ქართულში. ავტორის განუზომელი დამსახურება ისიცაა, რომ მყარ მეცნიერულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ფაკულტატიურობის ცნება ენობრივი თვალსაზრისით.

თავიდანვე უნდა გავხაზოთ, რომ ბ. ჯორბენაძისეული „ფაკულტატიური“ უპირისპირდება არა სავალდებულოს, არამედ ძირითადად: „მართალია, ფაკულტატიური ნიშნავს არამართადად, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაკანონზომიერია, შემთხვევითია, რომ იგი ამორიდებულია ენის საერთო სისტემიდან“ (ჯორბენაძე 1985, 20). როგორც ვხედავთ, ამგვარად გაგებული ფაკულტატიური გრამატიკა ენის „პოტენციალიტეტის“ კვლევას ისახავს მიზნად, რაც ფრიად სერიოზული ამოცანაა; მით უმეტეს, რომ „ფაკულტატიურად გამოყენებულ ელემენტთა ერთი ნაწილი ფაკულტატიურადვე რჩება, სხვა – დროთა განმავლობაში ძირითადი ინვენტარის სტატუსს იძენს“ (ჯორბენაძე 1985, 9). მაშასადამე, მოცემული ენის სრულფასოვანი შესწავლა, მისი შინაგანი და გარეგანი თავისებურებების მიახლოებით ზუსტი აღწერაც კი შეუძლებელი ჩანს ფაკულტატიურ ენობრივ საშუალებათა უგულებელყოფით. **ფაკულტატივები** (ასე შეიძლება ვუწოდოთ შესაბამის ენობრივ საშუა-

ლებებს) ენის განვითარების ერთ მონაკვეთზე შესაძლოა ნაკლები გამომსახველობის ლინგვისტურ სინამდვილეს წარმოადგენდნენ, მაგრამ განვითარების შემდგომ ეტაპზე ბევრი მათაგანი ენის ორგანიზმის სრულფასოვანი არტერია ხდება.

ღირსსაცნობია, ბ. ჯორბენაძის კიდევ ერთი გამონათქვამი: „მუდმივი იარლიყები ენაში არ არსებობს და საჭიროების დროს ნებისმიერი ფორმოზოცი ელემენტი ნებისმიერი დანიშნულებით შეიძლება გამოიყენოს ენამ, სავსებით განსხვავებულ სისტემებში შეიყვანოს და ამით სავსებით განსხვავებულ ელემენტებს ამოუყენოს გვერდით. ყოველ შემთხვევაში ენას აქვს ამის პოტენცია, თუმცა კონკრეტული რეალიზაცია, შესაძლოა, არც ისე ხშირად ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ნებისმიერობა არ ნიშნავს განუკითხაობას, ამ ნებისმიერობას თავისი კანონზომიერება აქვს“ (ჯორბენაძე 1980, 261). აღნიშნულ მონოგრაფიაში კი მრავლადაა განხილული, ერთი შეხედვით, ნებისმიერი, მაგრამ სინამდვილეში სავსებით ახსნადი, თუმცა არაძირითადი ენობრივი მოვლენა; სწორედ ამ სახის მოვლენების შესწავლა „წარმოაჩენს ენის „დაფარულ“, ჯერ გამოუვლენელ შესაძლებლობებს, ენის პოტენციას, შეპირობებულს თვით მისი შინაგანი სტრუქტურით“ (ჯორბენაძე 1985, 20). რახან ფაკულტატიური გრამატიკა (resp. ფაკულტატიური ლინგვისტიკა) კონცენტრირებულია დინამიკური ხასიათის ენობრივ მოვლენებზე, მის მიერ განხილული მასალისადმი კანონზომიერ ინტერესებს ავლენენ სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და მისთანა დისციპლინები. თავის დროზე ცნობილი ამერიკელი სოციოლინგვისტი უილიამ ლაბოვი ვარაუდობდა, რომ ყველა ფართომამტაბიანი ენობრივი ცვლილება წარსულში ხორციელდებოდა იმავე მექანიზმების ხელშეწყობით, როგორც მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება (ლაბოვი 1973, 161). ეს ვარაუდი მის მიერვე გამოკვლეული ენობრივი მასალის საშუალებით დადასტურდა, თუმცა ბუნებრივია, რომ მასთან არ ყოფილა გამოყენებული ფაკულტატიურობის ცნება; არადა, ფაკულტატიური ლინგვისტიკის პრინციპების მომარჯვება სხვა ენების მიმართ არანაკლებ ნიშანდობლივი სურათის მომცემი იქნება. ფაკულტატიურობის (შესაძლებლობითობის) ცნების გამოყენება იძლევა ადეკვატური კვალიფიკაციის მინიჭების საშუალებას არაერთი ენობრივი მოვლენისათვის. კვლევითი პრაქტიკის თვალსაზრისით,



ამის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობა, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნიდა თეორიული ბაზის არარსებობა და ცნებითი აპარატის ჩამოუყალიბებლობა. ბესარიონ ჯორბენაძის აღნიშნულ ნაშრომში განხილულ საკითხთა ფართო წრე (აქ გაანალიზებულია ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი, ლექსიკო-სემანტიკური ენობრივი მოვლენები) კი როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ასპექტით ნათელყოფს, რომ აქ მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა არა მხოლოდ ფაკულტატიურ გრამატიკას, არამედ, საერთოდ, ფაკულტატიურ ლინგვისტიკას. ენაში ფაკულტატიურ საშუალებათა შესწავლის განუზომელ მნიშვნელობაზე მეტყველებს შემდეგი დებულება: „სისტემაში ყველაფერი – უმარტივესი შენებიდან ურთულეს სტრუქტურამდე აგების ერთიან პრინციპს ექვემდებარება. ამიტომაც ამ მიმართებათა აღწერისას მათში შემავალ ელემენტთა რაობის უგულბებლყოფა (ან მეორე რიგის მოვლენად მიჩნევა) სავსებით გაუმართლებელია, ხოლო მეთოდოლოგიურად ამგვარი შესაძლებლობის დაშვება – მიუღებელი“ (ჯორბენაძე 1980, 71).

სინქრონიული და დიაქრონიული (ე.ი. ცვლადი) ფაქტორების გვერდით ენაში მოქმედებს ერთგვარი მუდმივაც („კონსტანტა“), ანუ ის ფაქტორი, რომელიც განპირობებულია ენობრივ ერთეულთა შინაგანი ურთიერთქმედებით და ვლინდება ენის პოტენციის სახით. სწორედ იგი განსაზღვრავს ენის თავისთავადობას, მის მდგრადობას. იმ გარემოებას, რომ იგი რეალური მონაცემია, ადასტურებს ისიც, რომ „ამ კონსტანტის ცვლილება ენის განვითარების ორ საფეხურს მკვეთრად დაუპირისპირებს ერთმანეთს, ხოლო გლობალური ცვლილება კი ფაქტიურად განვითარების ორ საფეხურს ისე დაუპირისპირებს ერთმანეთს, როგორც ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ (მხოლოდ გენეტურად დაკავშირებულ) ენას. ეს შეიძლება დაემართოს არა მხოლოდ საკუთრივ ენას, არამედ მის რომელიმე დიალექტსაც, რომელიც ამ მიზეზით დამოუკიდებელი ენის სტატუსს მოიპოვებს და ძირეული ენის პარალელურად იარსებებს“ (ჯორბენაძე 1980, 69).

ენათმეცნიერებაში კვლავაც ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ენობრივი ფორმისა და ენობრივი მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საკითხი. საუკუნეების მანძილზე მრავალ მოაზროვნეს უცდია ისეთი საყრდენი წერტილის პოვნა, რომლის საშუა-

ლებითაც წარმოჩნდებოდა ის, რაც წარმოადგენს ენის არსებობის უცვლელ პრინციპს და რაც ამავე დროს განსაზღვრავს მის არსს. ასეთად ბ. ჯორბენაძეს დეტერმინიზმი მიაჩნია: „ენის ყოველი ფორმა, ყოველი სტრუქტურა თუ სისტემა მკაცრად დეტერმინირებულია, განსაზღვრულია სხვა ფორმით, სტრუქტურითა და სისტემით და თავადაც განმსაზღვრელად ევლინება სხვა სტრუქტურებსა თუ სისტემებს“ (ჯორბენაძე 1980, 73). დეტერმინაციის ცნება გლოსემატიკაშიც გვხვდება, თუმცა მას იქ ვიწრო სინტაქსური მნიშვნელობა აქვს (იელმსლევი 1961, 25; ქობალავა 1974, 123-124). ჯორბენაძისეული „დეტერმინაცია“ კი წარმოადგენს არა მხოლოდ ხაზობრივად არსებულ ფორმათა ურთიერთგანპირობებულობას, არამედ ასევე მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს ენის ორ ან მეტ ელემენტს შორის. დეტერმინაცია ითვალისწინებს ურთიერთმიმართებებს როგორც მოცემული ტექსტის ელემენტებს, ასევე ნებისმიერი სისტემისა და სტრუქტურის წევრთა შორის, ე. ი. იგი გულისხმობს განსახილველი სტრუქტურის საერთოენობრივი საფუძვლების კვლევასაც. იმის გამო, რომ ენობრივ ერთეულთა შემადგენელ ნაწილებად დანაწევრების (სეგმენტაციის) პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დეტერმინაციის ფაქტორს, გარჩეულია „საკომუნიკაციო სეგმენტაცია“ და „ლინგვისტური სეგმენტაცია.“ პირველი მათგანი ითვალისწინებს გამონათქვამის არსს. აქ მთავარია ის, რაც შეაპირობებს მყარი თუ მერყევი პროკლიტიკისა და ენკლიტიკის შემთხვევებს, წინადადების ძირითადი ბირთვების ირგვლივ სხვა წევრების თავმოყრას და ა.შ. მისგან განსხვავებით ლინგვისტური სეგმენტაცია მოწოდებულია ენის ფორმობრივი ინვენტარის მოსამზადებლად სათანადო ანალიზისათვის. ასე, მაგალითად, მიმღეობა **გა-კეთ-ებ-ულ-ი** არ ექვემდებარება საკომუნიკაციო სეგმენტაციას; იგი დაუნაწევრებლად, მზა სახით შედის ენობრივ მიმართებებში; უფრო ზუსტად, თვითონ ქმნის მიმართებებს; თუმცა იგი აუცილებლად დაექვემდებარება სეგმენტაციას ლინგვისტურად. ამგვარად, პირველ რიგში უნდა დაიძებნოს ერთსა და იმავე ენობრივ ერთეულის ფორმალურ და სემანტიკურ სტრუქტურათა გამიჯვნის საშუალება. მაგალითად, სტრუქტურაში **ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს** გამოიყოფა შემდეგი მორფოლოგიური ელემენტები (სეგმენტები): **ა-, კეთ-, -ებ, -ინ, -ს.** „თითოეულ მათგანს აქვს აქვს თავისი შენება, თვისება და ქმედება, უნარი გარკვეული

ფორმოზრივი სტრუქტურის შექმნისა და იმავდროულად შემადგენელი წევრია გარკვეული ფორმოზრივი სისტემისა“ (ჯორბენაძე 1980, 83). ამასთანავე, თითოეულ მათგანს მოეპოვება გარკვეული გრამატიკული ფუნქცია; ამ ფუნქციათა შეხამება ერთ ენოზრივ სტრუქტურაში შეპირობებულია მკაცრი სემანტიკური კანონზომიერებებით. სემანტიკური სტრუქტურის ელემენტები შესაძლოა დაემთხვეს ფორმოზრივი სტრუქტურისას. ბ. ჯორბენაძე სამართლიანად ემიჯნება თავის დროზე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებას ენოზრივ ფორმათა „სემანტიკურად სტერილური“ ანალიზის კვალად ობიექტური შედეგების მიღების შესაძლებლობის შესახებ. იგი დასძენს, რომ „მნიშვნელობა „განაგებს“ ფორმოზრივი სტრუქტურის ელემენტების ამორჩევასაც და მათ განლაგებასაც ამა თუ იმ ყალიბში... თუმცა ამ ორგანიზებაში არც საკუთრივ ენოზრივი ფორმის აქტიური ჩარევა უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან“ (ჯორბენაძე 1980, 105).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოტანილია რამდენიმე ფასეული დასკვნაც; კერძოდ, ენაში გვაქვს როგორც ფორმოზრივი, ასევე ფუნქციური ყალიბები, სისტემები და სტრუქტურები. მათი ერთიანობა გვაძლევს მოცემული ენის ლინგვისტურ სტატუსს. ფორმოზრივი ანალიზისათვის არსებობს ორი ძირითადი დასაყრდენი პრინციპი: ფორმის ქმედება და თვისობა. ენაში არის ორი სახის მნიშვნელობა: ლექსიკური და გრამატიკული; ორთავეს ახასიათებს რთული ორგანიზაცია. სწორედ ამ რთული ორგანიზაციის თავისებურებათა დანახვა და ამოხსნა წარმოადგენს სემანტიკური ანალიზის ძირითად მიზანს. რაც მთავარია, აღნიშნული დასკვნები (პრინციპები) ეფექტურადაა გამოყენებული ავტორის მრავალ ნაშრომში, რომლებიც სხვადასხვა კერძოენათმეცნიერული პრობლემის გადაჭრას ეძღვნება და საშუალებას აძლევს ავტორს უაღრესად ღირებული შედეგებიც მიიღოს (იხ., მაგალითად, ჯორბენაძე 1975; 1980; 1983; 1986; 1990; 1995; და ა.შ.).

გამორჩეულად ღირსსაცნობია ბ. ჯორბენაძის მსჯელობა ფონემის შესახებ. ამ საკითხს იგი ეხება მაშინ, როდესაც მიზნად ისახავს ქართული ენის დიალექტთა ბგერითი შედგენილობის დახასიათებას; ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მკვლევარს ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ენის ფონემატური სისტე-

მა, რაც, თავის მხრივ, ფონემის ზუსტ და ცალსახა დეფინიციას უნდა ემყარებოდეს. გასაკვირი სულაც არ არის, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ უამრავი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს; უძველესი ხანიდან, ჯერ კიდევ იმ ეპოქიდან, როცა არ არსებობდა ტერმინი „ფონემა“<sup>1</sup> ჩვენს დრომდე ნაირგვარი თეორია და, შესაბამისად, განმარტება შექმნილა (იხ. ქობალავა 1976). აქედან გამომდინარე, თითქოს სათქმელიც ნაკლებადაა დარჩენილი. და მაინც, როგორც აღმოჩნდა, მოიპოვება ისეთი ენობრივი ფაქტები, რომლებიც საეჭვოდ ხდიან ზოგიერთ, აქსიომატურად მიჩნეულ დებულებასაც კი; კერძოდ, ფონემის უმრავლეს განმარტებაში შეტანილია მნიშვნელობის ასპექტი: იგულისხმება ის, რომ ფონემას აქვს მნიშვნელობის განმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია. თუკი მართლაც ასეა, მაშინ ფონემათა გამოყოფის თვალსაზრისით გარკვეული სიმწელებების წინაშე ვდგებით რიგ შემთხვევაში: „მაგალითად, ქართულურში (ასევე კახურში...) ტაშტი-ი და ტაძტი-ი ფორმების შედარების საფუძველზე შეიძლება დაისვას საკითხი **ა** ბგერის ფონემურობის შესახებ მაშინ, როცა იგი **შ/ს** ფონემის პოზიციური ვარიანტია: ტაშტი//ტასტი. სირთულე უფრო საცნაური გახდება, თუკი ყველა პარალელურ ვარიანტს გავითვალისწინებთ: ტაშტი || ტასტი || ტაჰტი || ტაღტი || ტაჰტი. მსგავსი ვითარება მორფემათა ზღვარზეც შეიძლება მივიღოთ: და-ი-წერ-ა – და-ე-წერ-ა „და-ს-წერ-ა“ (**ო**- და **ა**- გრამატიკული მნიშვნელობით განასხვავებს ამ ორ ფორმას, მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი ამ ნიშნით **ა**-ს ფონემატურობის შესახებ დაისვას საკითხი? **ა** აქ **ს**-ს პოზიციური ნაირსახეობაა, სხვა შემთხვევაში იგი **ო**-ს პოზიციური ვარიანტიც შეიძლება იყოს: დე-ე-წერ-ა ← დე-ი-წერ-ა). დაისმის საკითხი: ხომ არ არის ფონემა (ტრადიციული გაგებით) ერთი დიალექტის ფარგლებში? არა! რადგან ტაშტი || ტასტი || ტაძტი პარალელუ-

<sup>1</sup> არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც ტერმინი „ფონემა“ 1873 წელს გამოიყენა ნაკლებად ცნობილმა ფრანგმა ენათმეცნიერმა ა. დიუფრიშ-დეჟენეტმა; სავარაუდოდ მას უნდა დასესხებოდა ფ. დე სოსიური თავის ადრეულ ნაშრომში „მემუარი ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ ინდოევროპულ ენებში“, რომელიც 1879 წელს დაიბეჭდა ლაიფციგში. როგორც ჩანს, სწორედ სოსიურის ამ ნაშრომით ისარგებლა პოლონელმა ენათმეცნიერმა მიკოლაი კრუმეცკიმ, როდესაც ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში განმარტა კიდევ ეს ტერმინი. მოგვიანებით თავის ნამოწაფარს დაესესხა ი. ბოდუენ დე კურტენე, რომელმაც ფონემის მენტალისტური გაგება შემოგვთავაზა (რადვანსკა-უილიამსი 2022, 189).

რად დასტურდება ერთსა და იმავე ტექსტში, ზოგჯერ – ერთ ფრაზაშიც კი“ (ჯორბენაძე 1998, 6-7). ზემოაღნიშნულის საფუძველზე და რამდენიმე ავტორის (არნ. ჩიქობავა, ზ. ჯაფარიძე...) მიერ გამოთქმული არგუმენტების მოშველიებით იგიც სათუოდ ხდის ფონემის ხსენებულ ფუნქციას, რის შედეგადაც სამართლიანად შენიშნავს: „როდესაც ფონემათა დისტინქციურ ფუნქციაზე ლაპარაკობენ, შედეგს ურევნენ მიზეზში: ქორ-ი, ქარ-ი, ქერ-ი ფორმებში განსხვავება მხოლოდ ფონემებით გამოვლინდა, მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს ხმოვნები ამ სიტყვებში მონაწილეობენ იმისთვის, რომ მნიშვნელობა განასხვავონ“ (ჯორბენაძე 1998, 7). უხვ დიალექტურ მასალაზე დაყრდნობით (ბგერათგანვითარება (ურცხო „უცხო“, პოვეტ-ი „პოეტი“, იმჯავრა „იჯავრა“), მეტათეზისი (ზრუგ-ი „ზურგი“, ძრიელ „ძლიერ“, რღმა „ღრმა“), სუბსტიტუცია (თებზ-ი „თეზი“, სამსე „სავსე“, ხნან-ს „ხნავს“), რეგრესული ასიმილაცია (და-ი-წერ-ა → დე-ი-წერ-ა), რეგრესული დისიმილაცია (შე-ა-ტყ-ო → ში-ა-ტყ-ო)) ნაჩვენებია, რომ სიტყვის მნიშვნელობის გამოხატვა და მისი აღქმა მთლიანობაში ხდება, რომ სიტყვა (ფორმა) წარმოადგენს ფონემათა სტრუქტურულ მთლიანობას და არა ცალკეულ ფონემათა არითმეტიკულ ჯამს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია შემდეგი განმარტება: „ბგერა, რომელიც მხოლოდ პოზიციით არ არის შეპირობებული, წარმოადგენს ფონემას, ანუ: ბგერა, რომლის არსებობა ენაში მხოლოდ პოზიციაზე არ არის დამოკიდებული, უნდა განისაზღვროს, როგორც ფონემა“ (ჯორბენაძე 1998, 11). მაშასადამე, ფონემისა და ბგერის მიმართება არ უნდა იქნეს დაყვანილი მათს ცალმხრივ ურთიერთობამდე, რის საილუსტრაციოდაც მოყვანილია ექვსი ტიპური შემთხვევა:

ა) ერთ ფონემას შეესაბამება ერთი ბგერა: ბარი – ამ სიტყვაში ოთხი ბგერა გამომხატველია ოთხი ფონემისა.

ბ) ერთ ფონემას შეესაბამება ორი ბგერა: **აერთი** შედგება ხუთი ბგერისაგან, მაგრამ ფონოლოგიის დონეზე ჩაიწერება როგორც **ერთი** (დე დიფთონგით გამოიხატება ე ფონემა)

გ) ორ ფონემას შეესაბამება ერთი ბგერა: **კორცხი** სიტყვაში ორ ფონოლოგიურად არის უე(ვე).

დ) ფონემას შეესაბამება ირაციონალური ბგერა: მესხური **მაშენ** „მაშინ“, ინგილოური **კარშე** „კარში“.

ე) ფონემას შეესაბამება ნულოვანი „ბგერა“: **წელწადი** „წელიწადი“, **ხალჩა** „ხალიჩა“.

ვ) „ნულოვანი ფონემის“ პოზიციამი დაჩნდება ბგერა: **წავიდა-აა?** აქ **ა** ოდენ ხმოვანთგამყარია, ფონოლოგიური შესატყვისი მას არ აქვს (ჯორბენაძე 1998, 19). რაც მთავარია, ზემოაღნიშნული მიდგომა ობიექტურია, რადგანაც ემყარება ფაქტობრივ ენობრივ მასალას, და ეფექტურია, რადგანაც იგი საშუალებას გვაძლევს ადეკვატურად აღწეროთ ენის ფონემატური სტრუქტურა.

ამრიგად, ფონემის საკითხი განხილულ იქნა დიალექტოლოგიის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის საჭიროებასთან დაკავშირებით. თავის დროზე (ვგულისხმობთ „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ ტომს) ბ. ჯორბენაძემ ცხადად წარმოაჩინა, რას გვაძლევს დიალექტების კვლევა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. „დიალექტი არის ცოცხალი ენობრივი პროცესი, რაც შესაძლებლობას იძლევა თავისსავე დინამიკაში (მოძრაობაში) დავაკვირდეთ ენობრივ მოვლენებს“ (ჯორბენაძე 1989, 190). მრავალი დიალექტური მონაცემი თვალსაჩინოდ ადასტურებს ზოგიერთ თეორიულ დებულებას, კერძოდ, ვარაუდს იმის შესახებ, რომ მონათესავე ენებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობანი ფონეტიკური ცვლილებების („გადაწევის“) შედეგია, რომ ოდესღაც მათ რაოდენობრივი ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი გადაიზარდა თვისებრივ მონაცემში – ენათა განსხვავების საფუძველი გახდა; შესაძლებელია მორფემათა სემანტიკური გადააზრიანება (რეინტერპრეტაცია), რომ დღეს მოქმედ ენებში წარმოდგენილი მორფემა ადრეულ პერიოდში სხვა მნიშვნელობის გამომხატველი იყო; ზოგიერთი მორფემა მიღებულია დამოუკიდებელი სიტყვისაგან მნიშვნელობის ცვლისა და ფორმობრივი ცვეთის შედეგად. „ფრიად ფასეულია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით აგრეთვე ის შედეგები, რაც დიალექტთა ურთიერთგავლენით, დიალექტთა გარდამავალი ზონებით, მომიჯნავე ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებთან დიალექტების კონტაქტით, ასევე, ამა თუ იმ დიალექტში პოვნიერი სუბსტრატული, სუპერსტრატული და ადსტრატული მონაცემებით, სალიტერატურო ენასთან დიალექტების მიმართებით, დიალექტებში ფართოდ გავრცელებული დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესებით ვლინდება“ (ჯორბენაძე 1989, 191-192).

გამორჩეულ ინტერესს იწვევს ბესარიონ ჯორბენაძის შეხედულებები როგორც, კერძოდ, დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის ურთიერთმიმართების, ასევე, საერთოდ, სოციოლინგვისტიკური პრობლემატიკის შესახებ. პირველ ასპექტთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ სოციოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია დიალექტურ მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასებისას; თავის მხრივ, სოციოლინგვისტიკა, რა თქმა უნდა, უხვად საზრდოობს დიალექტური მასალით. ჩვენი აზრით, მსჯელობა ამ ორი სფეროს ურთიერთქმედების შესახებ არ უნდა იქნეს დაყვანილი ოდენ სოციალურ დიალექტებზე. ნიშანდობლივია, რომ ბ. ჯორბენაძე ამგვარ პრობლემათა საკმაოდ ვრცელ არეალს მიმოიხილავს. მათ შორისაა ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკო-სემანტიკისა და პრაგმატიკის საკითხები. სწორედ ასეთ პოზიციაზე დაყრდნობით შეიძლება პერსპექტიულად ჩაითვალოს შემდეგი ასპექტები დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის ურთიერთქმედების თვალსაზრისით:

ა) ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის საქმეში მსოფლიოში მასშტაბით შემუშავებული და აპრობირებული სოციოლინგვისტიკური მეთოდის გამოყენება;

ბ) ქართველურ ენათა დიალექტების წიაღიდან ისეთი ემპირიული მასალის გამოვლენა, რომელიც გაამდიდრებს და სრულყოფს არა მარტო სოციოლინგვისტიკურ, არამედ, საერთოდ, ენათმეცნიერულ თეორიას.

რადგანაც სოციოლინგვისტიკა ენის ფუნქციონირების საზოგადოებრივი კონტექსტის სარკვევადაა მოწოდებული, გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს ენობრივი სიტუაციის ცნება. ენობრივი სიტუაცია არის მოცემულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გავრცელებული და მოხმარებული ენების, მათი ნაირსახეობებისა და მისთანათა ერთობლიობა მათი ნომინალური და რეალური ფუნქციების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი სიტუაცია საზოგადოების ენობრივი პორტრეტია. ამიტომ, რომ საზოგადოების ყველა სერიოზული სატკივარი ამა თუ იმ სახით ენასთანაა დაკავშირებული. ქართველურ ენათა დიალექტების კვლევისას ბ. ჯორბენაძე თავდაპირველად საქართველოში არსებულ ენობრივ სიტუაციას აღწერს. ღირსსაცნობია, რომ წარმოდგენილია

არა მხოლოდ მეოცე საუკუნის მიწურულის სურათი, არამედ ასევე მოცემულია ისტორიულად არსებული ენობრივი სიტუაციის რეკონსტრუქციის ცდა: § 1. ენობრივი სიტუაცია საქართველოში ისტორიულად და ამჟამად; § 2. ქართველურ ენათა გავრცელება (ჯორბენაძე 1991ა; ჯორბენაძე 1995). ეს გახლავთ უაღრესად ფასეული რესურსი საქართველოში არსებული და ქართველურ ენებთან დაკავშირებული ენობრივი სიტუაციის მკვლევართათვის, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ისარგებლეს ან ისარგებლებენ ისინი ამით.

სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ენისა და ეროვნული კულტურის ურთიერთიმართების შესწავლა. „ენა განაპირობებს კულტურის უწყვეტობას. თუკი ჩვენ უძველესი ქართული კულტურის მემკვიდრეებად ვგრძნობთ თავს, ამის მიზეზი ერთიანი ქართული ენის მქონებლობაა. ამის გარეშე ეს კულტურა სისხლხორცეული კი არ იქნებოდა ჩვენთვის, არამედ ისევე შეძენილი, შემდგომ შეთვისებული, როგორც სხვა ერების სულიერი მონაპოვარი. ენამ განსაზღვრა ჩვენი ერთიანობა, ენამ დააკავშირა ერთმანეთთან წარსული და აწმყო, ენა განაპირობებს სულიერ ნათესაობას მომავალთან“ (ჯორბენაძე 1991ა, 6). ის ფაქტი, რომ არა მარტო კულტურა დააჩენს თავის გავლენას ენაზე, არამედ ენაც შეიძლება გამოვიდეს ფაქტორის როლში კულტურის მიმართ, და, ამასთანავე, ეს პროცესები შეიძლება თანადროულად მიმდინარეობდეს, უხვადაა ილუსტრირებული მის ნაშრომებში; საილუსტრაციო მასალაში იგულისხმება არა მარტო ლექსიკური ინვენტარი, არამედ გრამატიკული მოვლენებიც. ენაში ეროვნული მსოფლხედვის გამოვლინებად მოხმობილია შემდეგი მოვლენები:

„ა) ინვერსია გრძნობა-აღქმის ზმნებთან ქართველურ ენებში მაშინ, როცა ევროპული ენები ამ დროს **ძირითადად** პირდაპირ წყობას ინარჩუნებენ...

ბ) დაყოფა **ვინ** და **რა** ჯგუფებად მაშინ, როცა სხვა ენებში განიყოფება სულიერი და უსულო.

გ) დაყოფა **ჰყავს** და **აქვს** სემანტიკად; [...]

დ) დროების ნაირგვარი სისტემა სემიტურ და ინდოევროპულ ენებში – **სემიტურში** არსებითად გვაქვს ასპექტი: სრული და უსრული.



ე) სახელობითი და ერგატივი სუბიექტის ბრუნვად მაშინ, როცა სხვა ენებში სუბიექტი მხოლოდ სახელობითით გადმოიცემა“ (ჯორბენაძე 1997, 17-18).

მკვლევარი მკაცრად ემიჯნება საკითხის ვულგარიზაციის მომხრეებს, რომელთაც ეადვილებათ ენის გათანაბრება ნიშანთა სისტემებთან (მაგალითად, მორზეს ანბანი, საზღვაო სიგნალიზაცია და მისთ.), ეროვნული და ხელოვნური (უსულო) ენების გაიგივება, ენა-სა და საზოგადოებას შორის სწორხაზოვანი სურათის დახატვა. იგი ხაზგასმით აცხადებს, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა უშუალო დანაშრევის სახით ვერ იქნება წარმოდგენილი ენაში, რომ ენა მექანიკურად არ აირეკლავს ყოფიერების ფაქტს, რომ მისი ენობრივი გამოხატულება გარკვეული ენობრივიგააზრების, გაცნობიერების შედეგია. აქედან გამომდინარე, იგი გვთავაზობს „ენობრივი რეალიზმის ცნებას.“ ეს გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება თანამედროვე კოგნიტიური ლინგვისტიკისათვის.<sup>1</sup> ზემოაღნიშნულის საფუძველზე ბ. ჯორბენაძე წარმოგვიდგენს უაღრესად ფასეულ დასკვნას:

„ენა უშუალოდ არის შეპირობებული აზროვნებით.

აზროვნება ქმნის კულტურას.

ორთავეს უკუგავლენა აქვს: **კულტურას აზროვნებაზე, აზროვნებას – ენაზე.**

მამასადაძე, იქმნება თავისებური წრე („ჯადოსნური წრე“)**– კულტურა – ენა – კულტურა**, გაშუალოებული აზროვნებით. ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება (ჯორბენაძე 1997, 14). აღნიშნულის კვალად, შეიძლება თამამად განვაცხადოთ შემდეგი: ენის წყალობით ჩამოყალიბდა ადამიანთა მოდგმა, რადგანაც სწორედ ენამ შეგვიქმნა ცნობიერება. ჩვენი ენობრივი ცნობიერება ჩვენი კულტურული (გონითი, სულიერი) ცხოვრების ამგები ფაქტორია. ენა ხომ ერის გონითი ფასეულობების თავისებური ანაბეჭდიცაა, ანაბეჭდია არა მარტო იმისა, რაც არის, არამედ იმისაც, რასაც მატერიალური შესაბამისი უკვე აღარ მოეპოვება. აქედან გამომდინარე, ენა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც წარსულისა და აწმყოს შემაკავ-

<sup>1</sup> მეცნიერი აქ გულისხმობს არა კატცისა და პოსტალის (1991) ან მათ მიმდევართა მსგავს ფილოსოფიურ „რეალიზმებს,“ არამედ სამყაროს ენობრივ აღქმა-შემეცნებას.

შირებელი უმძლავრესი მამოძრავებელი ძალა. ამის გამოა, რომ ენას მივიჩნევთ ეროვნული კულტურის არსებით შემადგენლად, ასევე მის აგებაში მონაწილე ფაქტორადაც. სწორედ ბ. ჯორბენაძის მიერ ამგვარად დასაბუთებულმა დებულებამ შეგვიქმნა მყარი საფუძველი, რომ ადეკვატურად გაგვეანალიზებინა შესაბამისი ემპირიული მასალა და კითხვაზე: ენა კულტურაში თუ კულტურა ენაში? გაგვეცა ყველაზე მართებული პასუხი: ენა კულტურაში და კულტურა ენაში (კიკვიძე 2015, 124).

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი ცხადად ჩანს, თუ რამდენ ფასეულ თვალსაზრისსა თუ დებულებას აწვდის ბესარიონ ჯორბენაძის არაერთი ნაშრომი თეორიული ენათმეცნიერების სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ მკითხველს. ჩვენი აზრით, მათ შორის მრავლადაა ისეთებიც, რომელთა საშუალებითაც ავტორმა თავის დროს გაუსწრო. რაც მთავარია, მისი თეორიული დასკვნები შესაბამისი მასალის გამოწვლილვითი ანალიზის შედეგადაა მიღებული. ამიტომაცაა ისინი ადეკვატური, ფასეული, ეფექტური და ამავე დროს გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე.

## ლიტერატურა

**იელმსლევ 1961** – Hjelmslev, L. *Prolegomena to a Theory of Language*. Madison: University of Wisconsin Press, 1961.

**კიკვიძე 2010** – ზ. კიკვიძე, ენა, გენდერი და ნაციონალიზმი. თბილისი: უნივერსალი, 2010.

**კიკვიძე 2015** – ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015.

**ლაბოვი 1973** – Labov, W. *Sociolinguistic Patterns*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1973.

**რადვანსკა-უილიამსი 2022** – Radwańska-Williams, J. The Kazan School: Jan Baudouin de Courtenay and Mikołaj Kruszewski. *The Oxford History of Phonology*, ed. by B. E. Dresher & H. van der Hulst, 179-202. Oxford: Oxford University Press, 2022.

**სოსიური 2002** – ფ. დე სოსიური, ზოგადი ლინგვისტიკის კურსი. თბილისი: დიოგენე, 2002.

**კატცი & პოსტალი 1991** – Katz, J. & Postal, P. M. Realism vs. Conceptualism in Linguistics. *Linguistics and Philosophy*, 14/5, 1991: 515-554.

**ქობალავა 1974** – ი. ქობალავა, მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები IV, 1974: 108-177.

**ქობალავა 1976** – ი. ქობალავა, ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში. თბილისი: მეცნიერება, 1976.

**ჯორბენაძე 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1975.

**ჯორბენაძე 1980** – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980.

**ჯორბენაძე 1983** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1983.

**ჯორბენაძე 1985** – ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1985.

**ჯორბენაძე 1986** – Джорбенадзе, Б. А. Грузинский глагол. Тбилиси: Издательство ТГУ, 1986.

**ჯორბენაძე 1991ა** – ბ. ჯორბენაძე, ენა, საზოგადოება, ერი. ლიტერატურა და ხელოვნება N 1, 1991: 5-25.

**ჯორბენაძე 1991ბ** – Jorbenadze, B. The Kartvelian Languages and Dialects (General Review). Tbilisi: Mecniereba, 1991.

**ჯორბენაძე 1995** – ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, 1995.

**ჯორბენაძე 1997** – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა. თბილისი: ქართული ენა, 1997.

**ჯორბენაძე 1998** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2. თბილისი, 1998.

**Besarion Jorbenadze and Key Issues  
of Theoretical Linguistics**

Summary

When dealing with various problems related to diverse aspects of human language, two large domains, special and general, are singled out. Admittedly, there is no inseparable gap between these domains: they are closely interconnected and interdependent. Any research conducted in the field of special linguistics is unimaginable without regarding some basic postulates of general linguistics and vice versa. These two domains do make up a logical symbiosis. The mentioned symbiosis is evidenced in Besarion Jorbenadze's works. The paper aims to discuss Jorbenadze's approach to such key issues of theoretical linguistics as: the nature of human language, language as a system of signs, facultative grammar, variable and constant in language, form and content in language based on diverse verb forms in Georgian, problems related to the identification of phonemes based on the data from various dialects of Georgian, interrelationship of sociolinguistics and dialectology etc.

Jorbenadze's viewpoints on the relationship between language, on the one hand, and society and culture, on the other, are of particular relevance for those multiple, versatile and complex aspects of language study linked to the mentioned relationship.

Besarion Jorbenadze's explorations are a valuable source for those interested in various issues of theoretical linguistics. It is noteworthy that the theoretical results of his studies are based on thorough analyses of empirical data therefore, they are of particular significance in a long-term perspective.

ციციანო კვანტალიანი

ისევ უმ- ზმნისწინის რამდენიმე ნიუანსის შესახებ\*

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის თანახმად „ზმნისწინის ერთი ძირითადი ფუნქციაა ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის დაცვა. ზმნისწინი ახალი ზმნის მაწარმოებელი ელემენტია. ზმნების დიდ ნაწილში იგი სწორედ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გვხვდება“ (ნ. ჭუმბურიძე 2001, გვ. 11). ჩვენი აზრით, ზმნისწინი არის სიტყვაწარმოებითი, ზოგჯერ ფორმაწარმოებითი მორფემა. ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება მის ფორმაწარმოებაშიც ჩანს. ზმნისწინისათვის უმთავრესი სწორედ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებაა (კვანტალიანი, 2001, დისერტაცია, გვ. 148).

ჩვენი ვარაუდით, „ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია უდავოდ მიმართულების აღნიშვნა იყო, მაგრამ მან ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის უნარი ძველ ქართულშივე იტვირთა.

რაკი ახალ ქართულში ზმნისწინს დაუკავშირდა დროისა და ასპექტის ჩვენება, უკვე ამ ერთობლიობამ უფრო მეტად გამოიწვია ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შეცვლა. ამის შედეგია ძველსა და ახალ ქართულში ზმნისწინის ფუნქციებს შორის განსხვავება. ჩვენი აზრით, ახალ ქართულში სწორედ ამიტომ იქცა ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია უკვე ძირითად, წამყვან ფუნქციად“ (კვანტალიანი, 2001, დისერტაცია, გვ. 150).

დღეს ზმნისწინიანი ზმნების დიდ ნაწილში მიმართულება არ ჩანს, მაგრამ, დროისა და ასპექტის გამოხატვის გარდა, ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები იკვეთება, ოღონდ სხვადასხვა, ნიუანსობრივი გაგებით დატვირთული: მოქმედების სასრულობის გამოხატვა; საზედაო სიტუაციის გამოხატვა, უნებლიობის გამოხატვა და ა. შ. (იქვე, გვ. 150).

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

ამჯერად, გვაინტერესებს შე- ზმნისწინი და მისი მნიშვნელობები. შე- ზმნისწინზე სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი დაწერილა და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული პოლისემიური და ამავე დროს საინტერესო ზმნისწინია.

შე- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ჩვენც სათანადოდ გვაქვს შესწავლილი, მაგრამ გვაქვს კიდევ რამდენიმე დაკვირვება.

შე- ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა მიმართულების აღნიშვნა. ეს მიმართულება შეიძლება იყოს გარედან შიგნით მიმართული (მარტიროსოვი, 1953, გვ. 88; ვეშაპიძე, 1967, გვ. 198). მაგალითად, **შე-ვიდა, შე-იყვანა, შე-ანთებს, შე-აღებს, შე-აბნევს.**

შე- ზმნისწინი აღნიშნავს ირგვლივ მოქმედებას, მოძრაობას: **შე-იბამს, შე-ირტყამს, შე-ახვევს, შე-ფუთავს** (ჩუბინაშვილი, 1855, გვ. 74; მარტიროსოვი, 1953, გვ. 88-89; ვეშაპიძე, 1967, გვ. 212-213).

შე- ზმნისწინი აღნიშნავს ქვევიდან ზევით მიმართულ მოქმედებას: **შე-დგება, შე-ყრის, შე-აგდებს, შე-ასხამს** (ორბელიანი, 1928; შანიძე, 1980, გვ. 258; მარტიროსოვი, 1953, გვ. 89; კვაჭაძე, 1981, გვ. 244). ასეთ ზმნებში შე- ზმნისწინი რამდენადმე საზედაო სიტუაციაზე მიანიშნებს.

შე- ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების ოდნაობას, სიცოტავს: **შე-ათბობს, შე-ასუსტებს, შე-არბილებს, შე-აფერადებს, შე-ალამაზებს, შე-აშველებს, შე-ათეთრებს** და სხვა ზმნებში (შანიძე, 1980, გვ. 258; მარტიროსოვი, 1953, გვ. 88; ვეშაპიძე, 1967, გვ. 213; კვაჭაძე, 1984; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427).

შე- ზმნისწინის სხვადასხვა ნიუანსობრივ მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის თანახმად, შე- ზმნისწინი „აღნიშნავს რისამე ზედაპირზე მოქმედებას (ან მთლიანად საგნის რაიმეთი დაფარვას ან რაიმეში მოქცევას). ა). საგანი ექცევა რაიმეში (გარედან შიგნით მიმართულება): **შე-ახვევს, შე-ბურავს, შე-კრავს, შე-კონავს.** ბ) მოქმედება ხდება რაიმე სიბრტყეზე: **შე-მურავს, შე-ათეთრებს** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427). იქვე ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე შე- ზმნისწინის სხვა მნიშვნელობაზეც:

შე- ზმნისწინი გამოხატავს საურთიერთო მოქმედებას: **შე-ზდება, შე-ეტაკება, შე-ეზრძოლება, შე-ეკამათება. შე-ეჭიდება...** გამოიყენება შეერთების, შეკრების სემანტიკის გამომხატველ ზმნებთან: **შე-კრებს, შე-კერავს...** გამოიყენება ირიბი ობიექტისადმი მიმართული მოქმედების გამომხატველ ზმნებთან: **შე-სჭიკჭიკებს, შე-ჰმღერის, შე-სძახის, შე-სტირის.** გამოხატავს მოძრაობის თანამდევ მოქმედებას: **შე-ანათებს** (= შევა და გაანათებს) (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427-428).

ჩვენ ადრეც აღვნიშნავდით, რომ წინასწარ გამიზნული მოქმედება ივარაუდება შე- ზმნისწინიან ზმნებში: **შე-უკვეთს, შე-ამზადებს** (= წინასწარ გაამზადებს). რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნური ფუძის სემანტიკასაც.

მოულოდნელობა ივარაუდება **შე-ასწრებს, შე-ისწრებს, შე-უსწრებს, შე-ამთხვევს** ზმნებში. აქ იგულისხმება გაუთვალისწინებელი შემთხვევა, ფათერაკი (კვანტალიანი, 2003, გვ. 37).

შე- ზმნისწინისათვის დამახასიათებელია ნელ-ნელა, თანდათანობით მოქმედების ჩვენებაც. ჩვენ ადრეც აღვნიშნავდით, რომ ნელ-ნელა, ბოლოსკენ მოქმედების მიმდინარეობა ჩანს **შე-ათავებს** ზმნაშიც. **შე-ყრის, შე-ჭრის, შე-აგროვებს** ზმნებში შე- ზმნისწინით მოქმედება სივრცეში არის მიმართული. ზოგჯერ სივრცეში მოქმედება გარკვეულ სიმაღლესაც გულისხმობს. მაგ.: **შე-ყრის ჭერზე, შე-უდგა აღმართს, შე-დგა სკამზე, შე-დგა ბერად, შე-უდგა მუშაობას.** ამ ზმნებში ჩანს, რომ მოქმედება იწყება და გრძელდება. შე- ზმნისწინს ამ შემთხვევაში მოქმედების დაწყებისა და გრძლივობის, ხანგრძლივობის მნიშვნელობა აქვს: **შე-ასრულა** სიმღერა, როლი, დავალება, **შე-უდგა** აღმართს, **შე-უდგა** მუშაობას, **შე-დგა** ბერად გულისხმობს როგორც **შე-უდგა** ბერობას, დაიწყობ ბერობა, ისე რაღაც დოზიც სიმაღლეს, სიმაღლისკენ სწრაფვას, რადგან ბერული მოღვაწეობა სულიერ მოღვაწეობას, სულიერ სიმაღლესაც გულისხმობს; შე- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა ჩანს **შემართებით** ზმნისართშიც, სადაც ზემალაღი, ზეაწეული ტონი ივარაუდება (კვანტალიანი, 2003, გვ. 41).

შე- ზმნისწინით ყველა ამ ზმნაში სივრცეში განფენილი მოქმედება გადმოიცემა. ოდნაობა, ნელ-ნელა, თანდათანობით მიმდინარე პროცესი, სიმაღლეზე მოქმედება, ირგვლივ, გარშემო მიმართული პროცესი თუ სივრცეში განფენილობა ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთის მონათესავე, ერთმანეთში გადახლურთული მნიშვნე-

ლობებია. საბოლოოდ ყველა ერთია – სივრცეში განფენილობაა და ამ განფენილობაში მოქმედების პროცესის დაწყებაც ივარაუდება (კვანტალიანი, 2003, გვ. 42).

ერთგვარ გვერდისკენ მიმართულ მოქმედებას გულისხმობს შე- ზმნისწინი **შე-ატრიალებს, შე-აბრუნებს** ზმნებში. ასევეა **შე-აქცევს** ზურგს. ეს არ არის ირგვლივ, გარშემო მოქმედება, მოძრაობა, მაგრამ ალბათ გულისხმობს გვერდისკენ მიმართულ მოქმედებას.

**შე-ადუღებს, შე-არიგებს** ზმნებში შე- ზმნისწინით გადმოცემულია შეკრების, შეერთების სემანტიკა. ეს აღნიშნულია ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427-428).

**შე-აყრის სახეში, შე-ანათებს თვალებს, შე-ეცყოზა სახეზე** – ამ ზმნებში შე- ზომისწინით გამოხატული მოქმედება ხდება პირდაპირ და გულისხმობს ერთგვარ სიბრტყეს.

შე- ზმნისწინით აგრეთვე გადმოიცემა მოქმედების შეზღუდვა ან შენელება. **შე-აჩერებს გაქციულს, შე-იკავებს თავს, შე-აკავებს მტერს**. რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნური ფუძით გადმოცემულ სემანტიკასაც, რომელიც სწორედ შე- ზმნისწინით გადმოიცემა და კონკრეტდება.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში აღნიშნულია ზმნისწინის კიდევ ერთი შესაძლებლობა: „ზმნისწინებმა შესაძლოა... წარმოქმნას ანტონიმები. მაგ.: **წა-ართვა** და **მი-ართვა**, **წა-აგო** და **მო-იგო**, **გა-იყარნენ** და **შე-იყარნენ** (ნ. ჭუმბურიძე, 2011, გვ. 311). ხშირად შე- ზმნისწინი გამოიყენება საპირისპირო მოქმედებების ზმნებში. მაგ.: **შე-ულოცავს, შე-უკურთხებს, შე-აგინებს, შე-იყვარებს, შე-იძულებს, შე-აცდენს**. თითქოს უჩვეულოა ამ ზმნებში შე- ზმნისწინის გამოყენება. აქ ალბათ მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში შიგნით მიმდინარე პროცესი, შიდა მოქმედება გადმოიცემა. ეს გასაგებია, როდესაც **შე-იგრძნო, შე-იმეცნა, შე-ისისხლხორცა** ზმნების მნიშვნელობას განვიხილავთ, მაგრამ ცოტა უჩვეულოა საპირისპირო მოქმედების ზმნებში. ჩვენთვის ცნობილია, რომ **მო-იგებს, წა-აგებს, მი-სცემს, გა-სცემს** ზმნებში განსხვავებული მნიშვნელობები გადმოცემულია განსხვავებული ზმნისწინებით, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ამას ერთი და იგივე ზმნისწინი აკეთებს. აქ ალბათ მაინც უნდა ვიგულისხმოთ გარედან შიგნით, სიღრმისკენ მიმართული მოქმედება.



დაბოლოს, თითქოს მოულოდნელობა იყო ჩვენთვის ის, რომ ქართული ენის დიალექტებისა და მეტაენის კორპუსებზე მუშაობის შედეგად თვალსაჩინო გახდა, რომ შე- ზმნისწინი საკმაოდ პროდუქტიულია ოდნაობის, სიცოტავის სემანტიკის აღსანიშნად. მაგ.: **შე-ათბობს, შე-ხურდება, შე-კვნება, შე-ათვალიერებს, შე-ათხელებს, შე-აპარებს, შე-ასწორებს, შე-აღებს, შე-აშველებს, შე-აქეიფიანებს, შე-თვრება, შე-არხევს, შე-ანელებს, შე-ანძრევს** ხეს. ამ ზმნებში ყველგან ოდნავი, მცირე მოქმედება იგულისხმება. ამას ხაზს უსვამს სწორედ შე- ზმნისწინი, და ასეთი ზმნები საკმაოდ ბევრია თანამედროვე ქართულში. ე. ი. გამოდის, რომ როგორც შე- ზმნისწინი ზმნებში ძირითადად გარედან შიგნით მიმართულ მოქმედებას აღნიშნავს, ასევე დღეს მისთვის ერთ-ერთი ძირითადია ოდნაობის, სიცოტავის სემანტიკის აღნიშვნაც.

ამაზე ყურადღება გამახვილებული აქვს პროფ. გ. გოგოლაშვილს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა“. ის წერს: „ზმნური ფუძე შეიძლება იგუებდეს მხოლოდ ერთ ზმნისწინს (და-ასახიჩრებს), ორ ზმნისწინს (გა-ნაღმავს, და-ნაღმავს); სამ ზმნისწინს (გა-ფუფქავს, და-ფუფქავს, ჩა-ფუფქავს...) და ა. შ. ეს მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს: დროთა განმავლობაში ხდება ზმნისწინის მიერ დამატებითი ფუნქციებს შექმნა. ამ მხრივ **მო-, შე-** და **წა-** ზმნისწინთა ვითარებაა საგულისხმო. სასაუბრო მეტყველებაში (რომელიც შეიძლება აისახოს სამწერლობო ენაშიც) სიცოტავე-სიმცირის ფუნქციით მათი გამოყენება თანდათანობით იძენს ფართო გავრცელებას“ (გოგოლაშვიდი, 2016, გვ. 51).

სწორედ ამას ადასტურებს ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებიც. ამკარად შე- ზმნისწინით გაძლიერებულა ოდნაობის, სიცოტავის სემანტიკის აღნიშვნა.

## ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2016** – გ. გოგოლაშვილი, ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, თბ., 2016.

**ვეშაპიძე 1967** – ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულში, თბ., 1967.

**კვანტალიანი 2001** – ც. კვანტალიანი, ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ახალ ქართულში, დისერტაცია, თბ., 2001.

**კვანტალიანი 2003** – ც. კვანტალიანი, შე- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება, ბესარიონ ჯორბენაძეს, დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2003.

**კვაჭაძე 1981** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, , თბ., 1981.

**მარტიროსოვი 1953** – ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირვანდელი ფუნქციები ძველ ქართულში, იკე, V, თბ., 1953.

**ორბლიანი 1928** – ს.ს. ორბლიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბ., 1980.

**ჭუმბურიძე 2011** – ნ. ჭუმბურიძე, ზმნისწინი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

TSITSINO KVANTALIANI

## Some Features of the Preverb *შე* Revisited

### Summary

As is known, the preverb is a word-building as well as a form-building means. This paper focuses on the semantics of the polysemous preverb *შე*.

To indicate directions is one of the basic meanings of the preverb in question. It can also show circular, upward and linear movements as well as slightness and scarcity of an action. In current Georgian, one of the features of the preverb under discussion is to form antonymic relations. It is noteworthy, that in the course of time, the preverb *შე* has acquired some additional meanings that are attested in the dialectal corpus of Georgian.

მანანა კობაიძე

**ზმნის წარმოება ახალნასესხები ძირებისგან  
თანამედროვე ქართულში ტიპოლოგიური  
თვალსაზრისით\***

სტატიაში განხილულია საინფორმაციო ტექნიკასთან დაკავშირებული ახალი ნასესხობები ქართულში, კერძოდ, ახალნასესხები ფუძეებისგან ზმნების წარმოება. ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულია შედარებით ადრე რუსულიდან ნასესხები ფუძეებისგან წარმოებული ზმნებიც. ეს არის მცდელობა, რომ აღიწეროს ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ენა ახერხებს უცხო ენიდან შემოსული ნასესხები ფუძეების მოქცევას ქართული ზმნის ყალიბში. განხილულია სესხების ტიპოლოგიის საკითხიც.

ტერმინ ნასესხობას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ვიყენებ და ნასესხობას ვუწოდებ როგორც უკვე დამკვიდრებულ, ე.წ. ნამდვილ ნასესხობებს, ასევე ახალშემოსულ ე.წ. ბარბარიზმებს და ქარგონს. სტატია არ ეხება სალიტერატურო ენის ნორმის საკითხებს. მასალა ძირითადად აღებულია ზეპირი მეტყველებიდან, სოციალური ქსელებიდან და პრესიდან. გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში, მათ შორის, ბარბარიზმების ონლაინ ლექსიკონში (<https://barbarisms.ge/>) დამოწმებული მასალა.

### **შესავალი**

ენობრივი კონტაქტები ენის განვითარების მუდმივი წყაროა. „გონივრული დამოკიდებულების შემთხვევაში სხვა ენებთან ურთიერთობას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამგვარი კონტაქტები ბიძგის მიმცემია ენის შინაგანი პოტენციის გამოსავლინებად“ (ჯორბენაძე 1997, გვ. 32). კონტაქტისა და სესხების საკითხი აქ-

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

ტულურია დღესაც, როცა ენობრივმა კონტაქტებმა თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ინტენსიობის ახალ დონეს მიაღწია.

ახალი ნასესხობების საკითხზე ქართულში ბოლო დროს ბევრი გამოკვლევა გამოქვეყნდა. მათ შორის რამდენიმე ზმნის სესხების საკითხსაც განიხილავს.

ამ სტატიაში განვიხილავ ნასესხები ფუძეებისგან, მათ შორის, როგორც ზმნური, ასევე სახელური ფუძეებისგან ნაწარმოებ ზმნებს. ძირითადად ვეყრდნობი **უიკმანის** და **უოლგემუთის** (2008), ასევე, **უოლგემუთის** გამოკვლევას (2009) ზმნის სესხების ტიპოლოგიის შესახებ და ვიყენებ ამ სფეროში დამკვიდრებულ ტერმინებს: **პირდაპირი ჩართვა** (ნასესხები ფუძის პირდაპირ, უცვლელად ჩაშენება მიმღები ენის ზმნის მორფოლოგიურ ყალიბში), **არაპირდაპირი, ანუ ირიბი ჩართვა** (რაც ნიშნავს, რომ ნასესხებ ფუძეს ესაჭიროება დამატებითი აფიქსი, ერთგვარი „საშენი მასალა“ იმისთვის, რომ მასპინძელი ენის ზმნის მორფოლოგიურ ყალიბში მოქცევა შეძლოს), და ე.წ. **დამხმარე ზმნის სტრატეგია**, ანუ ნასესხები ფუძის გამოყენება რთული ზმნის სახელად ნაწილად. უიკმანი და უოლგემუთი ამას უწოდებენ light verb strategy-ს. ამ ტერმინის ქართულ შესატყვისად გვხვდება **დამხმარე ზმნის სტრატეგია** (ბერიკაშვილი 2016). ვარჩიე, რომ მეც ეს ტერმინი გამოვიყენო. ორკომპონენტური ზმნის აღსანიშნავად (**სანქცია დაადო**) ვიყენებ ტერმინს **რთული ზმნა** იმ ფართო მნიშვნელობით, როგორც ეს გამოყენებულია რთული ზმნების დახასიათებისას (ჭუმბურიძე 2011, გვ. 773). ტერმინ **ფუძეს** ვიყენებ აკაკი შანიძის განსაზღვრების მიხედვით: ფუძეა ზმნის ის ნაწილი, „რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა“ და რომელიც „ხშირად იგივეა, რაც ძირი“ (შანიძე 1980, გვ. 387).

### **ზმნის სესხების სხვადასხვა ტექნიკა**

ზმნების სესხების საკითხი თავისთავად პრობლემურია. არის მოსაზრება, რომ ზმნის სესხება შეუძლებელია. ეს მოსაზრება მომდინარეობს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან როცა გამოითქვა ვარაუდი (უიტნი 1881, *ახალი გამოც.* 1971), რომ გამსესხებელი ენის ზმნა მასპინძელ ენაში შეაღწევს როგორც სახელი და შემდეგ ამ სახელისგან ყალიბდება ზმნა უკვე მიმღებ ენაში არსებული პარადიგმის საფუძველზე.

მოგვიანებით **მორავიკმა** განავითარა ეს მოსაზრება. ის წერდა, რომ ზმნების სესხება ხდება ისე, თითქოს ისინი სახელები იყვნენ და მასპინძელი ენა მათ გარდაქმნის ნასახელარ ზმნებად ან **მაზმნავებელი სპეციალური აფიქსის** დართვით, ან **ე.წ. დამხმარე ზმნის დამატებით** (მორავიკი 1975, 1978). თუ ნასესხებ ზმნაში დამატებითი მაზმნავებელი აფიქსი არ ჩანს, მაშინ მას მკვლევარი ნულოვანი აფიქსის სახით აღადგენს.

ეს საკითხი 60 ენის 72 სხვადასხვა კომბინაციის მასალაზე დაყრდნობით ვრცელ ბაზაზე დაყრდნობით გამოიკვლიეს სორენ უიკმანმა და იან უოლგემუთმა (უიკმანი, უოლგემუთი 2008). 2009 წელს კი გამოქვეყნდა უოლგემუთის მონოგრაფია, რომელშიც ის დაახლოებით 350-ზე მეტი ენის 553 კომბინაციის (გამსესხებელ და მსესხებელ ენათა წყვილის) მონაცემთა ბაზის საფუძველზე განიხილავს ამ საკითხს და დაასკვნის, რომ ზმნის სესხება შესაძლებელია უშუალოდაც, მეტყველების სხვა ნაწილად გარდაქმნისა და ხელმეორედ მაზმნავების გარეშე.

დღესდღეობით ძირითადად გამოყოფილია ზმნის სესხების ოთხი სხვადასხვა გზა, რაც **უიკმანმა და უოლგემუთმა** (2008) აღწერეს და რასაც ისინი ოთხ სტრატეგიას უწოდებენ: აღწერითი, არაპირდაპირი, ირიბი და პარადიგმული.

1. **დამხმარე ზმნის სტრატეგია:** ნასესხები ზმნა შემოდის ენაში როგორც ბრუნებადი სიტყვა, მაგალითად, საწყისის ფორმით, და მას ემატება ზმნური ნაწილი, ანუ „დამხმარე ზმნა“, რომელიც იუღლებს. ქართული ენის შემთხვევაში ასეთი ზმნური ნაწილი შეიძლება იყოს მაგალითად, *ყოფს, აკეთებს, იზამს/ქნა, ახორციელებს...* მაგალითად, *კომენტარს აკეთებს, მოხდა დასაწეტირება...*

2. ზმნის **არაპირდაპირი, ირიბი ჩართვა:** ნასესხებ ზმნურ ფუძეს ესაჭიროება განსაკუთრებული მაზმნავებელი აფიქსის დართვა, რის შემდეგაც ის იძენს უწარს, რომ ზმნურ პარადიგმაში მოექცეს. ასეთი აფიქსი ხშირად თვითონაც ნასესხებია, ამისი მაგალითი ქართულში შეიძლება იყოს **-ირ** და **-იზ** სუფიქსიანი წარმოება, მაგალითად, **ა-ინტეგრ-ირ-ებ-ს, ა-სტიმულ-ირ-ებ-ს, ა-მოზილ-იზ-ებ-ს** და სხვ.

3. ნასესხები ძირის **პირდაპირი, უშუალო ჩართვა** მიმდები ენის სტრუქტურაში: ნასესხებ ფუძეს არ ესაჭიროება რაიმე დამატე-

ბითი, დამხვედრი ენის სხვა ზმნებისგან განსხვავებული აფიქსი იმისთვის, რომ ზმნური ფუძის ადგილი დაიკავოს. მაგალითად, **ა-სეივ-ებ-ს** – აქ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ფუძე **სეივ** (შენახვა) პირდაპირ მოექცა „კანონიკური“ ქართული ზნის უღლების პარადიგმაში.

4. **პარადიგმის სესხება:** დონორი ენის ზმნური აფიქსაცია ინარჩუნებს როგორც ფორმას, ასევე თავის ფუნქციას მსესხებელ ენაში. ეს ბოლო საფეხური ნიშნავს ძალიან მჭიდრო ენობრივ კონტაქტს და მიანიშნებს გამსესხებელი ენის ძლიერ გავლენას მსესხებელ ენაზე. ქართულში ამ ტიპის მაგალითები არ დასტურდება.

არის საინტერესო კერძო შემთხვევებიც, მაგალითად, შეიძლება ენამ ისესხოს ზმნის პირიანი ფორმა და გამოიყენოს ახალი ზმნის ფუძედ. ასეთი შემთხვევა ქართულშიც არის, კერძოდ, ჟარგონში. რუსული ზმნის პირიანი ფორმა გამოყენებულია ფუძედ **მიაპრადა-ლა** – „მიჰყიდა, შეასადა (უფრო ხშირად, უვარგისი საქონელი). ქართული აფიქსებით გაფორმებული რუსული სიტყვა (продать – გაყიდვა)“ (ბრეგაძე 2013, გვ. 91-92). რუსული *продал* (წარსული სრული დროის პირიანი ფორმა) მთლიანად არის გამოყენებული როგორც ჩვეულებრივი ზმნური ფუძე, რომელიც ქართულ ზმნურ აფიქსებს დაირთავს, იქცევა, როგორც ნებისმიერი სხვა ზმნური ფუძე. ამ მხრივ ეს მაგალითი იშვიათია, თუმცა სხვა ენებშიც დასტურდება. უოლგემუთს განხილული აქვს წარსული დროის პირიანი ფორმის ფუძედ სესხების შემთხვევა თანამედროვე ბერძნულიდან ბულგარულში და რუმინულში როგორც ოკაზიონალური სესხების შემთხვევა (უოლგემუთი 2009, გვ. 83). ასეთივე მაგალითი ჩანს **გრი-მიტობს**, რომლის ამოსავალ ფორმადაც ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონის,, მიხედვით მითითებულია *греметь* (ბრეგაძე 2013, გვ. 46), სხვა მოსაზრებით კი პირიანი ფორმისგან მომდინარეობს: *гремит* (ამირიძე 2018, გვ. 160). სხვა ასეთივე მაგალითი ჩანს **დასმოტრა** (დაათვალიერა), რუსულიდან *смотреть* (ბრეგაძე 2013 გვ. 59). საფიქრებელია, რომ ეს ფორმაც იმ პირიან ფორმას ეყრდნობა, სადაც რუსული **о** მახვილიანია (მაგ. *посмотрим*).

პარადიგმების აღრევის ნიმუშად კი გამოდგებოდა ბოლო ხანებში გავრცელებული „**მოაბილიზა**“, სადაც მობილიზების **მო-** ელემენტი გააზრებულია **მო-** ზმნისწინად და მის მომდევნოდ წარმო-

დგენილია ა-ხმოვანი პრეფიქსი. ე.ი. ნაცვლად მოსალოდნელი ფორმისა **მო-ა-მობილიზა** ფორმისა გაჩნდა ფორმა (რა თქმა უნდა, არასწორი) **მო-ა-ბილიზ-ა**.

ქარგონში დასტურდება მწკრივის ფუნქციაზე სხვა ენის გავლენის შემთხვევაც, კერძოდ, ბრძანებითის გამოხატვა წყვეტილის პირველი და მესამე პირის ფორმებით (**წავიდა/ ადგა/ მომცა**), რაც რუსულის გავლენით აიხსნება (ქურდაძე 2016, გვ. 8-9). ეს საკითხი ამ სტატიაში არ განიხილება.

ქართული მასალა მხარს უჭერს დებულებას, რომ ზოგადად, ენისთვის ისევე ადვილია სახელის სესხება და შეთვისება, როგორც ზმნისა. არსებითების სესხების მაღალი სიხშირე გამოწვეულია არსებითების მაღალი სიხშირით და მათი გამოყენების სფეროთი და არა რაიმე გრამატიკული მიზეზებით (უოლგემუთი 2009, გვ. 291-292).

ზმნის სესხებას, ისევე როგორც მეტყველების სხვა ნაწილების სესხებას, განსაზღვრავს ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ალბათ შესაძლებელია, რომ გამოიყოს კულტურული ნასესხობების ერთი განსაკუთრებული სახე, ეტიკეტების სესხება, ანუ ვიზუალური სესხება. ამ ტიპის სესხებისას ენაში სიტყვები აღწევენ არა წერილობითი ტექსტების ან ზეპირი კონტაქტების მეშვეობით, არამედ წარწერების, ეტიკეტების მეშვეობით. მე-20 საუკუნის საქართველოში, როდესაც რუსულწარწერებიანი ინდუსტრიული ნაწარმი გამოჩნდა, ამან ძალიან შეუწყო ხელი ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთვის დამახასიათებელი სიტყვების, სწორედ არსებითი სახელების, შემოსვლას და გავრცელებას ზეპირ მეტყველებაში. ასეთი დროებითი ნასესხობები ზოგ შემთხვევაში სემანტიკური ველის ნაწილს შემოსაზღვრავდნენ და დამხვედრი სიტყვებისგან განსხვავებულ ნიუანსს იძენდნენ. ამ მოვლენის ცნობილი მაგალითებია **ნასკები** (ფაბრიკაში დამზადებული, მაღაზიაში გასაყიდი წინდები) და **წინდები** (შინ მოქსოვილი შალის წინდები), **მალაკო** (მაღაზიაში გასაყიდი ლითონის კოლოფებში ჩამოსხმული შედედებული რძე) და **რძე** (ყველა დანარჩენი რძე) და სხვ.

სემანტიკური ველის განაწილება ენაში ადრე არსებულ და მოგვიანებით შეთვისებულ ფუძეებს შორის კარგად არის ცნობილი (მა-

გალითად, *ძელი/ზე, ფანჯარა/სარკმელი, ერი/ხალხი, ქობი/სახლი* და ა.შ.).

ახლა, როდესაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ეტიკეტების სახით ზმნებიც გამოჩნდნენ (*share, boost, update, send, log in, shut down* და ა.შ.), მათი სესხება ისევე ადვილი აღმოჩნდა, როგორც არსებითებისა. ისინი სწორედ იმ სპეციფიკური მნიშვნელობით შემოვიდნენ ენაში, რაც მათ შესაბამის ეტიკეტებზე აქვთ და სხვა, უფრო ფართო მნიშვნელობას ვერ იძენენ, რაც ჩანს მათთვის შესაბამისი ზმნისწინების შერჩევაშიც.

რა ბედი ელის ამ ნასესხობებს მომავალში, ეს სხვა საკითხია. ახალი ნასესხობების შეთვისება და დამკვიდრება თუ განდევნა, რა თქმა უნდა, ბევრ სხვადასხვა გარემოებაზე, მათ შორის, ალბათ პირველ რიგში ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ზმნების სესხების განხილვისას უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ გველაპარაკა *სახელური* და *ზმნური ფუძეების* სესხებაზე, ზოგჯერ კი *გაუდიფერენცირებელი ფუძის* სესხებაზეც, რომლის ზმნურ ან სახელურ პარადიგმაში მოქცევის გზებიც მიმღები ენის ფარგლებში წყდება.

ზმნის სესხების დროს ისევე უნდა გავარჩიოთ სხვადასხვა შემთხვევა, როგორც თვითონ მკვიდრი ზმნების წარმომავლობის გარკვევისას. ზოგი მათგანი შეიძლება ნასახელარი იყოს, ზოგი – საკუთრივ ზმნა, ზოგჯერ კი გაუდიფერენცირებელი ფუძისგან წარმოქმნილი.

არც ენათა ტიპოლოგიური განსხვავება ქმნის რაიმე შეუთავსებლობას სესხების თვალსაზრისით. მართლაც, ქართული ენის მორფოლოგიის სირთულე არანაირად არ აბრკოლებს უცხო ენებიდან ზმნური ფუძეების სესხებას. არც გამსესხებელი ენის მორფოლოგიის სირთულეა ასეთი დაბრკოლება. თუ ინგლისურიდან სესხების სიადვილე შეიძლებოდა ინგლისური ზმნის მარტივი მორფოლოგიით აგვეხსნა, იმავეს ვერ ვიტყვოდით რუსულის მორფოლოგიაზე, რომელიც საკმაოდ რთულია, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით, ჟარგონში ზმნების წარმოებას რუსული ნასესხობებისგან (რომ არაფერი ვთქვათ ქართულში სხვა ენებიდან



ნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილ მრავალ ზმნაზე, რომლებიც დღეს უკვე სალიტერატურო ენის ნაწილს წარმოადგენენ).

## **ქართულის მასალა**

ქართულში ჩანს ზმნური ფუძეების სესხების სამი გზა: დამხმარე ზმნის სტრატეგია, არაპირდაპირი ჩართვა და პირდაპირი ჩართვა. სტატიის აგებულება ასეთია: **ნაწილი 1** – დამხმარე ზმნის სტრატეგია; **ნაწილი 2** – ნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილი ორგანული ზმნები; **ნაწილი 3** – ნასესხები ფუძეებისგან (მათ შორის, სახელური ფუძეებისგან) **მესამე ტიპის უღლების** ზმნების წარმოება არაპირდაპირი ჩართვით (3.1) და პირდაპირი ჩართვით (3.2), შესაბამისი რელატიური ზმნების წარმოება (3.3); **ნაწილი 4 – პირველი ტიპის უღლების** ზმნების წარმოება ნასესხები ფუძეებისგან ირიბი (4.1.) და პირდაპირი (4.2.) ჩართვით; **ნაწილი 5** – თემის ნიშნების და ხმოვანი პრეფიქსების შერჩევის თავისებურებები; **ნაწილი 6** – ზნისწინები; **ნაწილი 7** – პირდაპირი და ირიბი ჩართვის სტილური თავისებურებები. ბოლოს წარმოდგენილია **დასკვნები**.

### **1. დამხმარე ზმნის სტრატეგია**

ქართულ ენაში სესხებისას დამხმარე ზმნის სტრატეგია გავრცელებულია, ერთი მხრივ, ოფიციალურ, ფორმალურ მეტყველებაში, რასაც ზოგჯერ გამართლებაც მოეძებნება და აუცილებელიც არის ამა თუ იმ დარგში ტერმინოლოგიური სიზუსტის დასაცავად, ან ამა თუ იმ პროცესის სხვადასხვა საფეხურის ზედმიწევნით ზუსტად აღსაწერად, მეორე მხრივ კი, იგივე ტენდენცია შეინიშნება ენის არასრულყოფილად ფლობის პირობებში, ან უცხოენოვანი გარემოს გავლენის შედეგად. ასეთი ჩართვისას უცხოენოვან ან თუნდაც ქართულ ზმნას საწყისის სახით მოაქცევენ ქართულ წინადადებაში და ზმნური ფუნქციების გამოსახატავად დაამატებენ **გაკეთება** ან რომელიმე სხვა ზმნის სათანადო დროის და პირის ფორმას (მაგალითად, **წასვლა უნდა გააკეთო**, ნაცვლად ზმნური ფორმისა **უნდა წავიდე**, ანუ ცხოენოვან ინფინიტივს მიამატებენ ქართულ პირიან ზმნას. ფორმალურ ენაში მსგავსი წარმოება ხშირია, მაგალითად, **აქტივობაში მოვიყვანე, მოხდა მოსამართლეების დასანქცირება, მომიწია კო-**

**მენტარის გაკეთება, დისკრიმინაციას უწევს...** ასეთი კონსტრუქციები ქართული ზმნების გამოყენებითაც იწარმოება: **რის შესრულება-საც ვახორციელებთ, მოახდინა გასროლა** და ა.შ. ასეთი წარმოება ძველ ქართულშივე გვხვდება. როგორც ნასესხებ (**ამბორს უყო, იქმნა ჭაბუკ → განჭაბუკნა...**), ასევე, ქართული წარმოშობის სახელებთან (**დაღად-ყო**)... აქ ბევრი საკითხი იყრის თავს, მათ შორის, ვნებითის გამოხატვის საშუალებებისა და სტილის, ასევე რთულფუძიანი ზმნების საკითხები, მაგრამ ამ საკითხებს ეს სტატია არ ეხება.

### **არსებობს თუ არა ზმნის სესხების საფეხურების თანმიმდევრობა?**

უიკმანი და უოლგემუთი (2008) გამოთქვამენ ფრთხილ მოსაზრებას, რომ ზმნის სესხების იერარქიაში შეიძლება გამოიყოს საფეხურები, სადაც შედარებით ნაკლები ორენოვნების პირობებში მოსალოდნელია დამხმარე ზმნის ტექნიკის გამოყენება, ხოლო უფრო ინტენსიური კონტაქტის პირობებში ის შეიძლება შეცვალოს ჯერ არაპირდაპირმა, შემდეგ კი პირდაპირმა ჩართვამ, თუმცა უოლგემუთი 2009 წელს უკვე წერს, რომ რომელიმე ცალკეული ფაქტორი, როგორც არის კონტაქტის ხანგრძლივობა, ორენოვნების ხარისხი, ან კონტაქტის ინტენსიობა (მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი უეჭველად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს) ვერ გამოდგება იმის ასახსნელად, თუ რატომ ირჩევს ენა ზმნის სესხებისას ამა თუ იმ გზას (უოლგემუთი 2009, გვ. 286). არც იმისი მტკიცება ხერხდება, რომ თითქოსდა არსებობდეს რაიმე მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სხვადასხვა ტექნიკის არჩევანისას (იქვე, გვ. 210-211, 288). ეს თანმიმდევრობა შეიძლება სხვადასხვა იყოს სხვადასხვა სტილისთვის, სხვადასხვა სოციოლინგვისტური გარემოსთვის და ეპოქისთვის, მაგალითად, ქართული მასალა აჩვენებს, რომ სპარსულენოვან გარემოსთან ხანგრძლივმა კონტაქტმა შეიძლება სწორედ დამხმარე ზმნის სტრატეგიის გაძლიერება გამოიწვიოს და არა პირდაპირი ჩართვისა (იხ. ქვემოთ).

ზმნების სესხების სამივე სახე სხვადასხვა ზმნისთვის ზოგჯერ ერთდროულად დასტურდება სხვა ენებშიც და ქართული მასალის მიხედვითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ არის კიდევ ერთი **საპირისპირო მოვლენაც**: ზმნა ორკომპონენტია გამსესხებელ ენაში, მაგრამ ქართულში ნასახელარი ორგანული ზმნის სახით შემოდის, ან ჯერ შემოდის ორ კომპონენტად (გამსესხებელი ენის თარგის მიხედვით), სახელადი ნაწილითა და დამხმარე ზმნური ნაწილით წარმოდგენილი, შემდეგ კი ზოგ შემთხვევაში (თუმცა არა ყოველთვის) გადადის ორგანულ წარმოებაზე. სპარსულიდან ან სპარსულის გზით ნასესხები ორკომპონენტია ზმნები სხვა ენებშიც გარდაიქმნებიან ორგანულ ზმნებად (უოლგემუთი 2009, გვ. 267).

ეს მოვლენა აღწერილია თურქულიდან ლაზურში (თანდილავა 2000) და სპარსულიდან ქართულში ნასესხები ზმნების განხილვისას (ჩხუბიანიშვილი და გიუნაშვილი 1997; ბერიძე და ბაკურაძე 2020; ანთაძე 2022).

თურქული რთული ზმნა ლაზურში ან რთული ზმნის სახითვე შედის, სადაც სახელადი ნაწილი უთრგმნელად რჩება და ზმნურ ნაწილს ცვლის შესაბამისი ლაზური ზმნა: **ინათ ეთმექ** (innat etmek) → **ინადი ოხვენუ** (გაჯიუტება) (თანდილავა 2000, გვ. 166), ან თურქული რთული ზმნის სახელადი ნაწილისგან ლაზურში ორგანული ნასახელარი ზმნა იწარმოება: **ფიქირ ეთმექ** (fikir etmek) → **ოფიკირუ** (ფიქრი), რომელიც შემდეგ ჩვეულებრივად იუღლება (იქვე, გვ. 167-168).

ახალი სპარსულიდან ქართულში ნასესხობების განხილვისას ფატი ანთაძე იზიარებს მორავჩიკის (მორავჩიკი 1978, გვ. 111-112) შეხედულებას, რომ ზმნის სესხება ხდება ისე, თითქოს ის სახელი იყოს. მსესხებელი ენა მას ნასახელარ ზმნად გარდაქმნის (ანთაძე 2022, გვ. 18). სპარსული ორკომპონენტია ზმნა (სახელადი ნაწილი + დამხმარე ზმნა) ქართულში უმეტესად ასევე ორნაწილიან ზმნად შემოდის (ჰიპერკალკის სახით, როგორც ფ. ანთაძე უწოდებს), მაგრამ ხშირად წარმოდგენილია სინონიმური ვარიანტიც ნასახელარი ზმნის სახით, შდრ. სპარს. nešān dād-ān → ქართ. „**ნიშნ-ის მი-ცემ-ა**“, **ნიშან-ი მი-ს-ც-ა** → ნასახელარი ზმნა „**ა-ნიშნ-ა**“. ზოგი ასეთი ზმნა ქართულში მხოლოდ ნასახელარი ზმნის ფორმით ადაპტირდება: სპარს. fekr kârd-an → ქართ. **ფიქრ-ი ფიქრ-ობ-ს...**“. ზოგი კი გარკვეული დროის მერე ყალიბდება ორგანულ ზმნად: zâbun šod-an → „**ძაბუნ ი-ქმნ-ა**“ → **და-ძაბუნ-დ-ა** (ანთაძე 2022, გვ. 18-19).

განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნულ დიალექტში წარმოდგენილი ზმნის ანალიზური ფორმების წარმოება, რაც ახალი სპარსულის ე.წ. რთული ზმნების ანალოგიის შედეგია (ჩხუბიანიშვილი და გიუნაშვილი, 1997). ეს საკითხი უფრო დაწვრილებით და კორპუსის ვრცელ მასალაზე დაყრდნობით განხილულია **მარინა ბერიძის** მიერ. კალკირებისას ზოგ შემთხვევაში ორივე კომპონენტია თარგმნილი, ზოგჯერ კი მხოლოდ ზმნური ნაწილი (ბერიძე და ბაკურაძე 2020, გვ. 557-58). იქვე არის ასეთი მაგალითიც: „ერთი იყო უშანგი ხუციანი, რო **უზნია, ლაპარაკი უქნია**“ (გვ. 558). აქ არის ავტორის მნიშვნელოვანი შენიშვნა სოციოლინგვისტური ფაქტორების შესახებ:

„**ლაპარაკი** ფერეიდნულში ინოვაციური ფორმაა, სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩენილი. ფერეიდნული ორგანული ფორმა ამ შინაარსისთვის არის: **უზნია**. მთქმელი ერთ წინადადებაში წარმოადგენს ორივე მოდელს ფორმაწარმოებისას. საგულისხმოა, რომ საკუთარი ლექსიკური ერთეულით ის ორგანულ ფორმას ქმნის, შედარებით ახალი, ინოვაციური ფორმით კი – ანალიზურ ფორმას აწარმოებს ისევე, როგორც სპარსულიდან შემოსულ რთულ ზმნას“ (ბერიძე და ბაკურაძე 2020, გვ. 558).

როგორც თვითონ ნაშრომის ავტორები მიუთითებენ, „ქართული დიალექტური კორპუსის ფერეიდნულ ონლაინლექსიკონსა და მასზე დაყრდნობილ ბექდურ გამოცემაში შესული ყველა რთული ზმნა, რომლებშიც ერთ-ერთი კომპონენტი მაინც უცხო ენიდან შემოსული სიტყვაა, მარკირებულია და მითითებული აქვს წარმომავლობა ამოსავალი სიტყვის დაწერილობითა და მისი ლათინური ტრანსკრიფციით. ქდკ-ს ტექსტური მასივიცა ([www.corpora.co](http://www.corpora.co), *მ.კ.*) და ლექსიკოგრაფიული ინსტრუმენტებიც საუკეთესო სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც ამ საკითხისა და, ზოგადად, დიალექტში ნასესხობების შესწავლა აქვს განზრახული.“ (ბერიძე და ბაკურაძე 2020 გვ. 558).

დამხმარე ზმნის ტექნიკის აღწერასთან დაკავშირებით **უოლგემუთი** ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს: დამხმარე ზმნის სტრატეგია სტატისტიკურად უფრო მეტად ახასიათებს იმ ენებს, რომლებშიც სიტყვათა რიგი ძირითადად არის მსაზღვრელი საზღვრულის წინ და ობიექტი ზმნის წინ (OV), ხოლო იმ ენებში, სადაც, პირიქით,

ძირითადად საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელი და ზმნა წინ უსწრებს ობიექტს (VO), უმეტესად გამოიყენება ნასესხები ზმნის პირდაპირი ჩართვის ტექნიკა (უოლგემუთი 2009, გვ. 287). ვფიქრობ, რომ ქართულის მონაცემები ამ სტატისტიკას მხარს არ უჭერს. საინტერესო იქნებოდა ამ მხრივ თანამედროვე და ძველი ქართულის მონაცემების, ასევე, დიალექტების შესწავლა, მაგრამ ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ამ სტატიის მიზანს სცილდება.

ზმნის სესხებისას დამხმარე ზმნის სტრატეგიის გამოყენების შესახებ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მათ შორის, სოციო-ლინგვისტური ასპექტითაც, მაგრამ ამაზე აქ ვეღარ შევჩერდებით.

## **2. ნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილი ორგანული ზმნები**

ქვემოთ განხილულია ნასესხები ფუძეებისგან **ორგანული ზმნური ფორმების წარმოება ქართულში**. მასალა დალაგებულია იმის მიხედვით, თუ უღლების რომელი ტიპის ზმნად ყალიბდება ნასესხები ფუძისგან წარმოებული ზმნა ქართულში. ერთად არის განხილული როგორც ის ფორმები, რომლებიც დიდი ალბათობით სახელის სახით იქნა ნასესხები და შემდეგ მათგან შეიქმნა ნასახელარი ზმნები (*მესიჯობს, კონტაქტობს*), ასევე ის ზმნები, რომლებიც უშუალოდ ზმნის სესხების შედეგი ჩანს (*ასეივებს, ბუსტავს*). რადგან, ერთი მხრივ, ინგლისურში ზმნურ და სახელურ ფუძეებს რაიმე ურთიერთგანმასხვავებელი აფიქსი არ მოეპოვებათ და რადგან, მეორე მხრივ, არც ქართულშია რომელიმე სპეციფიკური თემის ნიშანი, რომელიც მხოლოდ ნასახელარ ზმნებში ან მხოლოდ საკუთრივ ზმნებში იქნებოდა წარმოდგენილი, ამიტომ ნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილი ზმნების განხილვისას ძნელი სათქმელია, ისესხა ქართულმა სახელი და მისგან წარმოქმნა ზმნა, თუ ისესხა პირდაპირ ზმნა. ქართულში ამ ნასესხები ფუძეების მქონე ზმნებს **-ებ, -ობ** ან **-ავ** თემის ნიშანი დაერთვის. ზმნას ეს სამივე თემის ნიშანი ქართულში ნასახელარ ზმნებშიც არის (*აღვიწ-ებ-ს, დარდ-ობ-ს, ბარავ-ს*) და საკუთრივ ზმნური ძირებისგან ნაწარმოებ ზმნებშიც (*ა-ქ-ებ-ს, ა-თბ-ობ-ს, მალ-ავ-ს*). როგორც ჩანს, ქართულში შესაძლებელია

პირდაპირ ზმნური ფუძის სესხებაც. სწორედ ამიტომ ეს მასალა ერთად არის წარმოდგენილი.

### **3. ნასესხები ფუძეებისგან ნაწარმოები მესამე ტიპის უღლების ზმნები**

(მედოქტიურები. დამანა მელიქიშვილის კლასიფიკაციით, I დიათეზის სტატიკური ზმნები, ავტოტივები) (მელიქიშვილი 2002, გვ. 66-69)

#### **3.1. არაპირდაპირი (ირიბი) ჩართვა**

როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ჩართვა ეწოდება სესხების იმ სახეობას, როცა ნასესხებ ფუძეს დამხვედრი ენის პარადიგმაში მოსაქცევად (და ფუნქციის შესაძენად) ესაჭიროება რაიმე სპეციალური აფიქსის დამატება. ირიბი ჩართვის მაგალითია ქართულში **-ირ** (და უფრო იშვიათად, **-იზ**) სუფიქსიანი წარმოება.

თუ ნასესხები ფუძე მაზმნავებელ **-ირ** სუფიქსს დაირთავს, საშუალი გვარის ზმნა მისგან **-ებ** თემის ნიშნით იწარმოება: **ვეფიტირებ, ვრეაბილიტირებ, ვორიენტირებ... -ირ** სუფიქსის დართვა **-ებ** თემის ნიშნის მომასწავებელია მოქმედებითი გვარის ზმნებშიც: **ვარეგისტრირებ, ვასტიმულირებ...** ასეთი წარმოება ფორმალურ, საკანცელარიო იერს ატარებს. **-ირ** სუფიქსის გარეშე წარმოება კი შედარებით არაფორმალური ხასიათისაა და ნაკლებად სალიტერატურო შეფერილობა აქვს.

ასეთივე წარმოებაა აბსტრაქტულ სახელებშიც: **ინვენტარ-იზება, დედუც-ირება, კვალიფიც-ირება, პასტერ-იზება, პოპულარ-იზება...** და ა.შ., **-იზ** და **-ირ** მაწარმოებლიანი ნასესხობებისაგან ქართულში განყენებული შინაარსის სახელები იწარმოება ფუძეზე **-ება** სუფიქსის დართვით.“ (შინჯიაშვილი 1984, გვ. 202)

**-ირ** სუფიქსი როგორც ნასესხებ სიტყვათა ფუძის მაწარმოებელი ელემენტი წარმოდგენილია მორფემათა ლექსიკონში (ჯორბენაძე და სხვ. 1988, გვ. 492), ხოლო **-იზ** სუფიქსი ნახსენებია როგორც **-იზა** სუფიქსის ნაირსახეობა: „ზოგჯერ **-იზა** სუფიქსიანი სახელები ფორმდება ქართული დაბოლოებით: სპეციალ-იზება“ (იქვე, გვ. 490).

თუ გამოვიყენებთ ფარული ფუძის ცნებას (ჯორბენაძე 1980, გვ. 127-129), ეს **-ორ** სუფიქსიანი ფუძე შეიძლება ჩაითვალოს ფარულ ფუძედ. დამოუკიდებლად ის მეტყველების არცერთ ნაწილს არ მიეკუთვნება, მაგრამ აქვს უნარი, რომ გახდეს აბსტრაქტული სახელის (**სტიმულირება**) ან ზმნის პირიანი ფორმის ფუძე (**ასტიმულირებს**).

როგორც წესი, მესამე ტიპის უღლების ნასახელარ ზმნებში **-ობ** თემის ნიშანი გამოიყენება. **-ებ** თემის ნიშანი საშუალო გვარის ზმნებში აქვს ფუძეგაორკვეებულ (აგრეთვე, **-იალ** სუფიქსიან) ზმნებს (შანიძე 1980, გვ. 415-416). ამ შემთხვევაში კი **-ებ** თემის ნიშნის გაჩენის წინაპირობას ქმნის ფუძესა და თემის ნიშანს შორის **-ორ** სუფიქსის ჩართვა. ე.ი. **-ორ** სუფიქსის გამოჩენა ისევე აუცილებლად მოასწავებს **-ებ** თემის ნიშანს (**ვეიზიტ-ორ-ებ**), როგორც, მაგალითად, **-იალ** სუფიქსის არსებობა **კრ-იალ-ებ-ს** ფორმაში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თუ **-იალ** სუფიქსიანი ფორმებს პარალელურად დიალექტებში **-ობ** თემისნიშნის ფორმებიც მოეპოვებათ, **-ორ-ებ** მიმდევრობა ჯერჯერობით დაურღვეველი ჩანს. **-ორ** სუფიქსი თავის მომდევნოდ აუცილებლად მოითხოვს **-ებ** თემის ნიშანს და ვერ იგუებს **-ობ** თემის ნიშანს. როგორც ჩანს, აქ ერთი მორფემის მიერ მეორე მორფემის აუცილებლობით მოთხოვნის ის პრინციპი მოქმედებს, რომელსაც ბესარიონ ჯორბენაძე ფლაგიტაციის პრინციპს უწოდებს (ჯორბენაძე 1980, გვ. 281, გოგოლაშვილი 2011ა, გვ. 25).

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც დგება ერთი საკითხი: ნამდვილად ირიბი ჩართვაა ეს თუ მაინც პირდაპირ ჩართვად უნდა განვიხილოთ, რადგან ეს **-ორ** (და ზოგ შემთხვევაში **-იზ**) სუფიქსი ნასესხებ ფუძეებს ხშირად თან შემოჰყვებათ. ქართულში კი პირდაპირ ამ ნასესხებ ფუძეს ემატება ქართული სუფიქსი. ამიტომ უფრო სწორი ანალიზი ხომ არ იქნებოდა, რომ ეს მოვლენა ფუძის პირდაპირ ჩართვად მიჩნეულიყო? ვფიქრობ, რომ რადგანაც **-ორ** სუფიქსი თვითონ ქართულშიც სუფიქსად, ჩანართ ელემენტად მოიაზრება, ამიტომ ეს ფორმები მაინც ირიბი ჩართვის შედეგად უნდა ჩაითვალოს. **-ორ** სუფიქსი ქართული ენის მასალის მიხედვითაც გამოიყოფა როგორც, მართალია, არც ძალიან გავრცელებული, მაგრამ მაინც მოქმედი ნასესხები სუფიქსი, რომლის სპეციფიკური ფუნქციაც სწორედ ნასესხები სიტყვის ფუძის წარმოებაა. ამიტომ **-ორ** ელემენტის გამოჩენა ნასესხებ ზმნებში სწორედ ირიბი

ჩართვის მაუწყებელია. ეს სუფიქსი ამ ბოლო დროს გაქართულე-ბულ ფუძესთანაც გამოჩნდა კონკრეტული არსებითი სახელისგან აბსტრაქტული სახელის საწარმოებლად: სასურველი დიზაინის, (*ბოთლირება*, ეტიკეტირება) (<http://45.86.86.220:10633/bc4f>) და თვით მიმღეობის საწარმოებლადაც: „ბოთლირება ტრადიციული *ბოთლი-რებული* და ჩამოსასხმელი ღვინით“ ([http://176.97.77.19:14287/77\\_b8a3e13f7ea8](http://176.97.77.19:14287/77_b8a3e13f7ea8)).

### 3.2. პირდაპირი ჩართვა, ანუ ჩართვა

#### მორფოლოგიური ადაპტაციის გარეშე

თუ ნასესხები ფუძისგან საშუალო გვარის ზმნა ამ **-ირ** (ან **-იზ**) სუფიქსის გარეშე იწარმოება, მაშინ ნასესხებ ფუძეს **-ობ** თემის ნიშანი დაერთვის (*მესიჯობს, კონტაქტობს, კაიფობს...*). უშუალოდ ნასესხებ ფუძეზე დამატებითი მაზმნავებელი აფიქსის გარეშე პირდაპირ ქართული აფიქსაციის დართვა პირდაპირი ჩართვად უნდა ჩაითვალოს. ამ ტიპის მაგალითებში ჩანს, რომ ნესესხები სახელისგან უკვე ქართულში იწარმოება ნასახელარი ზმნა. მათ არ სჭირდებათ დამატებითი სუფიქსი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სესხების სხვადასხვა ტექნიკა ერთმანეთის მიმართ ქრონოლოგიურ დამოკიდებულებას არ გულისხმობს. მაგალითად, *ვიზიტობს* უფრო ძველი ფორმაა, ვიდრე *ვიზიტირებს*. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მას უკვე ჰქონია როგორც პირიანი (*ვიზიტობს, ივიზიტა*), ისე უპირო - საწყისი (*ვიზიტობა*) ფორმები (აფრიდონიძე 1985, გვ. 152-153). ეს ფორმა (*ვიზიტობს*) შეტანილია ქართულ-ინგლისურ ლექსიკონშიც (*რეიფილდი და სხვ.* 2006), ხოლო *ვევიზიტირებ* შედარებით ახალი წარმოებაა. თითქოსდა პირიქით კი იყო მოსალოდნელი: ჯერ უფრო რთული გზით, ირიბი ჩართვით უნდა შემოსულიყო ენაში უცხო სიტყვა, შემდეგ კი თანდათან უშუალოდ, პირდაპირ ჩართვაზე გადასულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნასესხები ფუძის ენაში დამკვიდრების პროცესი ასე ერთი მიმართულებით არ მოქმედებს. იგივე დასტურდება სხვა ენებშიც. სესხების ტექნიკის არჩევას სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, სოციოლინგვისტური ფაქტორები არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს.

უშუალოდ სახელის ფუძეზე **-ობ** თემის ნიშნის დართვით წარმოება განსაკუთრებით გავრცელებულია ნასესხები ძირებისგან



შექმნილ ჟარგონში. ამ თემის ნიშნით ზმნა იწარმოება სხვადასხვა ენიდან, განსაკუთრებით, რუსულიდან ნასესხები ფუძეებისგან. **-ობ** თემის ნიშნით ზმნის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებული იყოს ზმნის, არსებითის, ინფინიტივის, ზედსართავის ფუძეები: მაგალითად:

**ბლატაობს, გრიმიტობს** (დროს ატარებს, გრიალებს, პოპულარულია. რუსულიდან греметь), **გულაობს, დეიფენიობს, ზასაობს, სპორობს, ვაფნობს, თომარობს, იაზვობს, კაიფობს, კაჩაობს, კიკიმობს, მარიაფობს, პანიკობს, პრიკოლობს, ყოშკობს** (შდრ. ჟოშკავს მოქმედებითი გვარისთვის), **სვეტობს, ტასაობს, ტიპობს, დადაობს, შაყირობს, შუხურობს, პაკაზუხობს, პანიკობს...** (ბრეგაძე 2013).

**შენიშვნა:** როდესაც ირიბ ჩართვას განიხილავს, ვოლგემუთი წერს, რომ ირიბი ჩართვის ნიშანი შეიძლება იყოს ისეთი აფიქსიც, რომელიც მოცემულ ენაში არანასესხებ, მკვიდრ ზმნებსაც სჭირდებათ და არის **ან სახელისგან** (ნასესხები თუ არანასესხები სახელისგან) **ზმნის მაწარმოებელი, ანდა კაუზატივის ან ფაქტიტივის** მაწარმოებელი, **ან** შეიძლება იყოს განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური **აფიქსი, რომელიც მხოლოდ ნასესხებ ზმნებს დაერთვის** (უოლგემუთი 2009, გვ. 95-97).

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ **-ობ** სუფიქსიანი წარმოებაც ირიბ ჩართვად უნდა მივიჩნიოთ? უნდა ჩავთვალოთ თუ არა მაგალითად, **-ობ** თემის ნიშანი სპეციალურ მაზმნავებელ აფიქსად ნასახელარ ზმნებში (**თამაშობს, ლაპარაკობს...**) ან თუნდაც **-ავ** თემის ნიშანი მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებში (**ფარავს, ღობავს...**) და განიხილება თუ არა ნასესხები ფუძეებისგან ასეთი წარმოება (**მესიჯობს, კონტაქტობს... სროკავს, ტისკავს...**) ირიბ ჩართვად, რადგან ეს თემის ნიშნები ენაში არანასესხები ფუძეებისგანაც აწარმოებენ ზმნებს? ალბათ არა. ეს იმ შემთხვევაში გახდებოდა საფიქრებელი, ეს თემის ნიშნები მხოლოდ ნასახელარ ზმნებში რომ გვხვდებოდნენ. რადგან იგივე თემის ნიშნები ზმნურ ძირებშიც გვაქვს (**აპობს, ათობს, კერავს, წურავს...**), ამიტომ ამ თემის ნიშნებს სპეციფიკურად სახელეების მაზმნავებელ აფიქსებად ვერ განვიხილავთ (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნასახელარ ზმნებსაც აწარმოებენ). ამიტომ ასეთ ფორმებს (**მესიჯობს, კაიფობს, კონტაქტობს**) განვიხილავთ როგორც პირდაპირ-

რი და არა ირიბი ჩართვის ნიმუშებს. ხდება ნასესხები სახელის (ან გაუდიფერენცირებელი ფუძის) **პირდაპირი ჩართვა ნასახელარი ზმნის ქართულ ყალიბში და წარმოიქმნება ახალი ნასახელარი ზმნა.**

ასეც რომ არ იყოს, გარკვეული წინააღმდეგობრივი დებულებების შემდეგ **უოლგემუთიც** დაასკვნის, რომ თუ მოცემული აფიქსის დართვა სავალდებულოა შესაბამისი კლასის ზმნების არანასახებ (მკვიდრ) ფუძეებზეც (მაგალითად, როგორც ზმნის რომელიმე კლასის ნიშნისა), მაშინ სესხების ეს სახეც პირდაპირ ჩართვად უნდა ჩაითვალოს (იქვე, გვ. 87, 100).

### **3.3. ირიბობიექტიანი ფორმების წარმოება**

მესამე ტიპის უღლების ზმნებს შესაბამისი ირიბობიექტიანი ზმნები პრეფიქსიანი ვნებითის ფორმით, კერძოდ, დეპონენსური ვნებითით ეწარმოება: **ჩალიჩობს – ეჩალიჩება, ბაზრობს – ებაზრება...**

საშუალო გვარის ზმნებისგან რელატიური ფორმების ამგვარად წარმოების შესახებ **აკაკი შანიძე** წერს: „მედიალური ფორმები მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში აბსოლუტურად იხმარება, რელატიურად კი ვნებითს (resp. დეპონენსს) უნდა მივმართოთ: ჭიკჭიკებს – ეჭიკჭიკება, საუბრობს – ესაუბრება, ხუმრობს – ეხუმრება და სხვ.“ (შანიძე 1980, გვ. 306).

მსგავს წარმოებას აღწერს **ბესარიონ ჯორბენაძე**, როცა განიხილავს

**თამაშობს – ეთამაშება, ჭიდაობს – ეჭიდავება** ტიპის წყვილებს (ჯორბენაძე 1975, გვ. 189 და შმდგ.). ის წერს: „ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ზმნის სამი ფორმა (**ათამაშებს – ეთამაშება – თამაშობს**), რომლებიც, ფორმობრივი სხვაობის მიუხედავად, ფუნქციურად აქტიური მოქმედების გამომხატველი არიან.“ (იქვე, გვ. 190)... „არის შემთხვევები, როცა წყვილი მოქმედებითი – ვნებითი (კონვერსიული) არ დასტურდება: **აჭიდავებს – ჭიდაობს – ეჭიდავება, აომებს – ეომება – ომობს, აბრძოლებს – ებრძოლება – ბრძოლობს...**“ (იქვე, გვ. 191).

როგორც ბესარიონ ჯორბენაძემ აჩვენა, ასეთ ფორმებში ე-პრეფიქსის ძირითადი ფუნქცია ირიბი ობიექტის პოვნაა და მითითებაა. ბევრ ამ ფორმას ინიანი ვნებითი საერთოდ არ მოეპოვება (ჯორბენაძე 1983, გვ. 94-96, სუხიშვილი 2011, გვ. 602-604).

ახალნასესხებ ზმნებში ეს მოდელი ძალიან პროდუქტიულია:

**მესიჯობს – ემესიჯება, კონტაქტობს – ეკონტაქტება, კაიფობს – ეკაიფება, პაკაზუხობს – ეპაკაზუხება, ბლატაობს – ებლატაგება, ჩალიჩობს – ეჩალიჩება...**

ზოგჯერ ზმნის ვალენტობის შეცვლის სხვადასხვა საშუალების შერჩევასა სემანტიკასაც აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, პირდაპირი ობიექტის სემანტიკის მიხედვით სხვადასხვა საშუალებით იწარმოება შესაბამისი ერთპირიანი და ირიბობიექტიანი გარდაუვალი ფორმები:

**მოქმედებითი, სადაც პირდაპირი ობიექტი რა-ჯგუფისაა**

ის ამბავს **აბაზრებს** და შესაბამისი გარდაუვალი ფორმა: ამბავი გ**აბაზრდება** (→ ირიბობიექტიანი: მას ამბავი **გაუბაზრდება**)

**მოქმედებითი, სადაც პირდაპირი ობიექტი ვინ-ჯგუფისაა**

ის კაცს **აბაზრებს** (ალაპარაკებს) და შესაბამისი გარდაუვალი ფორმა: კაცი **ბაზრობს** (→ ირიბობიექტიანი აქტიური შინაარსის მქონე ვნებითი /დეპონენსური/: კაცი სხვას **ებაზრება**).

აღსანიშნავია, რომ ინვერსიული მნიშვნელობითაც ახალ ნასესხობებში სწორედ მეორე ტიპის უღლების ზმნები გვხვდება, ე.წ. მიჩნევის, გუნების ვნებითები: **ეპაზორება, ევასება** და ა.შ. ეს ზმნები ინვერსიული ზმნებია. ჩვეულებრივ, მათ **ინიანი** ვნებითი არ მოეპოვებათ და ისევე შეიძლება ეწოდოთ ნასახელარი ზმნები, როგორც შესაბამის მედიოაქტიურებს. მაგალითად, **ეპაზორება** პირდაპირ რუსულ **პაზორ** ძირზე დამყარებით არის ნაწარმოები და პირდაპირი ჩართვის ნიმუშია; **ე-სირცხვილ-ება**-ს ყალიბში **სირცხვილ-** ჩანაცვლებულია **პაზორ-**ით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი ნასახელარი ვნებითია.

ახალ ნასესხობებს შორის არის ერთი ინვერსიული ზმნაც პირველი ტიპის უღლებისა. ეს ზმნა არის ჟარგონული ფორმა **ჩაკეიმარა, ჩაგვაკეიმარებს** – ჩაგვეძინება. **ჩაეკეიმარა - ჩაეძინა**. რუსული кимарить – დაძინება ქურდულ ენაზე (ბრეგაძე 2013, გვ. 151).

ნასესხები ფუძისგან მეშველზმნიანი ზმნის წარმოების შემთხვევა არ ჩანს.

#### **4. მოქმედებითი გვარის ზმნების წარმოება**

##### **ნასესხები ზმნური ფუძეებისგან**

(დ. მელიქიშვილის 2001 კლასიფიკაციით, I დიათეზის დინამიკური ზმნები, აქტივი)

#### 4.1. არაპირდაპირი (ირიზი) ჩართვა

არაპირდაპირ ჩართვად მოქმედებითი გვარის ზმნებშიც **-ირ** და **-იზ** სუფიქსიან წარმოებას მივიჩნევთ, მაგალითად: **ა-კოპ-ირ-ებ-ს, ა-სკან-ირ-ებ-ს, ა-მოდერნ-იზ-ებ-ს, ა-სტიმულ-ირ-ებს** და ა.შ. **-ირ** სუფიქსიანი ფორმები უახლეს ნასესხობებში არც ისე ხშირია. საინფორმაციო ტექნიკასთან დაკავშირებული უახლესი ნასესხობები ინგლისური ენიდან, ჩვეულებრივ, პირდაპირი ჩართვის მეშვეობით შემოდის. სესხების ეს თავისებურება შეინიშნება სხვა ენებშიც.

საინტერესოა, რომ ზმნა **ამოდერნიზებს** ნავარაუდები აქვს **გიორგი გოგოლაშვილს** (2011, გვ. 19), როგორც **მოდერნიზებულ** ფორმის ამოსავალი ფარული ფუძე, რომელსაც ვერ ადასტურებდნენ, „ქართულისათვის უცნობია ამგვარი ზმნური ფუძე“. დღესდღეობით ეს ფუძეც გამოჩნდა, როგორც დადასტურება, რომ ნავარაუდები ზმნა ნამდვილად მისაღები ფორმა ყოფილა. შეიძლება ზემოთ ნახსენებ **ბოთლირებულსაც** აღმოაჩნდეს **აბოთლირებს** ფორმა.

„Qlik გვეხმარება ბიზნესის დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენაში, რაც აუმჯობესებს სტრატეგიის შერჩევა-დაგეგმარებას. ამასთანერთად, სრულად **ამოდერნიზებს** პროცესების ჯაჭვს და სწრაფად ადაპტირდება ცვალებად მოთხოვნებზე.“

<https://ngt.ge/ge/direction/business-intelligence/qlik-retail>

„თემქაზე, გლდანის დეპოში არსებულ ქარხანა 3PΞΠC ამოდერნიზებს, რადგან ესპლუატაციის ვადა გაუვიდათ“

<https://forum.ge/index.php?showtopic=34714242>

#### 4.2. პირდაპირი ჩართვა

პირველი ტიპის უღლების ზმნები (მოქმედებით გვარის ზმნები) ნასესხები ფუძეებისგან უმეტესად პირდაპირი ჩართვით იწარმოებიან. ხდება ნასესხები ზმნური ან სახელური ფუძის პირდაპირი ჩართვა ქართული ენის ზმნურ პარადიგმაში.

აუცილებელი არ არის, რომ ნასესხები ფუძე სახელის სახით იქნეს ნასესხები და შემდეგ წარმოიქმნას ნასახელარი ზმნა. შეიძლება ზმნის სახითვე ჩაერთოს პარადიგმაში. ამისი დამადასტურებელი ჩანს **სერჩავს, ბუსტავს, სქროლავს** და სხვა მსგავსი ზმნები. ძნელია, რომ ეს ფორმები **ბარავს** ან **ფარავს** ტიპის ნასახელარ ზმნებად მივიჩ-

ნიოთ. შესაბამისი სახელები *სერჩი, ბუსტი, სქროლი...* ნასესხებ სახელებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს, ან თუ მოიძებნება, საკმაოდ იშვიათად.

რა თქმა უნდა, ნასესხობებისგან ამავე ყალიბით ნასახელარი ზმნებიც იწარმოება, მაგ. *გა-ფაქტ-ავ-ს, გა-სროკ-ავ-ს* და სხვ. ეს არის ისეთი შემთხვევები, როცა შესაბამისი ორგანული ზმნა ქართულში არ არის (ეს შინაარსი სალიტერატურო ენაში ორნაწილიანი კონსტრუქციით გამოიხატება: *ფაქტზე წაასწრებს, პატიმრობას მიუსჯის...*). ნასესხებ ფუმეს შესაბამისი ორგანული ზმნა დამხვედრი ზმნის სახით არ მოეპოვება. სამაგიეროდ ნასესხები ფუმე იყენებს ანალოგიური აგებულების მქონე ქართული ზმნების ყალიბს.

ასევე ცალკეა განსახილველი ნასესხები ფუმეებისგან წარმოქმნილი ზმნები, რომლებიც არ იწარმოებიან შესაბამის ზმნაში ქართული ფუმის ნაცვლად ნასახები ფუმის ჩართვით, მაგალითად, ზმნა *„დასეივება“* (მასალის შენახვა კომპიუტერში) არ იწარმოება *შენახვა* ზმნაში ფუმის ჩანაცვლებით.

ნასესხებ ზმნებში, შესაბამისი ქართული ზმნებისგან განსხვავებით, *და-* ზმნისწინის გამოყენება მიჩნეული იქნა სესხების ტიპოლოგიის ძირითადი ოთხი სახეობისგან განსხვავებულ კერძო შემთხვევად (ამირიძე 2018, გვ. 160). შეიძლება ასეც ჩაითვალოს. ეს ნამდვილად ცალკე განსახილველი საკითხია. ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება პირდაპირი ჩართვის ქვესახეობად იქნეს მიჩნეული, რადგან ნასესხები ფუმე ქართულ პარადიგმაში თავისთვის ყალიბს პოულობს თავისი შინაარსის და ფორმის შესაბამისად და იქ ხდება მისი პირდაპირი ჩართვა. ქვემოთ განხილულია თემის ნიშნების განაწილება (ნაწ. 5) და ზმნისწინის საკითხი (ნაწ. 6).

იმ მასალის მიხედვით, რომელიც ხელთ გვაქვს, აღმოჩნდა, რომ ინგლისურიდან ახალშემოსული ფუმეებისგან პირველი ტიპის უღლების ზმნების წარმოების წესი მარტივ პრინციპზეა დამყარებული. ზმნური ან სახელური (ან გაუდიფერენცირებელი) ფუმის ფონეტიკური ადაპტაციის შემდეგ *ერთზე მეტმარცვლიანი* ფუმეებისგან *პირველი ტიპის* უღლების ზმნები იწარმოება *ა—ებ* აფიქსების დართვით (რასაც პირობითად ვუწოდეთ *მოდელო 1*, ანუ *ა-R-ებ* მოდელო), *ერთმარცვლიანი* ფუმეებისგან კი *-ავ* თემისნიშნის დართვით (*მოდელო 2*, *R-ავ* მოდელო). *R-*სიმბოლოთი აქ აღინიშნება სტრუქ-

ტურის საყრდენი ფუძე, მოდელის არჩევანისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ მეტყველების რა ნაწილია საყრდენი ფუძე, გადამწყვეტი ფაქტორია ფუძის მარცვლოვანება (კობაიძე 2021, გვ. 65-66).

მოდელი 1. **ა-R-ებ**, ამოსავალი ფუძე ერთზე მეტმარცვლიანია:

*და-ა-ფორვარდ-ებ-ს, და-ა-ლაიქ-ებ-ს, და-ა-ჰაიდ-ებ-ს, და-ა-ფოლოუ-ებ-ს, და-ა-სპოილერ-ებ-ს, და-ა-ჰაჰავ-ებ-ს, და-ა-სეივ-ებ-ს, და-ა-საბმიტ-ებ-ს, და-ა-ფრენდზონ-ებ-ს, და-ა-ედით-ებ-ს, და-ა-ანონს-ებ-ს, და-ა-აფდით-ებ-ს, და-ა-შტრიბკოდ-ებ-ს...*

მოდელი 2. **R-ავ**, ამოსავალი ფუძე ერთმარცვლიანია:

*და-კლიკ-ავ-ს, და-ლინკ-ავ-ს, და-თაგვ-ავ-ს, და-პოსტ-ავ-ს, და-ტროლ-ავ-ს, და-სინ-ავ-ს, და-სქრინ-ავ-ს, და-სტალკ-ავ-ს, და-სტრიმ-ავ-ს, და-სკიპ-ავ-ს, და-ნეესთ-ავ-ს, და-გრინ-ავ-ს, და-გუგლ-ავ-ს, ვ-სერჩ-ავ, ვ-სტიგმ-ავ, და-ბუსტ-ავ-ს, და-თაგ-ავ-ს, ჰოსტ-ავ-ს...*

ფუძისეული მარცვლების რაოდენობაზე დამოკიდებულების მაჩვენებელია ერთი და იმავე ფუძისგან ნაწარმოები ფორმები **დავაკობირე** და **დაგვოპე**, **ვაპრინტერებ** და **ვპრინტავ...** აქ ორი სხვადასხვა ყალიბის შერჩევას (**ა-R-ებ** და **R-ავ**) მხოლოდ ფუძის მარცვალთა რაოდენობის განსხვავება იწვევს.

ამავე წესს მიჰყვება უცხოეთში მცხოვრები ქართველების მეტყველებაში გაჩენილი ბარბარიზმები თუ ოკაზიონალიზმები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არ გვხვდება, მაგრამ იმავე კანონზომიერებას გვიჩვენებენ:

**ა-R-ებ** წარმოება მრავალმარცვლიანებისგან:

**დამპაიხერებული მაქვს** (დამახსოვრებული), **დამტაუბზაუგერება** (მტვერსასრუტით მოწმენდა)

**R-ავ** წარმოება კი ერთმარცვლიანებისგან:

**მოკობვა** (სადილის მომზადება), **დღეს მე მოვკობე**, **დაპუტცვა** - **დალაგება** (გერმანიის ქართული სათვისტომო, ფბ ჯგუფი), **დაბუკვა** - **დაჯავშნა** (ვიზიტი დავბუკე, შვედეთის ქართველები)...

## 5. თემის ნიშნები ახალ ნასესხობებში

ბუნებრივია, რომ ასეთი აშკარა კანონზომიერების გამოვლენის მერე საინტერესოა სხვა, უფრო ძველი ნასესხობების და, ასევე, ქართული მასალის გადახედვაც ამ თვალსაზრისით.

დაახლოებით მსგავსი, მაგრამ არა ასე უგამონაკლისოდ ერთგვაროვანი წარმოება შეინიშნება რუსულიდან შემოსული ძირებისგან ნაწარმოებ ზმნებშიც. **ერთმარცვლიანებისგან: გასროკავს, გაფაქტავს, დაბრედავს...**

**მრავალმარცვლიანებისგან: აიასნებს, აიზმენებს...**

თუმცა არის **გამონაკლისებიც: აპრავებს** და არა **პრავეს, აჩმორებს** და არა **ჩმორავს... ასტუკებს** და არა **სტუკავს**. აქვე შევნიშნავთ, რომ ინტერნეტში **ჩმორავს** და **სტუკავს** მაგალითებიც საკმაოდ იძებნება, ამიტომ ამ ფორმებს ვარსკვლავით არ მოვნიშნავ, მაგრამ **აპრავებს** უკვე შეუცვლელად არის დამკვიდრებული. პარალელური **პრავეს** არ იძებნება.

ქვემოთ წარმოდგენილია მასალის ნაწილი.

**რუსულიდან და სხვა ენებიდან შემოსულ ძირებზე დაყრდნობით ნაწარმოები ზმნები** (მასალა ლევან ბრეგაძის ლექსიკონიდან 2013)

### მოდელი 1

**დაზაგატკება, აბირყავებს, ასიაბანდებს, ასტრახოვეებს, აფანატიებს, აბითურებს, აგოიმებს, აღადავებს, დააატკაზებს, ამულამებს, უაზგონებს, აიზმენებს, აიასნებს, ატანცავეებს, გააიასნა, აიასნებს, დააატკაზა, დააგოიმა, დაანაკოლა, დააპადერშკა, დაასვარკავა, დავასვარკავებო, დააჩმორიკა, დავერბოება, ავერბოვეებს, ამანდრაჟებს, ამულამებს, დაუპადიეზდებს, დაუსატკავა** (ჩაუსაფრდა), **მიაპრადალა** (მიჰყიდა, შეასალა)...

**გამონაკლისები**, ფუძე ერთმარცვლიანია, მაგრამ **ა-ებ** მოდელს იყენებს:

**აჯაზებს, ასტუკებს, ასტოპებს, აჩმორებს, აპრავებს.**

### მოდელი 2

**მოხოდება, კრასკვა, გასროკვა სროკავს, გატისკვა** (ცივი იარაღით დაჭრა, ტისაკი - დანა. რუსული ტესაკ – ერთგვარი ხანჯალი) (ბრეგაძე 2013), ან: ზეწოლა, შდრ. რუს. ტისკი, ქართ. გირავი), **გარისკვა, გაშანსვა, დაკრუგვა, შუშავს, გადაშუშავს** (შუშით, მინით ასლის გადაღება), **ბრედავს, დაბრიდა, ჟიშავს, გამაზავს, იხხირავს, ტრუპავს** (კლავს), **გასატრუპია, გაგტრუპავ, შმონავს, გაშმონა** (გაჩხრიკა, რუსული ქურდული ენიდან, შმონ, შმონი დაგვარტყეს), **ჩითავს, გაჩი-**

**თა – გაჩხრიკა, დაგაზავს (გაიქცევა), შოკავს, დაცენტრავს, შტრაფავს, დასმოტრავს, ემოტავს, კრიშავს, ლატკავს** (ფარავს ერთი სესხით მეორეს), **მოხოლტავს** (თანამდებობიდან მოხსნის), **უჯოკრავს, გადაუჯოკრა, გაზავს** (ძალიან სწრაფად მიდის), **გასკვანჩავს, გასროკა, გატრუპა, გაშანსა, გაშმონა, გაჩითა, გრუზავს, დაზადნა...**

**ამ მოდელის ზმნებს შორის ერთზემეტმარცვლიანი ფუძე არ ჩანს.**

როგორც ვნახეთ, ახალ ნასესხობებში გამონაკლის შემთხვევებში ერთმარცვლიან ფუძეებთან **ა-ებ** მოდელით წარმოებაც გვხვდება. ახალი ნასესხობებისგან განსხვავებით, მთლიანად, ქართული მასალის მიხედვით, **ა-R-ებ** მოდელი ერთმარცვლიან ძირებთანაც ჩვეულებრივია, მაგრამ საპირისპირო მიმართულების გამონაკლისი, სადაც ერთზე მეტმარცვლიანი ძირისგან **უპრეფიქსო-R-ავთემისნიშნიანი წარმოება გვექნებოდა, ვერც მთლიან მასალაში დავადასტურეთ.**

თუ გადავხედავთ არა მხოლოდ ახალ ნასესხობებს, არამედ ქართული ზმნური ფუძეების ინდექსს, რომელიც 9000 ზმნურ ფუძეს მოიცავს (მელიქიშვილი 2001, გვ.270-346), ვნახავთ, რომ **არცერთი -ავ თემისნიშნიანი ზმნის ფუძე არ არის ერთზე მეტმარცვლიანი, გარდა ერთი გამონაკლისისა: ხოშკაკლავს** და ისიც აშკარაა, რომ ამ ზმნას ორნაწილიანი ფუძე აქვს. **ქეგლ**-ში ამ ზმნას მხოლოდ ერთი საილუსტრაციო მაგალითი ახლავს, სტრიქონი იმ ცნობილი ხალხური ლექსიდან („წვიმს, თოვს, ხოშკაკლავს“, განმარტებითი რატომღაც ეს ვარიანტია, წვიმს, თოვს, და არა წვიმს, წვიმს, მ.კ.), და მითითებულია, რომ ამ ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები ეწარმოება. მეტი გამონაკლისი ვერ დავადასტურეთ ვერც ახალ ნასესხობებში და ვერც სალიტერატურო ქართულში.

როგორც ვნახეთ, რამდენიმე ნასესხობაში ერთმარცვლიან ძირს **ა-ებ** აფიქსი აწარმოებს: **აჩმორებს, ასტუკებს, აჯაზებს ...** ეს ზმნები, იშვიათად, მაგრამ მაინც **ავ**-სუფიქსითაც დასტურდება: **ჩმორავს, სტუკავს, ჯაზავს...** მრავალმარცვლიანი ძირისგან კი **-ავ** თემისნიშნიანი წარმოება არც I და III ტიპის უღლების ნასესხებ ზმნებში ჩანს (**\*აპაიდავს, \*ალაიქავს, \*მესიჯავს, \*ჩალიჩავს...** ტიპის ფორმები არ დასტურდება).



თემის ნიშნების განაწილების საკითხი ძალიან საინტერესო და ვრცელი საკითხია, მათ შორის **-ავ** და **-ებ** თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხი (ჯორბენაძე 1988, გვ. 181-182, გოგოლაშვილი 2011ბ, გვ. 667-676). ახალნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილი მასალის ამ მხრივ განხილვამ განვითარების ტენდენციის თვალსაჩინო სურათი გამოკვეთა.

აკაკი შანიძე წერს, რომ თემის ნიშნებიდან დღეს მხოლოდ სამია ნაყოფიერი: „ესენია: **ავ, ებ, ოზ**. ახლად შემოსული სახელებისაგან და ახლად შექმნილთაგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ზმნების წარმოება... ყველა დანარჩენი თემის ნიშანი (ი, ევ, ამ, ემ, ოფ) უნაყოფია, რადგანაც არც ერთ მათგანს არ შეუძლია აწარმოოს ახალი ზმნა. იგივე ითქმის ხმოვანმონაცვლეობის შესახებაც და აგრეთვე ერთთემიან ზმნათა წარმოებაზედაც (შანიძე 1980, გვ. 422).

მართლაც, **ახალ ნასესხობებში თემის ნიშნები ასე ნაწილდებიან:**

**მოქმედებითი გვარის** ზმნები ერთზე მეტმარცვლიანი ფუძეებისგან იწარმოებიან **-ებ თემის ნიშნით**, ერთმარცვლიანი ფუძეებისგან **-ავ თემის ნიშნით**. **მედიაოპტიურები -ოზ თემის ნიშნით** იწარმოებიან. მედიაოპტიურები **-ებ თემის ნიშანს დაირთავენ -ირ, -იზ** ან სხვა რომელიმე ნასესხები სუფიქსის მომდევნო პოზიციამი. **-ავ თემის** ნიშანი ერთზე მეტმარცვლიან ფუძესთან **არც ერთი ტიპის** უღლებაში არ დასტურდება.

**-ავ** თემის ნიშნის გააქტიურება ჟარგონში, და არა მარტო ჟარგონში, აშკარაა (მათ შორის, აშკარად ნასახელარ და გარდაქცევითობის გამოხატველ ზმნებშიც): **გატრუპავს, გასროკავს, გაშტურმავს, გაფაქტავს, გასტიკავს, ... დასერჩავს, დატროლავს, დაგუგლავს, პოსტავს, პოსტავს...** ასეთ ზმნებს ჟარგონულობის იერი აქვთ ქართულ ან გაქართულებულ ფუძეებთანაც: **მოჩანგლა, მოტვინა, მოჩანთა, გაშარავს. გადაშუშავს** (შუშით გადაიღებს ასლს)...

**ნასესხობებში მეშველზმნიანი წარმოება არ დასტურდება.**

ნასესხობებში დადასტურდა ხმოვანმონაცვლეობა ერთ ახალ ზმნაში. გვაქვს **ფუძედრეკადი** ნასესხები ზმნა: **დაბრედილი – დაიბრიდა... დაბრიდავს, დაბრიდა, დაუბრედა** ეს ფორმები შეტანილია დიდ ქართულ ინგლისურ ლექსიკონში (რეიფილდი და სხვ. 2006) და ჟარგონის ლექსიკონში (ბრეგაძე 2013)

„დაბრედა – სიკვდილი, გარდაცვალება, მოკვლა (ებრაულიდან უნდა მომდინარეობდეს, იხ. კ. დუმბაძე, გვ. 35)... დაბრიდა – მოკლა... დაგბრიდავ, ნულარ გამათავებ ლოდინითა (ოთარ ჩხეიძე)“ (ბრეგაძე 2013, გვ. 52).

რატომ ვერ აწარმოებს **-ავ** თემის ნიშანი ახალნასესხები ძირეზისგან საშუალი გვარის ზმნებს და რატომ არ დასტურდება, მაგალითად, \***მესიჯავს** (როგორც საშუალი გვარის ან მოქმედებითი გვარის ზმნა (\***დამესიჯავს**)? რატომ არ შეიძლებოდა, რომ **პოსტ-** ფუძისგან წარმოებული ყოფილიყო \***პოსტობს** ზმნა, რომელიც თავისი ყალიბის გამო მოექცეოდა მედიაოქტიურებში (\***იპოსტებს** მყოფადის წრით)? რატომ ირჩევენ ერთზე მეტმარცვლიანი ფუძეები-**ობ** თემის ნიშანს და ერთმარცვლიანები **-ავ** თემის ნიშანს, რაც ზოგჯერ, თავის მხრივ, უღლებს ტიპის არჩევანსაც კი განაპირობებს? ეს ალბათ შემდგომი კვლევის საკითხია.

## 6. ზმნისწინი ახალ ნასესხობებში

ინგლისურიდან ნასესხებ ფუძეებზე დაყრდნობით ნაწარმოები ზმნები, მიუხედავად იმისა, ნასახელარია თუ არა ისინი, ჩვეულებრივ, არ იმეორებენ აღწერილი ქმედების შესაბამისი ქართული ზმნის ზმნისწინს, არამედ, ძირითადად, წარმოდგენილი არიან **და-** ზმნისწინით. **ნიწო ამირიძე** არის პირველი მკვლევარი, რომელმაც ეს საკითხი წამოჭრა და განიხილა. მან ყურადღება მიაქცია **და-** ზმნისწინის ფართო გავრცელებას ინგლისურიდან ნასესხებ ზმნებში და მიიჩნია, რომ ამისი მიზეზია თვითონ **და-** ზმნისწინის ნაკლებად მარკირებული მნიშვნელობა და გრამატიკალიზაციის მაღალი ხარისხი (ამირიძე 2018, გვ. 162-164), რაც ნამდვილად არის **და-** ზმნისწინის შერჩევის ერთერთი საფუძველი. მაგრამ გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ჩანს, რომ თვითონ ამ ზმნებს აქვთ მკვეთრად შემოფარგლული სემანტიკური მნიშვნელობა. ამ ფორმებით იგულისხმება სწორედ კომპიუტერის კლავიატურაზე დაწკაპუნებით შესრულებული ქმედება მოწონებისა, გაგზავნისა და ა.შ. ამიტომაც იღებენ ისინი **და-** ზმნისწინს, ზემოდან ქვემოთ, ზედაპირისკენ მიმართული მოქმედების, კლავიატურის ან ეკრანის ზედაპირზე შესასრულებელი მოქმედების მიმართულების გამომხატველ ზმნისწინს.

ამგვარად, ხდება არა ქართულში უკვე არსებულ ზმნაში ფუძის ჩანაცვლება ინგლისურიდან ნასესხები ზმნური ფუძით, არამედ იქმნება ახალი ქართული ზმნა ინგლისურიდან ნასესხები ფუძის ქართული ზმნის ყალიბში მოქცევით. ეს ახალი ზმნა აღწერს კლავიატურაზე შესასრულებელ მოქმედებას და შესაბამის ზმნისწინს მიიღებს. ამგვარ ნასესხობებს შეიძლება ეტიკეტების ნასესხობებიც ვუწოდოთ, რაზეც დასაწყისში აღვნიშნე. ამ შემთხვევაში ეტიკეტებზე ზმნური ფორმებია წარწერილი, ძირითადად, იმპერატივის ფორმით, და ამ ფორმების გამოყენებით იწარმოება ახალი ქართული ზმნები თავისი სპეციფიკური სემანტიკური მნიშვნელობით, რომელსაც სწორედ **და-** ზმნისწინით გამოხატული მიმართულება შეეფერება: **დაალაიქა – დააწკაპუნა „ლაიქზე“, დააჯოინა – დააწკაპუნა „ჯოინზე“, დააფორვარდა – დააწკაპუნა „ფორვარდზე“** და ა.შ.

სწორედ ამიტომ განსხვავდება ასეთი ზმნის წარმოება ზმნისწინით და ზოგი სხვა ნიშნითაც, მაგალითად, ხმოვანი პრეფიქსით, შესაბამისი ქართული ზმნებისგან, მაგალითად, **და-ვ-ა-ლაიქებ**, და არა **\*მო-ვ-ო-ლაიქებ** (შდრ. *მოვიწონებ*) ან **\*მო-მ-ე-ლაიქებ-ა** (შდრ. *მომეწონება*), **და-ა-ფორვარდებს** და არა **\*გა-უ-ფორვარდებს**, ან **\*გაუ-ფორვარდ-ი-ს** (შდრ. *გაუფრავნის*), **და-ა-სეივებ-ს** და არა **\*შე-ი-სეივებს** ან **\*შე-ი-სეივ-ავ-ს** (შდრ. *შე-ი-ნახ-ავ-ს*) და სხვ. ასევე ერთმარცვლიან ძირებთანაც: **დათავავს** და არა **მთავავს** შდრ. *მონიშნავს...*

სხვა, უკვე ქართული და გაქართულებული ფუძეებისგანაც გვხვდება **და-** ზმნისწინიანი წარმოება, როცა კლავიატურაზე დაწკაპუნებით შესასრულებელი ქმედება უნდა აღიწეროს, მაგალითად: **დაგულავს, დაახარვეზებს...**

ნინო ამირიძის გამოკვლევის თანახმად, შეიძლება **და-** ზმნისწინიანი წარმოება ნასესხობების სიახლით და **და-** ზმნისწინის გრამატიკალიზაციის მაღალი ხარისხით აიხსნას, ხოლო ასეთი წარმოება უნდა ჩაითვალოს არა ნასესხები ზმნის პირდაპირ ჩართვად და მხვედრი ქართული ზმნის ყალიბში, არამედ ზმნის სესხების ზემოთ აღნიშნული 4 სახეობისგან ტიპოლოგიურად განსხვავებულ სახედ (ამირიძე 2018). რაც შეეხება ისეთ ფორმებს, როგორც არის **და-ვ-ი-ფრენდ-ე** (და-ვ-ი-მეგობრ-ე), **მო-ვ-სერჩ-ე** (მო-ვ-ძებნე-ე), **ამო-ვ-პრინტ-ე** (ამო-ვ-ბეჭდ-ე) და სხვ., ისინი პირდაპირი ჩართვის ნიმუშებია (იქვე, გვ. 160).

გასაზიარებელია ნინო ამირიძის დასკვნა, რომ ნასესხები ზმნების გამოყენების სიხშირესთან და ხანგრძლივობასთან ერთად შეიძლება მათ სხვა ზმნისწინებზე გაუჩნდეთ, მაგალითად: **მოვსერჩე, ამოვპრინტე, გავაშეარე** (ამირიძე 2018, გვ. 158). აშკარაა, რომ ზმნა **მოვსერჩე** სწორედ ამ გზით უნდა გაჩენილიყო. თუ ლექსიკურ მნიშვნელობას შევხედავთ, ეს ზმნაც კლავიატურაზე შესასრულებელ მოქმედებას აღნიშნავს, მაგრამ უკვე შესაბამისი ქართული ზმნისწინით არის წარმოდგენილი. ძნელია რომ **ამოპრინტვა** ზმნის წინამავლად **დაპრინტვა** ვივარაუდოთ. **ამოპრინტა** – პრინტერზე ამობეჭდა. ამ ფუძისგან **და-** ზმნისწინით ნაწარმოებ ზმნას სხვა მნიშვნელობა აქვს: **დაპრინტა** – პრინტი დაადო, დაბეჭდა (გვხვდება ასეთ კონტექსტებში: **დაპრინტა ჭურჭელზე, მაისურზე, კაბაზე** და ა.შ.). **ამოპრინტა** ზმნის ქრონოლოგიურად წინამავალი ფორმა შეიძლება **ამოაპრინტერა** ყოფილიყო. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

როდესაც ნასესხები ზმნით უშუალოდ კლავიატურაზე და ეკრანზე შესასრულებელი მოქმედება არ გამოიხატება, იქ შესაბამისი მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები გამოიყენება, მაგალითად: **გამოადებორტეს, გაანიუსეს** (ეს ზმნები დამოწმებულია სტატიიდან ტუსკია 2014, გვ. 11), **გაგულავდა, წაგულავდა, გაკატავ-გამოკატავდა..** ან ასეთი ოკაზიონალიზმები: **წავლეთსგოვდეთ** (←let's go), **დავსითდაუნდეთ** (ზმნები დამოწმებულია სტატიიდან ამირიძე 2018, გვ. 157).

მოძრაობის გამომხატველ ზმნებში შესაბამისი მიმართულების ზმნისწინები ჩნდება ქართულში გამოყენებისთანავე. როგორც კი უცხო ფუძისგან ქართული ყალიბის ზმნა იწარმოება, მაშინვე შესაბამისი ზმნისწინი შეირჩევა. ვფიქრობ, ეს ნიშანია, რომ ამ ფუძეების უშუალოდ ქართულ ზმნურ პარადიგმაში მოქცევა ხდება პირდაპირი ჩართვის მეშვეობით, ამა თუ იმ ფუძის ზმნურ პარადიგმაში გამოყენებისთანავე.

თუ დავუბრუნდებით იმ საკითხს, თუ რა ადგილი უნდა მივუჩინოთ სესხების ტიპოლოგიის მიხედვით **დაასიეებს, დაალაიქებს** და მსგავსი ტიპის ზმნებს, ეს შეიძლება პირდაპირი ჩართვის ერთ-ერთ ქვესახეობად იქნეს განხილული. შემოსული ფუძე დამატებითი სპეციალური აფიქსაციის გარეშე პირდაპირ ექცევა ზმნურ ყალიბში და მოქმედებს როგორც ნებისმიერი სხვა ზმნა, მაგრამ

ზმნური ყალიბის შერჩევა ხდება არა შესაბამისი შინაარსის მქონე დამხვედრი ზმნის ფორმაში ფუძის პირდაპირი ჩანაცვლებით (**“შე-ისივ-ავ-ს, \*მო-ე-ლაიქ-ებ-ა**), არამედ იქმნება ახალი ზმნა (**დაასივ-ვებს, დაალაიქებს**). ამ ახალი ზმნის შექმნა არ გულისხმობს წინაპირობად დამხვედრ ენაში იმავე შინაარსის მქონე ზმნის, როგორც საყრდენი საშუალების გამოყენებას. ის იქმნება ნასესხები ახალი ფუძის ჩართვით თავისი **ახალი შინაარსისა და თავისი ძირის სტრუქტურის შესაბამის უღლების ყალიბში**. ზმნისწინადაც ირჩევს ამ ახალი შინაარსის შესაბამისი მიმართულების გამომხატველ ზმნისწინს. ეს განსაკუთრებით ნათელია, როცა ნასესხებ ზმნას მიმღებ ენაში არ ხვდება შესაბამისი შინაარსის გამომხატველი ზმნა, მაგალითად, **ბმულის დადების** გამომხატველი ქართული ფუძის მქონე ორგანული ზმნა ჯერჯერობით ქართულში არ არის. ნასესხები ზმნა **დალინკავს** ყალიბს ირჩევს სწორედ ფუძის ერთმარცვლიანობის მიხედვით და არ სჭირდება დამხვედრი ზმნა იმისთვის, რომ მისი ფორმა ან მისი ადგილი გამოიყენოს.

მარტივი პირდაპირი ჩართვაა, როცა ნასესხები ფუძე პირდაპირ ჩანაცვლებს ძველ ფუძეს იმავე ყალიბში: **ე-პაზორ-ებ-ა** (შდრ. **ე-სირცხვილ-ებ-ა**), **მესიჯ-ობ-ს** (შდრ. **ლაპარაკ-ობ-ს**), **დაიფრენდებს** (შდრ. **და-ი-მეგობრ-ებ-ს**).

## **7. პირდაპირი და ირიბი ჩართვა და სტილის საკითხები**

რაც უფრო რთული გზით ახერხებს სხვაენოვანი ფუძე მასპინძელი ენის სინტაქსურ ქსოვილში ჩართვას, მით უფრო ფორმალურად გამოიყურება ის. ყველაზე არაფორმალურია პირდაპირი ჩართვა (თავისი იმ ქვესახეობის ჩათვლით, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ), შედარებით უფრო ფორმალური ჩანს ირიბი ჩართვა (-ირ და -იზ სუფიქსიანი) და კიდევ უფრო ფორმალური და საკანცელარიო ხასიათი აქვს დამხმარე ზმნის სტრატეგიას. შდრ. მაგალითად, **ვიზიტად არის / ვიზიტად იმყოფება, ვიზიტირებს** და **ვიზიტობს...** ან **კომენტარებს აკეთებს, აკომენტარებს** და **აკომენტებს...** რეგისტრების განსხვავება თვალსაჩინოა. რაც უფრო მოკლეა გამონათქვამი და რაც უფრო ნაკლებ მარკერებს შეიცავს, მით უფრო არაფორმალურია.

პირდაპირი ჩართვა ფინურშიც სასაუბრო სტილის ნიშნად ითვლება (უოლგემუთი 2009, გვ. 209-211) და ახალ ნასესხობებში

უფროა გავრცელებული. მსგავსი პროცესი აღწერილია რუსულშიც. სადაც ძველებური **-ოვა** და **-ირ** სუფიქსებით გართულებული წარმოება პირდაპირმა ჩართვამ შეცვალა. პირდაპირი ჩართვა რუსულშიც სასაუბრო სტილის გამოხატულებად აღიქმება (ელიფიოროვა 2020).

შესაძლოა აქ ნასესხები ფუძეების წარმომავლობაც ასრულებდეს თავის როლს. უცხო აფიქსის სტატუსიც შესაბამისი ენის სტატუსის მიხედვით აღიქმება. ლათინური ან ფრანგული სუფიქსი მაღალფარდოვანი და ფორმალური იერის მატარებელია. როცა სიტყვას აშკარად ეტყობა, რომ ლათინური წარმომავლობისაა, ე.წ. საერთაშორისო სიტყვაა, და მით უფრო, თუ აბსტრაქტული სახელი ან მისგან ნაწარმოები ზმნაა, მაშინ მისი გამოყენება, ჩვეულებრივ, ენის უცოდინრობის ნიშნად არ აღიქმება. ასეთი ფორმები მაღალი სტილის იერს ინარჩუნებენ, განსხვავებით საყოფაცხოვრებო საგნების აღმნიშვნელი ნასესხები არსებითი სახელებისგან, რომლებიც ძნელად თუ გადალახავენ ბარბარიზმის სტატუსს.

რაც უფრო პირდაპირ, უშუალოდ და ზედმეტი აქსესუარების გარეშე ჩაერთვება უცხო ფუძე ენობრივ ქსოვილში, მით უფრო არაფორმალურად გამოიყურება ის და ზოგჯერ ჟარგონულადაც კი. ბუნებრივია, რომ სტანდარტული სალიტერატურო ენა ამ მხრივ უფრო შეუვალაია, ვიდრე ზეპირი მეტყველება.

### **ძირითადი დასკვნები**

ზმნის სესხების ტიპოლოგიაში აღწერილი ოთხი სახეობიდან ქართულში ზმნის სესხების სამი გზა დასტურდება: **დამხმარე ზმნის სტრატეგია** (მოქმედების აღმნიშვნელი ნასესხები სახელისა და ქართული პირიანი ზმნის კომბინაციით, მაგალითად, **სანქცირებას ახდენს**), **პირდაპირი ჩართვა** (ნასესხები ფუძის „ჩაწებება“ შესაბამისი ქართული ზმნის ყალიბში ქართული ფუძის ნაცვლად, მაგ. **მესიჯობს**) და **ირიბი ჩართვა** (დამატებითი ნასესხები აფიქსის გამოყენება ნასესხები ფუძის ზმნურ პარადიგმაში მოსაქცევად: **ასანქც-ირ-ებს**). არის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც ამ სტატიაში **პირდაპირი ჩართვის კვესახეობად** მიიჩნევა, ეს არის ისეთი ნასესხები ფუძის პირდაპირი ჩართვა ქართული ზმნის ყალიბში, რომელიც თავისი სემანტიკური ველით არ ემთხვევა შესაბამის ქართულ ზმნას და ამი-

ტომ ზმნისწინს თავისი ახალი სემანტიკის შესაბამისად, ხოლო თემის ნიშანს ფუძის ფონემატური აგებულების მიხედვით მოირგებს (**და-ა-სეივ-ებ-ს** და არა **შე-ი-სეივ-ავ-ს**, შდრ. **შე-ი-ნახ-ავ-ს**).

მესამე ტიპის უღლების ზმნები, ძირითადად, ნასახელარი ზმნები, პირდაპირი ჩართვისას **-ობ** თემის ნიშნით იწარმოებიან (**მე-სიჯობს**), ირიბი ჩართვისას კი **-ირ** ან **-იზ** სუფიქსის მომდევნოდ **-ებ** თემის ნიშნის დართვით (**ვიზიტირებს**). ამ ტიპის ზმნებს შესაბამისი ირიბობიექტიანი ფორმები **ე-პრეფიქსიანი** ვნებითით (დეპონენსური ფორმით) ეწარმოებათ (**ემესიჯება**).

თემის ნიშნების განაწილება ახალნასესხები ფუძეებისგან წარმოქმნილ პირველი ტიპის უღლების ზმნებში მთლიანად არის დამოკიდებული ძირის მარცვლოვანებაზე: **ერთმარცვლიანი ძირები** იყენებენ **-ავ** თემის ნიშანს და შესაბამისი ვნებითი პრეფიქსიანია **-სერჩავს - ისერჩება, ერთზე მეტმარცვლიანები** იყენებენ **ა - ებ** ყალიბს და შესაბამისი ვნებითი დ-ონიანია: **ასეივებს - დასეივდება**. საინტერესოა, რომ ამ წესს ემორჩილებიან როგორც ზმნური ძირისგან ნაწარმოები, ასევე მეტყველების სხვა ნაწილებისგან ნაწარმოები ზმნები, მაგალითად, შორისდებულისგან (**ა-ჰაჰავ-ებ-ს**), მიმღეობისგან (**seen /ნანახი/ → სინ-ავ-ს -ნახულობს**), პირიანი ზნისგან (**მიაპრა-დალებს**).

**-ავ** თემის ნიშანი არ დასტურდება ერთზე მეტმარცვლიან ფუძეებთან. გარდა ამისა, ახალ ნასესხობებში ვერ დავადასტურეთ **-ავ** თემისნიშნიანი წარმოება მესამე ტიპის უღლების ზმნებში.

ნასესხები ძირების განაწილება **-ავ** და **-ებ** თემისნიშნიანებად ძირის მარცვლოვანებაზე დაყრდნობით ერთი კერძო შემთხვევა ქართულში ფართოდ გავრცელებული ურთიერთდამოკიდებულებისა ზმნის ძირის ფონემატურ აგებულებასა და ზმნის აფიქსაციას შორის.

საინტერესოა, რომ შედარებით ახალნასესხებ ზმნებს შორის აღმოჩნდა ერთი **ფუძედრეკადი** ზმნაც: **ბრედავს – დაბრიდა – დაუბრედა**, რაც ამ რეფლექსის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს. მიუხედავად იმისა, თუ რა ისტორია უძღოდა წინ ფუძედრეკადი ზმნების ჩამოყალიბებას და ჰქონდა თუ არა ამას რაიმე კავშირი ხმოვნის სიგრძე-სიმოკლესთან ან მახვილთან, ამ სტრუქტურის

ზმნური ფუძეები დღესაც ემორჩილებიან ფუძის გახმოვანების ცვლას.

ზმნისწინების შერჩევას ნასესხები ზმნების სემანტიკური ველის თავისებურებები განაპირობებენ და მას ნაკლებად აქვს კავშირი სესხების ქრონოლოგიასთან.

სესხების სხვადასხვა ტექნიკის შერჩევა (დამხმარე ზმნის დამატება, ირიბი ჩართვა, პირდაპირი ჩართვა) ძირითადად დამოკიდებულია სტილის საკითხზე და სოციოლინგვისტურ ფაქტორებზე და, შედარებით ნაკლებად, წმინდად ენობრივ ფაქტორებზე.

## ლიტერატურა

**ნ. ამირიძე 2018** – ‘Accommodating Loan Verbs in Georgian: Observations and Questions.’ *Journal of Pragmatics* 133: 150–165

<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378216617306239>

**ანთაძე 2022** – ანთაძე ფ., ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ ზმნურ ნასესხობათათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, გვ.: 17-21. თბილისი

<https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1849?show=full>

**აფრიდონიძე 1985** – აფრიდონიძე შ. (რედ). ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 7, მასალები ლექსიკონისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, მეცნიერება

[http://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/02/%E1%83%95\\_7Tomi\\_151-156gv\\_opt.pdf](http://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/02/%E1%83%95_7Tomi_151-156gv_opt.pdf)

**ბერიკაშვილი 2016** – ბერიკაშვილი სვ., ნასესხი ზმნების ადაპტაცია საქართველოში გავრცელებულ პონტოურ ბერძნულში (რეზიუმე)

<https://rustaveli.org.ge/geo/grantiorta-aqtivobebi/naseskhi-zmnebis-adaptatsia-sakartveloshi-gavrtsebul-pontour-berdznulshi>



**ბერიძე, ბაკურაძე 2020** – ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი, მერიდიანი

**ბრეგაძე 2013** – ბრეგაძე ლ., ქართული ჟარგონის ლექსიკონი, მესამე გამოცემა 2013 (1999, 2005, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

**გოგოლაშვილი 2011ა** – გოგოლაშვილი გ., მორფოლოგია - ზოგადი საკითხები. წიგნში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რედ. გ. გოგოლაშვილი, გვ. 5-44. თბილისი, მერიდიანი

**გოგოლაშვილი 2011ბ** – გოგოლაშვილი გ., უღლება, უღლების ტიპები. წიგნში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რედ. გ. გოგოლაშვილი, გვ. 643-694. თბილისი, მერიდიანი

**მ. ელიფიოროვა2020** – [Мария Елифёрова](#), Панталоны фракжилет. Что такое языковые заимствования и как они работают. «АльпинаДиджитал»

**თანდილავა 2000** – თანდილავა ლ., თურქული ელემენტების შესახებ ლაზურში, ქართველური მემკვიდრეობა IV, გვ. 165-168. ქუთაისი

**მ. კობაძე 2021** – Recently borrowed English verbs and their accomodation in Georgian, in: Language and Society in the Caucasus (რედ. Christofer Berglund et al), გვ. 59-71. Lund, Universus Press

**მელიქიშვილი 2001** – მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი, ლოგოს პრესი

**მორავსიკი 1975** – Moravcsik, Edith 1975. Borrowed verbs. Wiener Linguistische Gazette 8, გვ. 3-30

**მორავსიკი 1978** – Moravcsik, Edith 1978. Language contact. In: Greenberg, Joseph (ed.), Charles A. Ferguson, and Edith A. Moravcsik (ass. eds.), Universals of Human Language 1. Stanford: Stanford University Press, გვ. 93-122

**რეიფილდი და სხვ. 2006** – რეიფილდი და სხვ. შუქია აფრიდონიძე, ლორენს ბრურსი, თინა მარგალიტაძე, დონალდ რეიფილდი (რედ.), ლევან ჩხაიძე, არიანე ჭანტურია. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ლონდონი, გარნეტი

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=46&t=35314>

**სუბიშვილი 2011** – სუბიშვილი მ., გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევები. წიგნში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რედ. გ. გოგოლაშვილი, გვ. 595-624. თბილისი, გამომცემლობა “მერიდიანი”

**ტუსკია 2014** – ტუსიკ მ., ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ენობრივი სიტუაცია, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-14, გვ. 143-158. თბილისი

[https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/TuskiaM\\_14Tomi43-158gv..pdf](https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/TuskiaM_14Tomi43-158gv..pdf)

**უიკმანი, უოლგემუთი 2008** – Wichmann, Søren, and Jan Wohlgemuth. ‘Loan verbs in a typological perspective.’ Paper submitted to the proceedings of the “Romanisation Worldwide” conference 2005, edited by Thomas Stolz, Rosa Palomo and Dik Bakker.

[https://www.linguist.de/jw/Wichmann\\_Wohlgemuthverborrowing-typology.pdf](https://www.linguist.de/jw/Wichmann_Wohlgemuthverborrowing-typology.pdf)

**უიტნი 1881** – Whitney, William Dwight 1881 *On Mixture in Language*. In: Transactions of the American Philological Association for 1881. 1882, 2–26. [Repr. in: *Whitney on Language. Selected writings of William Dwight Whitney*. Ed. by Michael Silverstein. Cambridge, MA: MIT Press, 1971]

**უოლგემუთი 2009** – Wohlgemuth, Jan. A Typology of Verbal Borrowings (Trends in Linguistics. Studies and Monographs. 211. ინდონეზიის უნივერსიტეტი

**ქურდაძე 2016** – Ramaz Kurdadze, Slang Lexical Borrowings in Georgian-Russian Cross-cultural Relations. Documentation panel, chair Grenoble The South Caucasian Chalk Circle (SCCC): Philology meets Linguistics, September 22, 2016, Paris, University of Chicago Center, 6 Rue Thomas Mann. გვ. 1-16.

[http://paris2016.mariapolinsky.com/wp-content/uploads/2016/09/kurdadze\\_Slang-Lexical-Borrowings.pdf](http://paris2016.mariapolinsky.com/wp-content/uploads/2016/09/kurdadze_Slang-Lexical-Borrowings.pdf)

**შანიძე 1980** – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა

**შინჯიაშვილი 1984** – შინჯიაშვილი მ., განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის

თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. მე-6, 1984 გვ. 195-226. თბილისი. ენ. ინს.

[https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/Sinjashvili-M\\_QSKS\\_6Tomi\\_195-226gv\\_opt.pdf](https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/Sinjashvili-M_QSKS_6Tomi_195-226gv_opt.pdf)

**ჩხუბიანიშვილი, გიუნაშვილი 1997** – ჩხუბიანიშვილი დ, გიუნაშვილი ე., ირანიზმების კვლევის ზოგი საკითხისათვის ფერეიდნულში, XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თეზისები

**ჭუმბურიძე 2011** – ჭუმბურიძე ნ., რთულფუძიანი ზმნები. წიგნში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, რედ. გიორგი გოგოლაშვილი, გვ. 772-772. თბილისი, მერიდიანი

**ჯორბენაძე 1975** – ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა

**ჯორბენაძე 1980** – ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმოზრევი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა

**ჯორბენაძე 1983** – ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა

**ჯორბენაძე 1988** – ჯორბენაძე ბ., თემის ნიშანთა განაწილებითათვის ქართულში, იკე 17, 1988, გვ. 175-186. თბილისი

**ჯორბენაძე 1997** – ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა. გამომც. ქართული ენა

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, მეცნიერება

## A Typological Perspective on the Verb Formation from Recently Borrowed Roots in Current Georgian

### Summary

This paper deals with borrowed verbs regardless of whether they are true borrowings or barbarisms and does not discuss the issues of language standardization.

Three out of four manners of verb borrowing (Wichmann & Wohlgemuth 2008) are attested in Georgian: light verb strategy, indirect insertion, and direct insertion. The paper presents examples of all three strategies in Georgian and suggests that the choice of a strategy depends on sociolinguistic and stylistic reasons rather than purely linguistic factors.

In the paper, samples of verb borrowings connected to the use of the internet are described as ‘label borrowings’, which means that the source of the borrowings is a written text presented as a label of various commands, e.g. ‘save’, ‘like’, ‘post’, etc. Consequently, the borrowed item is fitted into a specific semantic field narrowed by the context linked to that label.

Since the verbs formed from the borrowed “labels” usually describe an action performed by clicking on a symbol or a key (‘to save’, ‘to like’, etc.), they take the preverb *da-* expressing the direction downwards to a surface (as in the native verb *da-ac’k’ap’unbes* ‘s/he will click on it’); e.g., *da-a-laik-eb-s* ‘s/he will like it (by clicking on the label/symbol ‘like’)’, *da-post’av-s* ‘s/he will post it (by clicking on the label/symbol ‘post’)’ etc.

The choice of thematic markers in recently borrowed verbs (when they form conjugation type 1 verbs) is determined by their phonematic structure; monosyllabic stems take the thematic marker *-av*, (*da-link’-av-s* ‘s/he will link it’, *da-bust’-av-s* ‘s/he will boost it’, etc.), whereas polysyllabic stems take the thematic marker *-eb* (*da-a-porvard-eb-s* ‘s/he will forward it, etc.). The paper argues that the restriction in the use of the thematic marker *-av* after polysyllabic stems is a general rule not only in new borrowings, but throughout the whole verb system of the Georgian language.

The study has shown that the direct insertion can imply not only a simple replacement of an original stem by a borrowed one (e.g. *e-p’azor-eb-a*, where the Russian *pozor* ‘shame’ has replaced the native stem in the verb *e-sircxvil-eb-a* ‘s/he feels ashamed of sth’), but also an insertion of a borrowed stem in another model that suits the semantics and phonematic structure of the borrowed stem and does not coincide with the model of the

corresponding lexeme in the recipient language; e.g. a borrowed stem *seiv* (← save) produces the verb *da-a-seiv-eb-s* ‘s/he will save it (to a computer)’, but not \**she-i-seiv-av-scf*. Georgian *she-i-nakh-av-s* ‘s/he will save it’. The preverb *da-* is chosen to express the direction of the action downwards to a surface (to click on a symbol for saving) and the thematic marker *-eb* is chosen since the stem is polysyllabic (*-seiv-*).

It is noteworthy that an ablauting verb is found among relatively new borrowings: *dabredavs* ‘s/he will kill sb’, *dabrida* ‘s/he killed sb’. This fact is a clear indication for assuming that vowel alternation with a morphological function is still active in Georgian. It is determined by the verb stem structure (mainly,  $C_n S-e-C$  where the  $C_n$  is a consonant or a sequence of consonants and the  $S$  is a sonorant consonant, e.g. *l*, *n* or *r*) and does not necessarily imply prerequisites such as a phonemic stress, vowel length, syllabic consonant or other hypothetically reconstructed linguistic features in the language.

Mutual dependence of phonematic structure and morphological features occurring in the formation of recently borrowed verbs is one instance of widely spread interdependence of phonematic structure and morphological behavior of verbs observable in Georgian.

თამარ ლომთაძე

ბესარიონ ჯორბენაძე – ახალი საენათმეცნიერო და  
ინტერდისციპლინარული მიმართულებების  
ფუძემდებელი საქართველოში\*

ბესარიონ ჯორბენაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, მართალია, ძირითადად ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ღრმად შესწავლას ეძღვნება; მაგრამ ამავე დროს იგი უხვად მოიცავს მასალას, რომელიც ახალი საენათმეცნიერო დარგებისა და მიმდინარეობების გაცნობასა და დამკვიდრებას ემსახურება ჩვენში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მრავლად გამოჩნდა კვლევები, რომლებიც ლინგვისტიკის ახალ მიმართულებებს დაედო საფუძვლად. ამგვარ დარგებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო **სოციოლინგვისტიკა**, რომლის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ახალი მიმართულება (ენობრივი პოლიტიკა, სოციალური დიალექტოლოგია, ქლაქის ენა და სხვა) აღმოცენდა და განვითარდა; **კომპიუტერული ლინგვისტიკა**, რომელიც კორპუსის ლინგვისტიკისა და საერთოდ, დიგიტალური ჰუმანიტარის განვითარებას დაედო საფუძვლად; **ლინგვოკულტუროლოგია**, რომელმაც მოიცვა ეთნოლინგვისტიკისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის საკითხები და ა. შ. ქართული ენათმეცნიერება იმ პერიოდში საბჭოთა ენათმეცნიერების ნაწილი იყო და ძირითადად დასავლურ ლინგვისტურ სიახლეებს რუსული თარგმანებით ეცნობოდა. მეოცე საუკუნის საბჭოთა ლინგვისტიკა სტრუქტურალიზმს ანიჭებდა უპირატესობას და ტრადიციული კვლევების გვერდით ახალი დარგების განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობდა. მათ შესახებ ლიტე-

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

რატურა ქართულად ძალიან მცირე რაოდენობით იყო (ან საერთოდ არ არსებობდა).

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ბესარიონ ჯორბენაძე როგორც ახალი სალექციო კურსების დანერგვით, ასევე კვლევითი საქმიანობით ცდილობდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისათვის და სტუდენტებისათვის მიეწოდებინა მსოფლიო ლინგვისტიკის სიახლეები. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ (გამოიცა 1997 წელს, თუმცა ბ. ჯორბენაძემ პროგრამა კურსისა „ენა და კულტურა“ 1980 წელს წარუდგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას და იმავე წელს პირველად წაიკითხა სალექციო კურსი); „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკა“ (1985) „ბალავარი მწერლობისა“ (1987), „ქართული დიალექტოლოგია“ (1989), „ქართველურ ენათა დიალექტები“ (1995), „პოეზიის ენა“ (1999) და სხვა შრომები. აღნიშნულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში უზვადაა წარმოდგენილი დასავლელ მეცნიერთა კვლევების ძირითადი შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში ხშირ შემთხვევაში სოციოლინგვისტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ, დიგიტალურ ჰუმანიტარიასა და სხვა დარგებში შექმნილ შრომებს.

**ლინგვოკულტუროლოგიური** საკითხების შესახებ პირველად ლექციები ბ. ჯორბენაძემ 1980 წელს წაიკითხა სალექციო კურსში „ენა და კულტურა“. ამ კურსის შემოღების დასაბუთებაში ვკითხულობთ: „საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენას საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისათვის. ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც (სტიმულიც). ენისა და ეროვნული კულტურის ურთიერთმიმართებით უძველესი პერიოდიდან იყვნენ დაინტერესებული ფილოსოფოსები და ენათმეცნიერები. ამ თვალსაზრისით მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება, რომელიც, სპეციალური კურსის უქონლობის გამო, სრულიად უცნობი რჩებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის. სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ გარკვეულად ავსებს ამ ხარვეზს. სტუდენტები ეცნობიან ძველი ინდოელი, ჩინელი, ბერძენი, დასავლეთევროპელი, ამერიკელი, საბჭოთა ფილოსოფოსებისა და ენათმეცნიერების თვალსაზრისს ენისა და ერის, ენისა და საზოგადოების, ენისა და აზ-

როვნების და, საერთოდ, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ“ (ჯორბენაძე 1997, 3). თუმცა სალექციო კურსი გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა უხვად გვთავაზობს ავტორისეული დაკვირვებებისა და კვლევის შედეგებსაც. იგი თავისი თვალსაზრისების არგუმენტირებისათვის განიხილავს საერთოქართველურ მონაცემებს როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის დონეზე. ავტორს იმდენი მაგალითი აქვს მოხმობილი ქართველური სინამდვილიდან, ისეთი სიზუსტით აქვს განხილული ერის ისტორიის, აზროვნებისა და ენის ურთიერთობის, ენობრივი ეტიკეტის, ტაბუს, ეფემიზმის, კულტურის საკითხები, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ეს შრომა გახლავთ ქართული ლინგვოკულტუროლოგიის, კოგნიტიური ლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის საფუძველი. ამასთანავე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სალექციო კურსი ისეა აგებული, რომ სახავს კვლევა-ძიების შემდგომი განგრძობის პერსპექტივას.

ლინგვოკულტუროლოგიისათვის მნიშვნელოვანი საკითხებია გამუქებული ასევე მონოგრაფიებში „ბალავარი მწერლობისა“ (1987) და „პოეზიის ენა“ (1999).

**სოციოლინგვისტიკის** შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბესარიონ ჯორბენაძე სალექციო კურსში „ენა და კულტურა“ (1980), აქ მკვლევარი შედარებით მოკლედ მსჯელობს ენათმეცნიერების იმდროინდელი ახალი მიმართულების შესახებ, ვიდრე „ქართულ დიალექტოლოგიაში“ (1989) და განიხილავს სოციოლინგვისტიკის ზოგად პრობლემებს: ა) ენის სოციალური და პროფესიული დიფერენციაცია, ბ) ბილინგვიზმისა (და პოლილინგვიზმის) საკითხები გ) ენობრივი სიტუაციის ტიპოლოგია დ) ეროვნული, სალიტერატურო და საერთაშორისო ენები ე) ურბანიზაცია და ენა ვ) მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ენა ( მეცნიერების ენა)... აქვე გახაზავს ამ დარგის პერსპექტივას და მიუთითებს: „ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგი სოციოლინგვისტიკა. ამ მხრივ მეტად ინტენსიური მუშაობაა აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში – მოსკოვსა და ლენინგრადში. გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო მონოგრაფია. თანამედროვე ფილოლოგიისათვის აუცილებელია სოციოლინგვისტიკის საფუძვლების ცოდნა. სასურველია ამთავითვე დაედოს საფუძველი სტუდენტების დაინტერესებას სოციოლინგვისტიკის პრობლემატიკით



და მსურველების სპეციალურ მომზადებას ამ პროფილით. დარგი პერსპექტიულია და აუცილებელიც ქართული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის“ (ჯორბენაძე 1997).

კიდევ უფრო ღრმად განიხილავს **სოციოლინგვისტიკის** საკითხებს ბესარიონ ჯორბენაძე მონოგრაფიაში „ქართული დიალექტოლოგია“ (1989). აქ იგი მსჯელობს ენობრივი პოლიტიკის, სოციალური დიალექტოლოგიის, ქალაქის ენის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი და საბაზისო საკითხის შესახებ. უფრო მეტიც: სალიტერატურო ენის, ეროვნული ენის, დიალექტების მომავლის, მათი წარმოშობისა და გამოყოფის, არეალოგიური ლინგვისტიკის, კონვერგენციისა თუ დივერგენციის თუ სხვა საკითხები ისე აქვს განხილული, რომ თანამედროვე თვალსაზრისით თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ სტატუსისა და კორპუსის დაგეგმვის საფუძვლები.

ბესარიონ ჯორბენაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქალაქის ენის კვლევის საქმეში თავისი შრომებით „ბალავარი მწერლობისა“ (1987) და, ასევე, „ქართულ დიალექტოლოგია“ (1989). ამ შრომებში ბ. ჯორბენაძე ფართოდ განიხილავს ქალაქის ენის პრობლემატიკას. ქალაქის ენის შესწავლას საფუძველი უილიამ ლაბოვმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაუდო და ეს მიმართულება განსაკუთრებული შესწავლის საგნად იქცა ამერიკასა და ევროპაში. საქართველოში ამ მხრივ შრომები ნაკლებად იყო. ბ. ჯორბენაძე განიხილავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რომლებსაც ყურადღება ექცევა ქალაქის ენის კვლევისას. კერძოდ, სოციალურ და ასაკობრივ დიფერენცირებას, პროფესიულ ჟარგონებს, არგოს, სლენგს. სხვადასხვა ეთნიკური და უცხოენოვანი ჯგუფების არსებობასა და გავლენებს.

**კომპიუტერული ლინგვისტიკა** კორპუსის ლინგვისტიკისა და საერთოდ, დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებას დაედო საფუძვლად. ყველასათვის ცნობილია, რომ 1980-იან წლებში, როცა ბ. ჯორბენაძე ქმნიდა თავის სალექციო კურსებსა და მონოგრაფიებს, საერთოდ უცხო სფერო იყო ქართულ ლინგვისტიკაში. ბუნებრივ ენათა კომპიუტერული დამუშავებისათვის ენის სტრუქტურული კვლევები საკმარისი არ იყო. ბ. ჯორბენაძის მიერ შემოთავაზებული მოდელები, რომლებიც თავის „ფაკულტატიურ გრამატიკაში“ (1985)

შემოგვთავაზა და რომლებიც ქართული ენის მორფოლოგიის კურსში გვხვდება, ნამდვილად არის მანქანური დამუშავებისათვის ფასეული და ანგარიშგასაწევი. კერძოდ, მორფო-სინტაქსური და სემანტიკური ნიუანსებით გამოწვეული სხვაობების დაწვრილებითი ანალოზები, ინვერსიულ ზმნათა განხილვა და სხვა .

ბ. ჯორბენაძის დიდი დამსახურებაა ის, რომ თავისი სახელმძღვანელოების მეშვეობით გვაცნობს ცნობილი ენათმეცნიერების, ვ. ფონ ჰუმბოლდტის, ბ. კროჩეს, ჯ. გამპერცის, უ. ლაბოვის, ა. მეიეს, ფ. დე სოსიურის, უ. ვაინრიხის, ლ. ბლუმფილდისა და სხვათა მოსაზრებებს ქართულ ენაზე.

მინდა ყურადღება გავამახვილო ბ. ჯორბენაძის კვლევების ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე. ცნობილია, რომ ბ. ჯორბენაძე ჯერ სტუდენტური გაცვლის წესით და შემდეგ სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფაქტია, ტრადიციული გრამატიკის საკითხებისა თუ თანამედროვე დიალექტების კვლევით საქართველო ლატვიას არასოდეს ჩამოუვარდებოდა. ქართული ენის ისტორია ბევრად მდიდარია, ვიდრე ლატვიურისა. ლატვიური ენა მუდამ მძიმედ განიცდიდა უცხოური მმართველობის გავლენებს და მისი სტანდარტიზაცია ძალიან გვიან, ფაქტობრივად მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა. ამ ხნის მანძილზე ლატვიურში მრავლად შემოვიდა ნასესხობები და საკუთრივ ლატვიური სიტყვები უმეტესად სიმღერების ტექსტებსა და ფოკლორში იყო შემორჩენილი. ამიტომ ლატვიაში მუსიკალური დიალექტების კვლევა ფართოდ დაუკავშირეს ენობრივ კვლევებს. ეს კი სიახლე იყო საქართველოსთვის და ბ. ჯორბენაძეს არ გამოჰპარვია მხედველობიდან; ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში იგი პირველი იწყებს საუბარს მუსიკალური დიალექტებისა და ქართული ენობრივი დიალექტების ურთიერთობის შესახებ, რომელზეც „ქართველური ენების დიალექტებში“ (1995) ვრცელი მჯელობაა წარმოდგენილი.

„მუსიკისმცოდნეობაში განარჩევენ მუსიკალურ ეთნოგრაფიასა და მუსიკალურ ფოლკლორისტიკას. პირველი „სწავლობს ხალხური მუსიკალურ შემოქმედებას ყოფასთან მჭიდრო კავშირში“, მეორე „ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას როგორც მხატვრულ მოვლენას“ (მ. შილაკაძის ნაშრომი ციტირებულია ბ. ჯორბენაძესთან). ამასთანავე არსებობს მუსიკალური დიალექტოლოგიაც. ბატონი ბესიკის

ვარაუდით სხვაობა მუსიკალურ ფოლკლორისტიკასა და დიალექტოლოგიას შორის პრინციპულად ისეთივეა, როგორც სხვაობა, საერთოდ, ფოლკლორისტიკასა და დიალექტოლოგიას შორის. მუსიკალური დიალექტოლოგია ისეთივე ფუნდამენტური და პრობლემატიკით მრავალფეროვანი დარგია, როგორც ენათმეცნიერული დიალექტოლოგია. მართალია, ბ. ჯორბენაძე ჩვეული თავმდაბლობით ამბობს, რომ ამ საკითხს ღრმად და დაწვრილებით ვერ ეხება, მაგრამ სინამდვილეში ვხედავთ, თუ რამხელა შრომა აქვს გაწეული აღნიშნული თვალსაზრისით და რამდენ ნაშრომს გვაცნობს ამ ერთ თავში, რომელსაც მუსიკალური დიალექტები ჰქვია. „სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით აღნიშნავთ მხოლოდ იმ ზოგად დიალექტოლოგიურ ტენდენციებს, რომლებიც ნიშანდობლივია ქართული ხალხური მუსიკისათვის. შევნიშნავთ, რომ ქართულ მუსიკალურ დიალექტოლოგიაში შემოდის სვანურიცა და ზანურიც (განსხვავებით ენათმეცნიერული დიალექტოლოგიისაგან, სადაც ქართველურ ენათა დიალექტები ცალკე გამოიყოფა)...უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა მკვლევარი ხშირად სხვადასხვა საფუძველს უდებს მუსიკალური დიალექტების გამოყოფას, რის გამოც, შესაბამისად, განსხვავებულია კვლევის შედეგებიც (ჯორბენაძე 1995:)...

საკითხის ისტორიის კვლევისათვის ბ. ჯორბენაძეს შესწავლილი აქვს მნიშვნელოვანი წყაროები დაწყებული იოანე ბატონიშვილიდან, დამთავრებული თანამედროვე მკვლევარების ჩათვლით: „ის, რომ ქართული სიმღერა იმთავითვე განირჩეოდა კილოების მიხედვით, შენიშნულია ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ (ხუმარსწავლაში“). ქართული სიმღერების კილოკაურ სხვაობებზე მინიშნება აქვს დ. მაჩაბელსაც (1864 წ.).ამავე საკითხს ეხება ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი და სხვები. აქვე ვეცნობით მ. შილაკაძის, თ. მამალაძის კვლევას მუსიკალური დიალექტების მიმართულებით.

აღნიშნულ შრომებზე დაყრდნობით ბ. ჯორბენაძე გვიჩვენებს როგორც ქართული დიალექტოლოგიისა და მუსიკალური დიალექტოლოგიის ურთიერთკავშირს, ასევე განიხილავს მათ ჟანრობრივ ურთიერთკავშირსაც. აქვე საინტერესოდ ასაბუთებს იგი საეკლესიო გალობის უძველესობასაც: „არსებობს მოსაზრება, რომ ქართული საეკლესიო გალობა წარმოიშვა ქართულივე ხალხური წარმართული

სიმღერებისაგან (დ. მაჩაბელი). ი. ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ეს საკითხი. ივარაუდება, რომ იმთავითვე „ქრისტიანობამ ებრაელეთაგან წირვა-ლოცვაში ერთხმიანი გალობა შეითვისა, რომელიც, დასავლეთ ევროპის კათოლიკური და ქართული ეკლესიების გარდა, დღევანდლამდე ერთხმიანადვე შერჩა ბერძნულს, სომხურსა და ასურულ ეკლესიებს... ქართულ ეკლესიასაც თავდაპირველად და უძველეს ხანაში ერთხმიანი საეკლესიო გალობავე უნდა ჰქონოდა“. მიქაელ მოდრეკილმა შეკრიბა მანამდე არსებული ქართული (და ბერძნული) ძილისპირები და საგალობლები და, როგორც თვითონ აღნიშნავს, „დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა და ესრფთ განვაწესე თავით თვსით და უმჯობეს ვყავ“. ეს კი, ი. ჯავახიშვილის დასკვნით, იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში ქართული ძილისპირები და საგალობლები X საუკუნემდე არსებობდა, „თავისი განსხვავებული საგალობო ნიშნებიც ჰქონიათ ქართველებს და მუსიკის ერთგვარი თეორიაც არსებულა“ (ჯორბენაძე 1995, 438).

როგორც სოციოლინგვისტიკისა და სოციალური დიალექტების მესაფუძვლე ბ. ჯორბენაძე ყურადღებას ამახვილებს მუსიკალურ დიალექტთა სოციალურ სხვაობაზე. „მიუხედავად ნათლად გამოხატული სხვაობისა, ქართული სიმღერების კილოკაურ ნაირსახეობებს რომ ერთიანი საფუძველი აქვს, ეს შემდგომი პერიოდის კვლევა-ძიებმაც დაადასტურა. ქართული ხალხური სიმღერები სოციალური ჯგუფების მიხედვითაც იყო დიფერენცირებული ზ. ფალიაშვილის ცნობით, სამგლოვიარო „ზარს“ სვანეთში მღერიან მხოლოდ მამაკაცები, „ქალები სიმღერაში მონაწილეობას არ იღებენ“. ი. ჯავახიშვილს მოაქვს ცნობა, რომ „ბატონების ნანინა“ იმერეთში ქალების სიმღერაა. ანუ: ყოფილა სიმღერები, რომლებსაც ან მხოლოდ მამაკაცები, ან მხოლოდ ქალები ასრულებდნენ. გარდა ამისა, სიმღერების რეპერტუარი სხვაობდა სოციალური ფენების შესაბამისადაც: „მუშურს“ მღეროდა გლეხობა ხვნის დროს, ხოლო „ძილისპირები“ ხალხმა არ იცოდა, თავადაზნაურობა მღეროდა. მიუხედავად იმისა, რომ „ძილისპირები“ წმინდანებს ეძღვნებოდა, მათ ეკლესიებში არ მღეროდნენ, არამედ „საერთო გალობა“ იყო (ი. ჯავახიშვილი). ნათქვამი მიანიშნებს, რომ ქართული სიმღერები, რეპერტუარის თვალსაზრისით, მართლაც, იყო დიფერენცირებული სოციალური

ფენების მიხედვით: შრომის სიმღერები გლეხობის რეპერტუარს შეადგენდა, საგალობლები, მხედრული და მისთანანი კი თავადაზნაურული წრის წარმომადგენელთათვის იყო ნიშანდობლივი“ (ჯორბენაძე 1995, 439).

ზემოჩამოთვლილი თუ სხვა მასალების გაცნობა აბსოლუტურად საკმარია დავრწმუნდეთ, რომ ბ. ჯორბენაძის მონოგრაფიები თუ სალექციო კურსები მართლაც იყო ბიძგის მიმცემი და ინტერესის აღმძვრელი ლინგვისტიკით დაინტერესებული სტუდენტებისა თუ ახალგაზრდა მკვლევარებისათვის, რომ ახალი მიმართულებებით ემუშავათ და დღეს დიდი წვლილი დევს ბ. ჯორბენაძის იმაში, რომ სოციოლინგვისტური, კოგნიტიური, კულტუროლოგიური, დიგიტალური კვლევები ასეთ მაღალ დონეზეა საქართველოში და უტოლდება დასავლურ სტანდარტს.

### ლიტერატურა

**ჯორბენაძე 1985** – ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკა, თბ., 1985,

**ჯორბენაძე 1987** – ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თ., 1989

**ჯორბენაძე 1995** – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, 1995

**ჯორბენაძე 1997** – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997

**ჯორბენაძე 1999** – ბ. ჯორბენაძე, პოეზიის ენა, თბ., 1999

## **Besarion Jorbenadze - the Founder of New Trends of Linguistics and Interdisciplinary Studies in Georgia**

### Summary

Besarion Jorbenadze's rich scholarly heritage is mainly devoted to but not limited to the study of the structure and history of the Georgian language. It also encompasses the works that introduce new perspectives and trends of linguistics to the Georgian academic community. As is widely known, since the 1950s Western linguistics has marked a dramatic advance towards establishing new fields and approaches in the scientific study of languages, including sociolinguistics with its subfields such as language policy, social dialectology, urban linguistic studies, etc. These studies gave rise to such completely new fields as computational linguistics, corpus linguistics (and, in general, digital humanities), linguo-cultural studies (that cover a wide range of issues in ethnolinguistics), cognitive linguistics, etc. At that time Georgian linguistics as a constituent part of Soviet linguistics had access to these new trends only in Russian translations. Soviet linguistics gave preference to structuralism and, therefore, the development of new areas of study was a relatively slow process. The works that described and analyzed recent advancements in linguistics were rare exceptions in Georgia.

In the 1980s Besarion Jorbenadze introduced innovative trends of linguistic thought to Georgian scholars and students by implementing new lecture courses and research directions. In this reference a series of lectures entitled "Language and Culture" published in 1997 should be mentioned. Moreover, Jorbenadze offered the course in question to the Department of Modern Georgian Language at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 1980 and delivered the lectures the same year. His monographs "Georgian Dialectology" (1989), "The Kartvelian Languages and Dialects" (1991), "The Language of Poetry" (1999), "The Morphology of the Georgian Language" and other works are also worthy of note. In these monographs and textbooks Jorbenadze widely uses the research results of Western scholars paving the way to the development of sociolinguistics, linguo-cultural studies, digital humanities, and other fields in Georgia.

მარია ნაბიერიძე

კომუნიკაციის არამონაწილე წევრთა შეზღუდვები  
ინგლისურენოვან და ქართულ ტოქშოუებში

სტატია მიმოიხილავს გოფმანის სისტემური შეზღუდვებიდან ერთ-ერთს, კერძოდ არამონაწილე წევრთა შეზღუდვების რეალიზაციის თავისებურებანს ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. ემპირიულ მასალად გამოყენებულია: **The Ellen DeGeneres Show** (ამერიკული) და **ნანუკას შოუ** (ქართული).

**ნაშრომის თეორიულ საფუძველს** ქმნის ერვინ გოფმანის მოძღვრება სისტემური და რიტუალური შეზღუდვების შესახებ (გოფმანი, 1976; ჰეთჩი, 1992) და დისკუსის ანალიზი (ბრაუნი და იელი, 1983; ჰეთჩი, 1992).

**ნაშრომის მიზანია** ნახოს, თუ როგორაა ტოქშოუში როლები გადანაწილებული, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ვისზე მოქმედებს ყველაზე მეტად არამონაწილე წევრთა შეზღუდვები, მოახდინოს ამ შეზღუდვების კლასიფიკაცია. ასევე საინტერესოა, ხდება თუ არა არამონაწილე წევრთა გადასვლა მონაწილე წევრებად და ბოლოს, თუ ხდება, რა სტრატეგიებია გამოყენებული.

ტოქშოუ არის გადაცემა, რომელიც აიგება გადაცემაში ჩართული პირების ჯერის მონაცვლეობაზე. მას აქვს სცენარი, წინასწარ არის საუბრის თემა და სტუმრები შერჩეულები. გარდა ამისა გადაცემას ესწრება აუდიტორია და შემდგომ, უკვე ეთერში გასულ გადაცემას უყურებს ათასობით ადამიანი.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგადად ტოქშოუს ყველა ქვეჟანრისათვის დამახასიათებელია დისკურსის 3 მონაწილე: **ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია**, რომელთა შორის კომუნიკაცია წარმართება ორ დონეზე: კომუნიკაციის შიდა წრე – კომუნიკაცია სტუდიაში მყოფ ადრესანტს, ადრესატსა და აუდიტორიას შორის და კომუნიკაციის გარე წრე – ანუ ტელემყურებელი, ეკრანი და სტუდიაში მყოფი მონაწილეები. შიდა წრისათვის არხი არის მეტყველე-

ბა, ანუ კონტაქტი შენარჩუნებულია უშუალოდ პირისპირ წარმართული საუბრის საშუალებით. ხოლო გარე წრისათვის მეტყველების გარდა საჭიროა სატელევიზიო სიგნალი და ტელევიზორი ანუ გვაქვს დისტანციური კონტაქტი (პენზი 1996: 25).

ტოქმოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე დისკურსის სამ მონაწილეს შორის როლები ასიმეტრიულად არის გადანაწილებული. ინსტიტუციონალურად ადრესანტი (წამყვანი) არის იერარქიული სისტემის სათავეში და ცდილობს ადრესატის (სტუმარი) და აუდიტორიის წარდგენას და მათ შემდგომ ჩართვას კომუნიკაციაში. მას აქვს უფლება გააკონტროლოს საუბრის მსვლელობა, ასრულებს დირიჟორის როლს, სვამს კითხვებს, რომელზედაც პასუხი უნდა გასცეს ადრესატმა (სტუმარმა).

როლები მეტნაკლებად წინასწარ არის გადანაწილებული და იერარქიულია. ანუ წინასწარ არის განსაზღვრული ვინ იქნება ადრესანტი, ადრესანტი და აუდიტორია, და როგორი იქნება მათი ჩართულობა საუბარში. ტოქმოუს ჟანრში ვხვდებით ორი ტიპის აუდიტორიას: სტუდიაში მყოფ და ტელევიზორთან მსხდომ ინდივიდებს, რომლებიც უმეტესწილად ვერბალურად არ ერთვებიან ტოქ-მოუს საუბარში (ილი, 2001: 219).

კომუნიკაციის წარმატებულად წარმართვისათვის ე. გოფმანი გვთავაზობს სხვადასხვა სახის შეზღუდვებს. მისი აზრით ყველა ენაში უნდა მოიძებნებოდეს გარკვეული საშუალებები, რომელთა მეშვეობით მოხდება არამონაწილე წევრთა ხმაურის ბლოკირება. არსებობს ვერბალური და არავერბალური სიგნალები, რომელიც ნებას დართავს, ან ხელს შეუშლის და შეაჩერებს არამონაწილეთა შემოსვლას კომუნიკაციის არხში. მეორე მხრივ, არამონაწილე წევრებიც იყენებენ გარკვეულ სტრატეგიებს რათა შეიცვალონ როლი და გახდნენ კომუნიკაციაში ჩართული წევრები (ჰეთჩი, 1992: 28).

ტოქმოუს ჟანრის სცენარის მიხედვით ადრესანტი (წამყვანი) და ადრესატი (სტუმარი) არიან კომუნიკაციის არხში ჩართული ინდივიდები. აუდიტორია კი არის კომუნიკაციის არამონაწილე წევრი. აუდიტორიის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ უკუკავშირის გამოხატვით. თუმცა, როდესაც აუდიტორიის მიერ გამოხატული უკუკავშირის სიგნალები ხელს უშლის აკუსტიკურ ადეკვატურობას, წამყვანი თუ სტუმრები ცდილობენ ამ ხმაურის სხვადასხვა სტრატეგიებით ჩახშობას.



ამერიკულ ტოქშოუში იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანი ცდილობს აუდიტორიის დაწყნარებას.

(1) Ellen: (a) Have a sit. Thank you. Have a sit, have a sit. Uuuuh, Thank you very much. First of all, let me say back at you, let me say that. (ელენის შოუს, 2012)

(2) Ellen: (a) Hi, Hello, thank you (ტაში) Have a sit, have a sit. (ტაში) Thank you. That's wonderful and for the first time this year back at you. Happy New Year. Did you all have a good New Year's Eve? (ელენის შოუს, 2012).

ელენის შოუში, წამყვანი არხის გახსნისას ყოველთვის ცდილობს აუდიტორიის ოვაციებზე იქონიოს გავლენა და დამშვიდებისაკენ მოუწოდებს მათ. მსგავსი სტრატეგიები არ შეგვხვედრია ქართულ ნანუკას შოუში.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი და სტუმრები, მათი ინსტიტუციონალური როლიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც კომუნიკაციის არხში ჩართული ინდივიდები. როგორც უკვე აღინიშნა, აუდიტორია კომუნიკაციის არხში არაჩართული ინდივიდებია.

ჩვენს მიერ განხილულ ტოქშოუებში არსებობს ორი ტიპის აუდიტორია, ერთი რომელიც სტუდიაშია და უშუალოდ იღებს მონაწილეობას და შეუძლია ჩაერთოს საუბარში წამყვანის კონტროლის ქვეშ და მეორე ტიპი, ესაა სახლში მყოფი აუდიტორია, რომელიც არ ერთვება კომუნიკაციის არხში. სტუდიაში მყოფი აუდიტორიის მონაწილეობა (არხი) შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც ვერბალური (უბრალო შემახილები, რომელიც მათ ემოციებს გამოხატავს, ან შეიძლება წამყვანმა მათ საშუალება მისცეს ლაპარაკის), ასევე არა-ვერბალური საშუალებებით (ტაში, ჟესტები, ხელის აწევა). აუდიტორია, რომელიც ესწრება შოუზე, შეიძლება იყოს უბრალო ხალხი, რომელმაც სურვილი გამოთქვა დასწრების ან ეს შეიძლება იყოს სპეციალური ჯგუფი, რომელიც ერკვევა შოუს განსახილველ საკითხში და მოწვეულნი არიან წამყვანის მიერ თავიანთი აზრის გამოსათქმელად. აუდიტორიის საუბარი რეგულირდება მკაცრად წამყვანის მიერ. აუდიტორიის ტიპი განსაზღვრავს, თუ როგორი სახის ჯერს აიღებს აუდიტორიის წარმომადგებელი. ექსპერტებს ხშირად ეძლევათ ჯერი – საუბრის და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, მა-

შინ როდესაც ჩვეულებრივი აუდიტორია ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ტაშითა და შემახილებით.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტოქშოუებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, არამონაწილე წევრებისათვის (აუდიტორიისათვის) არსებობს რამდენიმე შეზღუდვა, რომელიც ართულებს არამონაწილე აუდიტორიის მთავარ კომუნიკაციურ არხში ჩართვას. ერთ-ერთი ასეთი არამონაწილის შეზღუდვაა **დისტანცია**.

სამივე ქვეყნის ტოქშოუში სტუდია ისეა მოწყობილი, რომ აუდიტორია ზის კომუნიკაციაში ჩართული პირებისაგან მოშორებით, ანუ მათზე მოქმედებს მანძილი.

მინიმუმამდეა მანძილი დაყვანილი ადრესანტსა და აუდიტორიას შორის ელენის შოუში. ადრესანტი (ელენი) მიდის აუდიტორიასთან და მათთან ერთად ცეკვავს.



სურათი 1

მანძილი აუდიტორიასა და წამყვანს შორის ამერიკულ ტოქშოუში ხშირად მცირდება.

მეორე არამონაწილის შემზღუდავი ფაქტორი, რომელიც აუდიტორიას არ აძლევს საშუალებას კომუნიკაციის არხში ჩაერთოს, არის ხმის გამაძლიერებელი **მიკროფონი**. შორი მანძილის გამო, იმისათვის რომ აუდიტორია გადაერთოს არამონაწილიდან მონაწილის როლზე, საჭიროა სპეციალური ხმის გამაძლიერებელი საშუალება, რომელიც კომუნიკაციაში ჩართულ მონაწილეებს აქვთ დამაგრებული, აუდიტორიას კი არა.

მესამე ტიპის არამონაწილის შემზღუდავია **კამერა**: როდესაც საუბარი წარიმართება სტუმარსა და წამყვანს შორის აუდიტორია არ

ჩანს კადრში, ყურადღება მოუბარ პირებზეა.

ტოქშოუს ჟანრში იერარქიის სათავეში არიან წამყვანები, აკონტროლებენ სტუდიაში მიმდინარე მოვლენებს. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როდის უნდა ჩართონ არამონაწილე წევრები კომუნიკაციის არხში. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ვერბალურ თუ არა ვერბალურ სტრატეგიას, რომელსაც ყოველთვის თან ერთვის კამერის ფოკუსის გადასვლა აუდიტორიის კონკრეტულ წევრზე, და ხშირად მიკროფონის გადაცემა.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად ორივე ქვეყნის ტოქშოუში შეგვხვდა წამყვანების მიერ აუდიტორიის ჩართვის მცდელობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებაა ქვეყნებს შორის. აუდიტორიის ჩართვის ტიპის მიხედვით გამოვყავით ორი ჯგუფი: ა) **ცალკეული ინდივიდების ჩართვა** და ბ) **აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა**. თითოეულ ჯგუფში გამოიყენება განსხვავებული სტრატეგიები წამყვანის მიერ.

როდესაც წამყვანი ცდილობს აუდიტორიის კონკრეტული წევრი ჩართოს კომუნიკაციის არხში, ის იყენებს სხვადასხვა ვერბალურ თუ არა-ვერბალურ საშუალებებს.

#### **ვერბალური სიგნალებია:**

##### **1) მიმართვის ფორმები:**

ა) სრული სახელები (3) Ellen: All right, Stacey Mcbright (ელენის შოუ, 2011).

არის შემთხვევები, როდესაც ადრესანტი მიმართავს აუდიტორიის ერთ-ერთ წევრს, უსვამს მას კითხვას, ან აუდიტორიის წევრები აპყავს სცენაზე და მათთან ერთად თამაშობს. ელენის შოუში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ადრესანტის (წამყვანის) ინიციატივით აუდიტორიის წევრი ერთვება ადრესატის (გადაცემის სტუმრის) როლზე, ან ადრესანტის (წამყვანის) როლზე (კითხვებს უსვამს წამყვანს).

(4) Ellen: Where is Katy, Where are you? How are you? Do you know which picture I'm gonna show of yours?

Aud. Member: I've no idea (ელენის შოუ, 2012).

მოცემულ მაგალითში ადრესანტი უსვამს კითხვას აუდიტორიის წევრს, რის შემდეგაც მისი როლი იცვლება და ის ხდება ადრესატი.

(5) Aud: For the lady who has everything and can do everything, what are the three things that will be at your bucket list?

Ellen: Well (pause) Where are you from? Aud: England. Ellen: What part? Aud: Sandwich

Ellen: Sandwich? So, I'll go one day. I'm looking for Sandwich. People will laugh at me. There is Sandwich? Really? Is it like a potato chip area?

My bucket list. You know, I've always wanted to go to Safari to Africa and spend time in Africa. So that's something I hope to do some day (ელენის შოუ, 2012).

ზემოაღნიშნულ მაგალითში, ერთი შეხედვით თითქოსდა აუდიტორიის წევრი იკავებს წამყვანის როლს და წამყვანი ხდება სტუმარი. უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი მაინც ინარჩუნებს თავის ძალაუფლებას. სანამ აუდიტორიის წევრი დასვამს კითხვას, ის ხელს მაღლა წევს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წამყვანი მისცემს მას ჯერის უფლებას ის იწყებს საუბრობს (ეს გავს საკლასო ოთახს, სადაც მასწავლებელი აკონტროლებს სტუდენტების ჯერს). ასევე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ როდესაც აუდიტორიის წევრი სვამს კითხვას, ის არ იღებს წამყვანისაგან პირდაპირ პასუხს. წამყვანი მას თავად უბრუნდება რამდენიმე კითხვით, რომლებზე პასუხის მიღების შემდეგაც პასუხობს მისთვის თავდაპირველად დასმულ კითხვას.

მაგალითი აჩვენებს, რომ აუდიტორიის წევრის კომუნიკაციის არხში ჩართვა წინასწარ იყო დაგეგმილი, სხვა შემთხვევაში წამყვანი მათ ვერ მიმართავდა სახელით.

### ბ) მიმართვის ფორმის შემცველი კითხვითი წინადადება

(6) I needed to see who was coming to my show. I'd like to show what I found from some of you folk here. (d) Where is Jerry Henson, where are you? Jerry? (e) Hello. So do you have any compromising photos I might like to see?..... (ელენის შოუ, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის სტრატეგიები მხოლოდ ამერიკულ ტოქშოუებში შემხვდა.

ტოქშოუში შეიძლება მოხდეს **აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა**, რაც ორივე ქვეყნის ტოქშოუში შემხვდა. ამისათვის წამყვანი იყენებს ზოგადი ტიპის კითხვით წინადადებებს აუდიტორიის მიმართ. ამ შემთხვევაში მთელი აუდიტორია გადადის არამონაწილის როლიდან, მონაწილის როლზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინა ტიპის კითხვებისაგან განსხვავებით ამგვარ კითხვებს თან არ სდევს კამერის ფოკუსის გადასვლა და მიკროფონის გადაცემა აუდიტორი-

ის რომელიმე კონკრეტულ წევრზე. ქვემოთ მოყვანილია მაგალი ქართული ტოქშოუდან:

(7) Ellen: Did you all have a good New Year's Eve?

Aud: Yeah,

Ellen: Wow, you are really good ones. What a reaction that was, that was great. (ელენის შოუ, 2012)

(8) ნანუკა: 25 წლის წინ თეონას ქონდა დიდი ნაწნავი. დაახლოებით მაინც წარმოიდგინეთ ამ ამპლუაში?

აუდიტორია: ვერა

ნანუკა: ვერაო (ნანუკას შოუ, 2009 წელი)

წამყვანი ზოგადი კითხვის დასმით ცდილობენ აუდიტორიის კოლექტიურ ჩართვას კომუნიკაციის არხში.

**არავერბალური საშუალებაა** აუდიტორიის კონკრეტული წევრისაკენ ხელის გაშვერა, ან მასზე მზერის გადატანა.

მსგავსი სიგანლების შემდეგ, აუდიტორიის წევრებიც იყენებენ გარკვეულ სტრატეგიებს, რომლითაც ისინი აჩვენებენ სტუდიაში მყოფ აუდიტორიას, რომ არამონაწილის როლიდან გადადიან მონაწილის როლზე. დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სტრატეგიები:

**არავერბალური სიგანლება:**

**ა) ფეხზე წამოდგომა** - ფეხზე წამოდგომით აუდიტორიის წევრი გამოეყოფა მასას და აჩვენებს, რომ ის აპირებს ჩაერთოს კომუნიკაციაში და პასიური როლიდან გადავიდეს აქტიურ, ჩართულ როლზე. ილუსტრაციისათვის ქვემოთ მოყვანილია სურათები ამერიკული (**Ellen DeGeneres Show**) ტოქშოუდან.



სურათი 2



სურათი 3

ბ) **სცენაზე ასვლა** – აუდიტორიის კონკრეტული წევრი, წამყვანისაგან შესაბამისი სიგნალის მიღების შემდეგ ადის სცენაზე. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ამერიკულ ელენის შოუში.



სურათი 4

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სიგნალი გვხვდება წამყვანის შეთავაზების შემდეგ.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ აუდიტორია თავად ვერ გადაერთვება ჩართული მონაწილის როლზე თუ მას ამის საშუალებას არ მისცემს წამყვანი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ტოქშოუში წარმოდგენილი სამი მონაწილიდან აუდიტორიას ძირითადად აქვს არაჩართულის როლი; მისი კომუნიკაციაში ჩართვა ინიცირებულია ყოველთვის წამყვანების მიერ;

2. მანძილი, მიკროფონი და კამერა არის აუდიტორიის შემზღვეველი სამი ფაქტორი;

3. დაკვირვებამ ცხადყო, რომ აუდიტორიის ჩართვა ხდება ძირითადად ამერიკულ ტოქშოუში და ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ვერბალური და არავერბალური სიგნალები.

4. აუდიტორიის ჩართულობასთან ერთად მანძილი მცირდება ბრიტანულ და ამერიკულ შოუებში, თუმცა აღნიშნულის რეალიზაცია განსხვავებული ტექნიკით ხდება;

5) აუდიტორია არამონაწილეს როლიდან შეიძლება გადაერთოს კომუნიკაციაში ჩართულ მონაწილის როლზე, თუმცა ეს ყოველთვის ინიცირებული წამყვანის მხრიდან, და უმეტესწილად წინასწარაა დაგეგმილი.

## ლიტერატურა

**გოფმანი 1981** – Goffman, Erving. “Forms of Talk”. University of Pennsylvania Press, Philadelphia, 1981

**ილი 2001** – Ilie, Cornelia. “Semi-Institutional Discourse: The Case of Talk Shows”. Journal of Pragmatics 33 (2001) 209-254

**ლივინგსტონი, ლანტი 1994** – Livingston, Sonia and Lunt, Peter. “Talk on Television: Audience Participation and Public Debate”. Routledge, 1994

**პენზი 1996** – Penz, Hermine. “Language and Control in American TV Talk Show”. Analysis of Linguistic Strategies”. Gunter Narr Verlag Tübingen, 1996

**ჰეიტი 2001** – Hatch, Evelyn. “Discourse and Language Education”. Cambridge University Press, 2001

## **ემპირიული მასალა:**

ელენის შოუ - 2009-2021 წლები

ნანუკას შოუ - 2009 -2016 წლები

MARIAM NEBIERIDZE

### **Nonparticipant Constraints in English and Georgian Talk Shows**

#### Summary

This paper deals with the realization of one of Goffman's system constraints, nonparticipant constraints, cross-culturally on the material of American and Georgian talk shows. As is known, in order that messages be interpretable, it is necessary to keep other competing messages out of the channel. Therefore, there should be some ways of blocking nonparticipant noise from the communication channel. On the basis of the talk shows under discussion, these constraints are examined according to the setting and communicant roles. After a thorough study of linguistic literature and the empirical data, it has been revealed that talk show audience belongs to nonparticipants and their role is predetermined due to the nature of a talk show.

The analysis has shown that distance, microphone and camera serve as limitations for the audience, preventing their entrance into the communication channel. However, there are some verbal and nonverbal signals used mainly by hosts to move the audience from nonparticipant to participant status.



ნინო რახრაბაძე

სლოგანის ზოგადი ლინგვო-სტილისტიკური  
მახასიათებლები ინგლისურენოვან  
კინოაფიშაში

ყველა შესაძლო ვერბალური ელემენტიდან, რომელიც ქმნის კინოაფიშის სტრუქტურას, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმის სლოგანია. სლოგანის იდეა ის არის, რომ შეიქმნას ადვილად დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი ფრაზა, რომელიც მიიზიდავს მაყურებელს. ფილმის სლოგანი ერთგვარი შეჯამებაა ფილმის შინაარსისა ან მთავარი თემისა.

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს ფილმის სლოგანის, როგორც სემანტიკური მახასიათებლები, ასევე გამოავლინოს ის ლინგვო-სტილისტიკური ხერხები, რომლებიც გამოყენებულია მათი შექმნისას და ამრიგად დაადგინოს, თუ როგორ აქვთ სლოგანებს მინიჭებული მარკეტინგულთან ერთად მხატვრული ღირებულებაც.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის: ლინგვო-სტილისტიკა (გალპერინი 1981, ჰელიდეი 1978, პანოვსკი 2002); სემანტიკა (ლიჩი 1983), დისკურსის ანალიზი (კუკი 2007) და მედია კვლევები (კერნანი 2004). ემპირიული მასალა მოიცავს ფილმების ოფიციალურ ბაზაში განთავსებულ 150-მდე ფილმის ოფიციალურ პოსტერს.

დღესდღეობით სლოგანი აუცილებელია ყველა ფილმის სარეკლამო კამპანიისთვის და ამდენად პოსტერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვერბალურ ელემენტს წარმოადგენს სათაურის შემდეგ და ხშირად იგი ზუსტად სათაურის ქვემოთაა განთავსებული. ფილმისთვის ისეთივე დატვირთვა აქვს სლოგანს, როგორც აქვს სარეკლამო ფრაზას „Just do it“ ფირმისთვის – NIKE, ან ფრაზას „Share the happiness“ COCA-COLA-სთვის. საუკეთესო სლოგანები არა მხოლოდ განმარტავენ ფილმის თემას, არამედ ხშირად ფილმის სინო-

ნიმებიც ხდებიან, სწორედ შერჩეული სიტყვათა კომბინაციის შემთხვევაში ფილმის ხსენებისას მაყურებელს მომენტალურად ახსენდება მისი სლოგანი. სიტყვათა გონებამახვილურ თამაშს პოსტერზე მარტივად შეუძლია გაყიდოს ფილმი.

ფილმის სლოგანის შემთხვევაში ნათლად ჩანს, თუ რამხელა ძალა აქვს სიტყვის დენოტაციურ და კონოტაციურ მხარეს, იმ სინტაქსურ წყობას და სტილისტიკურ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება სლოგანის შექმნისას. ეს ელემენტები განსაკუთრებულ სემიოტიკურ დატვირთვას იძენენ, რადგან სიტყვების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა გადმოსცეს მაქსიმალური ინფორმაცია. ამ ყველაფრის გამო სლოგანი ნამდვილად იმსახურებს სიღრმისეულ ანალიზს. როგორც უკვე აღინიშნა, სტატიის მიზანია გამოიკვლიოს: (ა) რა ენობრივი საშუალებები და სტილისტიკური ხერხებია სლოგანში გამოყენებული; (ბ) რა მიმართებაა სლოგანსა და აფიშის სხვა ელემენტებს შორის; (გ) რა ინფორმაციას გვაძლევს სლოგანი და როგორ ხდება ამ ინფორმაციის მოთავსება რამდენიმე სიტყვიან ფრაზაში; (დ) როგორ იცვლებოდა სლოგანი დროთა განმავლობაში.

ციფრული მედიის ექსპერტი ლიზა კერნანი თავის წიგნში „Coming Attractions“ (2004) ფილმის რეკლამას განიხილავს სამი ელემენტის ერთობლიობად: 1. ჟანრის 2. მოთხრობილი ამბის 3. ფილმის სამსახიობო ჯგუფის თვალსაზრისით. მისი აზრით, კარგი რეკლამა ამ სამ ელემენტზე უნდა აწვდიდეს მნახველს ინფორმაციას. მიმაჩნია, რომ იგივე სამი ელემენტი უნდა იქნას გათვალისწინებული სლოგანის შექმნისას, თუმცა სირთულე ისაა, რომ სამივე ელემენტს ვერ გამოიყენებს ავტორი სლოგანში. სლოგანის ავტორები ამ სამი ელემენტიდან იმას ირჩევენ, რომელიც, მათი აზრით, ფილმისთვის ყველაზე მომგებიანია. მაგალითად, თუ ფილმს არ ჰყავს ცნობილი და პოპულარული სამსახიობო გუნდი, მისი სლოგანი არ ახდენს მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის აფიშირებას, ნაცვლად ამისა აქცენტს აკეთებს ან ჟანრზე ან ფილმში მოთხრობილ ამბაზე. გარდა ამ სამი კატეგორიისა გვაქვს კიდევ ორი კატეგორია სლოგანებისა, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ფილმის ხარისხსა და მასში გამოყენებულ კინემატოგრაფიის ტექნიკურ მიღწევებზე.

განვიხილოთ სლოგანი ზემომოყვანილი ხუთი კატეგორიის მიხედვით.

პირველ კატეგორიას განეკუთვნება სლოგანები, რომლებიც მოგვითხრობს ფილმის შინაარსზე.

„Music was his passion, survival his masterpiece“ The Pianist 2002 (მუსიკა იყო მისი გატაცება, გადარჩენა კი მისი შედეგრი). რომან პოლანსკის ფილმი „პიანისტი“ ვლადისლავ შპილმანის ბიოგრაფიის ეკრანიზაციაა. იგი მოგვითხრობს ებრაელ პიანისტზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ცხოვრობდა, იმალებოდა ვარშავაში და სასწაულებრივად გადარჩა. იდეა კი ის არის, რომ ხელოვნება გადაგვარჩენს. სლოგანის ენობრივი სტრუქტურა შედგება ორი ფრაზისაგან და გამოყენებულია სტილისტიკური ხერხი – პარალელიზმი. სლოგანი სწორედ რამდენიმე სიტყვაში ატევს ფილმის შინაარსს და იდეას. იგი ნათელს ჰფენს იმას, თუ რაზე იქნება მოთხრობილი ამბავი.

ამავე კატეგორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია სლოგანი „The story of a uncommonly gentle man“ (უჩვეულოდ კეთილშობილი მამაკაცის ამბავი) („Edward Scissorhands“, 1990). ტიმ ბარტონის ეს დრამა მოგვითხრობს სამეცნიერო ექსპერიმენტის მსხვერპლ მამაკაცზე, რომელსაც ხელების ნაცვლად მაკრატლები აქვს და ამის გამო ყველა ერიდება მას. ედვარდი თავისი კეთილშობილი და მგრძობიარე ხასიათის წყალობით მაინც აყვარებს თავს გოგოს, რომელიც თვითონაც ძალიან უყვარს. ფილმის იდეა კი ის არის, რომ ფიზიკური ნაკლის მიღმა შესაძლოა დიდი სიკეთე და სინაზე იმალებოდეს. ამ შემთხვევაშიც სლოგანს აქცენტი გადააქვს სიუჟეტურ ხაზზე.

იგივე ტენდენციაა იკვეთება სლოგანში „Everybody loved him... Everybody disappeared“ (ყველას უყვარდა ის... ყველა გაუჩინარდა) „Jerry Maguire“, 1996. კამერონ ქროუს ეს ფილმი მოგვითხრობს სპორტულ აგენტ ჯერი მაგუაიერზე, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რათა რაც შეიძლება მაღალანაზღაურებადი კონტრაქტი გაეფორმებინათ მის სპორტსმენ კლიენტებს და სანაცვლოდ დიდ საკომისიოსაც იღებდა, წარმატებული კარიერის გამო ბევრს უყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტს რომ მისი პროფესია არამართებულია, სამსახურსაც კარგავს და მეგობრებსაც. ფილმის სლოგანიც კვლავ ამბის გადმოცემითვისაა შემუშავებული. სლოგანი სტრუქტურულად წარმოადგენს ანტითეზას.

მეორე კატეგორიის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ფილმის ჟანრის გამომხატველი სლოგანები. მაგალითად, ასეთია: „A romantic

comedy, with zombies“ (რომანტიკული კომედია ზომბებით) „Shaun of the Dead“, 2004. ფილმი მოგვითხრობს ვინმე შონის ზომბებთან ბრძოლის ამბავს. სლოგანში არაა გამახვილებული ყურადღება ისტორიაზე, მაგრამ, წინა კატეგორიისაგან განსხვავებით, სლოგანი გვაძლევს ინფორმაციას ფილმის ჟანრის შესახებ. ვიგებთ, რომ ფილმი კომედიური ჟანრისაა და შეიცავს საშინელებათა ჟანრის ელემენტებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სლოგანები, რომლებიც აქცენტს მხოლოდ ფილმის ჟანრზე აკეთებენ, შედარებით მცირე რაოდენობისაა. ძირითადად მაინც გვაქვს ნახავი პირველი და მეორე კატეგორიისა, ანუ სლოგანებში მოცემულია, როგორც ფილმის ჟანრი, ასევე მასში მოთხრობილი ამბის შეჯამებაც, მაგალითად ასეთია: „A General who became a slave, a slave who became a Gladiator, a Gladiator who defied an empire“ (გენერალი, რომელიც გახდა მონა, მონა, რომელიც გახდა გლადიატორი, გლადიატორი, რომელმაც გამოიწვია იმპერია) „Gladiator“, 2000 რიდლი სკოტის ეს ფილმი მოგვითხრობს რომაელი გენერლის ამბავს, რომელიც იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ვაჟის ინტრიგების მსხვერპლი გახდა, ამის გამო დაკარგა ცოლ-შვილი და თავად იძულებული იყო ქვეყანა დაეტოვებინა. ტყვეებით მოვაჭრეების ხელში აღმოჩენის შემდეგ მას ყიდიან ისევ რომში და იგი ხდება გლადიატორი, რომელიც შურისძიებას ისახავს მიზნად და ბოლოს იმპერატორს გამოიწვევს კიდეცა ბრძოლაში. აქ გამოყენებულია გამეორების ერთ-ერთი სახეობა – ჯაჭვური გამეორება. სლოგანში არაა სიტყვიერად ნახსენები ჟანრი, მაგრამ ფილმი რომ ისტორიული ჟანრისაა, ამას ისეთი ლექსიკური ერთეულებით ვხვდებით, როგორებიცაა „გლადიატორი“, „მონა“, „იმპერია“. ამრიგად, სლოგანი იქცევს როგორც ისტორიული ჟანრის მოყვარულთა ყურადღებას, ასევე მნახველს უყვება ფილმის შინაარსის შესახებ.

მორიგი მსგავსი ტენდენციის მქონე სლოგანია: „For Troy“ (ტროასთვის) Troy; 2004. ფილმი მოგვითხრობს ამბავს ისტორიული ქალაქის, ტროას აღების შესახებ. სლოგანი კი წარმოადგენს ტროელი მთავარსარდლის შეძახილს, რაც ერთდროულად როგორც ფილმის ჟანრის, ასევე მისი ამბის გასაღებიცაა. მსგავსი სლოგანის ნიმუშია „America was Born in the Streets“ (ამერიკა ქუჩებში დაიბადა) „The Gangs of New York“, 2002. ფილმი მოგვითხრობს ერთ-ერთ ყველაზე

სისხლიან პერიოდზე ამერიკის ისტორიაში, რასისტულ და რელიგიურ ბრძოლებზე ნიუ იორკის ქუჩებში მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში. სლოგანიდან ვიგებთ, რომ საქმე გვაქვს ამერიკის ისტორიასთან. ასეთი ტენდენცია არ შეინიშნება მხოლოდ ისტორიული ჟანრის ფილმის სლოგანებში, მაგალითად, სლოგანი „No ordinary love story“ (არაჩვეულებრივი სასიყვარულო ისტორია) „Romeo and Juliet“ 1968. ფილმი შექსპირის პიესის ეკრანიზაციაა, რომელიც მოგვითხრობს მართლაც საოცარი სიყვარულის ამბავს. სლოგანიდან ვიგებთ, რომ ფილმი რომანტიკული ჟანრისაა და მოთხრობილი იქნება უჩვეულო სიყვარულის ამბავი.

მესამე კატეგორია სლოგანებისა აქცენტს აკეთებს ფილმში მონაწილე მსახიობებზე და მათი სახელები ფიგურირებენ სლოგანში. ასეთია კლასიკური ჰოლივუდის პერიოდის ფილმის „Ninotchka“-ს სლოგანი: „Garbo laughs“ (გარბო იცინის). სლოგანიდან ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ ფილმში მონაწილეობს ცნობილი მსახიობი გრეტა გარბო, და სავარაუდო მაყურებლად ფილმისა მოიაზრებიან პირველ რიგში ამ მსახიობის გულშემატკივრები. აღსანიშნავია, რომ ასეთი სლოგანი იწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფილმს ჰყავს ისეთი მსახიობი, რომლის სახელიც მომენტალურად მიიქცევს ხალხის დიდი ნაწილის ყურადღებას.

ამ კატეგორიის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია: „Sergio Leone’s three-hour, forty-minute epic masterpiece starring Robert de Niro.[Australia Theatrical]“ (სერჯო ლეონეს სამსაათიანი და ორმოცწუთიანი ეპიკური შედეგრი რობერტ დე ნიროს მონაწილეობით) ეს სლოგანი განთავსებულია ფილმის: „ერთხელ ამერიკაში“ ავსტრალიურ პოსტერზე და ავტორმა ერთ ფრაზაში ფილმის მთელი ღირსშესანიშნაობის წარმოჩენა მოახერხა, თუმცა აქაც არაფერია ნათქვამი შინაარსზე.

შემდეგი მაგალითი: „Marlyn Monroe and her bosom Companions“ (მერლინ მონრო და მისი გულითადი კომპანიონები) „Some like it hot“, 1959. ფილმში მოთხრობილია ორი მუსიკოსის ისტორია: ისინი შემთხვევით აღმოჩნდებიან მკვლელის მოწმეები და იძულებულნი ხდებიან დაიძალოს გოგონების მუსიკალურ გუნდში და თავი თვითონაც გოგოებად გაასაღონ. სლოგანის ავტორმა აქცენტი ისევ ფილმში მონაწილე ვარსკვლავზე გააკეთა.

ინტერესს იწვევს კიდევ ერთი მაგალითი „Science created him. Now Chuk Norris must destroy him“ (მეცნიერებამ შექმნა ის. ახლა ჩაკ ნორისმა უნდა გაანადგუროს) „Silent Rage“, 1985. ფილმი მოგვითხრობს სამედიცინო ექსპერიმენტზე, რომლის შედეგად მიიღეს დაუმარცხებელი კრიმინალი და მისი განადგურება ქალაქის შერიფს დაევალა. ამ სლოგანში შინაარსიც არის გადმოცემული და მთავარი როლის შემსრულებლის სახელი და გვარიც. მესამე კატეგორიის სლოგანებში ამ სტილის სლოგანებიც საკმაოდ ბევრია, ისინი ფილმის შინაარსზე და მასში მონაწილე ვარსკვლავზეც გვაწვდიან ინფორმაციას და მარკეტინგული თვალსაზრისით ძალიან მომგებიანი არიან.

განვიხილოთ შემდეგი კატეგორია და მისი მაგალითები. ესაა სლოგანი, რომელიც ფილმის ხარისხს წარმოაჩენს. ასეთ სლოგანებში უხვადაა გამოყენებული ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხში. მაგალითისთვის ავიღოთ ფილმის, „My Fair Lady“, 1964. სლოგანი: „The most lovely motion picture of all“. სლოგანში არაფერია ნათქვამი არც ფილმის შინაარსზე და არც მონაწილე მსახიობებზე, მაგრამ ის ხაზს უსვამს ფილმის ხარისხს. საერთოდ, კინოაფიშის სლოგანში ფილმის აღმატებით ხარისხში წარმოჩენა დამახასიათებელი იყო ძველი პერიოდის ფილმებისთვის, თანამედროვე სლოგანებში უფრო პირველ კატეგორიას ამჯობინებენ და ავტორები ცდილობენ სლოგანში ჩადონ ფილმის მთავარი ინტრიგის, ამბის გასაღები.

მეხუთე კატეგორია სლოგანებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შექმნილია, რათა პოსტერზე შესაძლებელი გახდეს დაიტანონ ინფორმაცია კინემატოგრაფიის იმ ტექნიკურ სიახლეებსა და მიღწევებზე, რომლებიც გამოყენებულია ფილმში. მაგალითად, ასეთი ფრაზა: „The first feature produced by a major studio in 3D!“ (The House of Wax; 1953). სლოგანიდან ვიგებთ, რომ ესაა პირველი ფილმი, რომელიც შექმნილია სამგანზომილებიანი ფორმატით, და მის მთავარ ღირსებას სწორედ ეს ტექნიკური სიახლე წარმოადგენდა.

ამ კატეგორიის კიდევ ერთი მაგალითია სლოგანი: „Metro-Goldwyn Mayer's Technicolor triumph!“ („The Wizard of Oz“, 1939). სლოგანიდან ვიგებთ, რომ ფილმი „ოზის ჯადოქარი“ წარმოადგენს ფერადი კინემატოგრაფიის ნამდვილ ტრიუმფს. მართლაც, უნდა აღინიშნოს რომ „ოზის ჯადოქარი“ გამოირჩევა უჩვეულოდ ხასხასა ფერებით და შავ-თეთრი ფილმების შემდეგ ნამდვილად სიახლეს

წარმოადგენდა და კინემატოგრაფიის ეს ტექნიკური მიღწევა ნამდვილად სწორად წარმოაჩინა ავტორმა სლოგანში.

დღესდღეობით, არც სამგანზომილებიანი და არც ხმოვანი და ფერადი ფილმები აღარ წარმოადგენენ სიახლეს, ამიტომ სლოგანებში აღარაა გამახვილებილი ყურადღება ასეთ ტექნიკურ საკითხებზე. პოსტერზე უბრალოდ შეიძლება დაიტანონ სიმბოლო „3D“ ან თუ ძველი ფილმის რიმიეჩია სამ განზომილებაში, შესაძლებელია წავაწყდეთ ისეთ სლოგანს როგორცაა: „Experience it Like Never Before in 3D“ („Titanic“, 2012). ფილმი „ტიტანიკი“ პირველად 1997 წელს გამოვიდა ეკრანებზე და მოგვითხრობს რეალურ ამბავს გემის ჩადირვისა, რომელსაც უამრავი ადამიანი ემსხვერპლა. 2012 წელს რეჟისორმა ჯეიმს კამერონმა გადაწყვიტა ფილმი თავიდან გამოეშვა სამი დე ფორმატით და სლოგანიც შესაბამისად გვამცნობს, რომ ახალი ტექნიკური საშუალებების წყალობით შესაძლებელია ფილმის ამბის ახლებურად გაცნა.

რატომ არ შეიძლება, რომ ეს ხუთივე ელემენტი (ამბავი, ჟანრი, სამსახიობო გუნდი, ხარისხი, ტექნიკური სიახლე) მოიცვას ერთმა სლოგანმა? რა თქმა უნდა, ეს კითხვა არაა საფუძველს მოკლებული, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მცდელობა ამ ელემენტების ერთ სლოგანში გაერთიანებისა, შესაძლოა დამთავრდეს იმით, რომ დაირღვეს მთავარი პრინციპი – ლაკონურობის პრინციპი. გრძელი სლოგანები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ და გამვლელები ხშირად არც კითხულობენ მათ. კინოსტუდიებმა ამის გამო დაიწყეს ერთი ფილმისთვის რამდენიმე სლოგანის შექმნა. მარტივი ხერხია, თუ გამვლელი არ წაიკითხავს ერთ გრძელ ფრაზას, წიკითხავს ორ ან სამსიტყვიან მარტივ ფრაზებს.

სლოგანს გააჩნია არა მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა, არამედ მხატვრული ღირებულებაც. მის მხატვრულ ღირებულებაში იგულისხმება ის სტილისტიკური ხერხები, რომლებიც ავტორმა გამოიყენა მის შესაქმნელად. მხატვრული ხერხები სლოგანს უფრო შთამბეჭდავს და მიმზიდველს ხდის.

სლოგანების ლინგვო-სინტაქსურ წყობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ხერხი – ჩამონათვალი. ამის ნიმუშია ფილმის „The General“ (1927) სლოგანი: „Love, locomotives and laughs!“. ამ დროიდან მოყოლებული საკმაოდ პოპულარული იყო სლოგანებში ეს სინტაქსური წყობა, ერთ-ერთი

ბოლო მაგალითია ფილმის „Match Point“ (2005) სლოგანი: „Passion. Temptation. Obsession“ („ვნება, ცდუნება, ობსცესია“ ორივე სლოგანში სტილისტიკური ხერხებიდან ვხვდებით ალიტერაციას, რაც მათ რიტმულობასა და მელოდიურობას სძენს. ასონანსის და ალიტერაციის მშვენიერი მაგალითია სლოგანი ფილმისა – „Amadeus“ (1984): „The Man... The Music... The Madness... The Murder... The Motion Picture“. სლოგანის რიტმული ნახაზი ისეთივე დრამატული და შთამბეჭდავია, როგორც თვითონ ამადეუსის მუსიკა.

გარდა ალიტერაციისა, გვხვდება თვითონ სინტაქსური სტრუქტურების გამეორებაც, პარალელიზმი, რასაც იმავე მელოდიურობის ეფექტი აქვს და ფრაზას ადვილად დასამახსოვრებელს ხდის. აღნიშნულის მაგალითია სლოგანი ფილმისა: „The Shawshank Redemption“ (1994) : „Fear can hold you prisoner. Hope can set you free“ (შიშს შეუძლია ტყვეობაში გამყოფოს. იმედს შეუძლია გაგათავისუფლოს). სლოგანი შედგება ორი ფრაზისგან და ორივეს ერთნაირი სინტაქსური წყობა ახასიათებს. გარდა პარალელიზმისა, ამ სლოგანში გვაქვს სტილისტიკური ხერხი – გაპიროვნებაც.

გამეორება არის კედევ ერთი ფართოდ გავრცელებული ხერხი, რომელსაც იყენებენ სლოგანის ავტორები. ამის მაგალითია სლოგანი: „Remember, remember the 5<sup>th</sup> of November“ (გახსოვდეს, გახსოვდეს 5 ნოემბერი) (V for Vendetta – 2005). ამ სლოგანში ვხვდებით რითმასაც. სლოგანი წარმოადგენს ალუზიას ლექსისა: „5 ნოემბერი“ რომელიც დაიწერა ჯარისკაც გაი ფოქსზე, ადამიანზე, რომელიც შეთქმულებას აწყობდა და მეფის, ჯეიმს პირველის, მოკვლა უნდოდა. ეს ალუზია არაა შემთხვევითი, რადგან ფილმი სწორედ დიდი შეთქმულების ამბავს მოგვითხრობს.

გამეორების ერთ-ერთ სახეობას, ეპისტროფს (ბოლო სიტყვების გამეორება), ვხვდებით სლოგანში: „Be afraid. Be very afraid“ (გეშინოდეს. ძალიან გეშინოდეს) (“The Fly“, 1984). გამეორების კიდევ ერთი სახე, ანაფორა (anaphora), არის გამოყენებული სლოგანში: „The time to hide is over. The time to regret is gone. The time to live is now“. (დამალვის დრო დამთავრდა. სინანულის დრო წასულია. ახლაცხოვრების დრო) („The Hours“ – 2002) სლოგანში თითოეული ფრაზა იწყება სიტყვის: The time, გამეორებით, რაც ხაზს უსვამს ფილმში დროის სემანტიკურ მნიშვნელობას. ამ სლოგანშიც გამოყენებულია პარალელიზმი.



სლოგანებისთვის არც ოქსიმორონის გამოყენებაა უცხო, მაგალითად სლოგანი ფილმისა: „Catch me if you can“ (2002): „The true story of a real fake“ (ნამდვილი ამბავი ჭეშმარიტი გაყალბებისა). სლოგანში ოქსიმორონის გამოყენებამ გააჩინა კითხვა – ყალბი როგორ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი? და შესაბამისად აღძრა ინტრიგაც.

ამრიგად, სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყავი სლოგანების ხუთი სხვადასხვა სემანტიკური კატეგორია იმის მიხედვით, თუ რა შინაარსის შემცველნი არიან ისინი. თითოეული კატეგორიის სლოგანი ფოკუსირებულია ფილმის გარკვეულ ასპექტზე და შესაბამისად ვიღებთ ხუთ შინაარსობრივ კატეგორიას. ეს ხუთი შინაარსობრივი კატეგორიაა:

- 1) სლოგანები, რომლებიც ფილმის შინაარსის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას;
- 2) სლოგანები, რომლებიც ფილმის ჟანრზე გვაწვდიან ინფორმაციას;
- 3) სლოგანები, რომლებშიც ვიგებთ რომელი მსახიობი მონაწილეობს ფილმში;
- 4) სლოგანები, რომლებშიც ფილმის ხარისხია ხაზგასმული;
- 5) სლოგანები, რომლებშიც ფილმში გამოყენებულ ტექნიკურ სიახლეებზეა საუბარი.

გარდა ამისა დავადგინე, რომ სლოგანებში გამოყენებულია სხვადასხვა სტილისტიკური ხერხი, რომლებიც სლოგანს ანიჭებენ ესთეტიკურ ღირებულებას. სლოგანში შეგვხვდა შემდეგი სტილისტიკური ხერხები: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა, პარალელიზმი, ჩამონათვალი, გამეორების სხვადასხვა სახე (ეპისტროფი, ანაფორა, ჯაჭვური გამეორება), გაპიროვნება, მეტონიმია, ოქსიმორონი და ალუზია.

## ლიტერატურა

**გალპერინი 1977** – Galperin I.R. 1977. Stylistics, Moscow: "Higher School"

**კერნანი 2004** – Kernan L. 2004. Coming Attractions: Reading American movie Trailers. Austin University of Texas Press

- ლიზი 1983** – Leech G., 1983. Semantics. Penguin Books
- მაკვროი 1996** – McQuarrie E. F., Mick D. G., 1996. Figures of Rhetoric in Advertising Language. Journal of Consumer Research 22, no. 4
- პანოვსკი 2002** – Panofsky E. 2002. Style and Medium in the Motion Pictures. Rutgers University Press.
- ჰელიდოი 1976** – Halliday M. A. K. 1978. Language as social semiotic: The Social Interpretation of Language and Meaning. London: Edward Arnold.

NINO RAKHRAKHADZE

### **General Linguo-Stylistic Peculiarities of Film slogans in English Movie Posters**

#### Summary

This paper aims to analyze slogans of English movie posters from a linguo-stylistic perspective. 100 film slogans obtained from the international movie database <https://www.imdb.com/> have been examined from the standpoints of linguo-stylistics, discourse analysis, semantics and media studies. On the basis of the content analysis of the slogans under examination the following subtypes have been singled out- slogans:

- 1) placing emphasis on the plot of the film;
- 2) informing the viewer about the genre of the film;
- 3) focusing on the starring actors;
- 4) paying the viewer's attention to the quality of the film;
- 5) stressing the newest technological achievements used in the film;

It has been observed that though verbally laconic film poster slogans are abundant in stylistic devices. The following devices have been revealed: alliteration, assonance, rhythm, parallelism, enumeration, different types of repetition (epistrophe, anaphora, chain repetition), personification, metonymy, oxymoron and allusion. The paper also discusses the pragmatic loading of these stylistic devices.

ზაპარია ფურცხვანიძე

კორპუსულ მონაცემებზე ორიენტირებული  
დიალექტომატიკის (ზმსაქლემლობები და მისი  
გამოყენების სცენარები ქართულში)\*


1.

სტრუქტურალისტური დიალექტოლოგიის სათავეებთან Weinreich (1954, 1968; Labov at al 1972) იმთავითვე განიხილებოდა ქვანტიტატური (რაოდენობრივი) მეთოდით ენობრივი დიასისტემების კვლევის იდეა, რომელიც მოგვიანებით ტექნიკური ცნებით - დიალექტომეტრია აღიწერა (Séguy 1971, 1973). ცალკეული დიალექტური ფენომების გეოგრაფიული განფენის რუქაზე მექანიკური აღბეჭდვით Séguy ადგენდა მათი რაოდენობრივი სიმჭიდროვე-სიხალვათის ხარისხს და უსადაგებდა ამ გეოგრაფიულ არეალს. მეთოდის განვრცობას წარმოადგენდა კომპაქტური ჯგუფების (ე. წ. კლასტერების) აღწერა დასახლებული პუნქტების მიხედვით (Goebel 1982), სადაც არა ცალკეული დია-ფენომენი, არამედ ყველა ფენომენის ერთობლიობა (კლასტერი) დგინდებოდა და ამის შემდეგ აღიბეჭდებოდა რუქაზე. შემდეგ მეთოდურ ნახტომს ქვანტიტატურ დიალექტოლოგიაში წარმოადგენდა ლევენშტაინის დისტანციის გამოთვლა (Kessler 1995; Nerbonne 1996), რომელიც საწყის ეტაპზე მხოლოდ ფონეტიკურ მასალას მიემართა. დიალექტომეტრიის განვითარების ამ ეტაპისათვის უკვე ნათელი იყო, რომ დახვეწილი მეთოდური კონცეფციის მიუხედავად, შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის დიალექტური მასალის არსებობის გარეშე, ამ მეთოდით ემპირიულად სარწმუნო შედეგი ვერ დადგებოდა. კორპუსული ლინგვისტიკის ექსპონენციალურმა ზრდამ ეს დეფიციტი მოხსნა. სწორედ მასიური და სტრუქტურირებული დიალექტური მონაცემების კორპუსში ასახვაზე რეაქციას წარმოადგენდა დიალექტომეტრიის დაყრდნობა

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

ამ ტიპის ენობრივ მასალაზე გრძელი სახელით „Corpus-based dialectometry“ (Szmrecsanyi 2012).

**სურათი 1.** ნიდერლანდურის დიალექტების ანალიზი მეტყველების ნაწილებისა და მათი გამოყენების სიხშირული ანალიზის მიხედვით. რაც უფრო ინტენსიურია ლურჯი ფერი, მით უფრო უახლოვდება დიალექტური ტიპი სალიტერატურო ენის სტანდარტს. (წყარო: Wood at al 2014).




ლევენშტაინის მარტივი დისტანციის გამოთვლას დაერთო ლევენშტაინის ე.წ. weighted Levenshtein distance (WLD). ამ შემთხვევაში იზომება არა უბრალოდ სიმბოლოებს შორის განსხვავება, არამედ ყურადღება ენიჭება ამ სიმბოლოების სტატუსს, მათ „წონას“ (weight). მაგალითად ენობრივი დისტანცია წყვილს შორის „სახლი“ vs. „დახლი“ აღიწერება ინდექსით „1“, მაშინ როცა „სახლ-ს“ vs. „სახლ-შ“ წყვილის შემთხვევაში განსხვავება მიმართულია მორფოლოგიური კატეგორიის ნიშანზე და ამიტომ დისტანციის ინდექსი გაცილებით მაღალია. მეტყველების ნაწილებზე WLD-ს მაგალითი გადმოცემულია სურათში 1.

თუ გუთნის რეგიონალურ ვარიანტებს განვიხილავდით როგორც ქართული ენის დიალექტების ტიპიურ წარმომადგენელს მა-

შინ ქართული დიალექტების რუკა მიიღებდა დაახლოებით ამგვარ სახეს (სურათი 2.)

**სურათი 2.** გუთნის სხვადასხვა ტიპების განაწილება საქართველოში შესაბამისი განსხვავებული სახელწოდებებით.



დღესდღეობით ხელმისაწვდომის ლევენშტაინის ალგორითმის ღია რესურსები, რომელთა მიმართვა წინდაწინ სტრუქტურირებულ ენობრივ მასალაზე ეფექტურ შედეგს იძლევა. ასევე თვალსაჩინო ხდება ლევენშტაინის დისტანცია ერთი ლექსემის „ბავშვი“ დიალექტური ვარიანტების ბაზაზე:

**სურათი 3.** ლევენშტაინის დისტანცია ერთი ლექსემის დიაგნოზის ბაზაზე:

[ბავშვი-ბოვში-ბოში-ბალღი-ბაღანა-ბაღანე-ბაღანაი-ბაღლაი-ბაღღი-ბოვშვი-ბავში-ბაღღ]


	ბავშვი	ბოვში	ბოში	ბალღი	ბაღანა	ბაღანე	ბაღანაი	ბაღლაი	ბაღღი	ბოვშვი	ბავში	ბაღღ
ბავშვი	0.0	2.0	3.0	3.0	4.0	4.0	4.0	4.0	2.0	1.0	1.0	4.0
ბოვში	2.0	0.0	1.0	3.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.0	1.0	1.0	4.0
ბოში	3.0	1.0	0.0	3.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.0	2.0	2.0	3.0
ბალღი	3.0	3.0	3.0	0.0	4.0	4.0	4.0	2.0	2.0	4.0	2.0	1.0
ბაღანა	4.0	5.0	5.0	4.0	0.0	1.0	1.0	3.0	3.0	5.0	4.0	4.0
ბაღანე	4.0	5.0	5.0	4.0	1.0	0.0	2.0	3.0	3.0	5.0	4.0	4.0
ბაღანაი	4.0	5.0	5.0	4.0	1.0	2.0	0.0	4.0	3.0	5.0	4.0	5.0
ბაღლაი	4.0	5.0	5.0	2.0	3.0	3.0	4.0	0.0	3.0	5.0	4.0	2.0
ბაღღი	2.0	3.0	3.0	2.0	3.0	3.0	3.0	3.0	0.0	3.0	2.0	3.0
ბოვშვი	1.0	1.0	2.0	4.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.0	0.0	2.0	5.0
ბავში	1.0	1.0	2.0	2.0	4.0	4.0	4.0	4.0	2.0	2.0	0.0	3.0
ბაღღ	4.0	4.0	3.0	1.0	4.0	4.0	5.0	2.0	3.0	5.0	3.0	0.0

ლევენშტაინის მარტივში მოცემული ინდიციების დაჯგუფება ასევე ავტომატური პროცედურაა და, თუ ყოველი ვარიანტის გე-


ორგანიზაციული მიმართება ცნობილია, მონაცემი ავტომატურად „ითარგმნება“ გეოგრაფიულ განზომილებაში (სურათი 4.)

**სურათი 4.** ლევენთაინის დაჯგუფება და გეოგრაფიული განაწილება

bavšvi - bošvi - boši - balği - bağana - bağane - bağanai - balğai - bağvi - bovšvi - bavši - balğ



bavšvi - bošvi - boši - balği - bağana - bağane - bağanai - balğai - bağvi - bovšvi - bavši - balğ



ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ დიალექტომეტრიული მეთოდით ქართული ენის დიალექტების და ზოგადად ქართველური ენების (ქართოსფეროს) კვლევა ეფექტურადაა შესაძლებელი განსაკუთ-

რებით იმ პირობებში, როცა აღარ არსებობს ციფრული დიალექტური მონაცემის დეფიციტი.<sup>1</sup>

2.

დიალექტომეტრიის მეთოდი ლევენშტაინის მარტივი ალგორითმის ბაზაზე პირველად ქართულ სივრცეში გამოიყენა პროფ. მარინა ბერიძის ჯგუფმა (Pourtskhvanidze at al 2019) ფერეიდნულ დიალექტის შიდა დიფერენციაციის გასაზომად. გაიშალა საველე მუშაობა ფერეიდნის 9-ვე სოფელში ენობრივ ასისტენტებთან. წინდაწინ შედგა 200 სახელისა და 100 ზმნის სია. ამ სიების მიხედვით შედგა ვიზუალური მასალა. ანუ შინაარსი ენობრივ ასისტენტს მიეწოდებოდა არა ენობრივი, არამედ სურათის-ფოტოს სახით. ფოტოს დანახვაზე ენობრივ ასისტენტს უნდა წარმოეთქვა მისთვის ნაცნობი სიტყვა, რომელიც ამ სურათზე გამოხატულ მოვლენას აღწერდა. რადენიმეთვიანი საველე მუშაობის შემდეგ შედგა ცხრილები, სადაც „0“-ით აღინიშნება ლექსიკური დეფიციტი (სურათი 5.).

**სურათი 5.** 164 სახელური ფორმის ვარიანტი 9 სოფლის მიხედვით ფერეიდანში.

	A	B	C	D	E	F	G	H	I
1		Dashkasan	Agche	Buin	Nehzad Abar Sibak	Fereydun Sh	Miandash	Tbilisi	
2	1	გუმბათი	მონაბათი	გომნადი	გუმნადი	ფ	გუმბაზი	ფ	გუმბათი
3	2	ყალი	ყალი	ყალი	ყალი	ყალი	ყალი	ყალი	ყალი
4	3	მარადი მარე	მარეთი	ფ	ყადიმ სახორე	ფ	მარე	ფ	მარეთი
5	4	ყალი	ყალი	ნოხი	ფ	გელიში	ხალიჩა	ყალიჩა	ხალიჩა
6	5	ჭიდი	ჭიდი	ხიდი	ფ	ჭიდი	ჭიდი	ხიდი	ხიდი
7	6	გოგო ყორი	ყორი	გოგო ყორი	ყორია	ყორია	ყორი	გოგო	გოგონა
8	7	თაილი	თაილი	თაილი	თაილი	თაილი	თაილი	თაილი	თაილი
9	8	თხუთმეტი	თხუთმეტი	თხუთმეტი	ფურზადა	ფ	თხუთმეტი	ფ	თხუთმეტი
10	9	კლავი	ნაზე	კლავი	ფ	ნაზე	კლავი	კლავი	მკლავი
11	10	აბნო	აბნო	აბნო	აბნო	აბნო	აბნო	აბნო	აბნო
12	11	ბაზარი	ბაზარა	ბაზარა	ბაზარია	ბაზარი	ბაზარი	ბაზარი	ბაზარი
13	12	როზნამა	როზნამა	როზნამა	ფ	როზნამა	როზნამა	როზნამა	გაზევი
14	13	დათვი	დათვი	დათვი	დათვი	დათვი	დათვი	დათვი	დათვი
15	14	თაგი	თაგი	თაგი	თაგი	თაგი	თაგი	თაგი	თაგი
16	15	ჩაღლი	ჩაღლი	თაიზი	თაიზი	თაიზი	ჩაღლი	ჩაღლი	ჩაღლი
17	16	ბატკანი	ბატკანი	ბატკანი	ბატკანია	ბატკანი	ბატკანია	ბატკანი	ბატკანი
18	17	ალუბნალო	ფ	ალბალო	ფ	ფ	ალუბნალო	ალუბნალო	ალუბნალო
19	18	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი	ბადენჯულენი
20	19	გაგარა	გაგარა	გაგარა	გაგარა	გაგარა	გაგარა	გაგარა	გაგარა
21	20	ფანდოლი	ფ	ფანდოლი	ფ	ფ	ფანდოლი	ფანდოლი	ფ
22	21	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი	ყურზენი
23	22	გოლეა	გოლეა	გოლეა	გოლეა	გოლეა	გოლეა	გოლეა	გოლეა
24	23	ხურმა	ხურმა	ხურმა	ხურმა	ხურმა	ხურმა	ხურმა	ხურმა
25	24	მზე	მზე	მზე	მზე	მზე	მზე	მზე	მზე
26	25	ცისარტყელ	ფ	ცისარტყელ	ფ	ცისარტყელ	ფ	ცისარტყელ	ფ
27	26	შანამი	შანამ	წეთი	წეთი	წეთი	წეთი	წეთი	წეთი
28	27	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
29	28	იპარავს	იპარავს	ფ	ფ	ფ	იპარავს	იპარავს	იპარავს
30	29	კრავს	კრავს	კრავს	კრავს	კრავს	კრავს	კრავს	კრავს
31	30	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს	ეკრავს
32	31	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს	ოთუს იეს
33	32	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს	აგმევიანავს
34	33	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
35	34	გვის	გვის	მაიავს	ფ	ფ	გვის	გვის	გვის
36	35	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
37	36	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
38	37	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ

<sup>1</sup> ივლისსმება Georgian Dialect Corpus ისევე, როგორც Georgian National Corpus მისი მეგრული და სვანური ენების ქვეკორპუსებით Kartvelian Languages.


საბოლოოდ შედგენილი ცხრილების ბაზაზე ავტომატურ რეჟიმში გამოითვალა ლევენშტაინის მარტივი დაშორების ინდექსი ყველა ლექსემისათვის ცალკე სოფელთან მიმართებაში. (სურათი 6.).

**სურათი 6.** ლევენშტაინის მატრიქსი ფერეიდნულის შიდა დიფერენცირებისათვის.

	Dashkasan	Agche	Buin	Nehzad_A	Sibak	Fereydun_S	Miandasht
Dashkasan	0.0	2.142	2.054	2.666	2.405	2.192	2.644
Agche	2.142	0.0	2.888	2.567	1.916	1.607	2.533
Buin	2.054	2.888	0.0	2.964	2.733	3.0	2.666
Nehzad_A	2.666	2.567	2.964	0.0	1.677	2.3	2.914
Sibak	2.405	1.916	2.73	1.677	0.0	2.325	2.882
Fereydun_S	2.192	1.607	3.0	2.3	2.325	0.0	2.469
Miandasht	2.64	2.533	2.666	2.914	2.882	2.469	0.0

ენობრივი დისტანციების ვარიანტების განსურათებამ რეალურად ახსნა თუ რატომაა "ქვემო ფერეიდნული" ტიპის ვარიანტი გეოგრაფიულად ზემო ფერეიდანში (სურათი 7.). სოფელ ალჩაში ჩაწერილი მეტყველება ენობრივად დაჯგუფდა ზემო და ქვემო ფერეიდნულის საზღვარზე ძლიერი ტენდენციით ქვემო ფერეიდნულისადმი, მაშინ როცა გეოგრაფიულად ცალსახად ზემო ფერეიდნულს მიეკუთვნება.<sup>1</sup>

**სურათი 7.** ფერეიდნულის შიდა დიფერენციაცია ლევენშტაინის დისტანციის მიხედვით.




<sup>1</sup> არსებობს სომხური წყარო, სადაც გადმოცემულია ლეგენდა ძმების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი კონფლიქტის გამო მარტყოფიდან (ფერეიდუნ შაჰრი) ჩრდილოეთით გადასახლდა, იქ, სადაც ახლა ალჩა განლაგებულია.



ამ გაზომვის საფუძველზე შეიქმნა ფერეიდნულის შედარებით დეტალური რუკა (სურათი 8.)

**სურათი 8.** ფერეიდნულის ლინგვისტური რუკა ენობრივი კონტაქტების გათვალისწინებით.



მე-3 თავში ნაჩვენებია დიალექტომეტრული გამოთვლის ავტომატური აგრეგატი გაცილებით მეტი მონაცემის ბაზაზე, ვიდრე ეს ფერეიდნულის შემთხვევაში იყო აღწერილი. სამაგალითო ენას წარმოადგენს სპარსული ენა და მისი 41 დიალექტური ვარიანტი.

3. ფრანკფურტის გეოტეს უნივერსტეტის, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ჯგუფის მიერ Google CoLab-ის ფარგლებში აიგო დიალექტომეტრული გაზომვის ავტომატური პროგრამული აგრეგატი. აგრეგატი წარმოადგენს ღირესურსს და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მკვლევარს.

ნებისმიერი დიალექტის, ნებისმიერი სიდიდის მასალის უნიკოდირებული ვერსია გამოყენებადია გასაზომად. ავტომატურად იზომება ლევენშტაინის დისტანცია ერთ ლექსიკურ ერთეულთან მიმართებით სხვადასხვა დიალექტური ვარიანტის ფარგლებში. საბოლოოდ გამოიანგარიშება დიალექტური ინდექსი და ხდება მათ ბაზაზე ლევენშტაინის მატრიქსის გამოყვანა.

### სურათი 9. ლევენშტაინის მატრიქსი სპარსულის დიალექტურ მასალის ბაზაზე.

საყურადღებოა პიველი ეტაპი, სადაც 148 ლექსიკური ერთეულის 41 დიალექტური ვარიანტია დატანილი (სურათი 9.),

გამოთვლის პირველ ფაზაში შეპირისპირებულია ერთი სიტყვა-ფორმის 41 დიალექტური ფორმა (ანუ 41x41). ეს ფაზა მეორდება 148 სიტყვა-ფორმის მიხედვით. ანუ საერთო ჯამში აგრეგატი ანგარიშობს ლევენშტაინის გამოთვლის თითქმის მეოთხედ მილიონ (248.788) ოპერაციას.

გამოთვლის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ყოველი დიალექტისათვის საშუალო ინდექსის გამოთვლა და 148 ცხრილის დაყვანა ერთადერთ ცხრილზე (სურათი 10.), სადაც ყველა დიალექტს (და არა სიტყვა-ფორმას) გააჩნია ლევენშტაინის ერთი უნიკალური და საკუთრივი ინდექსი. მათ ბაზაზე დგება გამოთვლის ფინალური მატ-


რიქის დე ხედი უკვე არაა სიტყვა-ფორმების, არამედ, დიალექტური ვარიანტების შეპირისპირება.

### სურათი 10. ლევენშტაინის ფინალური მატრიქის სპარსულის დიალექტური მასალის ბაზაზე.

The screenshot shows an Excel spreadsheet with a grid of numerical data. The columns are labeled with dialect abbreviations: A, B, C, D, E, F, G, H, I, J, K, L, M, N, O, P, Q, R, S, T, U, V, W. The rows are labeled with dialect abbreviations: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41. The cells contain numerical values representing distances, with many cells containing 0. The spreadsheet interface includes menu options like 'Datei', 'Start', 'Einfügen', 'Zeichnen', 'Seitenlayout', 'Formeln', 'Daten', 'Überprüfen', 'Ansicht', and 'Hilfe'.

ამ მატრიქის ვიზუალიზებას წარმოადგენს კლასტერული დენდროგრამა. თუმცა დენდროგრამა არ წარმოადგენს საბოლოო შედეგს.


### სურათი 11. სპარსულის დიალექტური ვარიანტების კლასტერული დენდროგრამა ლევენშტაინის დისტანციის მიხედვით.



უკვე დენდროგრამის მიხედვით შესაძლებელი ხდება ორ დისპროპორციულ დიალექტურ დაჯგუფებაზე საუბარი სპარსულში, სადაც ერთ ჯგუფში 36 დიალექტური ვარიანტია მოქცეული, მეორეში კი მხოლოდ 5. სამაგიეროდ შედარებითი პროპორციულობით გამოირჩევა დაჯგუფების მეორე საფეხური (16vs. 20). მატრიქსის მონაცემები მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 8 საფეხურიანი იერარქიის საშუალებას იძლევა, რაც დაჯგუფების მაღალი სიზუსტის ნიშნეა.

საბოლოო შედეგი ახლებური დიალექტური რუქის შედგენაა, რომელიც ლევენშტაინის ინდექსის გეოგრაფიულ შესაბამისობას (გეო-კორესპონდენციას) ასახავს ფერების შატირების საშუალებით. ამგვარი რუქები ეძებნებათ ბრიტანულ ინგლისურს, ფრანგულს, (სურათი 12.), გერმანულს.

**სურათი 12.** ფრანგულის დიალექტური კონტინუუმისა და ბრიტანული ინგლისურის კლასტერული რუქები. (წყარო: H. Goebel (1997) Computer Developed Linguistic Atlas (CLAE).)



4. ლევენშტაინის დისტანციის ბაზაზე დიალექტომეტრიული გაზომვების წარმოება და მათი გეოგრაფიული კორელაციის დადგენა დღესდღეობით ავტომატიზებულია და გადატანილია ციფრულ პლატფორმებზე. თვითონ პროგრამული აგრეგატებისათვის „სულ ერთია“ ენობრივი მასალის წარმომავლობა მანამ, სანამ მასალა აბეჭდილია Unicode-ში და „წაკითხვადია“ პროგრამული კოდისათვის. ქართველოლოგიურ რეალობაში არსებული ციფრული ენობრივი ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა აგებულია აქტუალურად მიღებული Unicode-ის ფარგლებში და რეალურად მზადაა ზემოთ აღწერილი გამოთვლების მსგავსი ოპერაციებისათვის. სწორი დაგეგმვისა და ციფრული ენობრივი მონაცემების წინასწარი სტრუქტურირების პირობებში მოკლე გზა ისახება ქართული (ქართველური)

ენის (ენების) სრულიად ახლებური და რეალობასთან ადეკვატური დიალექტური რუქების შედგენისაკენ. ამგვარი გეგმის კონტურის ერთგვარ მცდელობას წარმოაგენს მოცემული ტექსტიც.

## ლიტერატურა

Goebel, Hans (1997): Some Dendrographic Classifications of the Data of CLAE 1 and CLAE 2. In: The Computer Developed Linguistic Atlas of England. Bd. 2. Tübingen, 23–32.

Goebel, Hans (1982), Dialektometrie: Prinzipien und Methoden des Einsatzes der numerischen Taxonomie im Bereich der Dialektgeographie. Vienna: Österreichische Akademie der Wissenschaften.

Kessler, Brett (1995), „Computational dialectology in Irish Gaelic“. In: Proceedings of the 7th Conference of the European Chapter, Association for Computational Linguistics. Shroudsburg, PA: ACL, 60-66. Avail. Szmrecsanyi, Benedikt (2012), Grammatical variation in British English dialects: A study in corpus-based dialectometry. Cambridge: Cambridge University Press.

Labov, William / Malcah Yaeger / Richard Steiner (1972), A quantitative study of sound change in progress. Band 1. US Regional Survey.

Nerbonne, John / Wilbert Heeringa / Erik van den Hout / Peter van der Kooi / Simone Otten / Willem van de Vis (1996), „Phonetic distance between Dutch dialects“. In: Gert Durieux / Walter Daelemans / Steven Gillis (eds.): CLIN VI: Proceedings of the sixth CLIN meeting. Antwerp, Centre Dutch Language & Speech (UIA).185-202.

Pourtskhvanidze, Zakharia mit Beridze, Marine und Bakuradze, Lia (2019) Zur korpusbasierten Dialektometrie am Beispiel der georgischen Sprachinsel im Iran. 33. DEUTSCHER ORIENTALISTENTAG. Jena. Abstracts.

Séguy, Jean (1971), „La relation entre la distance spatiale et la distance lexicale“. In: Revue de Linguistique Romane 35, 335-357.

Séguy, Jean (1973), „La dialectométrie dans l'Atlas linguistique de la Gascogne“. In: Revue de Linguistique Romane 37, 1-24.

Szmrecsanyi, Benedikt (2012), *Grammatical variation in British English dialects: A study in corpus-based dialectometry*. Cambridge: Cambridge University Press.

Weinreich, Uriel (1954), „Is a structural dialectology possible?“. In: *Word* 10(3), 388-400. DOI: 10.1080/00437956.1954.11659535

Weinreich, Uriel / William Labov / Marvin I. Herzog (1968) „Empirical foundations for a theory of language change“. In: Winfred P. Lehmann / Yakov Malkiel (eds.): *Directions for historical linguistics*. Austin: University of Texas Press. 95–188.

Wood, Simon / Yannig Goude / Simon Shaw (2015), „Generalized additivemodels for large data sets“. In: *Journal of the Royal Statistical Society: Series C* 64(1), 139-155.

**ZAKHARIA POURTSKHAVANIDZE**

## **Corpus Based Dialectometry and Its Potentials in Georgian**


### **Summary**

In the early stages of structuralist dialectology (Weinreich 1954, 1968; Labov et al 1972; Séguy 1971,1973; Goebel 1982),the idea of quantitative research of linguistic diasystems was present. It was described in later phases by the term dialectometry. At present, in the context of extensive databases in language corpora, it is called "corpus-based dialectometry" (Szmrecsanyi 2012).

The methods of distance measurement according to Levenstein represents one form of many quantitative ways to study linguistic diasystems. The example of /bavšvi/ the child will be used to illustrate this measurement method in Georgian.

	ბავშვი	ბოვში	ბოში	ბაღლი	ბაღანა	ბაღანე	ბაღანაი	ბაღლაი	ბაღვი	ბოვშვი	ბავში	ბაღლ
ბავშვი	0.0	2.0	3.0	3.0	4.0	4.0	4.0	4.0	2.0	1.0	1.0	4.0
ბოვში	2.0	0.0	1.0	3.0	1.0	5.0	5.0	5.0	3.0	1.0	1.0	4.0
ბოში	3.0	1.0	0.0	3.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.0	2.0	2.0	3.0
ბაღლი	3.0	3.0	3.0	0.0	4.0	4.0	4.0	2.0	2.0	4.0	2.0	1.0
ბაღანა	4.0	5.0	5.0	4.0	0.0	1.0	1.0	3.0	3.0	5.0	4.0	4.0
ბაღანე	4.0	5.0	5.0	4.0	1.0	0.0	2.0	3.0	3.0	5.0	4.0	4.0
ბაღანაი	4.0	5.0	5.0	4.0	1.0	2.0	0.0	4.0	3.0	5.0	4.0	5.0
ბაღლაი	4.0	5.0	5.0	2.0	3.0	3.0	4.0	0.0	3.0	5.0	4.0	2.0
ბაღვი	2.0	3.0	3.0	2.0	3.0	3.0	3.0	3.0	0.0	3.0	2.0	3.0
ბოვშვი	1.0	1.0	2.0	4.0	5.0	5.0	5.0	5.0	3.0	0.0	2.0	5.0
ბავში	1.0	1.0	2.0	2.0	4.0	4.0	4.0	4.0	2.0	2.0	0.0	3.0
ბაღლ	4.0	4.0	3.0	1.0	4.0	4.0	5.0	2.0	3.0	5.0	3.0	0.0

bavšvi - bošvi - boši - baღi - baღana - baღane - baღanai - baღgai - baღvi - bovšvi - bavši - baღl



This example shows in what way the study of the dialects of Georgian can be explored in the context of dialectometry. Considering existing corpora on Georgian<sup>1</sup>, there only remains to take a chance on the massive use of this method. To facilitate it technically, a Google CoLab room with the aggregate for automatic measurement of Levenshtein distance has been set up at Goethe University in Frankfurt, so that each user can upload their own dialect data to mathematically measure the linguistic distances and group the language variants (in the form of a dendrogram). The environment is constructed in such a way that it does not matter which languages are measured there as long as they are readable as Unicode. With an effective design, there is a possibility to use the data in significant volume from the Georgian dialects to get an accurate picture of the linguistic distances, which would fundamentally revise our idea about the geographic relations.

<sup>1</sup> Means Georgian Dialect Corpus and Georgian National Corpus with Megrelian and Svan Kartvelian Languages.

გიგა ლლონტი

**წულ- ძირ-მორფემიანთა ფუნქციური  
სემანტიკისათვის ძველ ქართულში**  
(ძვ. ქართ. მიმოწულილვა „აბაო, ფუჭი ძიება“)\*

### ❖ საკითხის დასმა

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საგანია **წულ-** ძირ-მორფემით წარმოებულთა გარკვეული ჯგუფის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ფუნქციური სემანტიკის ანალიზის ცდა. საანალიზო მასალას შეადგენს შემდეგი ძველი ქართული ლექსიკური ერთეულები<sup>1</sup>:

ძვ. ქართ. **წულ-**ძირ-მორფემისგან წარმოებულთა:

ლექსიკური ერთეული	სემანტიკა:
<b>წული</b> →	„(დაბად. 34,24)ვაჭი; რომელ არს სიმხნე და ახოვნება გონებისა (დიონოსი 8,108)“ – ნ. დედაწული, დისწული, საუფლისწულო, სახლისწული, ძმის-წული; კაცი
<b>წულელა</b> → <b>წულილვა / წურილვა</b> →	„გამოკითხვა“ „გამომიება“
<b>მიმოწულილვა</b> → <b>მიმოწვლილვა</b>	„(2 თესალ. 3,11)ამაო, ფუჭი გამომიება; ხეტიალი“
<b>წულილი, წურილი</b> → <b>წვლილი</b> →	„მცირე, წვრილი, დაწვრილებული; ვიწრო; სიმსხოსგან მოკლებული, სიფრიფანა; «საჭირველი», მჭლე; ხურდა; ნელი; მძიმე“ „(იერემ.20,10) სხეულ(იან)ობისაგან მოკლებული და სახე ბროლისა, ვითარცა სული და აერი და მისთანანი“

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ, 10 მაისი, 2023 წელი).

<sup>1</sup> ძვ.ქართ. სალექსიკონო მასალა – აქ და ყველგან, იხ.: სულხან-საბა 1991; სულხან-საბა 1993; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი ნ. 1971; ჩუბინაშვილი ნ. 1973.



<b>წვლილი უქვემოესი</b> →	„(3)არე რომელსა ეწოდების <i>ჰარე</i> . ესე არს უქვემოესი ჰაერი ქვეყანისა მახლობელად... ჰაერ-კეთილობა... ჰაერ-მძიმობა“
<b>წვლილი საშუალი</b> →	„ <b>ჰაერი, აირი</b> , ჰაერი, ასო, კავშირი, ნივთი“
<b>წვლილი უზემოესი</b> →	„ <b>ნიაგ-წულილი</b> „ოთხთა კავშირთაგანნი, პირველსა დღესა დაბადებული. ესე არს <b>ნივთი წვლილი</b> “
<b>წულილ-/ წვლილ-მოგონება</b> →	„(იერემ. 20,10) ფიქრი“ [არაბთა ენაა. <i>ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულისზრახვა; გული-თქმა, წვლილ-მოგონება</i> ]
<b>წულილი, მწვლილი</b> →	„(ლუკა 12,59) ფოლის (ფოლთ) ნახუთალი = <i>ფული, აბაზი, ანუ ხურდა, კოდრანტე</i> “
<b>წვრილი</b> →	„მცირე, ვითარცა ქვიშა, მკედი, უდიდეს(ის) უდარესი“

წარმოდგენი ლილექსიკურ-სემანტიკური ბუდის შემადგენელთაგან – „გამოკითხვის; ამაო, ფუჭი გამოძიების; ხეტიალის“ აღმნიშვნელი **მიმო**-ზმნისწინიანი ძვ. ქართ. **მიმოწულილვა//მიმოწვლილვა** – ნიშანდობლივი ფუნქციური სემანტიკით აღიბეჭდება წმიდა ეფრემ ასურის ლოცვაში, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში საგანგებოდ იკითხება დიდმარხვის ჟამს – წირვა-ლოცვაზე, მწუხრსა და ცისკარზე.

ცოდნისა და რწმენის გაერთიანების საუკუნოვანი წესის მომარჯვებითა და ეკლესიის წმიდა მამათა ეგზეგეტიკურ თარგმანებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება საგანგებო სემანტიკური ფუნქციონირების კონკრეტული საღვთისმეტყველო წანამძღვრების მოხმობა, რისი მეოხებითაც სარწმუნოდ განისაზღვრება საანალიზო **მიმოწულილვის** ქართულენობრივი არჩევანი, რაშიც დიდად შეგვეწია წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ქადაგება – „განმარტება, ანუ ახსნა ეფრემ ასურის ლოცვისა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 532-542)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ასევე – <https://www.qwelly.com/m/group/discussion?id=6506411%3ATopic%3A192160> **ეფრემ ასურისლოცვა (განმარტება)**: „წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი

## ❖ წმიდა ეფრემ ასურის ლოცვის ოთხი შეგონება-მოდღვრება

წმიდა ეფრემ მცირის ლოცვა, როგორც ყველა საეკლესიო ლოცვითი ტექსტი, შეგონებით-დამრიგებლობით შინაარსს შეიცავს და, ამასთან, უცილობლივ არის მოსილი **რჯულისმიერ-რჯულ-მდებლობითი ნიშანდებით**:

„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, **სულსა უქმობისასა და მიმოწვლილველობისასა, მთავრობის-მოყვარებისასა და ცუდად-მეტყუელებისასა** ნუ მიმცემ მე. ხოლო **სული სიწმიდისაჲ, სიბაბლისაჲ, მოთმინებისა და სიყვარულისაჲ** მომმადლემე, მონასა შენსა. ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე **განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად მშისა ჩემისა**, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე. ამენ“.

იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი, გვაწვდის რა ეფრემ ასურის ლოცვის უაღრესად საგულისხმო თარგმანებას, ჩვენს ყურადღებას უწინარესადმის უზენაეს – **რჯულისმიერ** დანიშნულებაზე ამახვილებს:

„ამ ლოცვას ასე ხშირად წმიდა ეკლესია მისთვის განიმეორებს რომ(ელ) იგი არს ფრიად საჭირო და სასარგებლო ყოველთა ქრისტიანეთათვის. ვინც კარგად გაიგებს აზრსა ამ ლოცვისასა და ეცდება, რომ შეითვისოს იგი და მერმე აღარსულოს თავის ცხოვრებაში, ის მიიღებს დიდს სულიერს სარგებლობას“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 532).

სწორედ ამ ღვთივსათნო მიზანს ემსახურება გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ლოცვის სტრუქტურულად გადანაწილებული 4 „მოდღვრება“, ანუ **4 შეგონება**, კერძოდ:

**პირველი** და **მეორე** შეგონება-მოდღვრებით მლოცველი ღმერთს ევედრება შეწევნას, რათა მას (ცოდვილს) განეშოროს **4 ცოდვა**, ვითარცა ცოდვისმოყვარეობის წყარო, ერთი მხრივ → „**სული უქმობისა**“ და „**სული მიმოწვლილველობისა**“, მეორე მხრივ → „**სული მთავრობის-მოყვარებისა**“ და „**სული ცუდად-მეტყუელებისა**“<sup>1</sup>;

---

(ქიქოძე), „განმარტება ანუ აღხსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხთა მოდღვრებათა შინა, რომელნიც თქმულან ოსეთში და სვანეთში“.

<sup>1</sup> ამ შესიტყვება-ტერმინებში კომპონენტით „**სული**“ გამოიხატება ღვთის წინაშე შემცოდველის ცოდვისმბადი ქმედებისა თუ უმოქმედობის განმაპირობებელი ძა-ლისხმევა (შდრ.: ბერძნ. **ფსიქე** „სული; სუნთქვა“; ძვ. ქართ. **სამზუნველი** „სუნთქვა“).

**მესამე** შეგონებით აღიბეჭდება ამ ცოდვით ქმნადობის „მძლე-ველი“ **4 სათნოება**: → „**სულისიწმიდისა**“, „**სული სიმდაბლისა**“, „**სული მოთმინებისა**“ და „**სული სიყუარულისა**“, რისი მეოხებითაც ცოდვილი **ცოდვაზე უარის თქმის** მაცხოვრებელი საჭურველით იმოსება, შდრ.: „შეიმოსეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ემშაკისათა“ (ეფესელთა მიმართ 6, 11);

**მეოთხე** – დამაგვირგვინებელი **შეგონებით** კი მლოცველი მძიმე ცოდვისაგან – სხვათა განკითხვისგან იცავს თავს: → „**განცდა თვსთა ცოდვათა და არა განკითხვად მშისა ჩემისა**“. იმერეთის წმიდა ეპისკოპოსის განმარტებით, „**განცდა თვსთა ცოდვათა**“ მაშინ ეწვევა კაცს, როდესაც იგი „გამოსცდის, ესე იგი, შეიტყობს და შეიცნობს თავისთავს“, და, შედეგად, იგი აღარ განკითხავს თავის მოყვასს, არამედ საკუთარ ცოდვებს მოინანიებს და შეეცდება – თავად გაუმჯობესდეს, გაუკეთესდეს (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 541-542).

❖ **ბგ. ქართ. მიმოწვლილველობის ფუნქციური სემანტიკის გამო**

ყოველივე აქედან გამომდინარე, **წულ-** ძირ-მორფემით წარმოებულითა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სემანტიკურ ველში იკვეთება **5** ფუნქციურ-სემანტიკური მიმართულება, შდრ.:

<p><b>„გონების მიერ - შემეცნებითი“:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წული</b> – „სიმხნე და ახოვნება გონებისა, კაცი“</li> <li>• <b>წულილ-//წვლილ-მოგონება</b> – „ფიქრი, <i>საგონებელი, განზრახვა, გულის-ზრახვა; გულის-თქმა</i>“</li> <li>• <b>წვლილი</b> – „სხეულ(იან)ობისაგან მოკლებული... ვითარცა სული და აერი“</li> <li>• <b>წვლილი (უქვემოესი, საშუალი, უზემოესი)</b> – „ნ. [კ]ერი; ჰაერი, აირი“</li> <li>• <b>წიაგ-წულილი</b> „უზემოესი ჰაერი“</li> </ul> <p>შდრ.: • <b>წივთიწვლილი</b> „[კ]ერი – ერთი არს ოთხთა კავშირთაგანი [სტიქიათაგანი]“</p>
--

<b>„ს ი მ ც ი რ ე - ს ი ვ ი წ რ ო ვ ე“:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წულილი, წურილი, წრგლი</b> – „მცირე, წვრილი, დაწვრილებული; ვიწრო; სიმსხოსგან მოკლებული, სიფრიფანა“</li> </ul>
<b>„შ ო ზ ი ლ ი, შ ვ ი ლ ო“:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წული</b> – „ვაჟი; ჩჩვილი; შვილი 5 წ-მდე, ნ.კაცი“</li> <li>• <b>პირმშო</b> – „პირველ შობილი, გინა უწინარესი, გინა უხუცესი“</li> <li>• <b>საუფლისწული</b> – „უფლის შვილისა“</li> </ul>
<b>„ს ა ძ ი ე ბ ო“:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წულელა</b> – „გამოკითხვა“</li> <li>• <b>წულიღვა / წურიღვა</b> – „გამოძიება“</li> <li>• <b>მიმოწულიღვა, მიმოწვლიღვა</b> – „ამაო, ფუჭიგამოძიება; ხეტიალი“</li> </ul>
<b>„ყ ი დ ვ ა - გ ა ყ ი დ ვ ი ს ს ა ზ ო მ ი ე რ თ ე უ ლ ი, ფ უ ლ ო“:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წულილი, წურილი, წრგლი</b> – „ხურდა“</li> <li>• <b>მწულილი, მწვლილი</b> – „ფოლის (ფოლთ) ნახუთალი, ფული, აბაზი, ანუ ხურდა, კოდრანტე“</li> </ul>

საკვლევი საგნის გათვალისწინებით, **წულ-** ძირ-მორფემით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში **ფუნქციურ-სემანტიკური მიმართულებათაგან** აშკარად უპირატესობს სემოერთეულები:

„ამაო, ფუჭი გამოძიება; ხეტიალი“ (**მიმოწულიღვა, მიმოწვლიღვა**),

„გამოძიება“ (**წულიღვა / წურიღვა**) და

„გამოკითხვა“ (**წულელა**), კერძოდ:

\* სულხან-საბა ორბელიანი **მიმოწულიღვის** სალექსიკონო განმარტებაში გვითითებს კონკრეტულ წყაროს წმიდა წერილიდან, წმიდაპავლე მოციქულის ეპისტოლიდან (2 თესალ. 3,11), სადაც მოციქულთა თავი დანანებით აღნიშნავს:

„მესმის ვიეთვსმე, რომელნი იქცევინ თქვენ შორის უწესოდ, არარას იქმან, არამედ **მიმოწულიღვენ**“ – „მაგრამ გვესმის, რომ-

ზოგიერთი თქვენგანი უწესოდ იქცევა, არაფერს აკეთებს დ **ფუჰად ფაციფუცობს**<sup>1</sup>.

\* საგულისხმიეროა ძველი ქართველი სიტყვათშემოქმედის არჩევანი: ამ მრავლისმსწავლეელი სამოციქულო შეგონება-მოდღრე-ბის თარგმანში მან არჩევანი მიიტანა „ამაო, ფუჰი ძიების“ აღმნიშ-ვნელ **მიმო**-ზმნისწინიან<sup>2</sup> ძვ. ქართ. **მიმო-წულილვაზე**, ანუ – უმიზ-ნო, უაზრო, უსაგნო ქმედებაზე, რაც უსაქმურობის, დროის ფუჰად, უქმად, უჯეროდ და, ესე იგი, „უწესოდ“ ხარჯვის ტოლფასია.

\* ამავე სემოერთეულიდან გამომომდინარე, წმიდა ეგრემ ასუ-რის სავედრებელი ლოცვის **ქრისტიანული რჯულისმიერი** ფუნქცი-ური სემანტიკის ამოსაცნობად, ყურადღებას იქცევს წმიდა ეპისკო-პოს გაბრიელის მიერ საანალიზო **მიმოწვლილველობის** სინონიმად დასახელებული ძვ. ქართ. პოლისემანტიკური **მოწყინება**. მისი რწმუნებით, „**უქმობის**“, ანუ – უქმად, უსაქმოდ ყოფნის, დროის ფუ-

---

<sup>1</sup> შდრ. რუს. ენაზე: „Но слышим, что некоторые у вас поступают бесчинно, ничего не делают, а **суетятся**“. სულხან-საბას მიერ მითითებული ძვ. ქართ. **მიმოწვლილვის** წმიდა წერილისეული სემანტიკური ფუნქციონირების თვალსაზრი-სით, შდრ. უაღრესად საგულისხმო ლექსიკოგრაფიულ-ლექსიკოლოგიური მასალა ნიკო ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონიდან“:

Суета „(ეკლსტ. 1,1; ფსალმ. 4,3), ამაოება. || მდაბ. ზრუნვა, განუსვენებლობა. || ზოგად. მოუსვენარი, გართული ზრუნუათა შინა“,

Суетливый „საზრუნველი, საცოდვილო“ და Суетливость „ცოდვილობა“;

Суетность „ამაოება, ცუდმაშურალობა, დაუდგრომელობა სოფლური ანუ კაცობრივი“,

Суетный; Суетно „ამაო, ცუდი, ურგები. || ზრუნვიანი; საზრუნველი, საცოდვილო“, „მდაბ. ამაოდ, ცუდად, უბრალოდ“,

Суетствию „ამაოდ მოველი, ამაოდ ვსასობ“;

Суетумие и Суетумыслие ამაოდ[დ]გონება, ამაოდ მზაზრველობა“,

Суетчусь „ვზრუნავ, ვცოდვილობ, ვშფოთებ“ (ჩუბინაშვილი ნ. 1973).

შდრ.: „ნუუკუე აწ **იწულებ** და **გამოეძიებ** სიტყუათა და საქმეთა მისთა“ (მამათა სწავლანი 1955: 177,27) – „ნუთუ **გამოიკითხავ, კითხვა-კითხვით, დაწვრილე-ბით გამოიძიებო** მათს სიტყვასა და საქმეს“.

<sup>2</sup> შდრ.: „**მიმო** (+ 3,34 მარკ.) აქათ-იქით და მალ-მალ. ნ. მმიმოობა“; „**მმიმოობა** (მმიმოობათად) (1, 13 ეზეკიელი) ერთმანეთშიაო“ (სულხან-საბა 1991); შდრ. **მიმო**-ზმნისწინიანნი: **მიმოაქუს** „წაღებ-წამოდება – მიაქვს-მოაქვს“, **მიმოგანზნევა**, **მიმოგან-თესვა**, **მიმოდაფენა**, **მიმოდევენება** „გაფანტვა“, **მიმოდაყოფა**, „გათიშვა; გაყოფა; განა-წილება“, **მიმოკუეთება** „მიმოხეთქება; რყევა, ფაცი-ფუცი, გაქცევ-გამოქცევა“, **მიმო-მცთომობა**, **მიმოქცევა** „ხეტიალი, ტრიალი; მიმოსვლა; ცვალება“ და სხვ. (სარჯველაძე 2001).

ქად, ამოდ გატარების ცოდვა – გარდაუვალად ბადებს „**მიმოწვლილველობის**“ ცოდვას, რასაც მოჰყვება **მოწყინება** და, შედეგად, კაცს **მოსძულდება თავისი თავი** ან რომელიმე კეთილი საქმე, მაგალითად: ლოცვაზე დგომა ან მარხვის შენახვა, ნიადაგ შრომა და მუშაობა და, ხანდახან – საკუთარი სიცოცხლეც, ანუ „თავი თვისიც“ კი...

ეპისკოპოსი გაბრიელი ასკვნის: **მოწყინება<sup>1</sup>**, ანუ **მიმოწვლილველობა**, იმის გამოცაა მავნებელი ცოდვა, რომ: „კაცს შთააგდება კიდევ სხვათა ცოდვათა შინა... ხშირად დტრვინავს ღმერთზედ და ამით დიდად სცოდავს, (ვინაიდან) მას *დაეკარგება სასოება ღმერთზედ... ქრისტიანე ყოველთვის უნდა იყოს მღვიძარე, ყოველთვის ღმერთზედ სასოება უნდა ჰქონდეს*“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 533-535).

\* „**უქმობისა**“ და „**მიმოწვლილველობის**“ ცოდვათა „მოშინაურებას“ თავისთავად მოჰყვება „**ცუდად-მეტყუელება**“<sup>2</sup>, ანუ **ფუჭმეტყველება**, იგივე – **მრავალმეტყველება**. ეს ცოდვა, არსობრივად, „არის *უქმი, უსარგებლო, უშვერი* სიტყვა, გამომავალი კაცის პირიდან“ (იქვე), რის გამოც ყოველთა მზრუნველი უფალი გვაფრთხილებს: „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვნ“ (მათე 12,34), წმიდა ეპისკოპოსი კი ამ ცოდვით პერობილთ შეახსენებს: „მეორესა და საშინელს ამოსვლასა იესო ქრისტესსა ყოველი კაცი მისცემს პასუხს არათუ მხოლოდ საქმეთა, არამედ ყოველთა სიტყვათა თვისთავის“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 537).

\* წმიდა ეგრემ ასურის ლოცვის **მესამე შეგონებაში** აღბეჭდილ საცხონებელ სათნოებათაგან, ცხადია, უპირატესია – „**სული სიწმიდისა**“, რამეთუ უფალი სწორედ „**უქმობის**“ ცოდვაზე უარის მოქმელსა და **ხორციელ-სულიერი** სიწმინდისათვის გულმოდგი-

---

<sup>1</sup> შდრ. ძვ. ქართ.: **მოწყე** „მოწყენილი; შეყირჭება; შეზიზღება“; **მოწყენა** „ხალისის გადავარდნა; *გულგატეხილობა*“; **მოწყინება** „მომზრუნება, გაბეზრება; *გულის გადაღუევა უსაქმობისაგან*, ანუ ხანგრძლივ ერთის საქმისაგან“ (სულხან-საბა 1991; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; ჩუბინაშვილი ნ. 1961).

<sup>2</sup> შდრ.: **ჭორი** „ტყუილთან ნახე. **ტყუვილი** განიყოფების სამად: ცრუობად, ცილად და ჭორად“; „**ცილი** „ტყუილთაგანი“ და **ცილის-წამება** „ტყუ(ვ)ილის მოწმობა“ (სულხან-საბა 1993). რაც შეეხება „**ცუდად-მეტყუელების**“ წინარე დასახელებული **„მთავრობის-მოყუა-რებას“** – **მთავრობის-მოყვარე** კაცი მხოლოდ საკუთარი თავისთვის, **„მთავრობს“**, ანუ იმ მიზნით „ბრძანებლობს“, რომ კვლავაც და კვლავაც თავისთვის მოიპოვოს სარგებელი – გამდიდრება იქნება ეს, პატივი თუ დიდება.

ნედ მზრუნველს უმსუბუქებს ცოდვათა სიმძიმეს (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 538).

იგივე ითქმის დანარჩენი სამი სათნოების გამო, კერძოდ: „**სიმდაბლით**“, ანუ **თავმდაბლობით** მოსილის საზრუნავი, **მთავრობის-მოყვარეობით** პერობილისაგან განსხვავებით, საკუთარი თავის სარგებლის მოხელთება კი არ არის, არამედ – „თავი თვის“ შეცნობა და თავის ცოდვათა მონანიება – მათზე კეთილგონიერულად უარისთქმით, რაშიც მას განსაცდელთა „მოსაგერიებელი“ **მოთმინება**ც შეეწევა<sup>1</sup>.

\* ხოლო სათნოებათა გვირგვინი – „**სულისიყვარულისა**“, ანუ **სიყვარული ღვთისა და მოყვასისა**, „არის ყოველთა უდიდესი, უმაღლესი და უსაჭიროესი სათნოება. თითქმის **მთელი ჩვენის რჯული** ამაში მდგომარეობს: „**შეიყვარე უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა და სულითა შენითა, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი**“... ვისაც არ აქვს **სიყვარული ღვთისა და მოყვასისა**, ის არ არის **ქრისტიანი**“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 540).

\* დაბოლოს – ძვ. ქართ. **მიმოწვლილველობის** სინონიმად გვესახება **ქრისტიანული რჯულისმიერი** ფუნქციური სემანტიკით მოსილი ძვ. ქართ. **მიმოდაზრუნვა** „ზრუნვა; შრომა; გართობა; ფუსფუსი“ (←**ზრუნვა** „<<ჭირვება>>, ურვა, წუხილი; <<გულის-სიტყუა>>, შფოთი, აღძვრა; გარჯა, ღვაწლი; <<მიმოტაცება>>, <<მწუხარება>>“, **ზრუნვისა დება** „<<გულს-დება>>, ზრუნვა“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

---

<sup>1</sup> წმიდა ეპისკოპოსის რწმუნებით, „ყოველთა უმეტესი მოთმინება ქრისტიანს უნდა ჰქონდეს, **მოთმინება** – თავისი რჯულის აღსრულებაში. თუ დიდი მოთმინება და სიმტკიცე არა აქვს ქრისტიანსა, ვერ წინააღმდეგება ცოდვასა და განსაცდელსა, ვერ იქმნება კეთილი ქრისტეს მოწაფე. მოიგონე უფალი იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი. რა არ მოითმინა მან ჩვენი გულისათვის? განკიცხვა, გინება, შეურაცხყოფა, დევნა, ტანჯვა, ჯვარცმა. თუ მაცხოვარმან ესოდენი მოითმინა შენთვის, შენც ცოტადენი მაინც მოითმინე მისთვის, თუმცა, თითქმის ყოვლის ჭირისა და უბედურებისა, რომელიც შენ გემართება, მიზეზი შენვე ხარ, გარნა თუ სულგრძელად მოითმენ, ღმერთი ისრე მიიღებს, ვითომც იმისთვის მოგითმენია“ (იქვე: 540); შდრ.: „**ცოდნა** უმღეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია **მოგერიებისათვის**“ (**წმიდა ილია მართალი**), „**შრომა** აიღე მახვილად და **მოთმინება** – ფარადა“ (აკაკი)

წმიდა ლუკას სახარებაში (ლუკა 10, 38-42) აღიბეჭდება **მართას, ლაზარეს დის**, ვითარცა „მიმოდაზრუნვით“ მოცული დიასახლისის გამომხატველი სახე – სტუმრად მობრძანებულ უფალს იგი შეიპატიჟებს, იგი მიეგებება, იგი ემსახურება და ვახშმის მომზადება თუ სუფრის გაშლაც მისი საქმეა. ზედმეტი ზრუნვით მოცული დიასახლისობა მართას საქმედ მიიჩნევა და განიმარტება, რომ ამ საზრუნავით მართა შეწუხებული კა არა – ჰერობილია.

სახარების ამ ამბავში **მართას** და, **მარიამი**, ფერხთით ჩამოუჯდა უფალ იესოს და გულისყურით, გულმოდგინედ ისმენდა მის სიტყვას. უფალი იესოს ფერხთით ჩამოჯდომა, საღვთისმეტყველო მნიშვნელობით, იმას წარმოაჩენს, რომ მარიამი უფლის მოწაფეა.

და აი, უფალი „მიმოდაზრუნვით“ მოფუსფუსე მართას ეუბნება: „მართა, მართა, ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის, აქა ერთისაჲ არს საჯმარ, ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიედოს მისგან“ (ლუკა 10, 41-42) – უფალი „კეთილი ნაწილით“ გულისხმობს მარიამის არჩევანს, ანუ ღვთის სიტყვის გულმოდგინედ მოსმენასა და მიღებას, რაც მართას მიმოდაზრუნვასთან, მის ფაციფუცთან, ფუსფუსთან არის დაპირისპირებული.

საგანგებოდ განიმარტება, რომ, თავისთავად, კეთილია ზრუნვა გამასპინძლებისათვის, მიღება მგზავრისა, მწირისა თუ სტუმრისა. მაგრამ ამისათვის საჭირო არ არის „მრავლისათვის მიმოდაზრუნვა“, ზომიერებას მოკლებული გამასპინძლება... უფლის სწავლებით, საჭიროა მხოლოდ ის, რომ დავნაყრდეთ, შიმშილი მოვიკლათ, და არა ის, რომ გემოთმოყვარეობას მივყოთ ხელი.

მიტროპოლიტ ფილარეტის საგულისხმო განმარტებით, „მართას საქმეც“ და „მარიამის საქმეც“ – უზენაესი იერარქიული წესით, დამოუკიდებელ საღვთისმეტყველო დანიშნულებას ინარჩუნებს, განსხვავება მხოლოდ ამ დანიშნულებათა ხარისხშია, კერძოდ:

მართამ სტუმრად მოსული ქრისტე ხორციელი გამასპინძლებით მიიღო, იგი უფალ იესოს ემსახურებოდა **მხოლოდ ვითარცა კაცს – მე კაცისას!** მარიამმა კი მიიღო სტუმრად მოსული ქრისტე – **მე ღვთისას სიტყვა!**

აქედან გამომდინარე განისაზღვრება: ერთი მხრივ, მართას საქმე – ვითარცა **ქმედითი** ქველმოქმედება და, მეორე მხრივ, მარიამის საქმე – ვითარცა **კვრეტითი** ქველმოქმედება. და ამ დროს, **მიზანი**



მარიამის საქმეა, რადგან მარიამის საქმეს სულის ცხონებისაკენ მი-  
ვყავართ მართას საქმე კი **მხოლოდ საშუალება** უნდა იყოს, ის გზა  
და საშუალება, რომლის მეოხებითაც კაცისათვის შესაძლებელი  
ხდება ჭვრეტით ქველმოქმედებამდე ამაღლება (იხ.: ლლონტი 2002:  
20-24).

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსი-  
კონი (მასალები), თბილისი.

**ბიბლია 1979** – Библия: Книги Священного Писания Ветхого и  
Нового Завкта. Издание Московской Патриархии. Москва.

**ბიბლია 2015** – ბიბლია, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემ-  
ლობა „ქრონიკონი“, თბილისი.

**ეპისკოპოსი გაბრიელი 1913** – ქადაგებანი ეპისკოპოს გაბრიე-  
ლისა, თქმულნი 1860-1870 წლებში, „განმარტება, ანუ ახსნა ეგრემ  
ასურის ლოცვისა“, ტომი პირველი, გამოცემა მეოთხე, სტამბა „ძმო-  
ბა“, კაზაკოვის ქუჩა N 17, ქუთაისი.

**ეპისკოპოსი გაბრიელი 1913** – ქადაგებანი ეპისკოპოს გაბრიე-  
ლისა, თქმულნი 1860-1870 წლებში, „განმარტება, ანუ ახსნა ეგრემ  
ასურის ლოცვისა“, ტომი პირველი, გამოცემა მეოთხე, სტამბა „ძმო-  
ბა“, კაზაკოვის ქუჩა N 17, ქუთაისი.

**იმნაიშვილი 1975** – ივანე იმნაიშვილი, სინური მრავალთავი,  
გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

**მამათა სწავლანი 1955** – მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელ-  
ნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქცი-  
ით, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული  
ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**სიმფონია-ლექსიკონი 2009** – ქართული სამოციქულოს სიმ-  
ფონია-ლექსიკონი, თსუ გამ-ბა, თბილისი.

**სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი  
ქართული, ტ. I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა,

გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

**სულხან-საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

**ღლონტი 2002**– დოდო (მარიამ) ღლონტი, მართა და მარიამი (ვუძღვნი დედის – თინა ხუციშვილი-ღლონტის ნათელ ხსოვნას). საღვთისმეტყველო ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, №2 (10), ივნისი-აგვისტო, გვ. 20-24.

**ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1971** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1973** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი II, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

MEDEA GHLONTI

## On the Functional Semantics of the Root-Morpheme *tsul*-in Georgian

(Old Georg. *mimotsulilva* "bad investigation; wander")

### Summary

This paper deals with the issue of specific functional-semantic motivation of the lexical-semantic group derived from the root-morpheme *tsul*, namely: Old Georg. *tsuli* „(34,24 Genesis) son; the courage of the mind (Dionysus 8,108)“, *tsulela*, *tsulilva/tsurilva* "investigation", *mimotsulilva*, *mimotsvlilva*" (2 Thessal. 3,11) bad investigation; wander", *tsulili*,

*tsurilitruli, mtsulili* "small, narrow, narrowed; lean; coins; slow; heavy", *tsulil-mogoneba* (Jerem. 20,10) to think".

By using the age-long tradition of the reconciliation of faith and knowledge and on the basis of the exegetical translations of the Holy Fathers of the Church, it has become possible to reveal those specific theological teachings that underlie extraordinary semantic functionality of the lexemes under analysis in Georgian.

The study has shown that the basic motivation for the functional semantics of the lexemes derived from the root-morpheme *tsul-* (first of all, these are the Old Georgian concept-terms: *tsuli, tsulela, tsulilva / tsurilva, mimotsulilva / mimotsvililva, tsulil-mogoneba*) is originally linked to Christian faith.

ენო ჯოჯუა

პათოსის აუდიო-ვიზუალური და კრაზმა-ლინგვისტური  
მასსიათმებლები ინტელისურენოვან და ჰართულ  
სატელევიზიო რეკლამაში

### 1. რიტორიკული ანალიზის არსი

თავისი არსით, რიტორიკული ანალიზის ცნება გულისხმობს წერილობითი, სალაპარაკო და ვიზუალური ენის შესწავლას და გამოყენებას [...] სოციალური ჯგუფების ორგანიზებისა და შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელობების ასაგებად, ქცევისა და ძალაუფლების რეგულირებისთვის და ცოდნის შესაქმნელად (San Diego State University, 2023). ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს იმ 3 არისტოტელესეულ ინტერპრეტაციულ განზომილებას – ეთოსი, პათოსი და ლოგოსი, რომლის საშუალებითაც ხდება აუდიტორიის დარწმუნება. ტექსტობრივ და უშუალოდ ენობრივ დონეზე, ისინი გამოიხატება რიტორიკული და ლინგვისტური სტრატეგიების საშუალებით.

სხვადასხვა ენციკლოპედიისა და ლექსიკონის განმარტების მიხედვით, პათოსი გვევლინება, როგორც ა) თვისება, რომელიც თანაგრძობასა და სევდას იწვევს (*a quality that causes people to feel sympathy and sadness*); ბ) ემოცია ან თანაგრძობის- შემცველი შეცოდება (*an emotion of sympathetic pity*); გ) ადამიანის, სიტუაციის, წერილობითი პასაჟის ან ხელოვნების ნიმუშის ზეგავლენა ადამიანებზე თანაგრძობით გამოწვეული სევდის მოგვრის საშუალებით (*the power of a person, situation, piece of writing, or work of art to cause feelings of sadness, especially because people feel sympathy*): სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პათოსი გულისხმობს ემოციური განზომილების მახასიათებელს, რომელიც განაპირობებს მკითხველის, მსმენელისა თუ მაყურებლის გრძობებსა და ემოციებზე სპონტანურ ზემოქმედებას. ამასთან, გამოწვეულ ემოციათა სპექტრი საკმაოდ მრავა-

ფეროვანი შეიძლება იყოს, მაგალითად. ბრაზი, სიყვარული, სინანული, სიძულვილი, ზიზღი, შიში, აღშფოთება, ვნება, გოაცება და ა.შ.

რეკლამის მულტიმოდალურ დისკურსში პათოსი შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი რიტორიკული სტრატეგიების საშუალებით, როგორცაა, პირადი ისტორიების, სენტიმენტალური, დრამატული და ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი ამბების მოყოლა სხვადასხვა რიტორიკული ხერხის, მათ შორის ვიზუალური და სხვა არავერბალური ნიშნების, მუსიკის, ფერების, ე.წ. ემოციურად დატვირთული ენობრივი ერთეულებისა და ადამიანების მორალური ღირებულებებისა და ფასეულობების გამომხატველი სიტყვების საშუალებით, მოულოდნელობის ეფექტის შექმნით არაპროგნოზირებადი დასასრულით და სხვ. (Shea, 2016).

### **1.1. ვიზუალური რიტორიკა და მულტიმოდალური მეტაფორა**

როგორც აღინიშნა, რეკლამის ჟანრის შემთხვევაში რელევანტურია ვიზუალური რიტორიკის ქვედარგი, რომელიც იკვლევს სიმბოლურ შესტიკულაციას, გრაფიკულ დიზაინსა და მხატვრულ კადრებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციის, როგორც ვერბალურ, ასევე აუდიო - ვიზუალურ ასპექტებს, კერძოდ, თუ როგორ გამოიყენება ა) ხმისა ( ხმის ტონი, ტემბრი, ინტონაცია) და ბ) შესტიკულაციის (მანუალური, მიმიკური და კინეთეტური) ელემენტები აუდიტორიაზე ეფექტის გასაძლიერებლად. სემიოტიკის დარგის ფარგლებში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ფართო საზოგადოების მიერ ვიზუალური გამოსახულების მნიშვნელობის აღქმა ყოველგვარი წინა ვერბალური ცოდნის გარეშე. როლანდ ბარტი (Barthes, 1985) ამტკიცებს, რომ გამოსახულება და მისი სიმბოლური დატვირთვა ყოველთვის დამოკიდებულია ვერბალურ ტექსტზე. მისი აზრით, იმისათვის, რომ მნიშვნელობა სწორად იქნას გაზიარებული, ვერბალურმა ტექსტმა უნდა განამტკიცოს ვიზუალური გამოსახულება, რომელიც ტექსტის გარეშე შეიძლება მეტისმეტად ბუნდოვანი იყოს.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, კრესი და ვან ლიუენი (Kress and Leeuwen, 2001), ამტკიცებენ, რომ ტექსტის გარეშე შესაძლებელია მთავარი გზავნილისა და მისი მნიშვნელობის კომუნიკაცია.

თუმცა, მათი აზრით, წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელი პირობაა ადრესატ-ადრესანტის სოციალურ-კულტურული ფაქტორების საერთოობა („*the use of signs, symbols, and icons whose meanings are socially agreed upon and culturally-bound*“ (Kress and Leeuwen, 2001: 15)).

ვიზუალური გამოსახულების მნიშვნელობის დეკოდირებაზე საუბრისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიქტორიალური და ვერბალური ელემენტების შერწყმის, უფრო კონკრეტულად კი პიქტორიალური მეტაფორის შექმნა – დეკოდირების პრინციპებსა და მათ ტიპოლოგიას, რომელიც ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერის ჩარლზ ფორსვილის (1996) ინტერაქციის თეორიის პრინციპებს ეფუძნება და განიხილავს ინტერაქციის თეორიის ბირთვს – მეტაფორას. იგი, მკვლევრის მიხედვით, შედგება ორი ელემენტისაგან – სამიზნე და საწყისი სფეროებისგან<sup>1</sup>, რომლებიც ასოცირებული მნიშვნელობების, ერთი მთლიანი ჩარჩოს შემადგენელი ნაწილებია. რამდენადაც მეტაფორა ადამიანის ცნობიერების ბირთვული ელემენტია, ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მარტო ენობრივი ჩარჩოს, არამედ ვიზუალური საგნების- სურათებისა და აუდიო ელემენტების - ბგერების საშუალებითაც.

შესაბამისად, მეტაფორა კომპლექსურ ჰიბრიდულ ხასიათს იღებს და მისი შექმნა და დეკოდირება არა მხოლოდ ადგილობრივი კონტექსტობრივი მინიშნებებით ხდება შესაძლებელი, არამედ გაცილებით მეტ ფოკუსირებას მოითხოვს ექსტრა-ტექსტობრივ ფაქტორებზე, ისევე, როგორც მათთან ასოციაციურად დაკავშირებული ცნებებზე, დამოკიდებულებებზე, კულტურულ ღირებულებებზე, რწმენასა და აუდიტორიის ცნობიერებაში აღძრულ პოტენციურ ქმედებებზე.

ფორსვილი განარჩევს პიქტორიალური მეტაფორის 4 ტიპს. აქედან პირველი სამი ტიპი მიეკუთვნება კონტექსტობრივ მეტაფორას, ჰიბრიდულ მეტაფორას და სიმბოლურ/მხატვრულ შედარებას, მეოთხე ტიპი კი, რომელსაც მკვლევარი უწოდებს „ვერბო-მეტაფორას“, მულტიმოდალური მეტაფორის ტიპს მიაკუთვნებს, რადგან ის ვიზუალურ ელემენტთან ერთად ვერბალურსაც შეიცავს.

---

<sup>1</sup> Target domain and Source domain ( 2007)

ერთი სიტყვით, კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, აშკარაა, რომ მულტიმოდალური ჟანრების და მათ შორის, რეკლამის ანალიზი სრულყოფილ სახეს მხოლოდ კომპლექსური, მრავალდონიანი შესწავლისა და დეკოდირების შედეგად იღებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ვიზუალური რიტორიკისა და სემიოტიკის, ისევე კონცეპტუალური მეტაფორისა და დისკურსის ანალიზის ცალკეულ დებულებებსა და თეორიებზე დაყრდნობით გამოავლინოს და განიხილოს დარწმუნების ის სტრატეგიები, რომლებსაც რეკლამის კომუნიკატორები იყენებენ სამიზნე აუდიტორიის დასარწმუნებლად უშუალოდ მათში ემოციებისა და გრძნობების გაღვივების, კერძოდ, არისტოტელესეული კლასიკური რიტორიკის პათოსთან მიმართებით.

საკვლევე მასალად წარმოდგენილია რამდენიმე პოპულარული ინგლისურენოვანი და ქართული რეკლამა, ხოლო კვლევის მეთოდს წარმოადგენს ჰოლისტიკური ორდონიანი – მაკროსტრუქტურული და მიკროსტრუქტურული, რიტორიკული ანალიზი ისევე, როგორც კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდი (Critical Discourse Analysis) ჟანრის 3 განზომილებიანი- სტრუქტურულ-კომპოზიციური, კოგნიტური და ლინგვისტური თვისობრივი კვლევის მოდელების გამოყენებით.

## **2.1. რამდენიმე რეკლამის რიტორიკული ანალიზი**

2.1. მაგალითი 1: ( ინგ.) Folksvagen Golf GTI – სრეკლამის (2005) რიტორიკული ანალიზი

რეკლამაში აუდიტორიასთან პირველი კონტაქტი იშლება საკმაოდ თვალწარმტაცი და საინტერესო გარემოებით: ქოლგანი მამაკაცი დგას წვიმიან ქუჩაში და ღიღინებს სასიამოვნო ლირიულ მელოდიას. აღსანიშნავია, რომ ლირიულ მელოდიასთან ერთად მამაკაცი „ლირიულადაც“ მოძრაობს, თუმცა მოულოდნელად ის დაკეცავს ქოლგას და პოპური სტილის მელოდიის სიმღერაზე გადავა, რასაც შესაბამისად ჩქარ რიტმში შესრულებულ ქორეოგრაფიულ მოძრაობებსაც აყოლებს. თანდათანობით დისპოზიციურად მამაკაცი გადაერთვება სუპერთანამედროვე, შეიძლება ითქვას, რობოტულ მოძრაობებზე, რაც მიმსგავსებულია ბრეიკდანსის ელემენტების სა-

შუალებით და სრულდება ელექტრონული მუსიკის ფონზე. რეკლამის ბოლოს შეჯამება ხორციელდება რეკლამირებულ მანქანასა და მოცეკვავე რობოტულ მამაკაცს შორის არსებულ კავშირზე შემჯამებელი კომენტარით- მამაკაცი ცეკვისას მოულოდნელად აღმოჩნდება გოლფის ფორმის მანქანის პირისპირ , რაც აჩერებს მას. იგი პატივისცემის ნიშნად სამხედრო მისალმებისმაგვარ მოძრაობას აკეთებს და შეშდება. რეკლამის მთავარი მესიჯი გრაფიკულად არის გადმოცემული : *The New Golf GTI. The original, updated.*



სურათი 1. კადრი გოლფის მოდელის მანქანის რეკლამიდან, რომელშიც+ წარმოდგენილია ადამიანი-რობოტის მეტაფორა

რეკლამაში გამოყენებულია ეფექტური **ადამიანი-რობოტის მეტაფორა** მანქანის რეკლამირებული მოდელის თანამედროვე და ორიგინალური ფუნქციების მხატვრულად გამოსახატავად. რეკლამაში გამახვილებულია ყურადღება მის ისეთ თვისებებზე როგორცა- პლასტიურობა, ზეადამიანური, რობოტისმაგვარი რიტმისა და ტემპის შეგრძნება, მოქნილობა. იმიჯი- მამაკაცი, რომელიც წვიმაში ქოლგით ცეკვავს და მღერის, სავარაუდოდ, ასოცირდება, ერთი მხრივ, რომანტიულობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მიუხედავად ყოველგვარი ხელისშემშლელი ბუნებრივი პირობებისა, გართობისა და ანცობის სურვილთან. რეკლამაში აშკარად დომინანტურია ქორეოგრაფიული ხასიათის კრეატივი- შესანიშნავი ცეკვა და სიმღერა. აქვე ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს რეკლამის ლირიული მუსიკა-ცეკვიდან- უფრო პოპურ ხასიათზე გადასვლა, რაც მანქანის მრავალმხრივობაზე უნდა აკეთებდეს იმპლიკაციას. ეს ყოველივე ვიზუალურ-აუდიოი ელემენტების მაღალი კოჰერენტულობით გადმოცემული კრეატიული იდეა, ვფიქრობთ, სამიზნე აუდიტორი-



ას ემოციურ ნაპერწკალს უღვივებს და მაღალესთეტიური სანახაობრობითაც გამოირჩევა.

რეკლამის სლოგანში გამოყენებული ზედსართაული სახელი–**original- პოლისემანტურად დატვირთულია**, რადგანაც, ერთი მხრივ, ნიშნავს თავდაპირველს, ხოლო მისი მეორე მნიშვნელობა *ყოველივე ახალ და საინტერესოს*, ორიგინალურს უკავშირდება. რეკლამის შინაარსიდან გამომდინარე, უფრო ორიგინალურს ახალს უნდა ნიშნავდეს, თუცა სიტყვასთან – **updated**-რაც ნიშნავს *განახლებულს*- ახლოს მისი გამოყენება შეიძლება ორივე სემანტიკურ მნიშვნელობას გამოხატავდეს. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ, სწორედ ამ პირობიტად „ასიმილაციური“<sup>1</sup> პოლისემანტურობის ფონზე ახერხებენ კომუნიკატორები ორი, განსხვავებული აუდიტორიის დაინტერესებას – ერთი მხრივ, ისინი ერთგულ და ტრადიციების მოყვარულ მომხმარებელს აცნობენ, რომ მანქანა სულაც არ შეცვლილა, ისევ თავდაპირველი სახითაა წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ახალი ელემენტი აქვს დამატებული, და, მეორე მხრივ, მანქანის კრეატიულობაზე ხაზგასმით თანამედროვეობისა და ზებუნებრიობის მოყვარულ აუდიტორიასაც იზიდავენ. ამგვარად, პოლისემანტური სიტყვის გამოყენება პრაგმატიკული მიზნებით არის განპირობებული.

ამრიგად, როგორც რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა, რეკლამაში პათოსი გამოხატულია აუდიო-ვიზუალური ელემენტების, კერძოდ, ქორეოგრაფიულ- მუსიკალური კრეატივისა და ლინგვისტური პოლისემიის საშუალებით, ისევე, როგორც კონცეპტუალური მეტაფორით.

2.2. მაგალითი II. (ინგ.) The T-mobile- ს (2009) რეკლამის რიტორიკული ანალიზი

რეკლამაში აუდიტორიასთან პირველი კონტაქტი წამორდგენილია ჰითროუს აეროპორტის მე-5 ტერმინალის რიტორიკული გარემოებით, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი იყრის თავს. სავარაუდოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რეკლამის დასაწყისში მაყურებლის ყურადღება მიპყრობილია ჰით-

---

<sup>1</sup> როდესაც პოლისემანტური სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს სხვა სიტყვის გავლენით.

როეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და მულტინაციონალური აეროპორტის ბლოკზე- “International Arrivals”, რაც იმთავითვე გადმოსცემს რეკლამის პრაგმატიკულ ინტენციას- აუდიტორიის ყურადღება გაამახვილოს რეკლამირებული მობილური ტელეფონის მასშტაბურობასა და სივრცეში გავრცელებულობაზე, ასევე იმ ფაქტზე, რომ ეს მობილური თანაბრად ეფექტურია ყველა ეროვნებისა თუ ასაკის ადამიანისთვის. რეკლამის შემდგომ ეტაპზე საყოველთაოდ ცნობილი- დროსა და სივრცეში გამოცდილი მუსიკალური -8ჰიტების ფონზე ერთმანეთისათვის სრულიად უცხო, განსხვავებული ასაკის, სტილის, წარმომავლობის, პროფესიის, სქესის ადამიანები- იწყებენ ცეკვას, რაც მათ ეხმარებათ წარმატებულ და ბუნებრივ კომუნიკაციაში, მიუხედავად მათი განსხვავებული ფონისა. მათი განსხვავებული პრაგმატიკული პროფილის დეკოდირება მარტივადაა შესაძლებელი ტანისამოსის- უნიფორმების, სპორტული ჩაცმულობის, ტრადიციული მუსულმანური ტანისამოსის- ჰიჯაბი, დიშდაში და სხვ. ასევე გარეგნობის- თეთრკანიანი, შავკანიანი, ინდურ-ჩინური წარმომავლობის, აღჭურვილობის (მაგ. მუსიკოსების დეკოდირება მათ მიერ ზურგზე გადაკიდებული მუსიკალური ინსტრუმენტის მეშვეობით) და ასე სხვ. საშუალებით.

ცეკვასთან ერთად რეკლამის მეორადი მონაწილეები ამღერდებიან კიდეც, და თითოეული მათგანი ცდილობს თავისი კულტურული ტრადიციები ერთ მელოდიაში ჩააქსოვოს, რის შედეგადაც საკმაოდ მხიარული და ჰარმონიული ქორეოგრაფიული ჩანართი იშლება აუდიტორიის თვალწინ.

რიტორიკული შეჯამება განხორციელებულია რეკლამის ბოლოს გრაფიკულად გამოსახული სარეკლამო სლოგანით: „Life is for Sharing (დაახლოებით. ცხოვრებას გაზიარება ალამაზებს), რაც მაყურებელს შთააგონებს, რომ T-mobile – კომფორტულია ყველა ადამიანისათვის, განურჩევლად სქესის, წარმომავლობის, ასაკის, პროფესიისა და სტილისა და, შესაბამისად, მოსახერხებელია ამ ადამიანებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად. პოლისემანტური გერუნდით **sharing** – გამოყენებით, რაც ნიშნავს<sup>1</sup>: 1) გაზიარება 2) იმავე

---

<sup>1</sup> 1) to have or use something at the same time as somebody else; 2) to have the same feelings, ideas, experiences, etc. as somebody else; 3) use, occupy, or enjoy (something) jointly with another or others.

გრძნობების, იდეებისა და გამოცდილების ქონა, რაც სხვას აქვს; 3) გამოყენება, დაკავება ან რაიმესგან სიამოვნების მიღება სხვებთან ერთად – კომუნიკატორები აუდიტორიას ეუბნებიან, რომ სწორედ ეს მობილური უნდა ჰქონდეს ყველა წარმომავლობის ადამიანს, რადგანაც ეს საუკეთესო საკომუნიკაციო საშუალებაა ადამიანების გრძნობების, იდეების, აზრების გასაზიარებლად. ასევე შეიძლება ზმნისწინის for-ის მეშვეობით ორგვარი კონტექსტობრივი მნიშვნელობის კომუნიკაცია. კერძოდ: „life is for sharing“ – შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ სიცოცხლის მთავარი დანიშნულებაა სწორედ გრძნობების გაზიარება და ამისთვის ვცოცხლობთ, შესაბამისად, ყველა უნდა მიიღტვოდეს რეკლამირებული პროდუქტის ყიდვისაკენ, ან სიცოცხლეში ამას ვერ გაექცევი, სიცოცხლეს თან სდევს და ამიტომაც აუცილებელია, მოგვწონს ჩვენ თუ არა. შესაბამისად, პოლისემიის გამოყენება პრაგმატიკულად შეპირობებულია.

ამრიგად, როგორც რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა, რეკლამაში პათოსი გამოიხატება აუდიო-ვიზუალური ელემენტების, კერძოდ, ქორეოგრაფიულ-მუსიკალური კრეატივისა და ლინგვისტური პოლისემიის საშუალებით.<sup>1</sup>



<sup>1</sup> თუ შევადარებთ 2023 წლის T-Mobile -ის რეკლამას, აქაც პათოსის გამოვლინება თითქმის იმავე რიტორიკული ხერხებით არის წარმოდგენილი, კერძოდ, მუსიკალური კრეატივითა და „გაზიარების“ აღმნიშვნელი პოლისემნატური მნიშვნელობით, თუმცა ამჯერად სლოგანის “Tell me more” და სპეციალურად რეკლამისთვის შეთხზული სახალისო მუსიკალური ტექსტის საშუალებით, რომლებშიც ადამიანების დაახლოება და გაერთიანება „სამეზობლოს“ (neighbourhood) ცნებით არის გამოხატული.

სურათი 2: კადრი T-Mobile მობილური კავშირის რეკლამიდან, რომელშიც დომინანტურად წარმოდგენილია ქორეოგრაფული ხასიათის კრეატივი.

2.3. მაგალითი III. (ქართ.) საქართველოს ბანკის ორი რეკლამის (2012) რიტორიკული ანალიზი

საქართველოს ბანკის ცნობილ საახალწლო რეკლამაშიც მკვეთრად გამოხატულია ქორეოგრაფული სახის კრეატივი. რეკლამაში სახეზეა ალუზია საახალწლო ლეგენდასთან, რომელიც სანტა კლაუსის ამბავს უკავშირდება. ამგვარი ალუზიის გამოყენების მიზეზი კი უნდა უკავშირდებოდეს სანტა კლაუსის მიერ ოცნებების ასრულების ცრურწმენას, რომელიც საკმაოდ ფესვგადგმულია არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ქორეოგრაფული კრეატივი გამოხატულია რეკლამის მეორადი მონაწილეების<sup>1</sup> მიერ კარგად შესრულებული პოპური ცეკვით. რეკლამის შეჯამების ეტაპზე ჩნდება ზედდადებული ხმის<sup>2</sup> ჩანართი, რომელიც აუღერებს აუდიტორიისთვის მშრალ და ინფორმაციულად დატვირთულ, ტექსტობრივ პასაჟს: „*აბოთეკური სესხების პორტირება 11%-დან 15 წლამდე ვადით*“. აღნიშნული წინადადება სლოგანად ვერ ჩაითვლება, რადგან მასში ასახული პირობები მშრალია და არცთუ ისე ეფექტური უნდა იყოს პათოსის თვალსაზრისით ადამიანების დასარწმუნებლად. თუმცა კონცეპტუალურად რეკლამირებული სერვისის ოცნებასთან ასოცირება, რითიც კომუნიკატორები აუდიტორიას უზრუნველნიან შეტყობინებას, რომ ამგვარი შეთავაზება ოცნების ტოლფასია და მხოლოდ სანტა კლაუსს თუ შეუძლია მისი შესრულება, ბევრად ეფექტურია ტექსტთან შედარებით.

სტრუქტურულ-კომპოზიციურ დონეზე რეკლამის მთავარი შინაარსი ასევე გადმოცემულია აუდიო-ვიზუალურად.

ამრიგად, როგორც რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა, რეკლამაში პათოსი შეიძლება გამოიხატოს აუდიო-ვიზუალური ელემენტების, კერძოდ, ქორეოგრაფიულ-მუსიკალური კრეატივისა და ალუზიის რიტორიკული ხერხის საშუალებით.

<sup>1</sup> ადამიანები, რომლებიც რეკლამაში იღებენ მონაწილეობას (ჯოჯუა, 2014)

<sup>2</sup> რეკლამაში უხილავი მიხრობელი (ჯოჯუა, 2014)

2.4. მაგალითი IV. (ქართ.) ქართული მიკროსაფინანსო ონლაინ ორგანიზაციის, vivus.ge-ს რიტორიკული ანალიზი

რეკლამაში გამოყენებულია *ალეგორიის* რიტორიკული საშუალება, გამოხატული ცხოველების პერსონიფიკაციით. აუდიტორიასთან პირველი კონტაქტის ეტაპზევე ჩნდებიან ცხოველები, რომლებიც საუბრობენ დიალოგის რეჟიმში ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შესახებ კომფორტულობის აღქმის კუთხით. ალეგორია-ცხოველების პერსონიფიკაცია ეფექტური უნდა იყოს პათოსის თვალაზრისით, რადგან ბანკისა და მისი სერვისების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ მოსახლეობასთან პირდაპირი საუბარი დადებით ლოგიკურ შედეგამდე ვერ მიიყვანს აუდიტორიას ყველასათვის ნაცნობი მიზეზების გამო.

რეკლამის შეჯამების ეტაპზე ზედდადებული ხმა აჟღერებს შემაჯამებელ კომენტარს – „*გული თანამედროვე ხალხისთვის*“. თანამედროვეობაზე მიწიშნება აუდიტორიასთან პირველი კონტაქტიდანვე ჩანს რიტორიკული გარემოების საშუალებით, რომელიც თანამედროვე შენობის კადრებით იწყება. სიტყვა- *თანამედროვე* პოლისემანტიურია თავისი არსით და გულისხმობს, როგორც უახლესი პროგრესული იდეებისა და ცხოვრების სტილის მქონე ადამიანს, ასევე მისი სემანტიკა აწმყოსთან ავლებს პარალელს.

ამრიგად, როგორც რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა, რეკლამაში პათოსი გამოიხატულია ალეგორიის რიტორიკული ხერხისა და ლინგვისტური პოლისემიის საშუალებით.

2.5. მაგალითი V. (ინგ.) ქრევენდეილის („Cravendale“) ფირმის რძის პროდუქტების რეკლამის (2011) რიტორიკული ანალიზი

რეკლამაში აუდიტორიასთან პირველი კონტაქტი წარმოდგენილია სამზარეულოს **რიტორიკული გარემოებით**, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ მიერთმევს მამაკაცი რეკლამირებულ პროდუქტს და თუ როგორ მისშტერებია მას სამზარეულოს კუთხეში მჯდომი კატა. დასაწყისიდანვე ზედდადებული ხმა ფონად გასდევს და ერთგვარად ხსნის რეკლამში მიმდინარე მოვლენებს. აუდიტორიასთან პირველი კონტაქტი იხსნება შეკითხვით: **„Why do cats stare when you are pouring milk? ( „რატომ იციან კატებმა მოშტერება როდესაც რძეს ასხამ?“ )** რასაც მოსდევს გაბრაზებული კატის ახლო

კადრში ჩვენება, რომელიც ავისმომასწავებელი კრუტუნით მისჩერება და დარცხვენის და შემინებულ მამაკაცს. ზედდადებული ხმა დრამატული ტემბრით აჟღერებს ტექსტს: **Well... And what if they got together?** (**„ჰმმ... და რა მოხდება თუ შეიკრიბებიან?“**) ელიფსის შემცველი კავშირებითი წინადადება, romelsac mosdevs მარტივი იმპერატივით წარმოდგენილი ძახილის წინადადება: – **Imagine that!** (**„მხოლოდ წარმოიდგინე!“**) სასაუბრო სტილისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები – **jog on „kitties!“<sup>1</sup>** (**მოშორდით, ფოსოებო!**).

*„...It's like they know it's only a matter of time. The only thing between them and opposable thumbs. Imagine that – cats with thumbs! And what if they got together?“*

*Gangs of cats with thumbs. An organized army with one thing on their mind!*

*Cravendale. Well, jog on, kitties“.*



სურათი 3: კადრი „ქრევენდილის“ რმის პროდუქტების რეკლამიდან, რომელშიც დომინანტურად წარმოდგენილია ცხოველების პერსონიფიკაცია.

აღნიშნული ტექსტობრივი პასაჟი, შეიცავს რა კითხვა ძახილის წინადადებას, ელიფსსა და არაფორმალურ ლექსიკურ ელემენტებს, **ზეპირ დისკურსს მიეკუთვნება** (ჯოჯუა, 2014) და ამ მარკერების გამოყენებით, კომუნიკატორები მაყურებელთან მჭიდრო ემოციური კავშირის დამყარებას ცდილობენ. შესაბამისად, რეკლა-

<sup>1</sup> go away (used as expression of anger or irritation) informal British (Cambridge Online Dictionary)

მის დამარწმუნებელ ხასიათს სიმსუბუქითა და ყველასთვის ხელმისაწვდომობის იდეით ნიღბავენ. მეტი აქცენტი აშკარად პათოსზეა გადატანილი, რადგან არსად ფიგურირებს მოცემული რძის გამოყენების უპირატესობის ლოგიკური მიზეზები ან ინფორმაციულობა, სანდოობა და სხვ. და არაფორმალური, ზეპირი დისკურსიც ტავისი არსით ემოციენტან-პათოსთან ასოცირდება.

გარდა ზეპირი დისკურსის ლინგვისტური მარკერებისა, რეკლამაში დომინანტურია ალეგორია- ცხოველტა პერსონიფიკაცია. მოიცავს ადამიანისთითებიან კატებს (*Cats with Thumbs*), რომლებიც ფრჩხილებს იქლიბავენ, წიგნებში იქექებიან და მეტაფორის - **Ggang of cats (კატების ბანდა)** გამოყენებით კატები - კრიმინალების პერსონიფიკაციის ტროპს მეტ დამაჯერებლობას სძენენ. გარდა ამისა, კატების „ბანდის“ იმიჯს ორგანიზებულ არმიასთან მეტაფორული შედარებაც ამძაფრებს. რეკლამაში, ვფიქრობთ, ასევე გამოყენებულია **ჰიბრიდული ტიპის პიქტორიალური მეტაფორა: *Cats with Thumbs***), რომელშიც ერთ მთლიან გემტალტს ქმნის ადამიანისთითებიანი კატების ჰიბრიდი. მასში კატების სამიზნე სფერო გააზრებულია თითების საწყისი სფეროს მეშვეობით და ქმნის ქმედითუნარიანი კატების სახეს. კატები განგსტერებივით დაირაზმებიან და გაემართებიან რძის მოსაპარად. საინტერესოა, თუ როგორ იქმნება რეკლამაში დამაინტრიგებელი სიტუაცია, რაც აუდიტორიას უმაღვე იზიდავს და სრულიად მარტივ თემას- კერძოდ იმას, რომ კატებს ძალიან უყვართ რძე, საკმაოდ საინტერესოდ ფუთავს. ჰიბრიდული ტიპის პიქტორიალური მეტაფორის – ადამიანისნაირთითებიანი კატების პერსონიფიცირებული სახის შექმნით, ასევე მძაფრსიუჟეტისანი ფილმივით მძაფრი მუსიკითა და სიუჟეტის კულმინაციური განვითარებით რეკლამა ემოციურ დატვირთულობას იძენს და აუდიტორიას საკმაოდ ეფექტურად მოუწოდებს პროდუქტის ყიდვისკენ.

როგორც რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა, რეკლამაში პათოსი გამოიხატულია ალეგორიული პერსონიფიკაციის რიტორიკული ხერხის, კონცეპტუალური მეტაფორისა და ზეპირი დისკურსისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური მარკერების საშუალებით.

### 1. დასკვნა

ამგვარად, როგორც ინგლისურენოვანი, ისევე ქართული მულტიმოდალური რეკლამის კვლევამ აჩვენა, პათოსთან ასოცირებულ რეკლამებში ფიგურირებს

2. შემოქმედებითობასა და ხელოვნებასთან ასოცირებული, კერძოდ, *მუსიკისა და ქორეოგრაფიის აუდიო-ვიზუალური ასპექტები*;

3. მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი რიტორიკული სტრატეგიები, მათ შორის, *პერსონიფიკაცია, ალუზია*;

4. *ვერბო-პიქტორიალური ჰიბრიდული მეტაფორა*

5. ზეპირი დისკურსის მარკერები, მათ შორის, *ელიფსი, კითხვა-მახილის წინადადებები, მარტივი იმპერატივი*;

6. ტექსტობრივ ნაწილში გვხვდება ლინგვისტური პოლისემია, რომელიც პრაგმატიკულადაც შეპირობებულია.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ პათოსის რიტორიკასთან ასოცირებულ რეკლამაში გამოკვეთილი აუდიო-ვიზუალური და პრაგმა--ლინგვისტური მახასიათებლები გონივრულად არის შერჩეული რეკლამის შემქმნელების მიერ იმდენად, რამდენადაც მათ მიერ პოტენციური აუდიტორიის დარწმუნება ხორციელდება შეფარულად მხოლოდ დადებითი ემოციების, ასოციაციების, ღირებულებებისა და შთაბეჭდილების აღძვრითა და გაზიარებით. ყოველივე ეს, მართალია, ილუზიური და არარეალური, მაგრამ თანამედროვე ადამიანისთვის, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ესთეტიკური ფუნქციაც კი შეიძინოს, რითიც მულტიმოდალური რეკლამა ხელოვნებას ემსგავსება.

## ლიტერატურა

**ბარტი 1964** – Barthes, R. (1964). *Elements of Semiology*. United State of America: Hill and Wang.

**გოშგარიანი, კრუგერი 2015** – Goshgaryan, G., and Krueger, K. (2015). *Dialogues. An Argument Rhetoric and Reader*. USA. Pearson,



**კენედი 1994** – Kennedy, G.A, A (1994). *New History of Classical Rhetoric*, Princeton, New Jersey: Princeton University Press.

**კრესი, ვან ლიუინი 2001** – Kress, G. and van Leeuwen, T. (2001). *Multimodal Discourse: The Modes and Media of Contemporary Communication*. Oxford: Oxford University Press.

**კრესი, ვან ლიუინი 1996** – Kress, G, & Van Leeuwen, T. (1996). *Reading Images: The Grammar of Visual Design*. New York: Routledge.

**მერიაშ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონი** – Merriam Webster Online Dictionary. An Encyclopaedia Britannica Company. Retrieved from: <http://www.merriam-webster.com/>

**რიჩარდსი 1965** – Richards, I A. (1965). *The Philosophy of Rhetoric*, London/Oxford/New-York. Oxford University Press.

**რუზენი 2013** – Roozen, I. (2013). *The impact of emotional appeal and the media context on the effectiveness of commercials for not-for-profit and for-profit brands*. Journal of Marketing Communications, 19(3), 198-214. doi: 10.1080/13527266.2011.619555

**სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი** – San Diego State University Website, (June 30, 2023) Retrieved from <https://rhetoric.sdsu.edu/#:~:text=Rhetoric%20refers%20to%20the%20study,campus%20California%20State%20University%20system.>

**ფორსვილი 1996** – Forceville C. A. (1996).. *Course in Pictorial and Multimodal Metaphor*. Lectures 1-7. Retrieved from <http://projects.chass.utoronto.ca/semiotics/cyber/cforceville1.pdf>.

ფორსვილი, ჩ. ა. - Forceville, C. (March, 1994). *Pictorial Metaphors in Advertising*. London: Routledge.

**ფორსვილი 1994**– Forceville, C. (March, 1994). *Pictorial Metaphors in Advertisements in Metaphor and Symbolic Activity*.

**შეა 2016** – Shea, R. (2016). *The rhetoric of advertising*. New York, NY: The College Board.

**ჯოჯუა 2022** – რიტორიკული და ლინგვისტური განზომილებები რეკლამის დისკურსში. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.

**Audio-Visual and Pragma-linguistic Characteristics of Pathos  
in English and Georgian TV Advertisements**

Summary

In the modern world, advertisement, as one of the most common and effective tools of persuasion has long been attracting interdisciplinary researchers' attention as its multimodal content and composition present inexhaustible resources for conducting a complex and systemic study from multifaceted perspectives.

The present paper discusses those multimodal characteristics of Pathos-evoking advertisements through which the advertisers intend to exercise "hidden persuasion" upon the target audience. The empirical material involves commercials that aim to primarily trigger emotions and feelings rather than substantiated logical reasoning. In this regard, 5 English and Georgian multimodal commercials are analyzed against the theoretical background and principles of Visual Rhetoric, Conceptual Metaphor and Critical Discourse Analysis.

## ჩემი ხელმძღვანელი და... მე

(წიგნიდან „მეც წუთისოფლის სტუმარი ვიყავ“)

ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი ივანე ქავთარაძე.

ბატონი ივანე ქავთარაძე 2020 წლის 8 მაისს 100 წლის გახდა... ვიფიქრე, ასე მივულოცავ-მეთქი საიუბილეო თარიღს...

\* \* \*

პროფესორი ივანე ქავთარაძე 1968 წლის ზაფხულში გავიცანი. მეორე კურსს ვამთავრებდით. გვითხრეს, კავკასიური და ქართველური ენების განყოფილების სტუდენტებისათვის მესხეთში დიალექტოლოგიური ექსპედიცია მოეწყობაო; ექსპედიციას პროფესორი ივანე ქავთარაძე უხელმძღვანელებსო...

მეორეკურსელები მეტ-ნაკლებად უკვე ვიცნობდით უნივერსიტეტს. ბატონი ივანეს სახელი, ცხადია, გაგონილი გექონდა... თუმცა მე ეს სახელი სკოლიდან მახსოვს: ჩემი მოწაფეობის ჟამს გაზეთ „კომუნისტში“ სპეციალური რუბრიკა იყო – დიალექტური სიტყვები და გამოთქმები იბეჭდებოდა. ამ საქმეს პროფესორი ივანე ქავთარაძე ხელმძღვანელობდა. ჩემი ქართულის მასწავლებელი, გიორგი გაბრიაძე (სოფ. კურსები, ტყიბულის რ-ნი), როცა ამ სახელსა და გვარს მოჰკრავდა ყურს, ამაყად იტყოდა – ჩემი თანაკურსელიაო...

და ვიცოდით, რომ ჩვენი ქართულის მასწავლებლის ლექტორი იყო აკაკი შანიძე, თანაკურსელი – ივანე ქავთარაძე.

ჩვენს უნივერსიტეტში ძალიან კარგი და საჭირო ტრადიცია იყო – სტუდენტური დიალექტოლოგიური ექსპედიციები.

ბატონ ივანეს ექსპედიციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმეების მოწესრიგებაში ეხმარებოდნენ ახალი ქართული ენის კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლები ელენე კომორიძე და ინეზა კიკნაძე.

არადა, ორგანიზაციულად ბევრი საკითხი იყო მოსაგვარებელი: ერთი მხრივ, ჯგუფის დაკომპლექტება და, მეორე მხრივ, დოკუმენტაციის გამზადება: მესხეთ-ჯავახეთი იმჟამად სასაზღვრო ზონა იყო. იქ შესვლაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ნებართვა იყო საჭირო... გარდა ამისა, იმჟამად იჩინა თავი „მესხეთელი თურქების“ პრობლემამ და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა კონსულტაციები ჩაგვიტარეს, რა პრობლემა იყო ეს; რა უნდა გვეთქვა, როგორ უნდა განგვემარტა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამ მხრივ არსებული ვითარება...

20-25 სტუდენტი ვიყავით საექსპედიციო ჯგუფში: კავკასიური განყოფილების მეორე კურსი სრულად (უკვე მესამეზე გადასულები), ჩვენი თანაკურსელები ქართველური განყოფილებიდან და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები; იყო უფროსკურსელიც – რუბენ ენუქაშვილი.

ელიკო კოშორიძემ და ინეზა კიკნაძემ შეგვკრიბეს სტუდენტები და შეგვახვედრეს ბატონ ივანე ქავთარაძეს.

ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. საშუალო სიმაღლის, თეთრი, ფერმკრთალი კაცი იყო; ინტელიგენტური გარეგნობის. მშვიდი, წყნარი საუბარი ჰქონდა; სასიამოვნო ხმა...

ბატონი ივანეს შესახებ ვიცოდი მხოლოდ ის, რომ პროფესორი იყო და... ეძახდნენ „გაუცინარ ხელმწიფეს“... გვესაუბრა, რა იყო მიზანი, რა უნდა გვეკეთებინა... და დათქმულ დღეს წავედით მესხეთში...

აწყურის სადგურში დიდხანს გაჩერდა მატარებელი: მესაზღვრეებმა შეამოწმეს საბუთები. ინეზა კიკნაძემ თავისი ვაჟი, სკოლის მოსწავლე დათო ჯანელიძე (შემდეგში ცნობილი კინორეჟისორი), წამოიყვანა; დოკუმენტებში რაღაც ხარვეზი იყო; დაუკავშირდნენ თბილისს და ქ-ნი ინეზა სადამოს შემოგვიერთდა...

ახალციხეში სკოლა-ინტერნატის შენობაში დავბინავდით...

მითი „გაუცინარი ხელმწიფის“ შესახებ მალე დაიმსხვრა.

ბატონმა ივანემ მეხუთეკურსელ რუბენ ენუქიშვილს (ამჟამად იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი) ფული მისცა და ფოსტაში გააგზავნა, ოჯახს აცნობე, რომ კარგად ვიმგზავრეთო... რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი ივანეს ოჯახი (მეუღლე – ქ-ნი ნელი და

შვილები) შემოგვიერთდა ახალციხეში. სადამო ხანი იყო; ეზოში ვიყავით გამოსული. ქ-ნმა ნელიმ ღიმილით „უსაყვედურა“ ბატონ ივანეს:

– რა იყო, ვანო, რა კოცნების გამოგზავნა დაიწყეო...

ბატონი ივანე მიხვდა „საყვედურის“ მიზეზს და ღიმილითვე უპასუხა:

– ეგ მე არ ვიცი, ეგერაა რუბენი და კოცნაზე მას მიაკითხეთო...

თურმე, რუბენს დეპეშის ბოლოს მიუწერია – „გკოცნით. თქვენნი ვანო“ ...

იყო სიცილ-ხარხარი... „გაუცინარი ხელმწიფე“ არ ყოფილა გაუცინარი... სხვაც იყო ღიმილიანი ეპიზოდები... ერთი ასეთი შემთხვევაც:

სამუშაო ჯგუფებად დაგვყვეს. თამაზ ხმალაძე, შოთა ქავთარაძე (დღეს ცნობილი მწერლები) და მე ერთად ვმუშაობდით (ვიწერდით და ვამუშავებდით დიალექტურ მასალას). სადამოობით, როცა დრო გვქონდა, ქალაქში გავდიოდით; რამდენიმე ნაცნობიც გავიჩინეთ... ერთ სადამოს რესტორანში აღმოვჩნდით და შეგვაგვიანდა ბანაკში მისვლა...

ტელეფონი არ იყო. ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბუნებრივია, ინერვიულებდა: უცხო ქალაქში სამი სტუდენტი ბიჭი... წარმომიდგენია, რას განიცდიდა ბატონი ივანე... ღამის 2-3 საათი იქნებოდა, რომ დავბრუნდით... ბატონი ივანე ეზოში იყო და ბოლთას სცემდა...

შევცბით... შევჩერდით... შოთა ქავთარაძე ჩვენზე უფროსი იყო ხუთიოდე წლით (უცხო ენათა ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული;) და თამაზ ხმალაძემ უთხრა: – არიქა, შოთა, გვიშველე რამე, შეგვარივე ბატონ ივანესთანო (მართალია, შოთა მთიული იყო და ბატონი ივანე იმერელი, მაგრამ ხომ ქავთარაძეები იყვნენ...))...

შოთა წავიდა ბატონი ივანესაკენ; ჩვენ ჩუმად გავძვერით სადარბაზოსაკენ... გზაში გვესმის შოთას „აღსარება“: –ბატონო ივანე, იცით რა კარგი სადამო იყო; რა ბედნიერები ვართ...

– ჰო, კარგი, კარგი... წადი, დაიძინეთ...

დილით ადრიანად გავიღვიძეთ. ავდექით და ეზოში ჩავედით... როგორც ჩანს, წინა დღით ცოტა მეტი მოგვივიდა და... სახე გვქონდა დაულაგებელი...

ჩამოვიდა ბატონი ივანე და გამოეშურა ჩვენკენ... სასწრაფოდ წამოვდექით და დავხარეთ თავი... ველოდებით დატუქსვას... მოვიდა; ცოტა ხანს შეყოვნდა; გვიყურა და მერე თავისებური ღიმილით გვკითხა:

– პახმელიაზე რა გირჩევენიათ, ბორჯომი თუ მჟავე კიტრიო...

ერთსაც გავიხსენებ:

მომდევნო (1969) წელს მე სამხედრო შეკრებაზე ვიყავი მთელი ზაფხული, ამიტომ მესხეთის ექსპედიციაში ვეღარ წავედი. ჩემმა თანაკურსელმა ასმათ პაპიძემ მიაგზო:

ჩვენს ერთ-ერთ თანაკურსელს ექსპედიციაში დედა გაჰყოლია; დედა შვილის მომავალზე „ზრუნავდა“ (ასპირანტურაში ხომ უნდა ჩაებარებინა!) და ზედმეტ „ყურადღებას იჩენდა“ პროფესორისადმი – ბატონი ივანესადმი. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ზოგჯერ კომიკურ ხასიათს იღებდა...

ექსპედიციის წევრს, ჩვენს თანაკურსელ მურმან თავდიშვილს, ბატონი ივანესათვის პერანგის გარეცხვა შეუთავაზებია... უარი უთქვამს ბატონ ივანეს, თავად გავრეცხავო; რომ აღარ მოეშვა მურმანი, ბატონ ივანეს უთქვამს:

– მურმან, დ-ნას დედას გაფიცებ, გაჩერდიო... მერე ჩვენში ეს დაფიცება მოარულ ფრაზად იქცა...

ჰოდა, მითი გაუცინარი ხელმწიფის შესახებ დაიმსხვრა...

საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმე იყო ექსპედიციის ხელმძღვანელობა: ჯგუფებად დაყოფა, სამუშაოს განაწილება, ადგილობრივ ხელისუფლებასთან სამუშაო გრაფიკის შეთანხმებამოგვარება (მაგ., ჩვენ – თ. ხმალამემ, შ. ქავთარაძემ და მე – ახალციხის მიმდებარე უბნების გარდა – რაბათი, ივლიტა – ვიმუშავეთ სოფლებში ურაველსა და გიორგიწმინდაში... 2-3 დღით გავდიოდით სამუშაოდ; ადგილობრივი ხელისუფლება გვმასპინძლობდა...). მერე სადამოლობით მოპოვებული მასალის დახარისხება-დამუშავება... შაბათ-კვირას კულტურული ღონისძიებები; მოვინახულებთ: აბასთუმანი (თავად ევგენი ხარაძემ გვიმასპინძლა), ხერთვისი, ვარძია, საფარა...

პროფესორი ივანე ქავთარაძე კარგად გავიცანიით...

მოგვიანებით, 1990 წელს, უკვე მე თავად მომიხდა სტუდენტური დიალექტური ექსპედიციის ხელმძღვანელობა (ხევში, ყაზბეგის რაიონში)... ამის შემდგომ კიდევ უფრო მეტად დავავასე ბატონი ივანე...

\* \* \*

მე კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ვსწავლობდი და კავკასიურ ენათა კათედრა იყო ჩემი კურატორი... 1971 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი; მერე გავიარე ორწლიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახური და დავბრუნდი თბილისში. „არაფრის კეთების“ (ასე ვამბობდი ხოლმე) პერიოდი მქონდა... ვწერდი მოგონებებში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შესახებ: „როგორც ჩანს, ბატონი არნოლდი ესაუბრა ბატონ გიორგი როგავას. ბატონი გიორგი – ბატონ ივანე ქავთარაძეს – ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორს; სთხოვა, კათედრაზე რეკომენდაცია გაეწია ჩემთვის და ეხელმძღვანელა (კათედრის გამგე იყო აკად. შ. ძიძიგური) – ახალი ქართული ენის კათედრას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა სასწავლო საათებისა“ ... და მიმიწვიეს ახალი ქართული ენის კათედრაზე მასწავლებლად.

1974 წელი იყო...

ამ დღიდან ოფიციალურად ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი გახდა პროფესორი ივანე ქავთარაძე!...

ბატონი ივანე ამ დროს უკვე კარგად მიცნობდა: როგორც ვთქვი, დიალექტოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო. უფრო ადრე, II კურსის ბოლოს, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენება წავიკითხე (ხელ-ლი პროფ. ფ. ერთელიშვილი). ბატონმა ივანემ მოისმინა მოხსენება, შეკითხვაც დამისვა... მერე მესხეთი... III კურსზე „ქართული დიალექტოლოგიის“ კურსი წავიკითხა („ფრიადი“ მივიღე – 29.05.1969); IV კურსზე ბატონი ივანეს ხელმძღვანელობით მოვამზადე საკონფერენციო თემა...

და 1974 წლიდან პროფესორი ივანე ქავთარაძე გახდა ჩემი ოფიციალური სამეცნიერო ხელმძღვანელი...

\* \* \*

ჩემი საუნივერსიტეტო თუ საინსტიტუტო საქმიანობის პერიოდში 30-ზე მეტი ასპირანტი და ხარისხის მაძიებელი მყავდა (ქვევით ყველას ასპირანტებად მოვიხსენიებ...); აღარას ვამბობ სადიპ-

ლომო და სამაგისტრო თემების ხელმძღვანელობაზე... როგორც იტყვიან, ამ მხრივ გამოცდილება სხვასაც შეიძლება გავუზიარო... ჩემი მთავარი სათქმელი ამჯერად ესაა: თუ ჩემში სამეცნიერო ხელმძღვანელის რაიმე ნორმალური თვისება-ხასიათი ჩამოყალიბდა, ბატონ ივანეს ვუმაღლი უპირველესად... თუმცა, როცა ბატონ ივანესთან მივედი (თუ ღიმილის უფლება მაქვს), უკვე „გამოცდილი მკვლევარი“ ვიყავი – ორი სამეცნიერო მოხსენების ავტორი!

ხუმრობა იქით იყოს და მეორე და მესამე კურსებზე ჩემი საკონფერენციო თემების ხელმძღვანელებს – ბატონ ფარნაოზ ერთელიშვილსა და ქალბატონ ეკატერინე (კატუნი) ოსიძეს – დიდად ვუმაღლი. მათთან მუშაობას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ბატონ ივანესაც გარკვეულწილად გაუადვილა ჩემი ხელმძღვანელობა... ვიტყვი ორიოდ სიტყვას მათ შესახებაც...

\* \* \*

პირველ კურსზე ქართულ ენას დოცენტი ელენე კომორიძე მასწავლიდა. საინტერესოდ მიჰყავდა კურსი: ძირითადი აქცენტი სასემინარო მუშაობაზე იყო გადატანილი. ვამუშავებდით სამეცნიერო ლიტერატურას, ვაკონსპექტებდით და ვმსჯელობდით მათ შესახებ ლექციაზე...

როგორც ჩანს, „ზომაზე მეტად“ ვაქტიურობდი, ბევრ კითხვას ვსვამდი, „ჩემს აზრებსაც“ გამოვთქვამდი, ვკამათობდით... სხვათაშორის, ქ-ნ ელენეს არასოდეს მორიდებია ეთქვა, არ ვიცი, გავიგებ და შემდეგ გიპასუხებო!...

ერთ დღესაც ქ-ნმა ელენემ მომკიდა ხელი და წამიყვანა პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილთან...

მერე, როცა კათედრის წევრი გავხდი, ვხუმრობდით, ზედმეტად აქტიური სტუდენტის ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად ბ-ნ ფარნაოზთან მიმიყვანა, იქნებ რამე მოუხერხო ამ ყმაწვილსო... ბ-ნი ფარნაოზი სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი იყო.

VI კორპუსი, II სართული, ახალი ქართული ენის კათედრა... ბატონი ფარნაოზი გველოდებოდა. ეს არის ის სტუდენტო, უთხრა ქ-ნმა ელენემ და დაგვტოვა...

ბ-ნი ფარნაოზი 45 წლის კაცი იყო; შავი თმითა და ლამაზი უღვაშით. საუბრობდა მშვიდი ტონით, დინჯად; სასიამოვნო ხმის ტემბრი ჰქონდა.



გამესაუბრა – რა ინტერესები მქონდა, რა კითხვები „მაწუხებდა“...

დღეს მეღიშება, რომ მახსენდება, რა საკითხები „დავსვი“ (პირის ნიშანთა გენეზისი, ინკლუზივ-ექსკლუზივი და სხვა)... ბ-ნი ფარნაოზი სერიოზულად მიხსნიდა: „ეს ჯერ ადრეა“... „ქართველური ენების ცოდნა დაგჭირდება“... და ა. შ. ... მერე მომცა საზაფხულო დავალება და შევთანხმდით, სექტემბერში შევხვდეთო...

წელან ვიხუმრე, „გამოცდილი მკვლევარი“ ვიყავი-მეთქი, მაგრამ ფაქტია: ბატონ ფარნაოზთან მუშაობა – ეს იყო სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩვევების გამომუშავების მნიშვნელოვანი პერიოდი.

მოკლედ, სექტემბერში შევარჩიეთ თემა („ინტენსივობის და ზმნისწინი ქართულში“) და დავთქვით პერიოდული შეხვედრები...

თემის ვარიანტი უნდა დამეწერა 48 ფურცლიან რვეულში. ახლა ვხვდები: იოლად არ უნდა მომჩვენებოდა საქმე; შეცდომის, უზუსტობის შემთხვევაში რვეული უნდა გამომეცვალა და არა შენიშვნაანი ფურცელი... სამჯერ თუ ოთხჯერ გადამაწერინა. მესამე ვარიანტში ხაზგასმული იყო სიტყვა „რამოდენიმე“. გვერდზე მიწერილი ჰქონდა: „ეს ერთხელ გავასწორეთ“ – ეს სიტყვა I ვარიანტში მეწერა ასე, ისევ წამცდა III-ში...

ყველაფერს აქცევდა ყურადღებას: საანალიზო მასალის მოპოვების გზები და მეთოდები; ციტირების სისწორე, სიზუსტე და საჭიროება; სქოლიოს აუცილებლობა; სხვისი თვალსაზრისის მოხმობის კულტურა, „მე“ თუ „ჩვენ“ და რატომ? როგორ შემოკლდეს ამონარიდი... – ეს ის საკითხებია, რომლებშიც ნაშრომის ვარიანტების განხილვისას მესაუბრებოდა ისე, სხვათაშორის, თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა...

საინტერესო ნაშრომი გამოვიდა. მოგვიანებით შევიტანე კიდევ წიგნში...

ეს იყო II კურსზე...

III კურსზე ქ-ნ ეკატერინე ოსიძესთან სასემინარო მუშაობის დროს გამიჩნდა სურვილი, ხმოვანთკომპლექსებზე მეტყუა...

შევთანხმდით ქ-ნ ეკატერინესთან და III კურსის ბოლოს ეს თემა გავიტანეთ კონფერენციაზე... ბ-ნი ფარნაოზთან მიღებული ჩვევები აქ კიდევ უფრო გამტკიცდა და დაიხვეწა... „თავისუფლების“ უმაღლესი ხარისხი, მაგრამ მუდმივი ყურადღება, „კონტროლი“ და „უწყინარი“ შენიშვნები... ვისწავლე ფაქტობრივ სამეცნიერო ნაშრომის მომზადების ანაზანა...

საინტერესო თემა გამოვიდა. მოგვიანებით დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ (ტ. 26-ე, 1987); მახსოვს, როცა მოხსენება წავიკითხე სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეზე (იყო ასეთი!), ბატონმა ფარნაოზმა ჰკითხა ქ-ნ ეკატერინეს – ეს თემა შენ შეურჩიეო? არაო, თავად ისურვაო... სხდომის შეჯამებისას ბ-მა ფარნაოზმა მოიწონა – თემებს თავისით ირჩევსო, ეს კარგიაო...

კონფერენციის შემდეგ ბ-ნი ფარნაოზი დაინტერესდა, რის გაკეთებას ვაპირებდი. ვუთხარი, რომ ბ-ნ ივანე ქავთარაძესთან მქონდა საუბარი მომავალი თემის შესახებ; წარმატებები მისურვა... (1972 წელს ჯარში ვიყავი; მანანა ტუსკიას წერილი მივიღე, ბატონი ფარნაოზი გარდაიცვალაო... 50 წლის იყო... ძნელია იმ გულისტკივილის გადმოცემა...)...

და... ასე მოვხვდი 1969 წელს პროფესორ ივანე ქავთარაძესთან, როგორც საკონფერენციო თემის ხელმძღვანელთან... 1968 წლის ზაფხულის დიალექტოლოგიური მასალების მოწესრიგება-დამუშავებისას ჩემი ყურადღება მიიქცია ასეთმა ფორმებმა: „ნა-ავდრ-ი“, „ნა-სიზმრ-ი“... როცა ეს აზრი ბატონ ივანეს გავუზიარე, გადაწყდა მემუშავა ოდენპრეფიქსულ წარმოებაზე... IV კურსზე სტუდენტთა კონფერენციისათვის მოვამზადეთ ეს ნაშრომი (მოგვიანებით ესეც გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №3, 1975)... წარმატებული გამოდგა ჩემთვის ეს შეხვედრაც...

V კურსზე სადიპლომო შრომა უნდა გამეკეთებინა ხუნძურ ენაში და დავემორდი ბატონ ივანეს...

მერე დიპლომი...

მერე ორწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური და... 1974 წელს ისევ შევხვდით ერთმანეთს... ახლა უკვე როგორც სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი და მეცნიერ-ხელმძღვანელი...

ეს თანამშრომლობა ხანგრძლივი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მაგრამ... შეწყდა მოულოდნელად: ბატონი ივანე მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა 1984 წელს...

სადისერტაციო თემაზე მუშაობის შესახებ ბევრი მაქვს მოსაგონებელი... დღემდე ვთვლი, რომ ბატონი ივანე იყო ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერ-ხელმძღვანელი, რაც მე გამიგია და მინახავს...

მაგრამ სანამ ამის შესახებ ვისაუბრებ, მინდა ბატონი ივანე ქავთარაძის სიცოცხლის ბოლო წელი გავიხსენო... ძალიან მძიმე წელი ბატონი ივანესათვის... სხვისთვისაც, ჩემთვისაც... მოულოდნელობებით სავსე წელი...

ბატონი ივანე ქავთარაძე გარდაიცვალა 1984 წლის 7 ივლისს...  
გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვნახე. ახალი არ-  
ჩეული იყო კათედრის გამგედ. ითქვა, რომ ავად არისო... რაღაც დო-  
კუმენტზე ხელმოწერა იყო საჭირო და მანანა ტუსკიამ მთხოვა, წამე-  
ლო ბ-ნი ივანესთან სახლში და მომეწერიებინა ხელი...

ბარნოვის 120 ნომერი...

კარი ქალბატონმა ნელიმ გამიღო. ვუთხარი რისთვისაც ვიყავი  
მისული. გამიძღვა ბ-ნი ივანეს ოთახისკენ. გავიარეთ დარბაზი და  
მარცხნივ საძინებლის კართან შევჩერდი. ბატონი ივანე თეთრ ქათ-  
ქათა საწოლში კიდევ უფრო თეთრი მომეჩვენა. გამიღიმა. შორიდან  
მოკრძალებით მოვიკითხე – ქ-ნმა ნელიმ ქალაღდი მიაწოდა; მოაწე-  
რე ხელიო...

კათედრის გამგედ არჩევა მივულოცე... ისევ გამიღიმა... მად-  
ლობა მითხრა... მომაწოდეს ხელმოწერილი ქალაღდი და დავემშვი-  
დობე...

ბოლო შეხვედრა იყო...

რამდენიმე დღეში გარდაიცვალა... სისხლის გათეთრება ჰქონ-  
დაო...

მძიმე დღეები იდგა... ბევრი ტყუილ-მართალი ითქვა იმჟა-  
მად... ადამიანებს უყვართ რეალური ფაქტების არარეალურად გადა-  
კეთება... ეხერხებათ უარყოფითი კონტექსტების შეთხზვა-მოფიქ-  
რება...

არადა ბოლო თვეების მანძილზე ისეთი ვითარება იყო, ნოყიე-  
რი ნიადაგი შეიქმნა ტყუილ-მართლის ასარევად...

მოკლედ:

ბესიკ ჯორბენაძე ჩემი უახლოესი მეგობარი იყო; ჩემი ოჯახის  
ახლობელი; ჩემი უმცროსი ვაჟის ნათლია...

ბესიკი აკადემიკოს ვარლამ თოფურისას უკანასკნელი ასპირან-  
ტი იყო... ასპირანტურის პირველ კურსზე იყო, ბ-ნი ვარლამი რომ  
გარდაიცვალა... ხელმძღვანელად ბატონი ივანე ქავთარაძე დაუნიშ-  
ნეს...

ბესიკმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო  
დისერტაციები და ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი გა-  
ხდა...

1984 წლის გაზაფხულზე ახალი ქართული ენის კათედრის  
გამგე აკადემიკოსი შოთა ძიძიგური გადადგა (მიზეზთა გამო...)

ბესიკ ჯორბენამე ამ დროს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას ხელმძღვანელობდა; უნივერსიტეტის პრორექტორმა დაიბარა და რექტორატის სურვილი გაანდო: კათედრის გამგის გამოთავისუფლებულ ადგილზე ბესიკს ეყარა კენჭი... ბესიკმა დრო ითხოვა ფიქრისათვის... ქალბატონ ქეთევან ლომთათიძეს (ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს) დაეთათბირა... მიიღო რჩევა და თანხმობა... რექტორატში უთხრეს, გაემზადებინა საბუთები და როცა გამოცხადდებოდა კუნკურსი, შეეტანა განცხადება... ბესიკი დაეთანხმა რექტორატის წინადადებას...

გამოცხადდა კონკურსი...ბესიკმა შეიტანა განცხადება...

საბუთების შეტანის ვადა გრძელდებოდა. კარგა ხანს კონკურენტი არ ჩანდა...

იმ პერიოდში ბესიკის მამა, პროფესორი არკადი ჯორბენამე, ავადმყოფობდა...

მოვლენები რთულად განვითარდა...

კათედრის გამგის კონკურსში განცხადება შეიტანა ბატონმა ივანე ქავთარაძემ...

უჩვეულო ვითარება შეიქმნა... ყოფილი ასპირანტი და მისი ხელმძღვანელი აღმოჩნდნენ კონკურენტები... და...

ამ დროს ბესიკის მამა, ბატონი არკადი, გარდაიცვალა... ბესიკისათვის ეს უმძიმესი ტრაგედია იყო. მერე იტყვის – კონკურსი აღარც მახსოვდაო...

მამის დაკრძალვის შემდეგ მთელ ოჯახს (და სანათესაოს) გურიაში მოუხდათ წასვლა (ველარ ვიხსენებ, რატომ)...

თბილისისაკენ მომავალი ბესიკი საკუთარი მანქანით სამტრედიასთან ახლოს მძიმე ავარიაში მოყვა; დედა ეჯდა გვერდით; საკმაოდ მძიმედ დაშავდა ქალბატონი ეკატერინე... დაშავებული დედა ბესიკის ძმამ წაიყვანა ლანჩხუთის საავადმყოფოში... მანქანა იქვე დატოვეს ვიღაცის ეზოში...

რამდენიმე დღეში საბჭოს სხდომაზე კათედრის გამგის არჩევნები იყო...

ბესიკი წინა სადამოს ჩამოვიდა თბილისში...

არჩევნებში გაიმარჯვა ბატონმა ივანე ქავთარაძემ...

ბესიკმა მიულოცა კათედრის გამგეს გამარჯვება და ისევ გურიაში დაბრუნდა, მანქანას უნდა მივხედოო... ასე დაწვრილებით

იმიტომ მოვეყვი, რომ ამ ამბავს მძიმე განვითარება, არასწორი ინტერპრეტაციები მოჰყვა...

ახლადარჩეული კათედრის გამგე, ბატონი ივანე ქავთარაძე, როგორც ვთქვით, მძიმე სენით იყო ავად და ისე გარდაიცვალა, რომ კათედრაზეც არ მისულა არჩევნების შემდგომ...

და როგორც ხდება ხოლმე, ერმანეთში აირია ტყუილი და მართალი...

ზოგი ამბობდა, თავის მოწაფესთან დამარცხება ვერ გადაიტანაო... არადა ბატონმა ივანემ გაიმარჯვა...

ზოგი ამბობდა, კი გაიმარჯვა, მაგრამ ბევრი ინერვიულა, მოწაფე როგორ დამიპირისპირდაო... ადანაშაულებდნენ მოწაფეს, კონკურსის ვადის ბოლო დღეს შეიტანა განცხადებაო... არადა, რექტორატის მითითებისამებრ კონკურსის გამოცხადების დღესვე შეიტანა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ...

მოკლედ, ბესიკი დამარცხდა და მას დაბრალდა გამარჯვებული კონკურენტის გარდაცვალება... ვიღაცებმა ტელეფონზეც დაურეკეს, „მკვლელოო...“

უმძიმესი სიტუაცია იყო...

ბესიკი გურიაში იყო და როგორც კი გაიგო ბატონი ივანეს გარდაცვალება, სასწრაფოდ ჩამოვიდა თბილისში... მე პანაშვიდებზე დავდივარ... მითქმა-მოთქმა არ იკლებს... პირიქით...

ბესიკი იტყვის: როცა გავიგე, რომ ბატონმა ივანემ შეიტანა განცხადება, მე უნდა გამომეტანა საბუთები კონკურსიდან, მაგრამ ისეთი მძიმე დღეები მქონდა, კონკურსზე ვეღარც ვფიქრობდიო... ვეღარ მოვიფიქრეო...

სამძიმარზე უნდოდა მისვლა, მაგრამ არ ურჩევდნენ...

ასე მორალურად განადგურებული ბესიკ ჯორბენაძე გადაწყვიტს, აუცილებლად უნდა მივიდე ბატონი ივანეს ოჯახშიო; უნდა გამოვემშვიდობო ბატონ ივანესო... ოღონდ არა პანაშვიდის დროს, – ასე ურჩიეს... გადაწყდა, მე უნდა მივეყოლოდი... მე, ბატონი ივანეს მოწაფე, ბატონი ივანეს „მტრად“ გამოცხადებულ მეორე მოწაფეს უნდა მივეყოლოდი ჩვენი გარდაცვლილი მასწავლებლის ოჯახში... მეც მძიმე დღეში ვარ: ერთი მხრივ, ბატონი ივანეს გარდაცვალების

გამო, მეორე მხრივ, ბესიკის მდგომარეობის გამო... სიტყვიერად შე-  
უძლებელია ამის გადმოცემა...

შუადღისას ჩემი მანქანით მივედი ბატონი ივანეს ოჯახში...  
ოჯახისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენი მისვლა...

უმძიმესი ფსიქოლოგიური სიტუაცია შეიქმნა... ჭირისუფლე-  
ბი დასტიროდნენ ბატონ ივანეს... საშინელი მოსასმენი იყო შვილე-  
ბის ტირილი... ბესიკსაც ახსენებდნენ, როგორც მოწაფეს, რომელიც  
ძალიან უყვარდა მასწავლებელს...

ბესიკი გზადაგზა ჩუმად იმეორებდა, „ეს დღეები რომ ჩაივ-  
ლის, ყველაფერს აგიხსნით“...

თითქმის ერთი საათი დავავით ბატონი ივანეს კუბოსთან...

მერე იტყვის ბესიკი... ჩემს ცხოვრებაში ამაზე მძიმე წუთები  
არ მქონიაო...

ეს დღე უმძიმესი იყო ჩემთვისაც...

შეიძლება არც იყო საჭირო ასე დაწვრილებით საუბარი ამ თე-  
მაზე, მაგრამ... პასუხს ვაგებ ფაქტების სიზუსტეზე... ღმერთმა ორი-  
ვეს სული გაანათლოს...

\* \* \*

ვთქვით: 1974 წლიდან ბატონი ივანე იყო ჩემი ოფიციალური  
სამეცნიერო ხელმძღვანელი; 1978 წლიდან – ჩემი განყოფილების  
გამგე...

შევეცდები გავიხსენო, როგორი ხელმძღვანელი იყო ბატონი  
ივანე.

შემომჩა რამდენიმე „პირადი წერილი“ ბატონი ივანე ქავთა-  
რადისაგან. თუმცა არ ეთქმის ამას ასე; ესაა სხვადასხვა დროს, სხვა-  
დასხვა დანიშნულებით გაკეთებული წერილობითი შენიშვნა, მითი-  
თება, საყვედური თუ დატუქსვა, წახალისება თუ შექება... სხვადას-  
ხვა ფორმით, სხვადასხვა განწყობით.

ზოგჯერ პატარა ბარათზე, ზოგჯერ ფურცელზე, ზოგჯერ  
ფურცლის ნაწილზე (გადახეულზე...) – მომართვის ფორმაც იყო  
სხვადასხვა; ზოგჯერ სახელი სულ არ ეწერა, პირდაპირ ტექსტი იწე-  
რებოდა: „ეს ერთი ცალი შენ დაიტოვე, ერთი – მე, ერთიც – დირექ-  
ციაში!...“

ზოგჯერ ასე: გ. გოგოლაშვილს...

ზოგჯერ „ოფიციალურად“ – „ბ. გიორგი!“...

ზოგჯერაც ღიმილნარევი მომართვა: „გ. გოგოლაანთს“...

ბიბლიის ეკონომიკურ ხელშეწყობა, I  
სროულ მსჯელობა, 2 სროულ  
პირთ (სოფლ ბიუ) რ იმეთ  
თქანი ნაყოფიანი სპორიანი  
(სპორიანი სოფლ ბიუ) -  
მინიჭი იქნებო. სოფლ  
ჭეხი მინიჭი იქნებო რ სოფლ  
მინიჭი იქნებო.

10.11.1997

ქ. კოჭლავაძე

1. ს. სოფლ ბიუ - სოფლ ბიუ რ სოფლ  
"სოფლ ბიუ" სოფლ ბიუ!
2. ს. სოფლ ბიუ - 13 სოფლ ბიუ  
სოფლ ბიუ (სოფლ ბიუ სოფლ ბიუ)
3. 13 სოფლ ბიუ სოფლ ბიუ (სოფლ ბიუ  
სოფლ ბიუ)
4. ს. სოფლ ბიუ, სოფლ ბიუ!  
ი. ს. ს. ს.

თითქოს არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ხელმძღვანელსა და ასპირანტს შორის ასეთი დამოკიდებულება სხვა პასუხისმგებლობას, სხვა ნდობას, პატივისცემას წარმოშობს...

ვერძნობდი მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას; იცოდა ჩემი „ბიუჯეტის“ ამბავი – რაღაც საათობრივი ანაზღაურების კაპიკები

და სოფლიდან (პედაგოგების ოჯახიდან) გამოგზავნილი „დახმარება“ – ბ-ნი ივანე გამგზავნის საჯარო ბიბლიოთეკაში, ქართველოლოგიურ განყოფილებაში. მიხვალ აქა და აქ, იკითხავ ამას, მიიღებ დავალებას და ა. შ. კატალოგი იყო თემატურად დასალაგებელი... დავალება შევასრულე, რამდენიმე დღე ვიმუშავე. ვიღაცის ხელით (ვერ ვიხსენებ) მიგზავნის ბარათს: „ბ. გიორგი! „კომუნისტის“ რედაქციაში, I სართულზე მარჯვნივ 2 საათზე მიდი (ყოველ დღეა) და აიღეთ თქვენი ნამუშევრის საზღაური (ბიბლიოგრაფია რომ გააკეთეთ). პასპორტი იქონიეთ. რაც შეიძლება მეტი პაპიროსი იყიდეთ და ადრე მოიწამლეთ თავი“ 10. II. 1977.

იმჟამად სიგარეტს ვეწეოდი და მიშლიდა...

ერთხელაც საზოგადოება „ცოდნაში“ გამაგზავნა: მიხვალთ, იკითხავთ ამასა და ამას, ეტყვი, რომ მე გაგზავნეთ...

მივდივარ; ვიღებ დავალებას: ერთი კვირით უნდა წავიდე ჭიათურაში; მეშახტეებისათვის საუბრები უნდა ჩამეტარებინა ქართული ენის შესახებ (წარმოშობა, მონათესავე ენები, დამწერლობა, ენის სიწმინდის დაცვა...). ერთი კვირა ჭიათურაში სასტუმროში ვიცხოვრე. იქაური საზოგადოება „ცოდნა“ მმასპინძლობდა. სხვადასხვა შახტაში, სხვადასხვა ბრიგადასთან, სხვადასხვა ორგანიზაციაში 10-15 წუთიანი შეხვედრები მქონდა და ვსაუბრობდი...

ბატონი ივანე სხვა დავალებებსაც მაძლევდა; უფრო სწორად, სხვადასხვა საშუალებას ორიოდე კაპიკის გამომუშავებისას. ასე გაკეთდა რამდენიმე ინფორმაცია-რეცენზია არაერთ სამეცნიერო გამოცემაზე – სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისთვის... რედაქციებში ბ-ნი ივანეს სახელით მივდიოდი...

ყველაფერს აქცევდა ყურადღებას; სხვაგვარად რომ ვთქვა, ყველაფერზე ფიქრობდა; ერთხელ კონსულტაციის შემდეგ თითქოს სხვათაშორის მითხრა: შენ ახლა უნივერსიტეტის ლექტორი ხარ და ისე უნდა მოიქვე, როგორც ლექტორს შეეფერება; რომ მიხვდა, ვერ გავიგე, ღიმილით დაამატა: დერეფანში სტუდენტებთან ხელგადახვეულმა არ უნდა იაროო და წავიდა... გამახსენდა: ახლობელი პირველკურსელი იყო, შემხვდა, მხარზე ხელი მოვხვიე და... შენიშვნაც მივიღე...



1978 წლის 12 იანვრიდან ბ-ნი ივანე ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩემი განყოფილების გამგე იყო... დიდ ოთახში 10-მდე მეცნიერი იჯდა. ბ-ნი ივანეს მაგიდა დაფის წინ იდგა და განყოფილების გამგე ჩვენკენ პირისპირ იჯდა. დიდხანს ჯდომას ვერ ვეგუებოდი; თან სიგარეტს ვეწეოდი და ხშირ-ხშირად გავდიოდი გარეთ; II სართულზე კიბის თავთან ვიკრიბებოდი ბიჭები („კიბისთავის განყოფილება“ ვეძახდით) და იყო საინტერესო ამბების მოყოლაში შეჯიბრი...

2 | ლექსი კარგია აქ ხმაზე, ლექსი მ უფრო  
 ზუსტ აუზად, ლექსი აქ ვა და ნაო პოეზია  
 ხე ძიებდა. სწავს ცნობებს ვაი ცოცხლობდა. ამ  
 მხარეში არა ვიპოვე. ფილოსოფიის (აქ ხედავ)  
 სასაყი მ ვიპოვე - იქნა-იქნა მეს ყხილ  
 მთავარ და ჯიჟურა მეს ძიებდა! მ ვიპოვე  
 მავინ და მავინ ამა. ჯიჟურა ამოქვეს (ქვეთა  
 უკავანდობა) აქ აქ, აქ ხე მთავარ ამა ხე!  
 (17-01-78)

ერთი წერილი შემინახავს, 1978 წლის 17 იანვრით თარიღდება: მოვიყვან სრულად: „რატომ გადიხარ ასე ხშირად? რატომ არ უდებთ გულს მუშაობას? დღე ასე გავა და წლის ბოლოს რა გექნება. ცალკე კაბინეტს ვერ დაგიტომობთ. ამ პირობებში უნდა ვიმუშაოთ...“

შეეძლო დაეძახა, მივეხმე და ეს ყოველივე ეთქვა... წერილი ამჯობინა – ეს არ იყო შეგონება მხოლოდ იმ წუთისათვის... თანაც ბართიის გაგრძელება უკვე „საქმიანი“ იყო: „ფილოსოფიის საქმე როგორაა? სათაური არ შეიცვლება – „დრო-კილოთა მეორე სერიის წარმოება და მნიშვნელობა ახალ ქართულში“. არ მიხსენოთ არავინ და არაფერი ამაზე. **მნიშვნელობა** „ამოქაჩავს“ (ბოდინი ჟარგონისათვის) მაგ თემას, თორემ წარმოება მარტო რაა!“

მცირე კომეტარს გავაკეთებ, ანუ: რას ფიქრობს და რატომ – ჩემზე და ჩემთვის ჩემი ხელმძღვანელი... ამთავითვე ვიტყვი: ეს და მსგავსი მონაწერები სამეცნიერო ხელმძღვანელთა მუშაობის „საინსტრუქციოდ“ (საკონსულტაციოდ) გამოდგება... ამ კუთხითაც მი-ნდა წარმოჩნდეს ბ-ნი ივანე.

კომენტარი 1. ფილოსოფია – საკანდიდატო მინიმუმის საგანი ჩასაბარებელი მქონდა და იციან ჩემი თაობის ხალხმა, რა ძნელი იყო „მარქსისტული ფილოსოფიის“ ჩაბარება, ბევრი შრომა სჭირდებო-და... ხშირ-ხშირად მახსენებდა...

2. „სათაური არ შეიცვლება“ – მე ვთავაზობდი, სადისერტაციო თემა შემოფარგლულიყო მხოლოდ „მეორე სერიის ფორმათა წარმო-ებით“; ბ-ნი ივანე ამტკიცებდა, „მნიშვნელობის“ კვლევაც აუცილებე-ლი იყო ამ თემისათვის... მერე მე „არგუმენტად“ ის მოვიყვანე, რომ ჩემი კოლეგა და მეგობარი ასმათ პაპიძე ამუშავებდა თემას – „კავში-რებითების მნიშვნელობაზე“... ამიტომაც ამბობს, – „არ მიხსენო არავინ და არაფერიო“... ეს დავა აქ არ დასრულებულა...

გავუსწრებ მოვლენებს: როცა სადისერტაციო ნაშრომი დავას-რულე, ბ-ნმა ივანემ საკმაოდ მკაცრად შეაფასა იგი და კვლავაც თა-ვის პოზიციაზე დარჩა; თუმცა... ამის თაობაზე ამ ნარკვევის ბოლოს ვისაუბრებ...

ესეც საგულისხმოა: ამ რიგის კამათი პროფესორსა და ასპი-ნატს შორის! ასპირანტის „თავისუფლების“ ხარისხი; პაექრობის უფ-ლება და შესაძლებლობა... აქ ბატონი ივანე შეუდარებელი იყო... ამ საკითხს ისეც დავუბრუნდები...

ამ წერილში რომ წერს, „წარმოება მარტო რააო“ – ეს მისი პო-ზიცია იყო თითქმის ბოლომდე...

ინსტიტუტში თანამშრომლად მიღების ბრძანება რომ დაიწე-რა, ხელმძღვანელისგან დახასიათება მომთხოვეს. ბ-ნმა ივანემ მეო-რე დღეს (1978 წლის 13 იანვარს) მომიტანა 3 ცალად გადაბეჭდილი და ეს ბარათი მოაყოლა:

„ეს ერთი თქვენ, ერთი მე, ერთი დირექციაში. 1. ერთი ცალი ყოველგვარი საბუთი უნდა გქონდეთ შენახული. 2. უნ-ტში როდის მიგიღეს, სადაა შრომის წიგნაკი, სტაჟის საქმე როგორ გექნება – ესე-ნი მალე მოაგვარეთ, როგორც კი მიგიღებენ. იკითხეთ, გაარკვიეთ,

მოავგარეთ. 3. სამ-სამი ცალი უნდა გქონდეთ ცალკე საქაღალდეში დაბეჭდილი შრომა – წერილი – რეცენზიები. 4. ამ ორ თვეში (თუ ადრე არა) მოამზადეთ აქაურ პროსემინარზე მოხსენება – „ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკა-სტილისტიკის საკითხები“ ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1977 წლის ნომრებში. მეთოდიკა არ გინდათ. შინაარსები გადმოვიცით; ქებაც იყოს და დასაბუთებული, არა უკმეხი კრიტიკა. ამაზე განუცხადეთ ბ. ფოჩხუას. ჩემგანაც უთხარით, რომ გირჩევთ სხვაზე მერე მოვილაპარაკოთ“.

საინტერესოა: ზემოთაც შევნიშნე – როცა დავალებას მაძლევდა, წერილობით გადმომცემდა (ცხადია, სიტყვიერადაც მესაუბრებოდა)... ეს ბარათიც შინ ჰქონდა დაწერილი...

ბ-ნი ივანე (და საერთოდ ის თაობა) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპეციალური ლიტერატურის ცოდნას. მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ პროფესორი ივანე ქავთარაძე იქნებოდა ჩემი ხელმძღვანელი, ყოველკვირეული შეხვედრები გვქონდა; ვამუშავებდი სამეცნიერო ლიტერატურას და მოვიპოვებდი საანალიზო მასალას დისერტაციისათვის.

ვიღებდი ყოველკვირეულ დავალებას.

შეხვედრისას გადმომცემდა უკვე გამზადებულ წერილობით დავალებას. 1975 წლის 12 დეკემბერს გადმოუცია ეს დავალება (მოვიყვან სრულად, რომ წარმოდგენა გვქონდეს, როგორი იყო ერთკვირეული დავალება ასპირანტისა):

12/XII. 75

ილ. აბულაძე – პალეოგრაფია

არნ. ჩიქობავა – „——“

თაყაიშვილი – „——“

ი. ჯავახიშვილი – „ქართულ პალეოგრაფია, 1948/9

გ. წერეთელი „Эпиграфика Востока“

რ. პატარიძე – „მნათობი“ 1973

ა. შანიძე – ძველი ქართული ენა (1939)

იმნაიშვილი – ისტ. ქრესტ.

### **ფონეტიკაში**

დარჩენილი საკითხები (იკვ IX-X ბიბ.)

## მორფოლოგიაში

სახელების მოთავება (ი. იმნაიშვილის სახელთა ბრუნება), უნტის შრომები.“

ეს იყო დავალების ერთი „ულუფა“... დამუშავება მხოლოდ წაკითხვას არ გულისხმობდა: უნდა დაგვეკონსპექტებინა... დღემდე მაქვს შემონახული 10-მდე სქელი საერთო რვეული ამგვარი კონსპექტებისა...

რაიმე არ უნდა გამოგვრჩენოდა; ფონეტიკის საკითხების დამუშავებისას მითხრა: ბიბლიოგრაფიისათვის ნახეთ ჩემი წიგნი (იგულისხმებოდა „ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, 1964 – გ. გ.); ვეცადე, არაფერი გამომრჩენოდაო.

პრობლემების მიხედვით თანმიმდევრულად ვამუშავებდით სხვადასხვა სერიულ გამოცემებს, მონოგრაფიებს...

ბ-ნი ივანე ხშირ-ხშირად შემახსენებდა, რომ სპეციალობა მქონდა ჩასაბარებელი (ე. წ. მინიმუმის საგანი) და მეფიქრა ამაზე. თავი არ შევირცხვინოთო; რა კითხვაც არ უნდა დაისვას, უნდა უპასუხოთო... კათედრაზე შექმნილი კომისიის წინაშე ბარდებოდა საგანი „ქართული ენა“ (მველიც, ახალიც, დიალექტოლოგიაც, ენის ისტორიაც...). ამ გამოცდამ კათედრაზე ავტორიტეტი უნდა აგიმადლოსო...

მოგვიანებით, როცა გამოცდა ჩავაბარე, ცოტა გულდაწყვეტილი დავრჩი: საგამოცდო კომისია (აკად. შ. ძიძიგური, პროფესორები ე. ბაბუნაშვილი, დ. გეწაძე, ი. ქავთარაძე...) კარგი განწყობით შემხვდა. მზად ვიყავი, „ამომწურავად“ მესაუბრა... დავიწყე საკითხი – მალე გამაჩერეს – ეს იცის კაცო (ბ-ნმა შოთამ)... მეორე საკითხი – ეს ამისთვის ანაბანააო (ბ-ნმა დავითმა)... ბატონი ივანე არ ერეოდა... 15-20 წუთში გამომიშვეს... – არადა სამი წელი ამ გამოცდას ველოდი...

დიახ. სამეცნიერო ლიტერატურაში სისრულისა და სიზუსტის საკითხი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ჩემი ხელმძღვანელები-სათვის.

ერთი წერილი შემომრჩა (სამწუხაროდ, თარიღი არ აწერია; 1978-1980 წლებში უნდა იყოს დაწერილი); როგორც ჩანს, ნაშრომი მოსწონებია ბ-ნი ივანეს (მომართვის ფორმა მაფიქრებინებს – „გოგო-

ლანთს“) მაგრამ „აუცილებელი შენიშვნები“; იწყება ლიტერატურით:

**„გოგოლანთს**

„1. ა. ჩიქობავას – „პერმანსივი“ და ერგ. კონსტრუქციის პრობლემა“

2. ი. გიგინეიშვილი – ევ სუფიქსიანი ნამყო (მეტყ. კულტ. საკითხ.)

3. **ევ** სუფიქსიანი ნამყო (აღმოს. ფილოლოგია)

4. სვანური, მეგრული!...

შეკითხვებში იყავით კონკრეტული. მოსაზრებებს ნუ გამოთქვამთ. ეს შემდეგ მოხსენებაში გამოიყენეთ.

კავშირებითის II-ზე იხ. ნ. კოტინოვი. ინგილოურის – ვუთხარე=ვეძახი...“

რა თქმა უნდა, ყოველ ბარათს ახლდა ზეპირი განმარტებები...

ბიბლიოთეკაში (სამკითხველო დარბაზში) მუშაობას მიეჩვიეო, – მეტყოდა. სამკითხველო დარბაზი I კორპუსში იყო; ახლა რომ რექტორატია, იმ მხარეს. შემოივლიდა ხოლმე, მივიდოდა გაზეთბთან, გადაავლებდა თვალს და წავიდოდა... მე მგონი, მამოწმებდა, ხომ მუშაობსო...

შენიშვნები კეთდებოდა ნაშრომის შინაარსობრივ მხარეზეც – შენიშვნები, კრიტიკა, მოწონება-დაწუნება... საჭირო ქებაც, მაგრამ ყოველივე ეს ძალზე ზომიერად...

რამდენიმე ადგილს მოვიყვან ერთ-ერთი ამგვარი ვრცელი წერილიდან:

– „რას ნიშნავს რიგ შემთხვევაში, ამას ისტორია აქვს. ამ რედაქციით არ ივარგებს“...

– „ა. შანიძემ დაალაგა აქ ბევრი რამ. ეს უნდა ჩანდეს. აქ კითხვოს როგორც ტოლს, ისე იმოწმებთ. ჩანდეს, რა დაალაგა მან, რას ამტკიცებთ თქვენ. მოკრძალებულ-მორიდებულად, პატივისცემით“

– „დაანებეთ აკადემიკოსების შეფასებას თავი“;

– „შენიშვნა არსებითად სწორია!...“

– „მე მგონია ეს ცალკეა გამოსაყოფი“...

– „დასკვნები კარგია, მაგრამ ამის მიხედვით არ არის აგებული ნაშრომი“...

- „უნდა განიტვიროთოს ზედმეტისაგან..“.
- „დაბეჭდისთვის ეს ამ სახით მზად არ მიმაჩნია, დაკვირვებები კი არის შიგადაშიგ საინტერესო და ანგარიშგასაწევი!...“

ასეთი და მსგავსი საუბარი – თითქმის ყველა ნაშრომის შესახებ გვეკონდა...

სამეცნიერო ნაშრომის რეზიუმეს შედგენა არ არის მარტივი და იოლი საქმე. ნაშრომის ძირითადი სათქმელის მოკლედ და ლაკონურად გადმოცემა...

რეზიუმეს შედგენის კულტურა საკმაოდ ძნელი გამოსამუშავებელია...

ბ-ნი ივანეს განსაკუთრებულ ყურადღებას ეს ფაქტიც იპყრობდა. ერთ-ერთი მოხსენების თეზისების გამო საკმაოდ ვრცელ და დეტალურ წერილს მწერს (1979 წელია):

- „**თეზისები დამაკმაყოფილებელი და საინტერესოა, მაგრამ**“... და იწყება მთელი ფურცელი შენიშვნა-სურვილები; მოვიყვან ზოგიერთს:

- „ნუ გაგიტაცებთ თეზისების პუნქტების რაოდენობა; ასე მაგალითად, სადავოა მე-5 მუხლი“... აქ მსჯელობაა, ხელმძღვანელი რას ეთანხმება და რას – არა...

- „№ 4 პუნქტი ბუნდოვანია...“ და ისევ მსჯელობა-დასაბუთება ხელმძღვანელის აზრისა...

- „ეს ორი ზემორე შენიშვნა პასუხგაცემელია № 7 მუხლში. ამიტომ 5 და 6 მუხლები აქ ამოიღე და თუ გნებავთ, მოხსენებაში დატოვეთ **(ოღონდ ემზადეთ თავდასხმის მოსაგერიებლად!)**. მე-7 მუხლი ამათ ამოღებას ანაზღაურებს“

- „მართალია, № 3-ში „მაწარმოებელიდან“ ბრჭყალებშია და ქრისტიანი კაცი გაიგებს რაშია საქმე, მაგრამ მაინც სხვაგვარად გეთქვათ, **o**-ს მაწარმოებლობა არ დაგწამონ...“

დაბოლოს ღიმილიანი „დამშვიდობება“: „სხუებერ კეთილად ბრძანდებოდეთ, დავშთები თქუენი ერგული. o. ქ.“

\*\*\*

1981 წლის მაისში დავასრულე (ჩემი აზრით) სადისერტაციო ნაშრომი, მოვაწესრიგე ტექნიკურად და ივნისში როგორც წესი იყო, გადავეცი სამეცნიერო ხელმძღვანელს გასაცნობად...

საკმაოდ გაგრძელდა პასუხის მოლოდინის პერიოდი (5-6 თვე)... ჩვენი განყოფილების თანამშრომელს ქ-ნ ლეილა კვანტალი-ანს ვაკითხვინე; მალე დავუბრუნებო, უთქვამს და, მართლაც, დეკემბრის ბოლოს დამიბრუნა... ვრცელი რეცენზიითა და მრავალი შენიშვნით: „**შენიშვნები და რჩევები გ. გოგოლაშვილს. „დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“** (15 გვერდზე, 55 შენიშვნა, მკაცრი დასკვნა და შემდეგ შეგონებანი...)...

გადავწყვიტე წერილობით მეპასუხა ბატონი ივანესათვის...

ახლა ძალიან მიჭირს გააზრება იმისა, მე, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი ჩემი ასპირანტებისა (ვთქვი, 30-მდე ასპირანტ-მადიებელმა გაიარა ჩემს ხელში...), შევძლებდით თუ არა ამგვარ „პაექრობას“ ჩემს ასპირანტებთან... დიახ, ეს იყო პაექრობა ტოლ-სწორთან... ამდენი და ამგვარი შენიშვნების შემდეგ თუ მოვისმენდი იმგვარად პასუხს და, რაც მთავარია, დავეთანხმებოდი დისერტანტს...

გზადაგზა მიმოწერიდან ჩანდა, რომ ჩვენს შორის უთანხმოება იყო მეორე სერიის ფორმათა მნიშვნელობის (სემანტიკის) კვლევის თაობაზე. ბ-ნ ივანეს მიაჩნდა, რომ უნდა მეკვლია; მე მთელი ყურადღება გადავიტანე ფორმოებრივ ანალიზზე და მივიჩნევდი, რომ ეს საკმარისი იყო ამ ეტაპზე ჩვენი მიზნებისათვის. ათამდე ნაშრომი გამოვაქვეყნე ამ საკითხებზე (დისერტაციისათვის სამცხ საკმარისი იყო). ყველას იცნობდა ბ-ნი ივანე. იყო განსხვავებული ხედვებიც, მაგრამ რომ შეიკრა ნაშრომი, სხვა რეალობის წინაშე დავდექით... საერთო დასკვნა არ იყო „დადებითი“...

ცხადია, აქ ამ ვრცელი შენიშვნებისა (15 გვ.) და უფრო ვრცელი პასუხების (18 გვ.) მოყვანას არ ვაპირებ. საერთო სურათის გასააზრებლად რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ხელმძღვანელის რეცენზიიდან (უფრო ზოგადი ხასიათისა...)

– არსად გადააჭარბოთ მსჯელობაში... ნუ გაგიტაცებთ მოდულრი ახალი ტერმინოლოგია (მაგალითებს არ დავიმოწმებ – გ. გ.)

– ვერ გავიგე, ბუნდოვანია... რაა სადავო: ა. შანიძის აზრი სწორად გადმოვცით?

– საყრდენზე ზეპირად გესაუბრეთ, სადავოდ მეჩვენება...

– რთული და სადავო საკითხია...

– ძნელი გასაგებია...

– ძნელი დასაჯერებელია...


- ეს ადგილი ჯიუტობით გამოწვეული შეცდომაა და არა უცოდინარობა და ა. შ. ...

სადავოდ მიიჩნევს ჩვენს კონკრეტულ დასკვნებს... და საბოლოოდ დასკვნა: **„ნაშრომი უნდა გადამუშავდეს. თქვენ კარგი გეგმა წარმომიდგინეთ ჯერ კიდევ ამ ოთხი წლის წინათ. დიდი დრო გქონდათ და ახლაც გაქვთ...“**

მერე, ფაქტობრივ, ახალ გეგმას მთავაზობს: „ნაშრომმა უნდა გვითხრას“...

მერე ცოტა „გულის გაკეთება“ და ისევ მკაცრი დასკვნა „ავტორფერატი დასაწუნი როდია, მაგრამ გადამუშავება სჭირდება“...

მწელი იყო ამ რეცენზიის ჩაკითხვა: **ფაქტობრივ ხელმძღვანელმა სადისერტაციო ნაშრომი დამიწუნა!**... მჯერა, რომ მისთვისაც არ იქნებოდა იოლი... და, ბოლოს „დამშვიდება და წაქეზება – „აბა შენ იციო“...



„ახლაც თქვენი ცოდნის, პატიოსნების, თავაზიანობა-მოკრძალების, ნებმისყოფის, სულგრძელობის, მტკიცე ნერვებისა და მო-



თმინებით კარგის გაკეთების გამოცდა; თანაც მეცნიერებაში ახლის შეტანის გულწრფელი სურვილი და სასიკეთო საქმის გაკეთების შემოწმება. იმედი მაქვს, ასე იქნება. გადამუშავებულ ნაშრომს არ დამიგვიანებთ, მაჩვენოთ...“

ვიფიქრე, ვეთათბირე მეგობარ-კოლეგებს და... მოვემზადე უჩვეულო პაექრობისათვის...

პასუხი მობოდიშებით დავიწყე:

„ბატონო ივანე,

თქვენს შენიშვნებზე ჩემს პასუხებს ნუ მიიჩნევთ აჩქარებად, უნებისყოფობად, თავაზიანობა-მოკრძალების დაკარგვად, მტკიცე ნერვებისა და მოთმინების უქონლობად...

უბრალოდ, ამ საკითხებზე ბევრი მიფიქრია: 5 წელი ვიმუშავე; სხვებისთვისაც გამიზიარებია და მრავალი კამათიც გადამიტანია. ყოველთვის ვიცავ მხოლოდ იმას, რაც მტკიცედ მჭამს (არა სიჯიუტით გამოწვეული მტკიცე რწმენა, არამედ საწინააღმდეგო აზრის ნაკლები საბუთიანობით გამოწვეული; – აზრიც შემიცვლია ზოგჯერ).

დიდ ბოდიშს მოგიხდით და გთხოვთ სულგრძელად მომიტევოთ ეს კადნიერება.“

ამის შემდგომ პუნქტობრივ ვისაუბრე ბ-ნი ივანეს შენიშვნების თაობაზე...

ვრცლად მომიწია საუბარი; შევეცადე: განმემარტა, დამესაბუთებინა ჩემი პოზიცია. ცხადია, რამდენიმე შენიშვნა მივიღე, მაგრამ საერთო ჯამში, არ შემიცვლია პოზიცია.

ბოლოს ვწერდი: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი სახითაც საკმარისი იქნებოდა საკვალიფიკაციო შრომად...“

**„აჩქარება და სულწასულობა არ უნდა ეთქმოდეს ჩემს სურვილს ნაშრომის სამსჯავროდ გატანისას. ეს ნაშრომი, მართალია, შეიქმნა როგორც საკვალიფიკაციო თემა, მაგრამ არც ხარისხის მოპოვების სურვილი იყო მხოლოდ ის, რაც მაწერიებდა ამ შრომას. ხარისხის მოპოვება უფრო უმტკივნეულოდ შეიძლებოდა... ჩვენ, ჩვენი აზრით, ვცადეთ საკუთარი თვალსაზრისის შემუშავება. გვსურს ამ თვალსაზრისის სამსჯავროზე წარდგენა. სხვათა შორის, მარცხიც არ გვაშინებს“...**

და ბოლო აზრები: თხოვნა ხელმძღვანელისადმი ასპირანტისა, მოეცა უფლება, ნაშრომი დაშვებულიყო საჯარო პაექრობაზე:

„ბატონო ივანე, თუ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ, რომ ნაშრომი შეიძლება წარდგეს სამეცნიერო საბჭოს წინაშე თქვენს შენიშვნებზე ჩვენი პასუხების შემდეგ, რა თქმა უნდა, სასურველი იქნება ჩვენთვის. ჩვენ ჩვენს დებულებებზე პასუხს ვაგებთ“...

რამდენიმე კოლეგა-მეგობარს წაუვუკითხე და გაუუზიარე ბატონ ივანეს...

**ვიმეორებ:** ბატონი ივანე გულისხმიერად მოეკიდა ჩვენს პოზიციას, ჩვენს თხოვნას..., მიიღო ჩვენი პასუხები და დამართო ნება, წარმედგინა დისერტაცია სადისერტაციო საბჭოზე...

დისერტაციის დაცვა შედგა 1982 წლის 27 ოქტომბერს... ბატონმა ივანემ ღირსეული სიტყვა თქვა...

უფრო მეტიც: დაცვის შემდგომ მიხმო და შემომთავაზა სადისერტაციო ნაშრომი წიგნად გამომეცა... მანვე ურედაქტორა... უნივერსიტეტის გამომცემლობამ მიიღო გამოსაცემად; სტამბა მე უნდა მომეძებნა... ბატონი ივანე თავად გამომეცა „ცეკავშირის სტამბაში“ (ლენინის მოედანზე იყო), გამაცნო ასოთამწყობი და სთხოვა, დამხმარებოდა...

არ გამოვრიცხავ, რომ ხელმძღვანელის რეცენზიითა თუ ჩემი პასუხით ვინმე დაინტერესდეს; ანდა იმ წერილებით, ზემოთ რომ წარმოვადგინე (აქვთ ხოლმე ადამიანებს ამგვარი ინტერესები!...), ყველა ხელნაწერს სათუთად ვინახავ...

ბატონმა ივანემ თავისი მიმტევებლობით, ანგარიშის გაწევითა და ჩემი ინტერესების გათვალისწინებით საოცარი შთამბეჭდავი გაკვეთილი ჩამიტარა...

ასეთი რამ მხოლოდ პროფესორ ივანე ქავთარაძეს შეეძლო...

აი, ეს ბარათი კი ბოლოსთვის შემოვიწინახე. ეს არ იყო „ერთჯერადი გამოყენების“ ბარათი...


მას შეიძლება განზოგადებული მნიშვნელობა მიეცეს...

შეიძლება მეცნიერ-ხელმძღვანელის „შეგონებანი“ ეწოდოს ანდა ასპირანტ-მამიებლის „სამახსოვრო“... ბარათი 1978 წლის 26 სექტემბრით თარიღდება.

ფაქტია, ახალგაზრდობაში უქმად დაკარგული დრო სიჭარმაგეში დაგვანახებია. ბატონ ივანეს, როგორც ჩანს, გამოცდილება ალაპარაკებს, როცა ამ თემას წამოსწევს წინ. საერთოდ ეს ბარათი არა კონკრეტული ფაქტის გამო იწერება, არამედ, ასე ვთქვათ, ასპირანტ-

ტისათვის მიცემული „ზოგადი ინსტრუქციაა“. ალბათ ამიტომაცაა, რომ აქ არც ადრესატის სახელია და არც კონკრეტული თემა დასახელებული:

„1. სულ ახალგაზრდა ვერ იქნებით. დაგრჩათ ინტენსიური მუშაობის 20 წელი, რომელშიც არა მარტო უნდა მოასწროთ, არამედ მოსასწრების საფუძველიც ჩაყაროთ, ამიტომ დრო მაქსიმალურად გამოიყენეთ და გაანაწილეთ.



2. მთავარია მორჩეთ, ამ წლის თუ არა, ივანისის ბოლოს მაინც ხელნაწერი მიჩვენეთ. ამიტომ აქ (იგულისხმება ინსტიტუტი –გ. გ.) შეღავათები გაქვთ.

3. უცხო ენა და რუსული წყალივით ისწავლეთ!

4. რაც შეიძლება მეტად იმუშავეთ სპეციალური ლიტერატურის გაცნობაზე (ყველა ენის გრამატიკა, ჟურნალები, ენათმეცნიერების სახელმძღვანელოები...).

5. ვეცდები: ხშირად ამაზე აღარ მოგაბეზროთ თავი, რასაც გეუბნებით, თქვენი მომავლისათვის გეუბნებით, დიდი და კარგი მკვლევარი უნდა დადგეთ. იმედია, ოჯახიც შეგიწყობთ ამაში ხელს.

6. ყოველი დებულება გამომდინარეობს თქვენ მიერ ლიტერატურულ ტექსტებიდან მოპოვებული მაგალითების ანალიზიდან! ბარათები გქონდეთ“

აი, ასეთი მეცნიერ-ხელმძღვანელი მყავდა მე!...

მადლობა ბატონ ივანე ქავთარაძეს ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მას თავისი მოწაფეებისათვის გაუღია...

**გიორგი გოგოლაშვილი**

ღანართი

**ბასარიონ ჯორბენაძე. ძირითადი თარიღები,  
ფაქტები.**

1942 წლის 31 აგვისტოს დაიბადა ქ. თბილისში, ექიმთა ოჯახში. მამა – არკადი ბესარიონის ძე ჯორბენაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველოში პათანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი); დედა – პედიატრი ეკატერინე სიხარულიძე.

1949 წელს შევიდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში.

1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1962 წელს სტუდენტთა გაცვლის წესით გაიგზავნა რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლატვიური ენის შესასწავლად.

1965 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით; სამეცნიერო ხელმძღვანელად დაენიშნა აკადემიკოსი ვარლამ თოფურია. სადისერტაციო თემად განესაზღვრა: „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“.

1966 წელს გარდაიცვალა აკად. ვ. თოფურია. ბ. ჯორბენაძის ხელმძღვანელობა დაევალა პროფესორ ივანე ქავთარაძეს.

1968 წელს დაამთავრა ასპირანტურა; იმავე წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1969-1973 წლებში იყო თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის პირველი გამგე.

1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1973-1981 წლებში იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი.

1973-1976 წლებში იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

1974 წელს თანამოაზრეებთან ერთად აარსებს და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა მუდმივმოქმედ სემინარს – „საენათმეცნიერო საუბრებს“...

1975 წელს გამოსცა პირველი წიგნი „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“.

1975 წელს დაქორწინდა იამზე გაგუაზე; 1976 წლის 5 მაისს შეეძინა ქალიშვილი ნინო.

1978 წელს მისი ინიციატივით უნივერსიტეტში შემოდებული იქნა სალექციო კურსები „ქართული ზმნა“ და „ქართული ენა და ეროვნული კულტურა“, რომელთაც თავად უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე...

1979 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ზმნის ფორმოზოდი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ (ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 1981 წელს).

1979 წლის 31 დეკემბერს შეეძინა ვაჟი არკადი ჯორბენაძე.

1980 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1981 წელს აირჩიეს თსუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორად. ამ თანამდებობაზე იყო სიცოცხლის ბოლომდე.

1982-1985 წლებში ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას. ამ პერიოდში შეიმუშავა ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსის პროგრამა-პროსპექტი და დაიწყო მუშაობა მის განხორციელებაზე.

1985-1987 წლებში იყოს ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

1987 წლის ნოემბერში აირჩიეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად.

1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1988 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობასთან შემუშავდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი, რომელიც საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა დეკემბერში.

1989 წლის 25 აგვისტოში ხელი მოეწერა სამთავრობო დადგენილებას „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ დამტკიცების შესახებ. ეს იყო ბ. ჯორბენაძის დიდი გამარჯვება. ამ პროგრამაში ჩაიწერა პირველად „14 აპრილი არის ქართული ენის დღე“ და განისაზღვრა მისი მნიშვნელობა. აკად. არნოლდ ჩიქობავას იდეა ბ. ჯორბენაძემ რეალობად აქცია.

1991 წელს მისი ინიციატივით ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა სახელმწიფო ენის კანონის შემმუშავებელი კომისია...

1993 წლის 4 მაისს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად წარადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად (ვაკანტურ ადგილზე)...

1993 წლის 10 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა...

1996 წელს მიენიჭა აკაკი შანიძის პრემია მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია“, I (1989 წ.)...

სხვადასხვა დროს იყო:

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

უნივერსიტეტში არსებული სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი;

მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის „საენათმეცნიერო საუბრების“ თავმჯდომარე;

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი;

ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერიის) მთავარი რედაქტორის მოადგილე;

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ რედაქოლეგიის წევრი...

და სხვა...

მან ხელმძღვანელობა გაუწია 20-ზე მეტ ასპირანტსა და მაძიებელს... იყო რამდენიმე დოქტორანტის კონსულტანტი.

საქართველოს სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული აქვს მხატვრული ნაწარმოებები (ლექსები, მოთხრობები)...



ღანართი

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების  
(1993 – 2023) მოკლე ანბარიში

**„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“ დაარსდა 1993 წელს** მეცნიერის მოწაფეების, მეგობრების, კოლეგებისა და გულშემატკივრების ინიციატივით.

„საზოგადოებამ“ უპირველეს მიზანად დაისახა ბ. ჯორბენაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომთა გამოცემა. ამისათვის: აღიწერა განსვენებული მეცნიერის არქივი; თავი მოეყარა და დალაგდა ხელნაწერები; განაწილდა საქმე და დაიწყო გამოსაცემად მომზადება.

და ქართული ენათმეცნიერება გამდიდრდა პირველხარისხოვანი სამეცნიერო შრომებით:

1. **1995 წელს** გამოვიდა **„ქართული ენის მორფოლოგია“**; პროგრამა-პროსპექტი“ (80 გვ.). აღსანიშნავია: ეს პროსპექტი დაედო საფუძვლად 2011 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ აკადემიურ კურსს – „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (ტ. I, სალიტერატურო ენა, 830 გვ.). ასევე: 2016 წელს გამოცემულ „ახალი ქართული ენის“ პირველ ორ ტომს (ტ. I – სალიტერატურო ენის მორფოლოგია, სახელი, 404 გვ.; ტ. II – სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, 502 გვ.)

2. **1995 წელსვე** გამოვიდა მონოგრაფია **„ქართველურ ენათა დიალექტები“** (448 გვ.). ფაქტობრივად ეს გახლავთ პირველი კრებისითი მონოგრაფია ქართველური ენების დიალექტების ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის საკვანძო საკითხების შესახებ... (ფაქტობრივ ეს არის ბ. ჯორბენაძის მიერ 1991 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ამავე სახელწოდების წიგნის ვრცელი ქართული ვარიანტი).

3. **1997 წელს** დაიბეჭდა **„ენა და კულტურა“** (202 გვ.). ბ. ჯორბენაძის სალექციო ჩანაწერები და ათიოდე რადიოგადაცემის გამოფრული ტექსტი შეაჯერა მანანა კობაიძემ.

4. 1998 წ. დაისტამბა ჯორბენადის „ქართული დიალექტოლოგიის“ II ტომი (675 გვ.). ამ ტომის მომზადება და გამოშვება გამოდგა ერთობ მძიმე სამუშაო რედაქტორ-გამომცემლებისათვის. წიგნში ქართული ენის დიალექტების ფონეტიკის კრებსითი ანალიზია მოცემული... (პირველად ქართულ ენათმეცნიერებაში).

5. 1999 წელს გამოვიდა „პოეზიის ენა“ (104 გვ.). ეს ბ. ჯორბენადის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომია; იგი არის პოეტური ტექსტის (გ. ტაბიძის პოეზიის) ლინგვისტური ანალიზის ნიმუში...

6. ცოტა მოგვიანებით, 2014 წელს, დაისტამბა „სახელური ფუძეების ლექსიკონი“ (866 გვ.). თანავტორები ნანა ლოლაძე და მარინე კიკონიშვილი. ეს არის მე-4 წიგნი სერიისა „მორფოლოგიური ლექსიკონები“.

7. გარდა ამ წიგნებისა, დღემდე ბ. ჯორბენადის გარდაცვალების შემდეგ 20-მდე სტატია დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში...

\* \* \*

ბ. ჯორბენადის, ი. ქეშიკაშვილის, რ. ჭიკაძისა და გ. გოგოლაშვილის ინიციატივით დაფუძნდა და ტრადიციად იქცა თელავის უნივერსიტეტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ბ. ჯორბენადის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების („კლასიკოსთა გაკვეთილები“) გამართვა. დღემდე ჩატარდა 28 კონფერენცია. მსგავს ტრადიციას საქართველოში ანალოგი არ მოეძებნება! გამოქვეყნდა „კლასიკოსთა გაკვეთილებზე“ წაკითხულ მოხსენებათა ბიბლიოგრაფია.

\* \* \*

ბესარიონ ჯორბენადის საზოგადოებამ დააფუძნა და გამოსცა პერიოდული სამეცნიერო კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“. (ესაა გაგრძელება ბ. ჯორბენადს რედაქტორობით გამოცემული კრებულებისა – „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, 1978; „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“, 1980; „საენათმეცნიერო ძიებანი“, 1983...); 2022 წელს გამოვიდა 43-ე ნომერი.

დაფუძნდა „ბესარიონ ჯორბენადის საზოგადოების“ სამეცნიერო კონფერენცია. დღემდე გაიმართა 12-ჯერ. გამოქვეყნდა კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა ბიბლიოგრაფია.

საზოგადოებამ გრიფით „აბიტურიენტის ბიბლიოთეკა“ მოამზადა და გამოსცა 30-მდე ბროშურა ქართულ ენასა და ლიტერატურაში...

ამავე საზოგადოების გრიფით გამოვიდა ბ. ჯორბენაძის მოწაფეებისა და მეგობრების რამდენიმე წიგნი. ისინი მიემდვნა ბ. ჯორბენაძის ხსოვნას.

მომზადდა და 2003 წელს გამოიცა წიგნი „ბესარიონ ჯორბენაძე – პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე“ (334 გვ.). აქ საკმაოდ სრულად არის წარმოჩენილი ბ. ჯორბენაძის სამეცნიერო, პედაგოგიური, საორგანიზაციო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

\* \* \*

ცალკე უნდა გამოვყოთ „ბურჯი ეროვნებისა“.

1995 წელს დაფუძნდა და დაიწყო გამოცემა გაზეთისა „ბურჯი ეროვნებისა“. სახელწოდება და დევიზი („უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა“) იაკობ გოგებაშვილისაგან იქნა აღებული:

გაზეთის მიზანი იყო: სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა; დადგენილი ნორმების პოპულარიზაცია-დაცვა; ენის სიწმინდეზე ზრუნვა; ქართული ენის ამაგდართა წარმოჩენა, მათთვის პატივის მიგება; სანიმუშო წერა-მეტყველების წახალისება. გაზეთი აქტიურად თანამშრომლობდა პროფესორ-მასწავლებლებთან, საუკეთესო მოქართველებთან; აქვეყნებდა რეცენზიებს, გამოხმაურებებს, შენიშვნებს, რეპლიკებს... სულ გამოვიდა გაზეთის 29 ნომერი. 1998 წ. იანვრიდან „ბურჯი ეროვნებისა“ გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად; გამოდიოდა 2006 წლამდე. სულ გამოიცა 96 ნომერი.

## სარჩევი

ნ. ა ლ ხ ი ძ ე – სომატური იდიომების კლასიფიკაციისათვის .....	3
ს. გ ე ლ ა ძ ე – ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვებით შედგენილი ფრაზეოლოგიური გამოთქმების თარგმნისათვის ფრანგულიდან ქართულად .....	19
გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – მწერლის ენის შესწავლის საკითხები ბესარიონ ჯორბენადისეული გააზრება .....	26
ნ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა – მორალურობა-ამორალურობა და სისუფთავის მეტაფორები (ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე) .....	43
ი. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე – გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური თავისებურებები (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე).....	55
ზ. კ ი ვ ვ ი ძ ე – ბესარიონ ჯორბენაძე და თეორიული ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები .....	65
ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი – ისევ შე- ზმნისწინის რამდენიმე ნიუანსის შესახებ .....	84
მ. კ ო ბ ა ი ძ ე – ზმნის წარმოება ახალნასესხები ძირებისგან თანამედროვე ქართულში ტიპოლოგიური თვალსაზრისით.....	90
თ. ლ ო მ თ ა ძ ე – ბესარიონ ჯორბენაძე – ახალი საენათმეცნიერო და ინტერდისციპლინარული მიმართულებების ფუძემდებელი საქართველოში .....	125
მ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე – კომუნიკაციის არამონაწილე წევრთა შეზღუდ- ვები ინგლისურენოვან და ქართულ ტოქშოუებში .....	134

ნ. რ ა ხ რ ა ხ ა ძ ე – სლოგანის ზოგადი ლინგვო-სტილისტიკური მახასიათებლები ინგლისურენოვან კინოაფიშაში .....	144
ზ. ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ე – კორპუსულ მონაცემებზე ორიენტი- რებული დიალექტომეტრია (შესაძლებლობები და მისი გამოყენების სცენარები ქართულში) .....	154
მ. დ ლ ო ნ ტ ი – წულ- ძირ-მორფემიანთა ფუნქციური სემანტიკისათვის ძველ ქართულში (ძვ.ქართ. მიმოწულილვა „ამაო, ფუჭი ძიება“).....	167
ნ. ჯ ო ჯ უ ა – პათოსის აუდიო-ვიზუალური და პრაგმა-ლინგვის- ტური მახასიათებლები ინგლისურენოვან და ქართულ სატელევიზიო რეკლამაში .....	179
ჩემი ხელმძღვანელი და... მე (წიგნიდან „მეც წუთისოფლის სტუმა- რი ვიყავ“) – <b>გ. გოგოლაშვილი</b> .....	194
<b>დანართი</b> – ბესარიონ ჯორბენაძე. ძირითადი თარიღები, ფაქტები. ....	220
<b>დანართი</b> – ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების (1993 – 2023) მოკლე ანგარიში .....	224

## CONTENT

N. A l k h i d z e – Towards the Classification of Somatic Idioms.....	18
S. G e l a d z e – On the Translation of Human-Body-Related Praseolo- gical Expressions from French into Georgian.....	25
G. G o g o l a s h v i l i – Besarion Jorbenadze on Issues of the Writer’s Language Research.....	41
N. D a r a s e l i a – Im/morality and the Metaphors of Cleanliness (on material from English and Georgian).....	53
I. D e m e t r a d z e – The Linguistic Peculiarities of the Discourse of Street Vendors (On the Material of English and Georgian Languages) .....	63
Z. K i k v i d z e – Besarion Jorbenadze and Key Issues of Theoretical Linguistics .....	83
Ts. K v a n t a l i a n i – Some Features of the Preverb šc Revisited .....	89
M. K o b a i d z e – A Typological Perspective on the Verb Formation from Recently Borrowed Roots in Current Georgian .....	123
T. L o m t a d z e – Besarion Jorbenadze – the Founder of New Trends of Linguistics and Interdisciplinary Studies in Georgia.....	133
M. N e b i e r i d z e – Nonparticipant Constraints in English and Georgian Talk Shows.....	143
N. R a k h r a k h a d z e – General Linguo-Stylistic Peculiarities of Film slogans in English Movie Posters .....	153

Z. P o u r t s k h v a n i d z e – Corpus Based Dialectometry and Its Potentials in Georgian .....	165
M. G h l o n t i – On the Functional Semantics of the Root-Morpheme <i>tsul</i> -in Georgian (Old Georg. mimotsulilva "bad investigation; wander") .....	177
N. J o j u a – Audio-Visual and Pragma-linguistic Characteristics of Pathos in English and Georgian TV Advertisements .....	193
My Supervisor and... I (from the book "I am also a Guest in this Earthly Life") – <b>Giorgi Gogolashvili</b> .....	194
<b>Appendix</b> – Besarion Jorbenadze – Basic Dates and Facts .....	220
<b>Appendix</b> – A Brief Account of Besarion Jorbenadze Society (1993-2023) .....	224